# ცისკარი

სამხატვრო-
სალიტერატურო
ჟურნალი

11 | 1999





მარტიროს სარიანი



აკოფ ანანიკიანი



არუტინ გალენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

11 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
ბაჩურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:
ბადათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:
გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აბულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№ 1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

**გამოიღვიძე, ქნარო!**

3. ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

**პოეზია, პროზა**

9. გივი ბერაია. რკალიდან „ნოსტალგიური“. ლექსები
15. სილოვან ნარიმანიძე. ლექსები
19. ციალა არდაშელია. შემოდგომის რტო. მოთხრობა
32. ლია ბედოშვილი. ლექსები
35. დადუნ თურქაძე. ლექსები
37. გივი სიხარულიძე. მოთხრობები
40. ნათელა ხარაიშვილი. ლექსები
41. გიორგი მეტრეველი. ლექსები
43. მაია წულაია. დაიძინე, ჩემო ბიჭუნა! მოთხრობა
45. გიორგი ბითაძე. ლექსები
46. შოთა აკობია. ლექსები

**ლიტერატურული სომხეთი**

50. მარგო ღუკასიანი. დედოფლის სახარების შვილი - სომხურიდან თარგმნა ზურაბ ალექსიძემ
53. ოვანეს თუმანიანი. დედა. მოთხრობა - სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა
54. პარუირ სევაკი. მასხარა. ლექსი - სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა
57. ჰრანტ მათევოსიანი. მოთხრობები - სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა
68. დავით ოვანესი. ლექსები - სომხურიდან თარგმნა რუსუდან ჭუბაბრიამ
70. არტემ არუთიუნიანი. ლექსები - თარგმნა ელგუჯა მარღიამ
71. მერუჟან ტერ-გულანიანი. დასასრული. მოთხრობა - სომხურიდან თარგმნა მაყვალა-არამ გეურქოვა-სააკიანმა
74. ღუკას სირუნიანი. ლექსები - თარგმნა ბადათერ არაბულმა
76. არევშატ ავაქიანი. ლექსები - თარგმნა ელგუჯა მარღიამ
77. არუთ კბეიანი. იადონი საზარელ სიზმარს ხედავდა. მოთხრობა - სომხურიდან თარგმნა რუსუდან ჭუბაბრიამ
79. ავაქ ეფრემიანი. („დროის თვითდამღუპველი სიტყვები...“) ლექსი - თარგმნა ავთანდილ ხარაიშვილმა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

80. არა ნაზარიანი. ეგზოტიკური ისტორია. მოთხრობა -
სომხურიდან თარგმნა რუსუდან ჭუბაბრიამ
82. ედვარდ მელიტონიანი. ლექსები - თარგმნა ელგუჯა მარღიამ
84. გურგენ ხანჯიანი. ბაქანზე. მოთხრობა -
სომხურიდან თარგმნეს მაყვალა და არამ სააკიანებმა
88. გევორქ ანხჩიანი. ლექსები - სომხურიდან
თარგმნა გივი შაჰნაზარმა
91. ჰენრიკ ს.სააკიანი. ლექსები - თარგმნა ტარიელ ჭანტურიამ
93. რუბენ ოვსეფიანი. ბროწეულები. მოთხრობა - სომხურდიან
თარგმნეს მაყვალა და არამ სააკიანებმა
96. ხაჩიკ მანუკიანი. ლექსები - თარგმნა კობა არაბულმა
97. მჰერ არშაკიანი. („ჩვენი სხეული მიიკრა გულთან...") ლექსი -
სომხურიდან თარგმნა რუსუდან ჭუბაბრიამ
100. ვიოლეტ გრიგორიანი. შუაღამე. ლექსი - სომხურიდან
თარგმნა რუსუდან ჭუბაბრიამ
103. ილია ბარამიძე. ჩემი ელჩობის ოდისეა.

**ახალი თარგმანები**

105. მიხაილ ბულგაკოვი. მორფი. მოთხრობა - რუსულიდან
თარგმნა გივი კიკილაშვილმა

**თეატრი**

119. ნათელა არველაძე. მშვიდობით, იარაღო!

**წერილები**

123. ნინო არსენაშვილი. „დავითიანის" დიდაქტიკის ლიტერატურული
წყაროები
128. ტრისტან მახაური. ქართული ხალხური ბალადა „ძიბლა და
თათულიკა"
130. ციალა ბენდელიანი. ილია ჭავჭავაძე ქართულ რომანში
133. თამარ თურმანიძე. „პატარძეულის ქრონიკებიდან"
„ნატერის ხემდე"

გარეკანის პირველ გვერდზე ჰენრიკ ელიბეკიანის ნახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა





იერუსალიმი. სიონის მთა.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 141

დავითის ფსალმუნი

1. უფალო, გიხმობ –
იჩქარე ჩემსკენ,
უსმინე ჩემს ხმას,
როდესაც გიხმობ.
2. დე, ჩემი ლოცვა მოგეწიოს საკმევლის კვამლად,
ჩემი ვედრება –
შეღამების შესაწირველად.
3. პირთან დამისვი
გუშაგი შენი,
დაიცავ ჩემთა ბაგეთა ბჭენი.
4. ნუ მიდრეკ ჩემს გულს უკეთური სიტყვის სათქმელად,
ნურც საძრახისი საქმეების აღსასრულებლად,
რომ არ შევერთო ბოროტეულებს
და არ შევიტკბო ჭამადი მათი.
5. დამგმოს მართალმა – წყალობაა,
მსჯავრი მომაგოს, –
სამდურავს მისას სამეუფო ზეთად მივითვლი,
რომელიც წმინდა სურნელებით განპოხავს ჩემს თავს,
და ჩემი ლოცვა –
კვლავინდებურად
ბოროტეულთა დასაგმობად აღევლინება.
6. ჩაცვივდებიან უფსკრულებში მსაჯულნი მათნი,
როს მოისმენენ ნაუბარს ჩემსას –
ასე ტკბილსა და
კეთილსასურველს.
7. და ვით ქარისგან აღგვილი მიწა, –
წარიხვეტება ცოდვილთა ძვლები
და ჩაინთქმევა ქვესკნელის ყბაში.
8. აწ თვალი შენდა მომიპყრია, ყოვლისმპყრობელო:
უფალო ჩემო,
გესასოები –
არ ჩამოცალო
სიცოცხლე ჩემი.
9. და დამიცავი სათხეველთაგან, რომელიც მტრებმა დამიგეს ფეხქვეშ
და უსჯულოთა ხაფანგებისგან, –
10. რომ საკრებულო ბოროტეულთა
თვით გაიხლართოს თავისივე ნაქსოვ ბადეში,
მე კი მათ ბუნაგს ჩავუარო მშვიდობიანად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ფსალმუნი 142

მოძღვრება. დავითისაგან - ოდეს მღვიმეში იმყოფებოდა.
ლოცვა.

1. უფალს ჩემი ხმით შევსტირები,
უფალს ჩემი ხმით
შევევედრები.
2. რომ მის წინაშე გადმოვფინო გულისნადები,
ჩემს სატკივარზე
გულმხურვალედ ვულაპარაკო.
3. როს სული ჩემი ეხლება გულ-გვამს, -
შენ ერთმა უწყი, მოწყალეო, სავალი ჩემი;
გზად -
რომელზედაც ვიარებოდი, -
უსჯულოებმა
დამიგეს მახე.
4. გავალ მარჯვნივ და
გადავხედავ არე-მიდამოს:
კაცი არ დამშთა თვისტომთაგან
თანამდგომელი,
აღარც მხსნელი ჩანს მწუხრეულის სანუგეშებლად
და აღარც სულის
მეოხი ვინმე.
5. და ცრემლიანი შევღაღადებ არსთაგამრიგეს:
უფალო, ჩემო ერთადერთო თავშესაფარო,
შენ მოხვალ, როგორც ფარი და შემწე,
როგორც ცოცხალთა ქვეყანაში
წილხვედრი ჩემი.
6. ყური მოაპყარ ღაღადისს ჩემსას: დავუძლურდი და
შევძრწუნდი ფრიად,
რადგან, უფალო,
მეტისმეტად მაღემოძრეობენ.
7. და ჩემი სული გამოიხსნე ბნელი საროდან,
რომ განვადიდო
სახელი შენი,
და მომაშურებს წმინდანთა დასი
შენგნით მოზღული
სასიკეთო საზღაურისთვის.

## ფსალმუნი 143

დავითის საგალობელი

1. უფალო ჩემო,
ყურად იღე ჩემი ღაღადი,
ისმინე ჩემს ხმას შენეული ჭეშმარიტებით
და შენმიერი სიწრფოებით
შემეხმიანე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



2. და ნუ გაკიცხავ მონასა შენსა,
თუ სამსჯავროში,
უფლისმსაჯულო,
ერთიც ვერ ვნახე მოკვდავთაგან შეუცოდველი.
3. რადგან მდევარი
დევნიდა ჩემს სულს,
ჩემი სიცოცხლე მიწაზე დასცა
და გარდასულთა საუფლოში
დამაბინადრა.
4. და სული ჩემი
შეიპყრო მრწოლამ
და გული ჩემი
უნუგეშოდ დანაღვლიანდა.
5. და მე ვიხსენებ გარდასულ დღეებს
და გავიცხადებ ქმედებას შენსას
და შენი ხელის ნამუშაკევს
გავიცნაურებ.
6. შენდა აღვაპყრობ წამებულ ხელებს
და სული ჩემი
ეთველცისმარე
მზით გათანგული ხრიოკივით დაგეწაფება.
7. მომხედე, გესავ,
უფალო ჩემო,
რამეთუ სული მწუხარებამ დამიმაბუნა,
არ დამიბნელო, ნხივმოხილო,
შენი სახება,
თორემ ქვესკნელში ჩაღამებულს დავემსგავსები.
8. მომასმენინე დილდილობით
შენი წყალობა,
რადგან შენზე ვარ მონდობილი ყოვლადამიერ,
გამიცნაურე სავალი ჩემი
და სული ჩემი შეიწყალე,
სულთამპყრობელო!
9. და დამიფარე მტერთაგან ჩემთა –
შენა ხარ ჩემი ერთადერთი თავშესაფარი.
10. შემამლებინე აღსრულება შენი ნებისა,
ღმერთო ჩემო და
მოძღვარო ჩემო, –
და შენი სულის სახიერება
წინ წამიმძღვარე სიწრფოების სამკვიდროებში.
11. და სახელითა შენისაითა
გესავ, მაცოცხლე,
უფალო ჩემო,
გარდამოსახე სიმართლე შენი
და სულსა ჩემსა
მშვიდობა მოეც.
12. დამხსენ ჩემს მდევრებს შენი [illegible] წყალობით
და სული ჩემი
მწყევართაგან გადაარჩინე,
მოუსრე მტერი მონასა შენსა,
უფალო ჩემო, –
ამასლა გევედრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფსალმუნი 144

## დავითის საგალობელი

1. კურთხეულ იყოს ჩემი ბურჯი –
უფალი ჩემი,
ვინც ჩემი ხელი ბრძოლისთვის გაწვრთნა
და თითებს ჩემსას
ასწავლა ომი.
2. მწყალობელო და
მფარველო ჩემო,
ჩემო მცველო და ჩემო მხსნელო,
ჩემო ქომაგო,
ფარო, რომელსაც ვესასოები, –
მორჩილად დასხას
თვისტომი ჩემი.
3. ღმერთო, რა არის ადამის მოდგმა
და კაცთაგანზე
ზრუნვა და
ფიქრი?
4. ოდენ ქარია ადამიანი
და აჩრდილივით განქარდება
დღეები მისი.
5. უფალო, ზეცა ჩამოგრაგნე,
ჩამოქვეითდი,
დადრიკე მთა და
ააკვამლე ციური კვამლით.
6. გადმოისროლე ღრუბლებიდან
ელვის ისრები,
გადმოაგელვე ქიბურები
და შეაძრწუნე მდევარი ჩემი.
7. გადმომიწოდე ზესკნელიდან შენი მარჯვენი,
გამომარიდე წყალსა და
მერეხს
და უსჯულოთა ხელიდან მიხსენ, –
8. რომელთა ბაგე აღმოიტყვის ამაოებას,
რომელთა ხელი
ულმერთობას ემსახურება.
9. ახალ სიმღერას გიგალობ, ღმერთო,
ათძალის ძალით აგიმღერებ
საფსალმუნოებს, –
10. ვინც მეფეებს მოჰმადლე ძლევა
და იხსენ დავით –
მსახური შენი,
ბოროტეულთა სასიკვდილო მახვილისაგან.
11. აწ განმარიდე ორპირობა გადამთიელთა, –
რომელთა ბაგე აღმოიტყვის ამაოებას,
ხოლო მარჯვენი
ულმერთობას ამარჯვებინებს, –

12. რომ ძენი ჩვენი ემსგავსონ ნერგებს,
ზრდილებს თავიანთ ხავერდოვან სიჭაბუკეში,
და ასულები –
მარმარის სვეტებს –
ზეაღმართულებს დარბაზონთა დასამშვენებლად;
13. რომ სავსე იყოს ჭირნახულით ჩვენი ბეღლები,
და ათასობდეს ცხოვარი ჩვენი
და საძოვრებზე მრავლდებოდეს ერთიათასად.
14. დააბიჯებდნენ დაუთრგულად ჩვენი ხარები,
არც მარცვა-გლეჯა გვავიწროებდეს,
არც შეცხადება ამრწუნებდეს
გზებს და მოედნებს.
15. ნეტარ არს ხალხი, ამდაგვარად რომელიც ცხოვრობს:
ნეტარ არს ხალხი, რომელმაც ღმერთად
იწამა მხოლოდ
უფალი ღმერთი.

## ფსალმუნი 145

### დავითის ხოტბა

1. კვლავ აგამაღლებ, ჩემო ღმერთო,
ჩემო მეუფევ,
რომ სახელს შენსას
შევასხა ქება
და განვადიდო უკუნითი უკუნისამდე.
2. ყოველდღამიერ გაკურთხებ შენ და
ვაქებ შენს სახელს საუკუნო ქება-დიდებით.
3. დიდებული ხარ,
განდიდებული
და სიდიადე-მიუწვდომელი.
4. შენს დიად საქმეს თაობები განადიდებენ,
შენს დიდებაზე ილაღადებენ.
5. მე შენს სიწმინდეს,
თვალშეუდგამ სიმშვენიერეს,
შენს ძლევამოსილ სასწაულებს
გავახმიანებ.
6. ხოგნი გიქებენ შიშისმომგვრელ ძალმოსილებას,
მე კი შენს დიად საქმეებზე ვილაპარაკებ.
7. შენს საარაკო გულქველობას გაიხსენებენ,
შენი სიმართლით
გაიხარებენ.
8. შემბრალეა და ლმობიერი ჩვენი უფალი,
სულგრძელია და
მრავალმოწყალე.
9. დიდ არს უფალი ყოველთა მიმართ
და უფლის ყოველ ნამოქმედარზე
გადმოვალს მისი უნაპირო კეთილწყალობა.
10. და შენზე შენი საქმეები ილაღადებენ,
უფალო,
შენი წმინდანები განგადიდებენ.

11. იტყვიან შენი მეუფების დიდებულებას –
შენს სიძლიერეს
განაცხადებენ;
12. რომ კაცთა მოდგმამ დაინახოს შენი სიქველე, –
შენი მეფობის სიდიადე
გაიცნაუროს.
13. და საუკუნოდ ბატონობდეს შენი სუფევა
და მეუფება –
უკუნითი უკუნისამდე; –
14. ვინც დაცემულებს
წამოაყენებ,
წელმოდრეკილებს
გამართავ წელში.
15. შემოგყურებენ სასომიხდილნი
და ყველას
დროზე მიაგებ საზრდოს.
16. ხელს აღაპყრობ და,
ხელთაღმპყრობელო,
ყოველ სულიერს ნებისაებრ დაამაძღრისებ.
17. უფლის ყველა გზა ჭეშმარიტია,
ყველა ქმედება –
კეთილსარწმუნო.
18. ახლოა იგი
თვითეული მლოცველისათვის, –
ვინც მოიძიებს
ჭეშმარიტებით;
19. რომ შეისმინოს მოსავთა ლოცვა
და აღასრულოს
ვედრება მათი.
20. უფალი იხსნის მართალთა მოდგმას
და აღიმრება
უკეთურთა შესამუსრავად.
21. ბაგე კვლავ გეტყვის, საქებარო, ქება-დიდებას
და უკუნითი უკუნისამდე
შენს წმინდა სახელს განადიდებს
ყველა სულდგმული.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გივი ბერაია



## რკალიდან „ნოსტალგიური“

●

და ერთ დღეს ისევ - ხუთი წლის შემდეგ! -
არქეოლოგის ყნოსვით და გეშით
ალმოვაჩინე სოხუმი ჩემში
და დაქანცული წამით რომ შევდექ,
გაცოცხლდა უცებ და გახალისდა,
მზისკენ დაიძრა ქუჩა თუ სახლი...
...და ცხუმს ღვთის თვალი დასცქერის მაღლით
და... ლოცვით კავშირს ვაბამ ხვალესთან!

●

დრომ წაიყოლა ყველაფერი, რაც დუღდა მაშინ,
მე გულს ვიბრუნებ იმ დღეების ღველფით და ავლით:
ვეწვევი ბაგრატს ოცნებაში... თხუბუნის ავლით...
დაბლა ზღვა სივრცეს მზის ალისფერ მკლავებზე გაშლის.

●

ვის გაანდობ ტკივილებს? საკუთარ თავს მარტოდენ!
სხვა ცხოვრებას დავიწყებ დღეს - პირველი მარტიდან,
რომ... კვლავ შენ ერთს გეტრფოდე, გელტვოდე და გნატრობდე
და ურთულეს ჩემს გრძნობებს შენ მართავდე... მარტივად!

●

სხვა ეზოს იდუმალება, უცხო ფანჯრების ხიბლი
და მინებს იქით მბორგავი*ვნება უცნობი გულის -
თანა მდევს მთელი სიცოცხლე: სისხლს ქრუანტელად უვლის
ღვთიური ცნობისწადილი - გაურკვევლობის ლიბრით...

●

წვიმის ტკაცანი აივანს ართობს:
აუხდა ცასთან ფლირტის წადილი!
რათმაც არყოფნას არღვევს: ამ დილით
რატომ მასიზმრებს ბაგები ათონს?

●

დახვეწილი გრაციით ქუჩის ბოლოს გაჩნდი,
დაღლილი მოლოდინი შეირხა და... გაშეშდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰქონდა რაღაც საერთო თავბრუხვევას ჰაშიშთან:
„დაინახავს თუ არა მკლავებს, მისთვის გაშლილის?“

●

ჩემს ასაკს ამოეფარა - მკოცნის, მკოცნის და მკოცნის,
ცახცახით აუდ-ჩაუდის ორი თაკარა ბორცვი...
- Sos! - ზღვით თუ ესმა? - შეჩქვიფდა, ფრთხიალებს,
როგორც სკვინჩა;
მე თმის ტალღებში ვუცურებ ხელებს - ორ სანდო ნიჩაბს.

●

სულზე დამაწვა სოფელი მთელი სიმძიმე-ჭუჭყით,
რად მინდა მფრთხალი სიკეთე, მოწუწუნე და ფუჭი! -
ეჰ, უტიფრობა კვლავ ზეობს, არ ცხრება მისი ქოქი...
ფიქრში თუ... ცხადში?! - საშველად ქალწულს ვჭვრეტ -
მხარზე დოქით.

●

ზამთრის ნაწყვეტი - თოვლი დევს მთაზე,
აქ კი დილიდან წვიმდა და წვიმდა.
რაღაც ღვთიურად ნაზი და წმინდა
ჩემს სისხლში გამჯდარ მოწყენას ავსებს.
ჩვეულებრივად მიდის ყოველი -
დევიზით: ჟამი ცვალებადია!
ზეცა სხივების ოქროს ბადეა
შიგ მოფართქალე მამლის ყივილით.

●

ვინ გაპატიებს სიყვარულის დაკონსერვებას?!
სექსის ვარდები, გასრესილი, ქუჩებში ყრია,
ვერ შეაჩერებს შენი ნება სამყაროს ყიალს -
რბის საუკუნე ზეთავხედი, რკინისნერვება...

●

წამი, გულში რო ტანჯვად გაივლის,
მარად შიგ რჩება, როგორც მახვილი...
ზეცის, განხმულის, ერთხელ მნახველი
მიწის სიმძიმეს სულ გრძნობს, ნაილი!
ჩემთვის ტკივილად კვლავ ცხუმი ჩნდება,
სადაც... დაუბამს ზღვა პალმის პალოს
და ზედ სხივების ბაგირი გალობს
და აჭრიალებს ტალღების ვნებას...

●

შევცვალე ჭვრეტის წერტილი და დღეს სხვაგვარად გხედავ:
ირონიული ვარჩიე ღიმილს ლამუნა-ნეტარს,
მეგონა - ჩამოვიცილე სიმძიმე დიდი სევდის,
წამსვე - შიგ, გულში ჩამექცა ცრემლის ათასი წვეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


●

დაკიდულ ხიდთან ამიფრინდა ბოლოქანქარა,
ქარდაქარ - ცერად იფარფატა, ცას შეერია
ვერეს გადაღმა... ცა კი ისე მშვენიერია,
უმური, ღამეს რო გამოჰყვა, ყველა გამქრალა.
და დედის ტკბილ ხმას ხსოვნა ხანჯლად გულზე მაღირებს:
„ჩვამა დო ძერა, წყარიწყვიტელა, მასაქელა დო
ჭიჭე ბაღირე...“*

●

დასკუპდება გზაზე სკვინჩა, გულს მითბობს და...
კენკავს ასფალტს,
შეკრთება და აფრინდება, - შეირხევა ძაფი ასფა:
ფრთებით ასწევს სხივთა ბადეს
და ბადეში ლაქვარდს არწევს,
და ნისკარტზე გამოიბამს და მზეს მჩუქნის -
ოქროს არწივს...

●

ანცობს კაბა ჩაჭრილი - ანთებს, აქრობს მუხლებს,
უმანკო სითამამე სიყვარულით მავსებს,
მაგრამ... მთვარე ჰკიდია დილის ცაზე - ნავსი:
შენ - ხელმარხნივ იჩქარე, მე - ხელმარჯვნივ ვუხვევ...

●

სხვაც ჩაეშვება შენს მუხლებში, სხვას აეკრები,
სხვას აირეკლავს ამღვრევის წინ შენი თვალები:
ღამის გადასვლას ვერ შენიშნავთ ვნებით მთვრალები
და იწკმუტუნებთ ბაც ნათელშიც, როგორც ლეკვები...

●

სულ კარგი უნდა აკეთო კაცმა,
რომ მოუმზადო თავს მძიმე ჯვარცმა,
ტანჯვა-კვნესაში გაწურო ხორცი,
რომ ცამ მიიღოს საფლავის ბორცვი!

●

ყველა შეხება უფრო ხალვათი
და უფრო ლაღი იყო სოფელში -
თან რო გამომყვა... ახლა მომეშვით,
ახლა გამაძრეთ ეს ქვის ხალათი
და დამიბრუნეთ ჩემი ბავშვობის
სივრცე, ცის კართან მიდგმული კიბით:
უნდა შევერთო ვარსკვლავთა ბიბინს
და... გავიქილინთო ყოფნის მაჟორით!

- - - - - -

* *„ჩვამა და ძერა, წყალიყვინთია, ბოლოქანქარა და პაწა ბეღურა“ (მეგრ. ხალხური სიმღერა)*

ეროვნული
ბიბლიოთეკა



●

სიყვარული - სიყვარულს არასოდეს ეფარება:
ისე გამჭვირვალეა მისი სხივთა სამოსი,
ერთი-ერთზე რო დააწყო გრძნობა თუნდაც სამასი,
ბოლო - პირველს აირეკლავს: ყველა ჩემს გულს ეფერება!

●

გოგი წერეთელს

ქალებს - ლექსივით ქალებს,
გულთა სიმდიდრეს ნამდვილს,
შვენით ცისფერი დარდი,
მწველს არიგებენ ალერსს.
და ამოდ გვტკივა ნეკნი! -
მშობლიურობის გრძნობა
სხვა ქინით მუხტავს მყოფადს,
როცა... მათ ნეკნებს ვეკვრით.

●

„მე ვარ პირველი ქურდიო"! - კაფიობს მთხზველი ერთი, -
მზებნელი საუკუნეა!.. ჩვენ კი ვეფერეთ ხერთვისს,
ახლა ხევს დაღმა მივყვებით, სული გარდასულს ერთვის...
ცაზე გაბმული „სუ"-ს ლარი თრთის -
ლურჯზე მკვეთრი თეთრი...

●

ამ გზაზე - ყოფის ბაზარზე - ბევრი მიდის და მოდის,
სულით და ხორცით სხვადასხვა - მეტრფე ნაირი მოდის;
მეათე დღეა, გავცქერი მინის ნისლიდან ქუჩას,
შენს მოძრაობას ვერ ვიჭერ, ვზი დამაშვრალი ფუჭად!

●

სამხედრო ექიმ კოტე ხურციძეს

უეცრად ჩრნჩხი ვიპოვეთ, -
ტეჯენში* სანგარს ვთხრიდით;
თქვენ ისე დინჯი იყავით და ღირსეულად მშვიდი,
რომ მე ეს უფრო მაბნევდა,
ვიდრე ის - ძვლები ქალის,
ოდესღაც ხორცით მოსილი, ვიღაცის გულის ალი,
ათასი ფიქრის ამშლელი...
უცხოდ აკვნესდა ქვიშა,
თუ... სხვათა ღმერთი გვაძლევდა რაღაც იდუმალ ნიშანს?!
. . .
რა დრო გასულა! - წლებს იქით
ავად ყამყამებს ღამე,
იმ დღეს რო მოჰყვა: ეს იყო ხვატში, აგვისტოს ცამეტს.

- - - -

* *ტეჯენი - ქალაქია თურქმენეთში, სადაც, ადრე, საბჭოთა არმია სასწავლო წვრთნებს ატარებდა ხოლმე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



●

ყველაფერი - ერთია?
ყოველივე - სულერთი?
ცისქვეშეთი - სულეთი
ერთმანეთს არ ერთვიან?
კაცნი, თავად დაშლილნი,
ქსაქსავენ და რიყავენ
რწმენას, იმედს, სიყვარულს -
დაცემასთან კავშირით.

●

წვრილმან ვნებათა მსახური - ყველა თავისთვის ზრუნავს,
მორჩილებს ნებას უმაღლესს - ეს მიწა მაინც ბრუნავს;
გრძნობს ჭეშმარიტი მოსავი - ღვთისას წარბების შეკვრას:
სულაც არ არის სულერთი მისთვის - რაც ხდება ქვეყნად!

●

მოთქვამს მეგრულად თბილისში ქალი,
ზედ არ უყურებს არავინ საწყალს!
უძირო სევდა მისი ვინ აწყას
და გულში ბორგვა გეენის ალის!
სკუა! სკუაო! - ამოსკვნით კვნესის
და შავებიდან ცხვირიდა უჩანს.
მოხერხებულად გვერდს უქცევს ქუჩა:
ქუჩა ვერ ხედავს! ქუჩას არ ესმის!

●

რა არის ბედნიერება, ქვეყნად არავინ იცის,
მეოცნებეც კი ვერ წვდება მის ეფემერულ ციმციმს,
ხოლო სხვა, - ისეც ბლაგვია სურვილი სულით ბეცის, -
მით უფრო!.. ხარობს კიდევაც: ერთფეროვნებას ვერ ცვლის.

●

ქანტი ამინდი, ნაწვიმარ გზებზე კვლავ და კვლავ ქინქლავს.
ენგურის ტოტზე - ბოგირი... ფონზე - ნიკორა ნიშას
დაეტოქა და... ურემი გააჭრიალეს გაღმა...
აქ რომ ცას ხევდა ჭადარი, თურმე შარშანწინ გახმა.

●

ოცდამეერთის სუნთქვა მესმის - უცხო და ცხელი.
და ზღაპრულ ფასკუნჯს, ვატყობ, ჩემი ხორცი მოშივდა,
სისხლმა იფეთქა - მე ქუსლს ვიჭრი - ოქროს ქოშიდან,
აჰა, ჭის ყელიც!.. ხმობს, - ფიცხელი მიმელის ცხენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



●

ვერას გახდა იუმორი, გულს რომ მუდამ შველოდა,
კვლავ ოცნების შევეხიზნე არარსებულ შენობას, -
ცხრა კოშკად რომ აღმართულა:
ცხრა კარით და ცხრა კიბით,
ცხრავე კოშკის სარკმელს ანთებს შენი ხატი ნატიფი.

●

და სიყვარული მოვიდა, მაგრამ მოვიდა გვიან, -
როცა შიშველი ვნებები ძველ - ნატიფ გრძნობებს... გვიან!
ვერ მოვასწარი გადართვა სულის მაგ „ახალ არხზე".
...ბატონს რო ერთი გოგო ჰყავს, წამო, მოვტაცოთ, არსენ!

●

გაუხარჯავი ეს გული მტკივა, მტკივა და მტკივა,
გაღმა, ფერდობზე მეგულვის სხივთა გორგლები - თივა.
...შვინის სურნელი მაბრუებს და ზედ გაშლილი თმები.
ვზივარ, ვაბოლებ „მარლბოროს". ვგრძნობ უცხო მზერას...
კეფით.

●

შენი დაშლა სურთ /დაშლილი ხარ ისედაც უკვე/ -
არ გინდობს მტერი - არც გარეშე, არც შინაური! -
და სანამ შენს ბედს საბოლოოდ აურ-დაურევს,
უნდა ჩამოეკრათ საგანგაშო ზარებს და ბუკებს.

სიმართლის სხივი გავატაროთ გულიდან გულში,
ვილოცოთ ერთად და მივენდოთ ღვთიურ განწმენდას
და როცა მთავარ ჩვენს სატკივარს ყველა ჩასწვდება, -
მყობადს მეოხად შემოექცეს, რაც ვცოდეთ გუშინ!



ნახატი აშოტ ოვანესიანისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სილოვან ნარიმანიძე



## დღეებო სიხარულისა!..

ჰოიდა, როგორ მენატრებით, დღეებო სიხარულისა!..

წავალ გაგშორდები!
                    ისე კი არა, რომ გული გატკინო,
წავალ უხმოდ, - მჩუმარი წავალ!..

დავუბრუნდები იმ სამყაროს, მე რომ მიყვარდა,
ძველ მეგობრებთან - დიდბუნებოვან ხეებთან წავალ!
წავალ, სადაც ხმა არ შემაკრთობს ტკივილის მჩენი,
ჩვენი მზიური მდელოების სამზერად წავალ!

მე მხოლოდ მათი სიანკარე თუ გადამარჩენს: -

გამახსენებენ ცრემლიან წარსულს,
როცა ჩემს გულის დარდებს ვანდობდი,
და დიდხანს, დიდხანს დავრჩები მათთან.

კვლავ მივეყრდნობი წლებით ნაჯაფარ
                    მათ დაკუნთულ ბუმბერაზ სხეულს,
მინდა, მათსავით მეც შევიძლო და ავიტანო,
                    მარტოობის სასტიკი ხვედრი...

მათმა შრიალმა დრო გამახსენოს,
            როცა ჭაბუკი ვიყავი და
                    ძლიერ მიყვარდა:
მიყვარდა მძაფრად
                    და ერთხელ მხოლოდ!..

ისევ მომინდა ჩემს უენო მზირლებთან ყოფნა, -
ვისაც ჩემს გულს და ჩემი სულის წუხილს ვანდობდი!..

წავალ, გაგშორდები!..
                    ისე, რომ გული არ გატკინო!
წავალ უხმოდ, მჩუმარი წავალ!

ასეც ხომ ხშირად შორდებიან: -
ჩვენს უნებურად, განგების ნებით,
თვითონ ცხოვრება გაგვერიყავს ხოლმე...

შენ არ გეკუთვნის საყვედური,
            არც გსაყვედურობ,

მხოლოდ მადლობას გეუბნები იმ დღეებისთვის,
როცა ცხოვრების ბილიკებზე თანაზიარად
სიხარულსა და მწუხარებას ერთად ვიყოფდით...

ჰოიდა, როგორ მენატრებით, დღეებო სიხარულისა!..

## თაყვანისცემით ვუძღვნიდე სალამს...

საუკუნეთა ძახილი მძალავს, -
თაყვანისცემით ვუძღვნიდე სალამს, -
სიმღერას მეგრულს „ჩელას“ და „ნანას“,
უამეს ალერსს, - სულისთქმას ხალასს.
და თუკი ვინმე გაკილავს მცდარად,
მას მივანიშნებ, რომ რეკავს ზარად:
ილია იმას იტყოდა?..
- არა!!!

სად რუსთაველმა შაირი ბრძანა,
თავს კვლავ იწონებს წერწეტი ჭალა.
სად ლეონიძე ახსენებს ყანას,
გუთანი იქ კვლავ ყამირებს კვალავს.
სალამი ქართულს: - სვანურ ხმას თამამს,
სინაზეს მეგრულს, ოცნებას ფრთამალს!
ეს გაუმარჯოს ჩვენს გაშლილ ალამს,
უძლეველ ფარს და ჰიმნს შეუბღალავს!

ვაჟას ვიხსენებ: შემოქმედს მაღალს,
უფრო ძვირფასი ჩვენთვის რომ არ არს,
რაც რომ აძლევდა მის სიტყვას ძალას,
ის დაუწუნეს სწორედ მის კალამს...
რ  ვერ მოარგებს გულისთქმას წამალს, -
გალაკტიონი წუხილს ვერ ფარავს...

გაუთავებელ ბრძოლის ქარცეცხლში,
ქართული სიტყვა, ნაწრთობი ხმალად, -
სიმღერას მეგრულს „ჩელას“ და „ნანას“
უამეს ალერსს, - სიყვარულს ხალასს,
საუკუნეთა ძახილი მძალავს,
თაყვანისცემით ვუძღვნიდე სალამს.

## როცა ისინი გვატყუებენ...

ყველაფერი ზევიდან იწყება:
როცა ისინი გვატყუებენ,
ჩვენც, ქვევით, მატყუარები ვხდებით!
ისევე ვერ ენდობი მათ ნათქვამს,
როგორც ჩვენი ელექტროქსელის მუშაკთა დაპირებებს.

ახლა სხვამაც სცადოს ბედი,
იქნება მათ უფრო დააწყნარონ ხალხი:
ხალხი, რომელსაც მოთმინების ფიალა აევსო.
ხალხი, რომელიც ვეღარ უძლებს ათასგვარ
უბედურებას:
წყალდიდობებს, სიცივეს, მშობლიური კუთხიდან დევნას და, რაც მთავარია,
ცარიელ დაპირებებს...
მათი ცხოვრებისეული განზომილებები ალალბედზეა გათვლილი
და როგორც მცირე ნაკადული,
ქვიშის უდაბნოში უჩინარდება.

ვინ რა აღარ იღონა, რომ თავი გადაერჩინა;
ბევრი გაექცა სინამდვილეს და
უცხო მხარეში გადაიხვეწა.
შენც გინდა, გაექცე ამ სამყაროს,
სადაც კაცუნა ბელადები, ყანწით ხელში,
ბარიერთან იწვევენ ერთმანეთს.
ხალხს კი ათასი უბედურება ხუთავს...

როცა ამდენ საშინელებას ისმენ,
გული სიბრალულით გევსება,
რადგან უძლური ხარ, ვინმეს რაიმე უშველო...
ქვეყანა იავარქმნილია და
არავინაა მომსმენი და განმკითხველი...

## ვინც ბევრს ლაპარაკობს...

ვინც ბევრს ლაპარაკობს, რატომ გავითიშეთო,
სწორედ იმან გათიშა სამშობლო
კუთხეებად, კლანებად, მაფიოზებად!

იმას აშინებს განაჩენი,
რასაც მასზე ისტორია დაწერს...

ერთიანობა ზოგ-ზოგებს ისა ჰგონიათ,
მათ სისულელეებს რომ აჰყვეს კაცი.
და ყველას ეშინია ასეთი კაცის!

ძალიან მიკვირს, რატომ დავლაჩრდით,
ხმა რომ ვერ ამოგვიღია
და სიმართლე ვერ გვითქვამს.
რატომ გვაშინებენ
გამოუძიებელი მკვლელობებით?!

სწორედ ამღვრეულ წყალში მეთევზეებს,
არ აწყობთ ერთიანობა.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერს კი ნამდვილად გამთლიანება უშველის!..

მთავარი ის არის, რომ
ყველას უნდა პყრობა ხელისუფლებისა,
თუმცა ფსიქოლოგები არაა საჭირო,
რომ ამოვიცნოთ მათში მატრაბაზი.

ხელისუფალიც კი, რომელსაც ანთებული გული დააქვს,
დიდ წამებაშია, როცა ამნაირი მენიჩბეები
უსხედან ნავში.
მან იქნებ არც იცის.
დიდი ღელვისას უმალ მიატოვებენ, -
როგორც ეს არაერთხელ მომხდარა...

## სოფელში

აღარსად ისმის სიმღერა,
მხოლოდ სიჩუმე მღურვის,
სოფელო, დაგიძინია,
დაღლილს კოფოზე ურმის...
შენი სიმღერა სულ იყო,
მუდამ სევდის და ურვის...

ლომა ბიჭები სალხინოდ,
აღარსად ჩანხართ შარაზე,
ბედის საძებრად წასულხართ, -
ჭიშკრები ყველამ ჩარაზეთ.

ის, რაც თქვენ გიყვეს, მერწმუნეთ,
მტერი ვერ იზამს უარესს
სამშობლოისგან ლევნილნო,
მსოფლიოს შემოუარეთ...

გახსნილა ყველა ჭრილობა,
ბედის უკუღმა ტრიალით...
აღარც ის საქართველოა,
აღარც კაცი ჩანს ხმლიანი...

ისევ შენ, ჩემო ართანავ,
შილდავ, აუბი მხარია,
დასჭექეთ ძლევის სიმღერა,
მთებმა რომ მოგცეთ ბანია...

ისევ შენ, ჩემო არაგვო,
ნატანებო და ვალეო,
იქნებ სიმღერამ გვიშველოს,
დარდი გაფანტოს მწარეო...

## ზამთრის ელეგია

ეს ყვავილები, ვის მოაქვს ჩემთან
(ბინდისფერი დღე ავობს ისევე!),
მოღიმარენი ჩუმ სარეცელთან,
ათას საყვედურს შემომისევენ...
გამახსენებენ ჩაძირულ დღეებს, -
ახალგაზრდობის ძვირფას თარილებს,
გარეთ კი ქარი ატირებს ხეებს
და შემოდგომის სევდას არიგებს...
როგორც იმ წელთა ხსოვნის სიმბოლო,
ჟამი მბოჭავს და მუხლებს ამძიმებს,
რომ ის წარსულიც გამოვიგლოვო,
რაც ხსოვნად შერჩა ჩემს სიყმაწვილეს...



ნახატი ლავინია ბაბუჯიძე-მელიქიშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ციალა არდაშელია

## შემოდგომის რტო

ვუძღვნი აფხაზეთში დაღუპულ
ეთერ სამხარაძე-ჯღამაძეს.

მტრედი გაფრენილიყო. პურის ნამცეცები ისევ ისე ეყარა გისოსებიანი ფანჯრის გარეთა რაფაზე. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ფრინველი იქაურობას შემოეჩვია, დღეს პირველად დატოვა საკენკი ხელუხლებლად.

მცირე ხანს იჯდა შეურხევლად. გატრუნული. ძველებურად არ უგოგმანია, არ უღუღუნია. მერე... უცებ ფრთები შეაფართქუნა და... გაუჩინარდა.

უცნაურია. თუმცა... რა უნდა იყოს უცნაური და გაუგონარი ამ ცისქვეშეთში?..

ჩაეღიმა. ცხაურს გაშორდა. და მაინც... რატომ გაფრინდა მტრედი ასე მალე? ნეტავ რა მოელანდა?

მაგიდასთან მივიდა. სიმას შემოტანილ სადილს გულგრილად შეავლო თვალი. ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო... და გაირინდა.

ფიქრები კვლავ აიშალნენ. აიწეწნენ. ტანში ჩვეული მოუსვენრობა შეუდგა. ნაჭრილობევმაც შეახსენა თავი. მაგრამ ფიზიკურზე უფრო გაუსაძლისი იყო სულიერი იარები.

დაძაბული შინაგანი მზერა ერთსა და იმავე სურათისთვის მიეშტერებინა. კივილამდე მძაფრი იყო ტკივილის შეგრძნება... და უცებ: გონების დაფაზე ხელმეორედ ცხადად გამოიკვეთა ის თითქოს მივიწყებული, ოდინდელი ეპიზოდი ბოშა ქალთან შეხვედრისა...

სანაპიროზე მიმავალს მიმოზის ტოტი ეჭირა ხელში და, გაზაფხულით და ყვავილის სურნელით თავბრუდახვეული, წყნარი ღიმილით ლაღად მიირწეოდა ტანაშოლტილი, ლამაზი, მოხდენილი. საკუთარი სხეულის სრულყოფილების და სულის სისავსის შეგრძნება ერთმანეთს შერწყმოდა და ოცნებათა და ზმანებათა ზღვარდაუდებ, უხილავ და შორეულ სივრცეებში მიაქროლებდა.

ბოშა ქალი?



უნებურად შეკრთა. სადღაც არ ესიამოვნა და იუცხოვა კიდეც ბუნდოვანი, მაგრამ საოცნებო ხილვებიდან, ასე მოულოდნელად რომ გამოიყვანეს...

თავაზიანი ღიმილით შეეცადა, ჩამოეშორებინა მარჩიელი და გზა განეგრძო, მაგრამ ბოშა ქალი არ ეშვებოდა: – ლამაზო, უნდა გიმკითხავოო! – ფართო ღიმილით, დაჟინებით, როგორც ბოშებს სჩვევიათ ხოლმე, გვერდით მოსდევდა.

ჯანდაბასო, გაიელო გუნებაში, თან ცნობისწადილმაც სძლია და...

დაჰყვა ბოშა ქალის ნებას.

სკვერში, მერხზე დასხდნენ. მიმოზის ტოტს ხშირ-ხშირად ყნოსავდა და მომლოდინე ღიმილით შესცქეროდა ქალს. შავგვრემანი, ლამაზი ქალი იყო ბოშა. ისიც ახალგაზრდა, თითქმის ტოლები ეთქმოდათ. რაღაც უხილავი ურთიერთსიმპათიის ძაფები გაიბა უცებ ამ ორი რასის, სხვადასხვანაირად ლამაზ ორ ქალს შორის, გარეგნობით თავისი ჯიშის და ჯილაგის საუკეთესო წარმომადგენლები რომ ჩანდნენ ერთი შეხედვითაც კი.

– ლამაზო! მომეცი ხელი... ო, ო, შენ ბედნიერი ქალი ხარ... ბედნიერი ოჯახი გაქვს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



შენ სიყვარულით გათხოვდი... ქმარსაც უყვარხარ, მაგრამ... ცოტა მძიმე ხასიათის კაცია; ხომ მართალია? ერთი შვილი გყავს, ბიჭი... კიდევ შეგეძინება ორი - ქალ-ვაჟი... შენ ბავშვობიდან ყველა ჯეირანს გეძახოდა, ხომ მართალია?.. საიდან ვიცი ასე კარგად ქართული?.. ხაშურში ვცხოვრობდით დიდხანს... იქ დავიბადე... ქართველები მიყვარს. კარგი ხალხია... გულკეთილი... შენც კეთილი ხარ, ძალიან კეთილი... შენ ყველა გიყვარს... მაგრამ ოჰ, ლამაზო, რამდენი გულისტკენა გაქვს! შენ ბოღმა არა გაქვს გულში... შენ არავის ცუდი არ გინდა... არავის წყენა... ახ, ლამაზო... ეს მიმოზა გიჭირავს ახლა ხელში... ზღვას უყურებ... ცას უყურებ... გიხარია... შენ ძალიან ბედნიერი ხარ... ძალიან! მაგრამ...

ექსტაზში შესული ბოშა ქალი შეჩერდა. კვლავ დაჟინებით დააცქერდა ხელის გულს, უცებ თავისი ხელის მტევანი გადაუსვა, მერე ელვისებური მზერა სტყორცნა ქალს, თანდათანობით ნირი რომ ეცვლებოდა: - ოი, რა დიდი უსიამოვნება გელოდება... არა. დღეს არა. არც ხვალ. დიდი ხნის მერე... წლების შემდეგ... ო, ო რა საშინელი ბოლო აქვს შენს მეუღლეს... ახ, მაია ბედნიაქკა, მოი ანგელ. ნუთუ... ნუთუ შენც, შენც... არა! - ბოშა ქალმა მკვეთრი მოძრაობით ქალის მტევანს ხელი უშვა, ზეაიჭრა: - ყურს ნუ დამიგდებ... დაივიწყე დღევანდელი დღე!.. დაივიწყე ციგნის ქალი!.. არ მინდა შენი ფული, არაფერი არ მინდა! მე წავედი! მშვიდობით, ჩემო ლამაზო!... ღმერთმა სიკეთე მოგცეს... ჯანმრთელობა მოგცეს!...

სამუდამოდ მივიწყებული რომ ეგონა, თურმე ცოცხლობდა ის სურათი, ბოშა ქალი... მისი სიტყვები...

როცა მეუღლე-დამალვა რომ არ ისურვა და უშიშრად შეეგება მომხდურებს-საკუთარი სახლის ჭიშკართან დახვრიტეს, როცა სიმას და დაურს სახლში დამწყვდეული ჰყავდათ, გარეთ რომ არ გაჭრილიყო, უცებ გულის უშორესი კუნჭულიდან უნებლიეთ ამოტივტივდა თითქოს მიჩუმათებულ-მინავლებული სიტყვები: - ოი, რა საშინელი ბოლო ექნება შენს მეუღლეს - და წამიერად ბოშა ქალის სახემ გაიელვა მის თვალწინ, მხოლოდ წამიერად და... მყისვე გონება დაკარგა.

- საჭმლისთვის ისევ არ დაგიკარებია პირი, მზია! - სიმა შემოსულიყო უჩუმრად და საყვედურიანი მზერით უყურებდა.

შეტოკდა. მერე დაბნეულმა სცადა შეუმჩნევლად ცრემლის შემშრალება:

- როგორ არა... ვჭამე... მეტი არ მინდა... მეტი არ შემიძლია, საყვარელო!

- შენ მორწმუნე ქალი ხარ და... თავს იკლავ... ასე არ შეიძლება მზია!

- ნუ გეწყინება, საყვარელო... მე ისედაც ნახევრად მკვდარი ვარ... ყველაფერს აჯობებდა, ჩემს მირიანთან ერთად მეც მოვეკალით... თქვენ კი... ტყუილუბრალოდ საფრთხეში იგდებთ თავს... ეს მტანჯავს... მოსვენებას არ მაძლევს...

- ნუ ლაპარაკობ მასე!.. ჩვენ არაფერი მოგვივა... ჩვენზე ნუ დარდობ!.. შენ კი... მზია, ძვირფასო, შვილები გყავს, შვილიშვილი... შენ მათ სჭირდები. ხომ გინდა ნახო შენი პირველი შვილიშვილი, შენი პატარა მზიაკო?.. სულ ასე ხომ არ იქნება?.. დაწყნარდება აქაურობა და... შენც ჩახვალ ზუგდიდში... თბილისშიც... ნახავ ყველას... საფლავსაც ხომ პატრონობა უნდა?

- დიდი მადლობა, საყვარელო, ყველაფრისთვის... დიდი მადლობა... ჩვენები თუ ვერა, ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს შენ და დაურს, შენს ოჯახს... შენს შვილებს. მაგრამ... არ მინდა, უსიამოვნება შეგხვდეთ... აქაურობის დაწყნარებას ჯერ პირი არ უჩანს... ჯერ არ გამძღარან სისხლით... საფლავები ჯერ არ ამოვსებულა...

- მზია!.. წინასწარ არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ... დაურმა უკვე მოძებნა სანდო ხალხი... კიდევ ცოტა ხანი... და სამშვიდობოს გაგიყვანენ... - გულაჩუყებული სიმა უცებ გადაეხვია და კოცნა დაუწყო. მზიასაც გული ამოუჯდა და თავადაც ჩაეხუტა ქალს.

მერე ისხდნენ გვერდიგვერდ თითქოს გულმოოხებულნი, ნაწვალები ღიმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს და ხმას არ იღებდნენ, თითქოს სიჩუმის ანგელოზმა ჩამოიარაო.

მოულოდნელად სარდაფის კარი ხმაურით შემოაღო სახარეულმა მამაკაცმა:

- სიმა!.. მზია!.. მოვიდნენ!

და სანამ თავზარდაცემული ქალები გონს მოეგებოდნენ, სარდაფში ბრაგუნ-ბრაგუნით, ლანძღვა-გინებით ავტომატმომარჯვებული „ბოევიკები“ შემოცვივდნენ.

- Где грузинская поэтесса? - თვალების ბრიალით დაიღრიალა ერთმა და სიმას მიაშვირა ხელი: - Это ты?. - მზია „ბოევიკებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



წინ გადაუდგა:

- Нет, не она, Это - Я!

- Ах, вот, значит это ты - поэтесса?.. вот оказывается, где прячется эта сука!.. видишь ли, жить захотела эта старая стерва. мать твою...

ორივე მხრიდან ხელი ჩაავლეს და ჯიკაეჯიკავით წინ გაიგდეს, თუმცა მზია წინააღმდეგობას არ უწევდა მათ.

კიბეზე თავი ვერ შეიმაგრა და საფეხურებზე ჩაიკეცა. ერთმა „ბოევიკმა" ავტომატის კონდახი ჩასცხო ზურგში: - Не прикидывайся, сука!.. мать твою... - ქალმა ყრუდ დაიგმინა. მერე კბილი კბილს დააჭირა და ნელა წამოიმართა.

- Да,что-же вы, ребята! она ведь тяжело больная!

სიმამ, უკან რომ დასდევნებოდა „ბოევიკებს", მზიასკენ გაიწია მისაშველებლად, თან აფსუურ ენაზე რაღაცას უხსნიდა მათ. ქმარმა ჩუმად სახელოზე დაქაჩა, მაგრამ სიმას უკან არ მოუხედავს.

- Да, ты, отстань, женщина!.. с вами еще поговорим... Предательница!

„ბოევიკები" ღრენა-ღრენით, თითქმის ხელით მიათრევდნენ ძალღონე გამოლეულ ქალს.

მიკროავტობუსში რომ აგდებდნენ, სიმამ სასოწარკვეთილი ხმით დაუძახა:

- Мзия - прости!

ქალმა „ბოევიკების" მხრებს ზემოთ გამოხედა, გაღიმება სცადა, თვალებით კი უთხრა, ყველაფერი მესმისო.

...ავტობუსი კაი ხნის წასული იყო, მაგრამ სიმა მაინც გაქვავებულივით იდგა ერთ ადგილზე და ვერც მოშორებით შეჩერებულ, მხრებჩამოყრილ ქმარს ამჩნევდა და არც მისი სიტყვები ესმოდა.

მეზობლის ჭიშკართან ატუზულ ქალს მხოლოდ მაშინ მოჰკრა თვალი, როცა ქმარმა ეზოში შეყვანა დაუპირა.

ქალების მზერა წამიერად ერთმანეთს შეაწყდა. გონებაში რაღაც დაიკლაკნა ელვასავით. გული შეუქანდა, შემდეგ წყნარი, ნელი ნაბიჯით დაიძრა სიმა მეზობლისკენ.

დაუახლოვდა თუ არა, ერთბაშად ყელში სწვდა:

- ეს შენ გააკეთე, ხომ?.. შენ?.. რა დაგიშავა... რა დაგიშავა, შე გველო, შხამიანო გველო? სიკეთის მეტი რა უქნია შენთვის?.

ქმარი გააფთრებულ ცოლს მივარდა და შეეცადა, ხელიდან გამოეგლიჯა მეზობელი.

- სიმა!.. რას შვრები?.. გონს მოდი!

- გამიშვი. გამიშვი-მეთქი... უნდა მივახრჩო ეს ძუკნა, ეს გველის წიწილი!

კაცმა ძლივს გამოათრია ცოლი და კვლავ ეზოში შეყვანა მოუნდომა.

- შენ, რა, შეიშალე, ქალო? დაგავიწყდა, რომ ბავშვები გყავს? გონს მოდი-მეთქი, გეუბნები!

ამასობაში გაოგნებული, დაზაფრული მეზობლის ქალი გამოერკვა და აწრიალდა. მაგრამ სიმას უკვე აღარაფერი ესმოდა. ქმარმა იგი სახლის პირველი სართულის აივანზე თითქმის ძალით აიყვანა.

- უნდა მიმეხრჩო... უნდა მიმეხრჩო... რატომ დამიშალე, რატომ?

- ჭკუიდან გადახვედი, ქალო?.. შეიძლება, ჩვენც მიგვაყოლონ. არ უქნიათ თუ?.. არ გიშველის აფხაზობა!.. არც შენი ბიძაშვილის სახელი... ხომ გესმოდა როგორ დაგვემუქრნენ?.. არავინ იცის, რით დამთავრდება ეს ყველაფერი... ვერა ხედავ, მკვლელებთან გვაქვს საქმე?..

- მე მრცხვენია, გესმის? მრცხვენია, რომ აფხაზი ვარ!.. თქვენ კი... მამაკაცები... - ქალი დაუსხლტა ქმრის მკლავებს, აივნის ბოძს შემოეხვია და აზლუქუნდა. მერე უცებვე შეწყვიტა ტირილი. სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება გამოეხატა:

- მე... უნდა წავიდე! - თქვა დამარცვლით, შეუვალი ხმით და თმაზე ხელი გადაისვა, კაბა გაისწორა.

- სად... სად უნდა წახვიდე?.. ხომ არ შეიშალე მართლა? სად მიდიხარ-მეთქი?

- იცი შენ, სადაც მივდივარ! - სიმამ უკან მოუხედავად ჩაირბინა კიბე და ჭიშკრისკენ გაეშურა.

...მიკროავტობუსში მსხდომი ნასვამი, აღგზნებული, „ბოევიკები" არ ცხრებოდნენ. უფრო და უფრო შედიოდნენ ბილწსიტყვაობის ეშხში.

- Ну, что сука, старая б.. опять будешь писать стихи про Абхазию? "Моя Абхазия", "Родной мой край?.."

- Знаешь, что не понимаю, Почему Абхазия?.. Я ведь апсуа и моя родина Апсны! при чем здесь - Абхазия? - გაკვირვების შეძახილს ჩაბოხებულ-ჩახრინწული ხმა გამოეპასუხა: - Да ведь грузины, сукины дети,

ეროვნული ბიბლიოთეკა

так называют нас!

- Ну и пусть!.. раз весь мир с таким названием узнал нас - это даже к лучшему!

ბოევიკები ყიამყრალობაში, გაუთავებელ, უაზრო ხორხოცში ერთმანეთს ახსენებდნენ ხან ერთ, ხან მეორე ეპიზოდს ახალდაბასა თუ გალში მომხდარს. განსაკუთრებულ მოწონებასა და კმაყოფილების გრძნობას, როგორც ჩანს, იწვევდა მათში ჩეჩენი მუსას, ადიღელი აბდულას, კაზაკი სლავიკის სახელები: ის, თუ ჩეჩენმა მუსამ როგორ გააუპატიურა ფეხმძიმე ქალი ახალდაბაში, როგორ გაუფატრა მუცელი, იქიდან „გრუზინსკი უბლიუდოკი“ ამოიყვანა და ნაჭერ-ნაჭერ აქნა, მერე ხეზე როგორ ჩამოკიდა აბრაიყიდება ქართული ხორციო. - ამ მოგონებამ აღტაცების ისეთი ხორხოცი გამოიწვია, რომ მიკრო-ავტობუსის მძღოლიც კი შეტოკდა, სარკიდან მალულად, შეშფოთებული მზერა მოავლო „ბოევიკებს“. არანაკლები აღფრთოვანება მოჰგვარა. მათ იმავე სლავიკის და მუსას მიერ გალში ორი შინაბერა, მასწავლებელი დების ძმის თანდასწრებით ნამუსის ახდის და შემდეგ სამთავეს ერთად დახოცვის ამბავმა. ასეთივე კმაყოფილებითა და სიამოვნებით იგონებდნენ იმ აურაცხელ ნადავლს, გალში რომ ჩაიგდეს ხელში.

- А знаешь, что было особенно смешно?.. Остались, чтоби караулить добро, а подохли как собаки!

- А многих ведь свиньи сьели!.. похоронить то некому было!.. ха... ха... ха...

- Так им надо!.. Еще не все уничтожены! многие всеж-таки успели удрать!.. но ничего!.. доберемся и до них, хоть в Тбилиси - გინება, ხარხარი, პურჭყება და ფეხის ბრაგუნი ერთმანეთში აირია.

- Ну, ты, стерва, - что молчишь? язык что-ли проглотила?.. А может ты не против, чтоб тебя, здесь-же, при всех... а? ха, ха, ха...

- Я разговориваю только с людьми, а не с животными! - თვითონაც არ იცის, როგორ მოსწყდა ეს სიტყვები მის ბაგე-პირს.

- Ах, ты, сука, б... - ბილწი, უშვერი გინებით ქანგარა სახის „ბოევიკმა“, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცხვირ-პირში მუშტი ჩაარტყა. ქალს სისხლი წასკდა, მაგრამ არ განძრეულა, არც დაუკვნესია.

- Видишь, как потекла у тебя кровь, мерзавка... все вы, грузины, будете вот так харкать и изтекать кровью - ნიშნისმოგებით, თვალების ბრეცით ცრიდა სიტყვებს „ბოევიკი“... შემდეგ მუხლებზე წიხლი უთავაზა ქალს: - вот тебе еще, сука!

- Гарик хватит!.. мы должны доставить эту женщину живой.

- Ты что, жалеешь эту грузинскую дрянь?

- я никого не жалею, а хочу лишь доставить эту женщину невредимой!

- Нет, если ты хоть капельку жалеешь эту суку, то ты не настоящий Абхазец!

- ну, довольно, хватит!.. кто настоящий Абхазец, а кто нет - не тебе, гарику мкртычяну, выяснять!

- замолчите вы оба!.. Вы что, свихнулись?.. мама моя...

...მიკროავტობუსი სამსართულიანი სახლის წინ შეჩერდა.

- Ну, вылезай, поэтесса!

. . .

მოსაცდელში, მრგვალ, დიდ მაგიდას ერთი ქალი და რამდენიმე კაცი შემოსხდომოდა.

- Здесь подожди, поэтесса, пока тебя не вызовут! - დამცინავი ხმითა და გესლიანი ღიმილით უთხრა ერთმა „ბოევიკთაგანმა“ და კაბინეტში შეალაჯა.

ქალი ცარიელ სკამზე მძიმედ დაეშვა, თან თითებს ცხვირზე იჭერდა, რომ სისხლის დენა შეეჩერებინა. შავი კაბის გულისპირი ერთიანად იყო მოთხვრილი სისხლით.

უცებ დამხდური ხნიერი, გამხდარი, პატარა ტანის, სახეაფორაჯებული მანდილოსანი, ვის გვერდითაც აღმოჩნდა მზია, მისკენ გადმოიხარა და: - თქვენ... მზია არ ბრძანდებით? ობოლაძე?..

ქალმა უხმოდ დაუქნია თავი.

- ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!.. თქვენ რისთვის? რატომ?.. სიყვარულის და სიკეთის მეტი რა გიკეთებიათ?.. თუმცა, რას ვამბობ?.. რა სისულელეა!.. ამ სიძულვილის აპოთეოზში სიყვარული რა სახსენებელია! - ძლივსგასაგონი ხმით ჩურჩულებდა მანდილოსანი და თან წარამარა იფარებდა ტუჩებზე ცხვირსახოცს. მერე მოისაზრა და თავისი ცხვირსახოცი გაუწოდა ქალს:

- აიღეთ... სისხლი შეიწმინდეთ... ვაი, ჩემო დღეო, ამას რას მოვესწარით!.. - მან თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძალით შეაჩერა ცხვირსახოცი სახეგამტკნარებულ, მდუმარე ქალს. მზიამ ჩამოართვა და ცხვირ-პირი მოიწმინდა, შემდეგ სისხლიანი ნაჭერი ხელში მომუჭა: - დიდი მადლობა, ქალბატონო... - ტუჩების უხმო მოძრაობით, ძლივს წაიდუდუნა: - როგორ მეცნობით, ქალბატონო... მაგრამ... მაპატიეთ, ველარ ვიგონებ, საიდან...

- მე ლუბა ვარ, ბერაია, პედაგოგი... - სწრაფად შეეშველა მანდილოსანი: - მეხუთე სკოლაში ვასწავლიდი ქართულს... ერთხელ შეხვედრა მოგიწყვეთ სკოლაში... თქვენ ისეთი დიდებული იყავით...

- ო, დიახ, დიახ... მომაგონდა... ბრწყინვალე საღამო იყო!.. სულ სამიოდე წლის წინ იყო ეს ამბავი და... თითქოს საუკუნე გავიდა მას შემდეგ!.. - შეისვენა. - თქვენ... რისთვის?.. თუმცა... რა საკითხავია... - მერე ისევ იყუჩა და:

- სადა ვართ, თუ იცით? ამ შენობას ვერა ვცნობ...

- ეს... ეს მათი „კაგებეა“ მგონი... იცით... არავის ინდობენ, არავის, თუკი ქართველია, - ქალბატონი ლუბა სხაპასხუპით, მაგრამ ხმადაბლა ლაპარაკობდა:

- იცით, ალბათ, ბიძინა მგალობლიშვილი მხეცურად რომ მოკლეს, ეს უკეთილშობილესი პიროვნება, ბრწყინვალე ექიმი... ზელიმხან დანელია... შოთა ჯღამაძე... ვერა ყოლბაია... სულ ექიმები... ხუტა ახალაია, გეცოდინებათ, „საბჭოთა აფხაზეთის“ ყოფილი რედაქტორი, პენსიონერი... პედაგოგები ხომ რამდენი დახოცეს!.. ლუიზა ანჩაბაძე, გახსოვთ, ალბათ, საჯაროდ დახვრიტეს... რომელი ერთი ჩამოვთვალო?.. თქვენი მეუღლის ამბავი მაშინვე გავიგე... თქვენ აქ არ მეგულებოდით... თითქმის მთელი ქართული ინტელიგენცია, ვინც ქალაქში დარჩა, ამოჟლიტეს ამ მხეცებმა, ნადირებმა, ფაშისტებმა! ახლა ვითომ ადგილზე არ ხვრეტენ... აქ მოჰყავთ... მოსაჩვენებლად, ალბათ!.. ვითომ რაღაცას იძიებენ... რა, რა უნდა გამოიძიონ?.. რა დამიშავებია? რატომ უნდა დავმალულიყავი, რატომ? - მცირე ხანს შეისვენა, მერე ისევ წამოიწყო: - იცით... გალშიც საშინელი ამბები მოხდარა... გაგრა და კამანი მონაგონიაო... ხომ იცით, კამანში მოხუცები, ქალები და ბავშვები ერთიანად დახოცეს... ახალდაბაშიც... გალშიც. გალში სოხუმის დაცემის შემდეგ გამსახურდია ჩასულა... მიტინგი ჩაუტარებია... აქედან ფეხი არ მოიცვალოთ, მალე დავბრუნდები და სოხუმს გავათავისუფლებო... ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... სასაცილოა, არა?.. დახმარების ნაცვლად, მეორე ფრონტი გახსნა!.. ვაი, ჩემო თავო.

- მახსოვს... თქვენ ბატონი ზვიადის თავგამოდებული და აქტიური მომხრე ბრძანდებოდით!.. - მორიდებული ღიმილით შეახსენა ქალმა.

- არ მომაგონოთ... არ მომაგონოთ... ღვთის გულისათვის!.. მისი სურათი საწოლის თავზე მეკიდა ხატივით... არ მინდა, არ მინდა ახლა ამის გახსენებაც კი...

მანდილოსანი პირზე ხელაფარებული, ცხარედ, შეუჩერებლივ ლაპარაკობდა, თან შიშჩამდგარ თვალებს აცეცებდა. ზოგჯერ, უნებლიეთ ხმას აუწევდა, მაგრამ გონს მოსული, მაშინვე ისევ ჩურჩულზე გადადიოდა.

- მე ახლობელთან ვიმალებოდი... აფხაზები არიან... ვიღაცამ დამასმინა!.. ალბათ, თქვენც, არა?.. ოჰ, რა უბედურება დატრიალდა ჩვენს თავზე!.. რომ ჩაუკვირდე, შეიძლება ჭკუიდან შეიშალო... ვიცი, ვინც გამცა, მარა, რა უნდა ვქნა?.. რას იზამ?.. ვერაფერს. სრულიად ვერაფერს. ჩემს სახლში უკვე კაი ხანია შესახლდნენ გადამთიელები. მადლობა ღმერთს, ჩემმა შვილებმა გაასწრეს... - აღელვებული, არაბუნებრივად სახეალეწილი და თვალანთებული მოხუცი ქალი, ჩანდა, ლაპარაკით ცდილობდა გულის მოოხებას და მოძალებული შიშის დაძლევას.

მოსაცდელში მყოფი ხალხი, უპირატესად, ასაკოვანი მამაკაცები, თითქოს პირში წყალი ჩაუგუბებიათო, დუმდნენ - თავიანთ საფიქრალს მიცემულნი. ყველას ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა, თითქოს უჟმურმა ჩამოიარა და ყველანი სათითაოდ დაამუნჯაო.

გარკვეული ინტერვალის შემდეგ კაბინეტის კარი იღებოდა, წვერმოშვებული, თმააბურძგნილი, რუსულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი სიის მიხედვით იძახებდა იქ მყოფთ. გამოძახებული წელმოწყვეტილივით დგებოდა და ლასლასით შედიოდა კაბინეტში. იქიდან გამოსულს „ბოევიკი“ გარეთ მიუძღვებოდა...

როცა მისი სახელი და გვარი გაისმა, წამით თვალები მოხუჭა, თითქოს წყალში ჩასახტომად ემზადებაო. მერე ძლივს შესამჩნევი ღიმილით გადახედა ქალბატონ ლუბას, პირი რომ ღიად დარჩენოდა და თვალები

ეროვნული ბიბლიოთეკა



გადმოცვენაზე ჰქონდა. შემცბარი და საშინლად დაბნეული ქალბატონი ლუბა უცებ თითქოს გამოფხიზლდა, ხელზე ხელი მოუჭირა ქალს და: - გამაგრდით, ქალბატონო მზია! - გამაგრდით! - უთხრა მაღალი ხმით. მზიამ თვალებით, უსიტყვოდ მადლობა გადაუხადა და მხრებგაშლილმა, თავაწეულმა კაბინეტში შეაბიჯა.

სუფთად პირგაპარსული, ახალგაზრდა ქერა მამაკაცი გრძელ მაგიდას უჯდა და საქმიანი იერით ქაღალდებში იქექებოდა.

კარგა ხანს იდგა კართან. ბოლოს ახალგაზრდა კაცმა თავი ასწია და დამარცვლით, რუსულად მიმართა ქალს: - თქვენ მზია ხართ, ობოლაძე, არა? აი, ამ ქაღალდზე მოაწერეთ ხელი. - და რაღაც ქაღალდი მაგიდაზე გადმოუგდო ისე, რომ არც თვალებში შეუხედავს და არც სიგარეტი გამოუღია პირიდან.

ქალი წამიერად შეყოყმანდა, შემდეგ რუსულადვე უპასუხა: (მთელი დიალოგი მათ შორის რუსულ ენაზე წარიმართა): - მე თან არა მაქვს სათვალე... ამას გარდა, არ მსურს, რაიმე დოკუმენტს ხელი მოვაწერო!

- აქ მხოლოდ ის წერია, რომ თქვენ გამოცხადდით... ესე იგი, მოგიყვანეს აქ, დაკითხვაზე! - გაღიზიანებული კილოთი მიუგო ახალგაზრდამ და ქალის მიღმა რაღაც წერტილს მიაპყრო კუშტი მზერა.-

- დაკითხვაზე?.. კი მაგრამ, რაში მდებთ ბრალს?.. მე პოეტი ვარ და არასოდეს არავისთვის არაფერი დამიშავებია.

- თქვენ დამნაშავე ხართ იმაში, რომ... ქართველი პოეტი ბრძანდებით. ეს კი სავსებით საკმარისია!

ქალი წარბშეუხრელად უყურებდა სახეში ახალგაზრდას, კვლავ რაღაცის ძებნას რომ შეუდგა საქაღალდეში. მცირე ხნის შემდეგ წყნარი, აუმღვრეველი ხმით წარმოთქვა:

- თქვენი სახე ძალიან მეცნობა. თქვენ... აფხაზი ხართ?

- რა შეკითხვაა?.. მაშ, ვინ უნდა ვიყო? - ხმაში ფოლადი გამოურია კაცმა და შუბლს ქვემოდან დაღარაჯებული მზერით გამოხედა.

- შეიძლება გავიგო, რა გვარის ბრძანდებით?

- რაში გჭირდებათ? ან... რა მნიშვნელობა აქვს ამას თქვენთვის? - მოჭრა ახალგაზრდამ ცივად და ისევ საქაღალდეს მიუბრუნდა მოგონილი გულგრილობით.

- იმიტომ გეკითხებით... ნამდვილი აფხაზი დედის ტოლა ქალს სკამს შესთავაზებდა-მეთქი.

- ნუ... ჩამოჯექით, თუ გნებავთ... - ჩაიბურტყუნა ახალგაზრდამ, მზერადახრილმა.

- გმადლობთ, - ქალი მაგიდას მიუჯდა და ორივე ხელის მტევანი მის ზედაპირზე დააწყო:

- მაშ, ასე... რაში მადანაშაულებთ, თუ შეიძლება გამიმეორეთ, გეთაყვა!

- მე უკვე ვთქვი. თქვენ თქვენი ლექსებით და, საერთოდ, მთელი თქვენი მოღვაწეობით ყოველთვის ჩვენს წინააღმდეგ იყავით, ისევე როგორც თქვენი მეუღლე. თქვენ ყოველთვის გძულდათ აფხაზობა!

- მაგრამ... მაგრამ ეს ხომ... ტყუილია! და თქვენც კარგად იცით ეს! - ქალი თვალს არ აცილებდა შუბლშეკრულ ახალგაზრდას, დაჟინებით რომ არიდებდა მზერას.

- მე უკვე გითხარით... სათქმელი.

- მაგრამ მომისმინე, შვილო...

- მე თქვენი შვილი არ გახლავართ...

- დაე, ასე იყოს, მე იმერელი ქალი ვარ, მაგრამ მთელი ცხოვრება აქ, აფხაზეთში გამიტარებია და აფხაზეთი ისევე მიყვარს, როგორც იმერეთი, როგორც მთელი საქართველო საერთოდ. მთელი ჩემი პოეზია სიყვარულის საგალობელია და...

- თქვენ არ გინდათ გაიგოთ, რომ აფხაზეთი საქართველო არაა! - შეაწყვეტინა უცებ და ფეხზე წამოიჭრა ახალგაზრდა გაავებული სახით, მერე მაგიდას ორივე მუშტი დაარტყა:

- გაიგეთ, რომ ჩვენი აფსნი არ საჭიროებს თქვენს ფარისევლურ სიყვარულს!.. სინამდვილეში თქვენ ყველას, მათ შორის თქვენს ქმარსაც, გძულდათ და გძულთ აფხაზები. ასეა ეს.

- ჩემი ქმარი ინჟინერ-მშენებელი იყო - არ შეეპუა ქალი და თავადაც ხმას აუმაღლა. - როგორ შეიძლებოდა მას სძულებოდა თავისი აშენებული სახლები და ის ხალხი, ვინც იქ ცხოვრობდა?.. ანდა, როგორ შეიძლება პოეტს სძულდეს ვინმე და მით უმეტეს, მთელი ხალხი?.. სხვათა შორის, ჩემს მეუღლესაც და მეც უამრავი აფხაზი მეგობარი გვყავდა... მე მიმაჩნია...

- ეტყობა, არ გყოლიათ, ვინაიდან... არც ერთი არ გამოგსარჩლებიათ! - ახალგაზრდამ იქედნურად ჩაიღიმილა და სავარძელში

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაიტყლარჭა, თან აუჩქარებლად მოუკიდა ახალ სიგარეტს და ნება-ნება გააბოლა.

- დიახ. ეს ამბავი სავალალოა, რასაკვირველია! სულმოკლეობა არ ამშვენებს ადამიანს, მაგრამ, რას იზამთ: ყველას როდი ძალუძს ღირსეულად იცხოვროს და ღირსეულადვე მოკვდეს!.. თუმცა... მე რამდენადაც ვიცი, ბევრმა პატივსაცემმა აფხაზმა დატოვა სოხუმი...

- თქვენ გინდათ თქვათ რომ... ისინი ჩვენ გაგვექცნენ?

- დიახ. როგორც ჩანს, ასეა! - კვლავ არ დაიხია ქალმა და თვალი თვალში გაუყარა.

- მდაა... გასაგებია. ყველაფერი გასაგებია. მაშ ასე...

ქალმა გააწყვეტინა:

- ჰო, მართლა... გამახსენდა... მე გავიხსენე თქვენი გვარი!.. თქვენ ფაჩულია ბრძანდებით. გივი ფაჩულია. ჩვენ არშბას ქორწილზე შევხვდით ერთმანეთს. მაშინ თქვენი მაღალფარდოვანი სადღეგრძელოებით მიიპყარით ყურადღება. სხვათა შორის, მახსოვს, მჭევრმეტყველურად ხოტბას რომ ასხამდით ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობას.

- მე ყოველთვის მეჯავრებოდნენ ქართველები და მიმაჩნია, რომ ისინი ყველანი უნდა გაიჟლიტონ!

ქალი თვალდაუხამხამებლად, ძლივს შესამჩნევი ირონიული ღიმილით უყურებდა კაცს, რომელიც სიბრაზისაგან სახეზე წამოჭარხლებულიყო და ხელებს უაზროდ, უანგარიშოდ აფათურებდა საქაღალდეში. მერე ოდნავ გაიქნია თავი და: - ღმერთო ჩემო, საიდან ასეთი მძვინვარე სიძულვილი, ასეთი ბოღმა და ღვარძლი, ბატონო გივი? თქვენ ხომ ფაჩულია ბრძანდებით ბოლოს და ბოლოს?

- მე აფხაზი ვარ. მორჩა და გათავდა!

- და არა აფსუა?

- ორივე ერთია!

- მაგრამ... გვარს რას უშვრებით? თქვენ ხომ ჩემი ქმარივით, აფხაზეთის მკვიდრი მეგრელი ხართ. მაშასადამე...

- გეყოფათ. თქვენ აქ ჩემი წარმომავლობის გამოსარკვევად არ მოგვიყვანიხართ. და საერთოდ, სადისკუსიოდ არ მცალია.

- მაგრამ... ამიხსენი, გეთაყვა, ამ დროულ ქალს, ასეთი სიძულვილის მიზეზი?.. რით დაიმსახურეს ქართველებმა იგი?.. ჩვენ ხომ მართლა ერთი ძირიდან და ფესვიდან ვართ! ჩვენ ხომ სინამდვილეში მართლაც მოძმენი ვართ!.. ნუთუ არ გიფიქრიათ, რომ თქვენ ეს სიძულვილი საგანგებოდ, ავი განზრახვით ჩაგინერგეს?

- ჩვენთვის არავის არაფერი ჩაუგონებია. ქართველები ყოველთვის იყვნენ ჩვენი მტრები, დამპყრობლები... ქართველებმა ჩვენ ყველაფერი წაგვართვეს, ყველაფერი და მოვრჩით ახლა. საკმარისია!

- მაგრამ მე... უნდა გითხრათ... მე მოვალე ვარ, გიხრათ, - ახლა ქალიც წამოდგა სახეალანძული, აღშფოთებისგან ხმააკანკალებული: - რამდენადაც ვიცი ჩვენი ისტორია, სწორედ ქართველებს ართმევდნენ მიწა-წყალს, ენას, სარწმუნოებას... მაგრამ ქართველები არ გაბოროტებულან, რაც მთავარია - გაცემის უნარი არ დაუკარგავთ!.. მათ თქვენც გაჩუქეს კლასიკოსი, ლიტერატურის და დამწერლობის დამფუძნებელი დიმიტრი გულია! შეგიქმნეს თეატრი, გამოგიზარდეს სამეცნიერო კადრები, გაგიხსნეს უნივერსიტეტი, ტელევიზია, რადიო, თუმცა თქვენ თქვენს ენაზე საშუალო სკოლაც არა გაქვთ და ეს ჩვენი ბრალი არ არის! არც ერთ ავტონომიურ რესპუბლიკას მთელს საბჭოთა კავშირში არ გააჩნდა ის პრივილეგიები, რაც თქვენ გქონდათ... თქვენზე ბევრად მრავალრიცხოვან ხალხებსაც კი. მათი გადაგვარების და გარუსების მაგალითები აგერ ცხვირწინ გაქვთ, ჩრდილო კავკასიელების სახით! თქვენმა არძინბამაც კი თბილისში დაიცვა დისერტაცია, რადგან მოსკოვში ამის საშუალება არ მისცეს... ქართველებს არასოდეს, არასოდეს ჰქონიათ სხვა ხალხების მიმართ სიძულვილის გრძნობა. პირიქით, ყოველთვის თავშესაფარს აძლევდნენ დევნილებს, დაჩაგრულებს, ასახლებდნენ თავის მიწა წყალზე, ხელს უწყობდნენ ყოველნაირად. სომხობამ თავის დროზე არ მიიღო თურქეთიდან დევნილი თვისტომელნი, საქართველომ კი ფართოდ გაუღო მათ კარი... და რომელი ერთი ჩამოვთვალო!.. აფხაზების მიმართ ხომ ყოველთვის სიყვარულით, პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი და, საერთოდ...

- დიახ, დიახ. რასაკვირველია. აფხაზების მიმართ სიყვარულის გამო იყო, სტალინმა და ბერიამ რომ ამოჟლიტეს აფხაზეთის ინტელიგენცია. ვიცით ჩვენ, კარგად ვიცით ამ „სიყვარულის" ფასი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



- მაგრამ, ბატონო გივი, სტალინმა და ბერიამ იგივეე დამართეს ქართულ ინტელიგენციას, საერთოდ, ქართველ ხალხს. მარტო მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის და ევგენი მიქელაძის სახელები რად ღირს, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ!.. აფხაზეთში კი ძირითადი მაინც პარტიული კადრები იყო რეპრესირებული, ისიც ლაკობას და ეშბას წყალობით, ერთმანეთს რომ მტრობდნენ და აბეზღებდნენ... მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ბოლშევიკური რეჟიმის დროს ხდებოდა!.. 37 წელი იყო! თქვენ კი... მეოცე საუკუნის ბოლოს ყოველგვარი ძიებისა და სასამართლოს გარეშე გაწყვიტეთ ათიათასობით მშვიდობიანი მაცხოვრებელი მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი... ქართველები იყვნენ! აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი განდევნეთ მამა-პაპათა ადგილებიდან. მოაწყვეთ ნამდვილი გენოციდი. რომელ სამართლიანობაზე მელაპარაკებით თქვენ, ბატონო გივი?

- მარტო ამ სიტყვების გამო უნდა ადგილზე დაეხვრიტეთ! ბესლან, მომაშორეთ ეს ქალი! გაიყვანეთ აქედან!

- თუ ღმერთი გწამთ, ნუ მაშინებთ სიკვდილით! მე დიდი ხანია, მზადა ვარ მასთან შესახვედრად. თქვენ კი... „მიუტევე უფალო, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმან!“ - ეს ბოლო ფრაზა ქალმა ქართულ ენაზე წარმოთქვა.

- მე არ მესმის თქვენი ძაღლური ენა და არც მინდა მესმოდეს!

- ეს სიტყვები სახარებიდან გახლავთ, რომელიც, სხვათა შორის, ჩემმა წინაპრებმა მე-4, მე-5 საუკუნეებში თარგმნეს. და ყველა ენა, რომელზეც არის ნათარგმნი ეს წმინდა წიგნი, ღვთიურია! ხოლო... რაც შეგეხებათ თქვენ... საინტერესოა, თქვენი ბაბუა რა ენაზე ლაპარაკობდა?

კაცმა წამით თავი ჩაღუნა და ხელები უხმოდ მომუშტა. ქალმა აცალა ბოღმის მონელება და მერე შემწყნარებლური ღიმილით განაგრძო: - ქართული ენა და კულტურა ყველა კავკასიელი ხალხისთვის მშობლიური და ახლობელი იყო!.. ხოლო სიძულვილი და სიავე ბუმერანგივით უბრუნდება იმას, ვინც მას გულში ატარებს.

- კმარა-მეთქი. გეყოფათ. ბესლან, გაიყვანეთ ეს ქალი აქედან! - „ბოევიკმა“ მკლავში ხელი წაავლო ქალს:

- არ იყო საჭირო ამდენი ცერემონიები... ესენი ყველანი ადგილზევე უნდა მიასიკვდილო, ცოფიანი ძაღლებივით - „ბოევიკმა“ ქალს კარისკენ უბიძგა. ქალმა მკვეთრი მოძრაობით მკლავი გაითავისუფლა და ისეთი თვალებით შეხედა, რომ „ბოევიკს“ წამით ენა ჩაუვარდა. გაშეშდა.

- ნუ გიხარია, შვილო, სხვისი, თუნდაც მტრის სიკვდილი! ჩვენ ყველანი მოკვდავები ვართ და.... იმიტომ! რა დღეს, რა ხვალ, ყველანი დავიხოცებით, ოღონდ... ზოგი სუფთა სინდისით წარსდგება ღვთის წინაშე, ზოგი კიდევ - სისხლში მოთხვრილი ხელებით.

წამით დაბნეული „ბოე ვიკი“ ძველებურად შეიმართა.

- მიმიფურთხებია თქვენი ღმერთისთვის, ძუკნავ!

...ქალი კარებში შედგა, მობრუნდა და ახალგაზრდას დანანების კილოთი მიმართა: - თქვენ... საწყალოდ, იარაღი ხართ სხვათა ხელში. თქვენ... აღმსრულებელი ხართ უცხო, ბოროტი ძალების და ამიტომაც... მეცოდებით! ყველანი ძალიან მეცოდებით!

- გაათრიე ეს ქალი, ბესლან! ამის დედა...

მოულოდნელად ტელეფონის ზარი აწკრიალდა. სახეშეშლილი, გაცოფებული გივი ფაჩულია ყურმილს დასწვდა. უცებ სახე დაუგრძელდა. თითქოს პირკატა ეცაო, ხმა ჩაუვარდა. თვალები დაყელიპა. მერე... ძლივ-ძლივობით წაიბურდღუნა რაღაც, შემდეგ კაბინეტში დარჩენილ ერთ-ერთ თანაშემწეს უღრიალა, ობოლაძე უკან დააბრუნეო.

როცა ქალი კვლავ კაბინეტში შემოიყვანეს, ფაჩულიამ თავაუწევლად კბილებში გამოსცრა: - თქვენ... თავისუფალი ხართ!.. შეგიძლიათ შინ დაბრუნდეთ.

ქალი არ შერხეულა, მხოლოდ წარბები აწკიპა ოდნავ.

- თქვენ რა?.. ვერ გაიგეთ რაც გითხარით? - იყვირა კაცმა.

- არა, არ მესმის! - მშვიდი ხმით თქვა ქალმა და გამომცდელი მზერით მიაჩერდა.

- რა არის გაუგებარი?.. თავისუფალი ხართ და შეგიძლიათ შინ დაბრუნდეთ-მეთქი. - გაიმეორა ფაჩულიამ დაუფარავი ბოღმით და ისევ ქაღალდში ჩარგო თავი.

„ღმერთო ჩემო!.. ნუთუ?.. ნუთუ მართლა თავისუფალი ვარ? და... შემიძლია შინ, ჩემებთან დავბრუნდე?.. შემიძლია ჩემი პაწია მზიაკო ვნახო, ზებო ენაცვალოს?.. მაშ, თავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალი ვარ? და თუ სიკვდილია... ჩემების ხელში მოვკვდე მშვიდად, წყნარად... ღმერთო.. კი მაგრამ... რა მოხდა?.. ასე უეცრად რა შეიცვალა?" - აზრები სწრაფად ენაცვლებოდა ერთმანეთს. მერე... თითქოს გაიყინა ყველაფერი. შეჩერდა ჟამის სვლა. სიჩუმეს შიშინი გაჰქონდა ყურში. მერე ისევ დაუბრუნდა ცნობიერება. გამოერკვა. სახეზე მტკიცე, შეუვალი გადაწყვეტილება გამოესახა.

- თქვენთან აქ, მოსაცდელში იმყოფება სრულიად უდანაშაულო, მოხუცი პედაგოგი ქალი, ლუბა ბერაია, - წარმოთქვა დინჯი ხმით და ხაზგასმული სიმშვიდით: - თუ მასაც გაათავისუფლებთ, მაშინ მივიღებ თქვენს წინადადებას.

- კი მაგრამ... მხოლოდ თქვენზე იყო ზარი! - კაცს ხმა ჩაეხლიჩა. ავად აკვესებული თვალები დაუელმდა.

„აჰ, ტელეფონის ზარი!.. აი, თურმე რა ყოფილა! მაგრამ ვინ?.. ვინ დარეკა?"

- მე უკვე გითხარით ჩემი სათქმელი!

გივი ფაჩულიამ კბილების ჩუმი კრაჭუნით ნომერი აკრიფა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ, აფსუურ ენაზე რომ მიმდინარეობდა, თითქოს შვებით ამოისუნთქა. ყურმილი ფრთხილად დადო და ქალს ნიშნისმოგებით უთხრა:

- მხოლოდ თქვენზეა საუბარი!.. ასე რომ მოგიწევთ აირჩიოთ...

ქალმა წამით თვალები დახუჭა. ტანში კვლავ დენივით დაუარა ჟრუანტელმა და უცებ, ერთბაშად მთელი სიცხადით და სიმწვავით შეიგრძნო, რომ მისმა გატანჯულმა, დაძაბუნებულმა სხეულმა შვება მოითხოვა. დიახ. სხეულმა ძალუმად შეახსენა თავი და მოისურვა მოსვენება, განდგომა ყოველგვარი ტკივილისა და წუხილისაგან. მოისურვა განმარტოება საკუთარ თავთან. რაღაც წამის წამში შეეჭიდნენ ერთმანეთს ამქვეყნიური ყოფიერების, ახლობელ, ძვირფას და საყვარელ ადამიანებთან სიხარულის და სიამის, თუნდაც ტანჯვის, გაზიარების წუთები და უცაბედი, სამუდამო გაქრობის, ანუ არყოფნის განცდა. სულ რაღაც წამებში გამართული ეს ხელჩართული ბრძოლა - თითქოს მთელ მის წარსულს, განვლილ ცხოვრებას და აწ გასავლელს, დარჩენილ მონაკვეთს რომ მოიცავდა - წამითვე სხეულის მარცხით დამთავრდა, რადგანაც იმედგაცრუების, ადამიანური უმწეობისა და უსუსურობის ანარეკლი მოხუცი ქალის თვალებში - საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ... სხეულს წაეგო ეს სამკვდრო-სასიცოცხლო რკინება და სარბიელი სულისთვის დაეთმო, რათა ამიერიდან იგი ზესკნელში ამაღლებულიყო.

ქალი წელში გასწორდა, კისერი ამაყად აალერა: - მე... უკვე გადავწყვიტე!.. ქალბატონ ლუბასთან ვრჩები, გივი ბატონო!

. . .

ავტობუსში მსხდომნი გასუსულიყვნენ. ყველანი ერთსა და იმავე აზრს შეეპყრო, ერთსა და იმავე საგონებელს მისცემოდნენ:

- „საით მიჰყავთ?.. რატომ?.. რა მიზნით?"

რაკიღა მაშინვე, აყვანისთანავე, ჩვეულებისამებრ, არ დახვრიტეს, რაკიღა „დაკითხვა" მოუწყვეს, შეიძლება სადმე, თუნდაც გუდაუთის ციხეში უკრან თავი. მართალია, სინამდვილეში არაფერი დაუშავებიათ - თუნდაც ბატონ კაკოს რას უნდა ერჩოდნენ?.. ორივე მხარის წარმომადგენლებს თანაბრად მკურნალობდა, მაგრამ, ვინ არის ბრალეულის თუ უბრალოს გამრჩევი? „ბოევიკებისთვის" თავის არიდება და დამალვაც სავსებით საკმარისი საბუთია, ქალბატონ ლუბას თქმის არ იყოს, ბოროტების ამ აპოთეოზში, კედელზე მიგაყუდონ, რადგან ბედ-იღბალს წყვეტს თურმე ამ ქვეყანაზე მხოლოდ ეროვნულობა, ანუ ქართველი ხარ თუ არა!

მოხუც პედაგოგს, წარმოდგენა რომ არ ჰქონდა მზიას თავგამოდებაზე, მის მხარზე თავი მიედო და დროდადრო ისე ღრმად და მწარედ ამოიხვნეშებდა ხოლმე, თითქოს თან მთელი გული ამოატანაო. გაყინულ სახეზე თვალებიღა შერჩენოდა, ფართოდ გახელილი, შიშითა და ძრწოლით მომზირალი სველი თვალები. მზიას მისთვის წელზე მკლავი შემოეხვია და თავადაც გაყუჩებულიყო. თეთრთმიანი, პატარა ტანის მოხუცი ქალი დედას აგონებდა, ოდესღაც ბავშვივით გულში ჩაკრული საავადმყოფოში რომ მიჰყავდა დასაწოლად - უსუსური, უმწეო, უძლური.

იჯდა მდუმარე, შეურხევლად და მერამდენედ ცდილობდა, გაეანალიზებინა ის, რაც იქ, კაბინეტში მოხდა და... ერთსა და იმავე დასკვნამდე მიდიოდა: სხვანაირად არ შემეძლო.

ვერა, ვერ მოიქცეოდა სხვანაირად. ხოლო ფაჩულიას განცვიფრებულ, შუბლზე აცვენილ თვალებს რომ წარმოიდგენდა - უზომო სიამის გრძნობა ეუფლებოდა - გივი ფაჩულია, როგორც ჩანს, არ მოელოდა ასეთ ნაბიჯს თუ გადადგამდა ქალი. მარტო მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესოდენ გაწბილებული სახის დანახვა რად უღირდა!..

ჰმ! მაშ, რა ეგონა ბატონ ფაჩულიას?.. მოწყალებას მიიღებდა მტარვალებისგან?.. ანდა... ამ საცოდავ, მოხუც ქალს მარტო დატოვებდა?.. ვერა, პატივცემულო გივი. სადაც სხვები - თავადაც იქ უნდა იყოს. მაგრამ, საინტერესოა, ვინ დარეკა?.. ვინ გამოიდო თავი? ნუთუ სიმამ შეაწუხა თავისი გავლენიანი ნათესავი?..

მთელ ამ ამბავში კმაყოფილებას ჰგვრიდა ისიც, რომ გული ამოიფერთხა ფაჩულიასთან. არ დაერიდა არაფერს... დიახ, არაფერს. სხვა დროს, ალბათ, ასე არ მოიქცეოდა თავისი რბილი ხასიათის გამო, მაგრამ ახლა! ახლა როგორ შეეძლო უკან დაეხია?

...მგონი, ავტობუსი სოხუმს გასცდა. მართლაც, რას ნიშნავს ამხელა მანძილის გავლა? თუ დასახვრეტად მიჰყავთ, რაში სჭირდებათ გზის გაგრძელება?.. რისთვის? რა მოტივით?

სოხუმს რომ გასცდნენ, უდავოა. ეჰ, სოხუმი! სოხუმი! მისი ყმაწვილქალობის საყვარელი ქალაქი! რამდენი ბედნიერი წუთი ახსოვს ამ ქალაქში გატარებული...

ზღვა... სანაპირო... საათობით, გაუნძრევლად შეეძლო ეცქირა ზღვისთვის. ო, როგორ იზიდავდა მისი უსაზღვრო სივრცე!.. უსაზღვროებისკენ მიილტვოდა ყოველთვის, დასაბამიდან, რაც თავი ახსოვს!..

ცის უსასრულო სილაჟვარდეში ნავარდი ინატრა მაშინაც, სოფლის წყაროსთან კლდეზე რომ აცოცდა პატარა, ანცი გოგონა და თვალწინ გადაშლილ სივრცეს გადმოხედა მაღლიდან. ო, როგორ მოუნდა, უცებ ფრთები გამოსხმოდა და იმ მიმინოსავით ეფრინა, ცაში ირაოს რომ ჰკრავდა - ლაღი, ამაყი, თავისუფალი!

იქნება მაშინ დაიბადა ლექსის პირველი სტროფიც. ბალღურად უმწიფარი, უსუსური და... მაინც ფრენის, ფრთაგაშლილი ფრენის წყურვილით დამუხტული!

და მართლაც, ხომ გაშალე მაშინ მკლავები - მზიური, აქოჩრილი მთა - გორაკების და ზურმუხტოვანი ველ-მინდვრების სილამაზით რეტდასხმულმა! და... შენდა უნებურად, სიმღერით გადმოსკდა შენი ბაგე-პირიდან ის განცდა, ყელთამდე რომ გავსებდა!.. „საქართველოო, ლამაზო"...

მაშინდელი შთაგონება და აღტკინება სამუდამოდ ჩაგრჩა გულში ისევე, როგორც ზღვის პირველად ხილვის შთაბეჭდილება!

ღმერთო!.. რა მშვენიერი, რა ლამაზი და მომხიბვლელი იყო ცხოვრების გარიჟრაჟი!.. რამდენი სიხარულის და ბედნიერების წამი მოგიტანა მან: პირველი სიყვარული... პირველი კოცნით მოგვრილი განცდის სიმძაფრე და... პირველი ლექსი! ქორწილი... პირველი შვილი... როგორც ლექსი იბადება იქ, შენს არსებაში, შენს წიაღში, ისე იშვა შენი პირმშო, შენი ბადრი!.. პირველი სიყვარულის ნაყოფი!.. ვერა. ვერ დაჩრდილა ის წამები ვერანაირმა გულის გატეხამ თუ სულიერმა ტკივილებმა, წლებმა რომ გარგუნეს...

და აი, ახლა მიდიხარ სადღაც, უცნობი მიმართულებით, მიდიხარ იქით, საიდანაც, არ იცი, დაბრუნდები თუ არა და... მთელი შენი ცხოვრება კინო-ფირივით იშლება შენს თვალწინ - შენდა უკითხავად, შენდა უნებურად გეძალებიან გარდასული, თითქოს სიზმარეული სურათები შენი წარსულისა, განვლილი დროისა და... აზვირთებულ ტალღასავით გაბურთავებენ თავის მორევში, გითრევენ იმ ორომტრიალში, ხსოვნას რომ შემორჩენია!.. ისინი ელვის უსწრაფესად, ფრაგმენტულად ენაცვლებიან ერთიმეორეს და მთელ შენ ცხოვრებას მოიცავენ, თითქმის ყოველ მნიშვნელოვან ეპიზოდს თუ დეტალს იტევენ...

მოგონებათა ამ ნიაღვარში ხან ბავშვობის სურათები ლაგდებიან წინა პლანზე, ხანაც ახალგაზრდობის, ხან კიდევ უკანასკნელი პერიოდის. ანდა პირუკუ ტრიალდება ყველაფერი და ბოლოდროინდელი მოვლენები გადაეფარება წინას...

უცებ... კადრი შეჩერდა. დრო-ჟამი თითქოს გაქვავდა. და აი, ნელ-ნელა, ბოლოდან დაიწყო უხილავმა ხელმა ფირის გადახვევა... იმ მომენტიდან, უკანასკნელად რომ იყავი მწერალთა კავშირში.

დანგრეულ-დაცარიელებული სოხუმის ქუჩებში მიაბიჯებდი მხრებდაშვებული; უმარმაზარ სიმძიმეს, გულზე რომ გაწვა, ლამის გაეჭყლიტე. და უცებ, მოულოდნელად ყვითლად აბრიალებული ნეკერჩხალი შემოგეფეთა. ოჰ, ისე ლამაზი და მშვენიერი იყო სექტემბრის მზით შეფერადებული, კელაპტარივით ანთებული ნეკერჩხლის ხე, რომ სულმა წაგძლია და... ორი ტოტი მოტეხე.

მწერალთა კავშირში არავინ დაგიხვდა მდივანი გოგონას გარდა. კაბინეტში შეხვედი და ერთი ტოტი ლარნაკში ჩადე.

კარი რომ გამოხურე, გული მოგეწურა, მტკივანი, დაჭრილ-დაფლეთილი გული;

ეროვნული ბიბლიოთეკა



თითქოს იგრძნო, რომ უკანასკნელად ჩამოდიოდი ამ კიბეზე. თუმცა... მთავარი თურმე წინ გელო, ტრაგედიის კულმინაცია თურმე ჯერ კიდევ წინ იყო!

ღმერთო! იქნებ სჯობდა ამ რამდენიმე წლის წინ, საოპერაციო მაგიდაზე დაგელია სული.

სჯობდა! ნამდვილად სჯობდა. რისთვის გადარჩი, რომ ამდენი სიმწარე, ტანჯვა-წვალება გამოგეცადა?.. გულგოთის გზა გამოგევლო?

როგორ წარმოიდგენდი, თუნდაც ამ ორიოდე წლის წინ იმ საშინელ ამბებს, რაც ახლა ხდება?

რისთვის, რატომ ხოცავენ ერთმანეთს თანამოძმენი? „და ალიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან"... რა... რა ასაზრდოებს, რა კვებავს ამ ბაქანალიას, ამ გაუგონარ სისასტიკეს? თავისუფლების იდეა? ვისგან, რისგან თავისუფალი? ყოველივე ამას... ამ სისხლის ზღვას აცრემლებს... მერე და მერე რა უნდა მოჰყვეს?

როგორ დაიჯეროს უწინდებურად, როგორც 9 აპრილს სჯეროდა, რომ ვითომ არაფერი მომხდარა! რომ... „ეს უბრალოდ ცის ცვარია, განა ცრემლი. ეს უბრალოდ მოვლენაა, ალმაფრენის... არაფერი არ მომხდარა, არაფერი". ნუთუ?

„ასე მალე რად გამოგაქვს განაჩენი, ეს აპრილის ცთუნებაა, განა ჩვენი, ეს უბრალოდ ცის ცვარია, განა ცრემლი, არაფერი არ მომხდარა, არაფერი". როგორ, როგორ უნდა იცხოვრონ შვილებმა, შვილიშვილებმა – ორივე მხარის შთამომავლობამ იმ ჯოჯოხეთურ ყოფიერებაში, უფროსმა თაობამ რომ განუმზადა მათ? რაც დაატრიალა სატანურმა სულმა?

... დარდით და მწუხარებით გულგასენილს დიდი ხნის უნახავი ახლობელი პოეტი შემოგხვდა გზაზე.

- მზია?! შენა ხარ?.. ძლივს გიცანი... გამარჯობა!-

- მე ვარ, რეზო, მე!.. გაგიმარჯოს, ჩემო ძამია! - გადაეხვიეთ ერთმანეთს, გადაკოცნეთ თვალზე ცრემლმომდგრებმა, გულაჩუყებულებმა.

- აქ არ მეგულებოდი, მზია...

- მირიანი არ მიდის და მეც არ მსურს დავტოვო აქაურობა!..

- შვილები?

- წასულები არიან... შვილიშვილი შემეძინა, იცი.. ჯერ არ მინახავს... ზუგდიდში არიან...

- მომილოცავს!

- გმადლობ. შენ... დიდი ხანია შენთვის თვალი არ მომიკრავს... შენც მგონი წასული იყავი, არა?

- ჰო, სოფელში ვარ. დედა მყავს მძიმე ავად; ორი დღეა, რაც ჩამოვედი.

- ხედავ, რა ხდება, რეზო?.. რა ტრაგედია დატრიალდა?.. ვიფიქრებდით განა ამას, წარმოვიდგენდით ოდესმე? მეორე მსოფლიო ომს გადაურჩა სოხუმი და, აი, ახლა... იბომბება! იბომბება ასე უწყალოდ, ასე ბარბაროსულად. საკუთარ ქალაქს ბომბავენ, ბიჭო, გესმის?.. საკუთარ ქალაქს!

- რუსები ბომბავენ...

- ჰო, მაგრამ... ამათი ხელით!... ამათ იყენებენ: აი, რა არის გულსაკლავი. ასე როგორ დაბრმავდნენ, ასე როგორ დაეხშოთ გონება?

- აქ ხომ ყველაფერი ქართველების მიერაა აშენებული... ხოლო ყოველივე ქართულის სიძულვილით აკი დაპროგრამებული არიან რუსების მიერ! ჰო, მართლა, გაიგე, გამსახურდია რომ ჩამოსულა ზუგდიდში?

- გავიგე.

- ყველას ჰგონია, რომ სოხუმისკენ გამოსწევს საშველად!

- მე - არა. მე ასე არ მგონია!

- რატომ?.. ნუთუ პირადი წყენა მაღლა დადგება საქართველოს ინტერესებზე?

- არაერთხელ დამდგარა. ჩვენი ისტორია ამას მეტყველებს.

- დავიჯერო, ახლაც სულმდაბლობა ძლევს სულგრძელობას?.. ქვეყნის სიყვარულს - ძალაუფლების სიყვარული?.. არა მგონია!

დუმილი.

- შენ არასოდეს მინახიხარ ასეთი... გულგატეხილი. ყოველთვის ოპტიმისტი იყავი. ახლა...

- იმდენი რამ ვნახე, ჩემო რეზო, ამ ბოლო დროს... იმდენი განვიცადე... ერთნი ზვარაკად ეწირებიან სამშობლოს, სხვებს კი - და მგონი უმრავლესობას, - სამწუხაროდ, სამშობლოს შეგრძნება საერთოდ დაკარგული აქვს. ბევრი საძარცვავად, ღოვლათის შესაძენად ჩამოდის აქ... ამ გაგანია ომში!.. ძნელია ამის ატანა... ძალიან ძნელი!..

- მართალი ხარ, ჩემო მზია!.. საუკეთესო, დარჩეული ბიჭები საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან, განსაკუთრებით კი -

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისიდან, თავს სწირავენ, იხოცებიან მაშინ, როდესაც ზოგ-ზოგი რესტორნებში გრიალებს ანდა დუბაიში გარბის დროის გასატარებლად! ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ! და იმიტომ! აბა, ყველანი, განსაკუთრებით აქაურები, ფეხზე რომ დამდგარიყვნენ...

- როგორც ჩანს, ვერ გავიცნობიერეთ ჯერ კიდევ, რა ხდება ჩვენს თავს!.. აფხაზეთი - მაინც შორეულ ტკივილად აღიქმება, ალბათ!

- ასეა. შენი თქმის არ იყოს, სამშობლოს შეგრძნების უნარი დავკარგეთ, საკუთარი ჯიბის გასქელების კი - არა!.. მაგრამ... შენგან, სიმართლე რომ გითხრა, მიკვირს მაინც ასეთი პესიმიზმი... შენ ყოველთვის მახსოვხარ იმედიანი. ყველაფერი კარგად როგორ ეჩვენება-მეთქი, ადრე რამდენჯერ გამიფიქრებია შენზე ცოტა გაღიზიანებითაც კი! ასე ყველას როგორ უღიმის... ასე ყველას მიმართ როგორ არის კეთილგანწყობილი-მეთქი, და... მაპატიე, მაგრამ... ზოგჯერ არაბუნებრივად მეჩვენებოდა კიდეც შენი საქციელი... ახლა გიყურებ და... თითქოს რაღაცას ეხედები... თითქოს ბევრი რამ დავინახე...

- ეჰ, ცხოვრება წიგნივითაა, ჩემო ძამია! რაც მეტ ფურცელს გადაშლი, მით უფრო უახლოვდები თურმე დასასრულს, რომელიც... ყოველთვის მოულოდნელია!..

ბევრ რამეზე ამეხილა-მეთქი თვალი... გითხარი წელან. ამ სიბერის ჟამს მეც ბევრი რამე თითქოს ახლებურად გავიაზრე და მაინც... ბოროტებისა და სიკეთის ჭიდილში სიკეთის ძლევას ვერ ვხედავ!.. პირიქით, გალაკტიონის თქმით, სატანური სული ზეიმობს დღესდღეისობით, ჩემო რეზო!

- მაგრამ... აგერ - შენ მაინც ლამაზი ტოტი გიჭირავს ხელში...

- ჰო, შემოდგომის რტო...

- „ამ გრიგალში დრო არ არის სხივის, დაღალული ყვავილი ხარ სუსტი!"

- „ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის დროა, თუ გადარჩი ხომ გადარჩი, კარგი".

- გალაკტიონი გენიოსია. ყველა დროის გენიოსია, არა? მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა ეს. და კიდევ: „ოჰ, ეს ფოთლები ფენილი ქარით,

ეს მწუხარე და ნაზი ზმანება.
ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?"

...ავტობუსი გაჩერდა. შიგ მსხდომთ გადმოსვლა უბრძანეს.

ზღვის ქვიშიან-ღორღიანი სანაპირო. ლურჯი, სიშავემდე ლურჯი ტალღების შრიალი. თოლიების გაუთავებელი, გულისწამღები ჭყივილი.

ზღვა!

უცებ სხვა ყველაფერი გაქრა, თითქოს ბურუსში ჩაიძირა. არც მოხუცი პედაგოგის კრუსუნი ესმის, არც თითქოს დასაკლავი ხარის ბღავილი, არც უტყვი, ჩუმი გოდება, არც „ბოევიკთა" ღრიალ-გნიასი. ტრანსში ჩავარდნილი, ღრმად ისუნთქავს ოდნავ მომლაშო, ნოტიო ჰაერს.

სიცივე იგრძნო ერთბაშად. თუმცა საღამოს ბინდი ჯერ არ დამდგარა. იქნებ სხვა სიცივე შეუდგა ტანში?

მზე ნელ-ნელა იღვენთება დასავლეთში: „მზე მიიცვალა ღია თვალებით, მას გახელილი დარჩა თვალები"

...ღმერთო! ვის შეუძლია ძეხორციელს ენით გამოხატოს ჩამავალი მზის მელოდიარება, ღონემილეული მნათობის დაღალვა... თუ წამების წყნარი წარმავალობა?

ალბათ პოეტს, მხოლოდ პოეტს თუ ძალუძს ეს სასწაული! სხვას არავის!

ჩამავალი მზე და...

ზღვა!

მაგრამ... დაიცა! ზღვა ხომ უკვე აღარაა წინანდებურად საყვარელი და წმინდა? ზღვა ხომ შეილანძღა ადამიანთა უცოდველი სისხლით, თანამოძმეთა სისხლით? ჯერ გაგრაში დაიწყო...

ზღვის სანაპიროზე თუ მის ახლო-მახლო აკი ქართველთა მოჭრილი თავებით იბურთავეს კიდეც!...

მაშინ არ დაიჯერა ეს ამბავი. არ შეეძლო დაჯერება. ეს მის ძალ-ღონეს აღემატებოდა და... იმიტომ! არადა, ზღვა, შენი საყვარელი ზღვა იქცა გვამების სასაფლაოდ!

სად, სად გაექცევი ამ მწარე სინამდვილეს? სად, სად გაექცევი-მეთქი ამ უსაშველო, აუტანელ ტკივილს? სად დაემალები კაცთა მოდგმის ამ გაუგონარ, წარმოუდგენელ მხეცობას, ყველაფერს რომ წამლავს „ღრმა მწუხარების შხამით?"

ახლაც... ამ სულით ხორცამდე შემარყეველი რეალობის წინაშე დგახარ და დანისლული გონება უძლურია აღიქვას ის, რაც ხდება გრშემო. ცნობიერება ისევ ისე იძირება ღრმა, შავ უფსკრულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



... ცხვრის ფარასავით ერთად შეჯგუფებული, თავზარდაცემული, გაოგნებული ხალხიდან თითო-თითოდ გამოჰყავთ ადამიანები, ზღვისპირას (ისევ ზღვისპირა!), პატარა, მწვანე ხასხასა მდელოზე აყენებენ და... რიგრიგობით მიჯრით ცხრილავენ ავტომატებით.

წამით, უნებლიეთ უანგარიშოდ გონებაში დაითვალა, ცხრანი ყოფილან-თურმე - ორი ქალი და შვიდი მამაკაცი.

ღმერთო დიდებულო! ძველი დროის ბარბაროსების „წვრილმან ფორმალობებს“ - თვალის ახვევას, თავზე თუნდაც ტომრის ჩამოცმას - ვინღა დაგიდევთ! პირიქით, ერთმანეთს თვალდათვალ უნდა აყურებინონ სიკვდილის ზეიმი, განწირულთა უსასოობა, მათი არარად ქცევა...

მაშ, მიდით. მეტი სისასტიკე. მეტი ველურობაა საჭირო!

მაგრამ... თავად რად არის ასე „მშვიდად“? გული რად არ უკანკალებს (თუმც ხელფეხს ვერ იმორჩილებს მაინც!) ნუთუ იმიტომ, რომ შეეგუა საკუთარ სიკვდილს, იქ, საოპერაციო მაგიდაზე?.. ან მაშინ მოკვდა, მეუღლე რომ დაუხვრიტეს თითქმის თვალწინ? და... ველარ მიეშველა! ხმამაღლა, მოთქმით რომ ვერ იტირა მაშინაც, ჰაი-ჰარად რომ მიაბარეს მიწას, საკუთარ კარ-მიდამოში, გადარჩენილმა მეზობლებმა?

მაგრამ ნუთუ... ნუთუ შეეგუა სხვათა სიკვდილს?

- ო, არა... არა!

თვალებზე ხელს არ აიფარებს, არა! უნდა უყუროს, ბოლომდე უნდა უყუროს ამ საზარელ სურათს.

...ერთბაშად გაათავეთ, ნუღარ აყოვნებთ, თქვე უღმერთოებო! მორჩით. მალე მორჩით! დაუშინეთ ტყვიები მალე ამ გალეულ, საბრალო ქალსაც, უგონოს რომ მიათრევთ და რომელიც თურმე დამნაშავეა მხოლოდ იმიტომ, რომ... ქართველია!.. მაგრამ... ღმერთო ჩემო! ეს ხომ იყო, უკვე იყო მრავალგზის, ბატონებო - სისხლიან საუკუნეთა გრძელ გზასავალზე!

ოჰ, დაცხრილეთ-მეთქი ჩქარა და... მერე დატკბით. გაიხარეთ თქვენი ნამოქმედარით. მიდით. იხარხარეთ. გულიანად იხარხარეთ, რადგან... ესოდენ დიდ სიამეს განიჭებთ თურმე ყურება ადამიანის სადისტური ტანჯვაწვალების, რადგან გსიამოვნებთ მისი უწყალო, ულმობელი დასახიჩრება და, ამასთან, მასხრად აგდება. დამცირება. შეურაცხყოფა. სულში ჩაფურთხება!

აფერუმ, მეოცე საუკუნის ცივილიზაციის ნაშიერებო, გამოქვაბულის მცხოვრებთა ქურქში რომ გახვეულხართ!

...ავტომატების ჭაბმულ კაკანს ბილწი გინების კორიანტელი ეხმიანება!..

მარტოდა დარჩა.

ჩანს, ბოლოსთვის მოიტოვეს, რომ უკეთ წამებულიყო სულით და ხორცით!..

ღმერთო!..

მტრედი!.. საიდან? საიდან გაჩნდა აქ „ჩემი მტრედი?..“ რას დამტრიალებს თავზე ნეტავი? რას მეჩურჩულება?

„ჩემო მშვენიერო, ჩემო საყვარელო, გთხოვ, გამაგრდი!.. ამ ჯალათებს თვალი თვალში გაუყარე, მედიდურად, გამომწვევად. მათ არ ძალუძთ მოკვდინება შენი სულის!.. შორიდან შენი პაწია შვილიშვილი, ჯერ უნახავი შვილიშვილი ხომ შენი თვალებით გიღიმის და... გეალერსება. იგი გამხნევებს. ძალას გმატებს, სულის სიმებს სინაზით და სიყვარულით გირხევს და გათბობს. იგი ხომ შენი სისხლის და ხორცის ნაწილია, მასში იცოცხლებ. შენ შვილებში, შენს უბრალო, გულის ნაჟურ, წრფელ ლექსებშიც იცოცხლებ მარად ამ ქვეყანაზე. იცოცხლებ, ვით ამ ზღვისა და ცის მონათალი...“

...რაც მთავარია, შენ ჩემთანა ხარ, ჩემო თეთრო მეგობარო!.. შენ არ დამტოვე! შენ მიერთგულე ბოლო წუთამდე, განსხვავებით ზოგ-ზოგისგან... მაგრამ ღმერთმა მიუტევოს ყოველ მათგანს, ღმერთმა შეუნდოს!.. ხოლო მე...

ჩამავალი მზის სილამაზეც მეყოფა საგზლად საიმქვეყნიოდ!“

...სროლის ხმაზე მტრედმა ერთი შეიფრთხიალა, შემდეგ ადამიანთა გვამებით მოფენილ სასაკლაოს წამისწამში გადაუფრინა და... უკაბადონო ცის სილურჯეში გაქრა.

ან... ეგებ არც გამოჩენილა? ეგებ... განწირულის წარმოსახვას ჩვენებასავით მოევლინა იგი?

ვინ იცის!..

ბინდი ჩამოწვა. ერთბაშად თითქოს შავი მანდილი გადაეფარა არე-მარეს, რომ დაეფარა ბოროტების სისხლიანი ნაკვალევი უცხო მზერისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლია ბედოშვილი

## ქართველი პანკი

ოცი წლის გიორგის
სამშობლო არა აქვს,
არ უნდა სახელი და ძეგლი,
მქონიარეთა ქონიან მარაქას
ირეკლავს სიცივის ქერცლით...
ოცი წლის გიორგის
ოცნება მოუკლეს,
ოცი წლის გიორგი
გაურბის სანათლოს,
ამოვა მთვარე და
ხორკლებს ამოჰყრის,
ლანდები მართავენ
მარათონს...
ცოცხალი მკვდრებით
სავსეა ქალაქი,
ლეშის სუნია,
სულების ხრჩოლვა,
რეკლამა ფერადობს
„ვირტუოზ დალაქის“
მეძავი გვიღიმის
მორცხვად...
ორშაბათობით
ქვეყნის პრეზიდენტი
გვჩუქნის
ჰოლივუდის ამილს,
მერე მკერდმაღალი
სინდი კროუფორდი
გვაშტერებს
შეხსნილი ღილით...
ოცი წლის გიორგი
არ არის დისიდენტი,
უყვარს ჰარდროკი
და ქანთრი,
ფეხებზე კიდია
ქართლის მძიმე ხვედრი,
უიმედობით აცრილს...
ცოცხალი მკვდრებით
სავსეა ქალაქი,
ლეშის სუნია,
სულების ხრჩოლვა,
კარგი ტონია
უმი სალათი,
და სექსუალური ლტოლვა...
მღერის გიორგი და
გაურბის სანათლოს,
ლაპლაპებს
სიცივის ქერცლი,
ხანდახან ენატრება
პური და სალამი,
და ნაიარევი
ღ მ ე რ თ ი!

* * *

პატარა კაფეში სიმყუდროვე
ვერდანახვის და მარტოობის
ტილოს მაგონებს...
ალბათ ლოტრეკის ტილოს მაგონებს,
ერთადერთობის საიმედო ტილოს მაგონებს,
გამოვექეცი ნიღბებს, სალონებს,
მხატვრის ნაღვლიან ტილოს მაგონებს
ჭიქა არაყი და სიმარტოვე...
ისევ იქნება უცაბედი ლანდი-გრაცია
და მივაფურთხებ წუთისოფლის
წესს და გაზონებს,
სადაც უკანალს ვნება აცვია
და კუნძულისკენ მიდის მანონი...
ცისთვის არ იცი ვინ რა კაცია,
სიგიჟის ბუღში არა სჩანს ფონი
და ლექსი არის დარტყმა ცაციით,
ირონია და სიკვდილის ჰობი...
ჰო და თავად ვარ მარტოობა
და თავს მაგონებს
ლოტრეკის ტილო, კუზი და ვნება,
ვინ დაიჯერებს ლამაზ შანსონეტს
აწვალებს ჯვარი
და ათი მცნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

მოხველ უფალო,
მე ვარ ის მეასე,
ფარას რომ გავექეცი
და დაგეკარგე...
ჯერ მარტომ ბალახობა მოვისურვე,
მერე მზეს გავყევი დასავლისკენ,
მზეს გავყევ ცხელსა და ალერსიანს...
გზად ნისლიც ვნახე გასუდრული,
თქეშიც, მწვერვალთა ამპარტავნება,
უფსკრულების ამოშავება...
ლამაზი იყო ამბოხი გონის,
ჯიშსა და მსგავსში ერთადერთობა...
მარტოობა მოვიდა გვიან,
სინანულსაც დააგვიანდა,
მონატრებამ კი დაიკივლა
კართან საფლავის...
მოხველ უფალო?!
სალამი შენდა,
ამიტატე და მომეფერე
რბოლით დაქანცულს,
ვიცი, გიყვარვარ,
არც ძებნაში დაღლილხარ,
მჯერა, დაგიძახე და გაიგონე
ხავილი ჩემი...
ჭამონ ხორცი და ტყავი ჩემი
დაამარილონ,
მე გამოგყვები შენს სხივებში
სულგანაბული,
ცრემლი მდის,
მე ვარ ის მეასე
და დაკარგული,
მწყემსო კეთილო,
სალამი შენდა!

* * *

გურამ დოჩანაშვილს

როგორღაც გავთბი,
უფსკრულის პირას
დამშვიდდა სული,
ზეცა მეძახის...
უხერხულია, ბატონო გურამ,
ჩაძირულს ზურგის
უსურვოთ ქარი...
სიზიფე განა ლანდი და მითი,
ზოგჯერ ის არის მნათე და ზარი,
ყოველ მეძავში თვლემს სერაფიტი
და ლანცელოტის იღლება ხმალი...
ქუჩა და ქუჩა ვიცეკვო უნდა,
ვსვა და ვიმასხრო საკუთარ ბედზე,
რომ ვარ პოეტი და მატრაბაზი,
ვის სულშიც უკრავს
მაესტრო ვერდი...
გაუთლელია ლოდი საზიდი,
ვითომ შემთხვევით იცინის შარი,
ხომ შეიძლება, ბატონო გურამ,
უცნაურს ჰქონდეს თავშესაფარი...
ვაი, რომ გავთბი,
უფსკრულის პირას
დამშვიდდა სული,
ზეცა მეძახის...
სასაცილოა და თანაც ნავსი,
მზის ხვატში როცა
ანთია კვარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

არ შემიძლია თავის მართვა,
ვიღაცა ურჩი
გნიასობს ჩემში, ეხეთქება
სხეულის კედელს...
ქვეყნის ფუსფუსი,
ჩაფრენილი სიცოცხლეს ტუჩით,
სისხლსა მწოვს ხარბად,
ძალას მართმევს,
უძველეს ვედებს
მოოქრულ ყდაში სძინავთ,
ვებრძვი ბიწსა და წკვარამს,
ლექსები მოდის ხავილად, როშად,
არა არის რა ღვთისნიერი,
ყორნისფერ დალალს
ნიავი ჩაშლის ცხედრის თმად
და სიკვდილის დროშად...
და სიზმრის ნართში გახლართული
შევბლავლებ ქალაქს
„ვის გემეტებათ სიყვარულის
და სითბოს გროში!"

* * *

დავკარგე „შინა"
ვრბივარ...
მონადირეთ დასცეს
ყიჟინა...
აღარა ვღირვარ ჩირად,
ვინაც დამეწევა
იმისი ვარ...
აანთებს ცაზე
დაისი კვარს,
ბრძენ სიბნელეში შევალ,
ძონძებში ვჩრივარ,
უსისხლო ქარს
არც შია,
არცა სცივა,
ძვირფას ნივთისას
მოვგავარ ჯართს,
ანდა უთიბარ თივას,
მივაკვდი პატრონს
ცოცხალს და მკვდარს
ვაგინებ მზაკვარ იღბალს,
დავკარგე „შინა",
ვრბივარ,
მონადირეთ დასცეს ყიჟინა,
სიცოცხლე
არ ღირს ჩირად,
ვინც დანა ალესა
იმისი ვარ...



ნახატი აკოფ აკოფიანისა

# დადუნ თურქაძე



* * *

ვინ უწყის, როდის?
წლების იქით
თუ წლების შემდეგ
დაისადგურა იდუმალმა ოცნებამ შენში...
როგორ გინდოდა, რომ აგეგო თეთრი ქალაქი,
თეთრი ქალაქი, გარინდული მწვანე წვიმის ქვეშ.

თვალი წაშლიდა სიმაღლის ზღვარს ციდან და ცამდე
და ძვირფას ლანდებს,
მიუსაფართ და მტვერწაყრილებს,
დიდი სიფრთხილით ამოკრეფდი
მთვარის თითებით
და მიუჩენდი ციურ აკლდამებს.

როგორ გინდოდა, რომ გქონოდა თეთრი ქალაქი,
თეთრი ქალაქი, სულის მშვიდი გილიოტინა,
ზაფხულის ღამით ნაწამები ფიქრთა სავანე,
თეთრი ქალაქი, გამართლება ხვალის არსობის.

და თუ მიმწუხრზე მოცახცახე პალმების ფრესკებს
დაეცემოდა ხომალდების მაღალი ჩრდილი,
შენ ძე ხორციელთ დაუწნავდი გულისგან ბაგირს,
შეიწყნარებდი როგორც ცოდვილთ,
ისე უცოდველთ.
დააპურებდი, გაათბობდი ქალით და მიწით
და გაბრუებულთ ღვინითა და მზისფერი თმებით
დაუბრუნებდი, რაც წაართვა კაცმა თუ ბედმა!

და მერე გვიან, დაქანცული და კმაყოფილი,
შენ შეაწყვეტდი ძვირფას ყვავილს ცას ლაჟვარდოვანს
და სათნოებით დაჰკიდებდი ქალაქის თავზე...

## კითხვები

ჩემო ხელმწიფევ, როგორც თქვენ ბრძანებთ,
სული ჩვენივე ცოდვით ღონდება,
კეთილი, მაგრამ ამ სულსაც მწარედ
რატომ ემჩნევა ხშირად გოდება?

იქნებ გარდასულ ჟამთა სახსოვრად
შემორჩა მტვერი, როგორც ზმანება?
კეთილი, მაგრამ ეს მწარე ოხვრა
რად ისმის ხშირად დახშულ კარებთან?!

იქნებ დაღლილი ტანჯვით და ვნებით
გრძნობას ინელებს მწვანე მირაჟით?
კეთილი, მაგრამ პიტალო ფრთები
რატომ იმსხვრევა ხშირად სილაში?!

იქნებ აშინებს, როგორც სიზმარში,
შავი ლანდები ცეცხლის და ყულფის?
კეთილი, მაგრამ უავდრო დარში
რად დანისლულა თვალები უფლის?!

იქნებ ის ტახტიც, რომ ჩრდილავს მზესაც,
მოქარგულია მხოლოდ მითებით?
კეთილი, მაგრამ მკაცრ პინას დღესაც
რატომ ატყვია კვალი თითების?!

ჩემო ხელმწიფევ, ვარ მოხიბლული
თქვენი უებრო მჭევრმეტყველებით,
კეთილი, მაგრამ რად კვდება გული,
როცა თბილი გაქვს ისევ ხელები?!

* * *

მოაჩუქურთმებს მიდამოს მწვანედ
და გაზაფხულიც მიიწურება,
ცაზე დაკიდებს ცრემლიან თვალებს,
თითქოს წყდება ეს გული ბუნებას!

გაუფერულდა ჩანჩქერის მზერა
კლდიდან ეშვება ჩუმი გოდებით,
თითქოს ამოსდის სევდის სიმღერა
ბობოქარ სულთან დამშვიდობების.

ნისლში ეხვევა ფიქრთა ჯავარი
და ღამეებსაც რული ედება,
დასრულდა კიდევ ერთი ზღაპარი -
იდუმალ ძალთა შემოქმედება.

ქრიზანთემების მწველი რიალი
აღარ ათრთოლებს შენზე ოცნებას,
ჩნდება ზმანება ალიგიერის
და სული ელის სხვა საოცრებას!

* * *

ჰანგებში იძირება კაფე აღმოსავლური,
ოვალურ ბორბლებზე ტყდებიან თვალები,
ღვინომ გააღვიძა ვნებები ფარული
და ვეღარ იფარავს ფარჩა და ლალები.

მე ვზივარ ჩემთვის, ფიქრებდაფანტული,
თრთიან და ამხელენ სურვილებს მუხლები,
მომწყურდა შენი ღიმილის ნაკადული,
ჯერ აუმღვრეველი და თვალშეუხები!

რა ვქნა, რომ ეს ღამეც
უშენოდ ჩაიარს...
ბოდვები დამთავრდება, სიზმრები იწყება...
და ურა კვიცი - თავდავიწყება,
როკვით შემოჰყავს ომარ ხაიამს!



ნახატი ვაღარშაკ ელიბეკიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გივი სიხარულიძე

## ჩემი ოცნების ხე

საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველაზე ერთი ნუშის ხე დგას, გაზაფხულზე ისე აფეთქდება და ამ განადგურებულ პროსპექტს ისე ააელვარებს ხოლმე, თითქოს კაცი ჯოჯოხეთიდან სამოთხეში მოხვდიო. მას ჩემი ოცნების ხე შევარქვი. თუკი გაზაფხულზე საბურთალოზე მოვხვდებოდი, აუცილებლად ამ ადგილას გავივლიდი, რათა კიდევ ერთხელ დავმტკბარიყავი მისი საოცრებით.

ახალგაზრდობაში გაზაფხული სიცოცხლეს მჩუქნიდა, ხოლო როცა ხანში შევედი, ჩემში მისადმი შიშმა დაისადგურა, რადგან ჩემი თაობის უამრავი სიცოცხლე გაუყენა იმ გზას, რომელიც მთელი ცხოვრება გვაჩვევს თავს. თითქოს სასაცილოდ ქცეულა შენს ცხოვრებაში მისი არსი, იმდენად შორს არის იგი შენი ფიქრებიდან, მაგრამ როცა თავს გაგახსენებს, მაშინვე მიხვდები მწარე სინამდვილეს, კაცთა მოდგმას გაჩენის დღიდან თან რომ დასდევს.

როგორ ჰგავდა გაზაფხულზე აფეთქებული ნუშის ხე ჩვენს ახალგაზრდობას! ზამთარში კი საშინელ სიბერეს! ჰოდა, სწორედ ზამთრის ერთ სუსხიან დღეს გავიარე ამ ქუჩაზე. როგორც კი ჩემს ნაცნობ ადგილს მივუახლოვდი, ნუშის ხეს შევხედე, რომლის ერთ მხარეს ტოტებზე საიდანღაც ჩამოვარდნილი შავი ნაჭერი ფრიალებდა. რატომღაც ავისმომასწავებლად მენიშნა, ცუდ ხასიათზე დავდექი, მერე კი ჩემს აკვიატებაზე ჩამეცინა და გზა გავაგრძელე. საოცარი ის იყო, რომ ზამთრის ძლიერმა ქარებმა ამ ქუჩაზე სახურავებიც კი ახადა სახლებს, მაგრამ ნაჭერს ვერაფერი დააკლო. როგორც ყველა ისე მეც ველოდებოდი ზამთრის სუსხის გასვლას, და აი, ნანატრი დღეც. მე მანქანით ჩემთვის ნაცნობ ნუშის ხეს მივუახლოვდი, რომლის ცალი გვერდი ყვავილებით გადაპენტილიყო, ხოლო იმ მხარეს, რომელზეც შავი ნაჭერი იყო შემოხვეული, სიცოცხლის ნაპერწკალი ჩამქრალიყო და გარდაცვლილი ტოტები საცოდავად გამოიყურებოდნენ. იქნებ ეს ნაჭერი მათდამი მიძღვნილი სამძიმრის სიმბოლო იყო, ხოლო ზამთარი - გრძელი პანაშვიდი...

## ნახვამდის, ანუკ!

ღამის ორი საათია. თბილისის აეროპორტში კანტიკუნტად მოჩანან მგზავრები, ზოგი გაფრენის მოლოდინში სავარძელში ყვინთავს. ვიღაც ნახევრადმძინარე, უაზრო თვალებით აეროვაგზლის ჯიხურში შეძენილ ჟურნალს ფურცლავს. გამცილებლებს თავი მოუყრიათ ერთ კუთხეში, საიდანაც გახსნილი შამპანურის ბათქა-ბუთქი ისმის.

– აბა, შენ იცი, როგორ ააწყობ ცხოვრებას! ხუმრობა ხომ არ არის, ამერიკელი ქალი ხდები. - ეუბნება სადღეგრძელოს სახელდახელოდ არჩეული თამადა.

– გმადლობთ, ღმერთმა დაგლოცოთ! - პასუხობს ქალის ხმა.

ძალაუნებურად მზერა მის სახეზე გადავიტანე, ჩემს წინაშე იდგა სათვალიანი, ორმოც წელს გადაცილებული ქალი, თავისი ცამეტიოდე წლის ბიჭუნასთან ერთად. გამცილებლებიდან ვიღაც ენამოსწრებულ ტიპს აშკარად ეტყობა, ცდილობს, ქალს ასიამოვნოს, იქ მყოფთ ისეთ ამბებს უყვება, რომ სიცილისაგან იფხრიწებიან. ქალიც იცინის. მაგრამ ვამჩნევ, მის თვალებში დიდ სევდას დაუსადგურებია. შიგადაშიგ გვერდით მდგომ კაცს რაღაცას ეჩურჩულება, შემდეგ თავის ვაჟკაცს სიყვარულით საყელოს უსწორებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეუბნება:

- ვიცი, მამასთან განშორება გიმძიმს, ღმერთის წყალობით ექვს თვეში ისიც ჩამოვა, ხომ იცი, ბინის გაყიდვა რა ძნელია.

მამაკაცი ბიჭს მიუტრიალდა:

- აბა, შენ იცი, დედას როგორ მოუვლი! უკვე ვაჟკაცი ხარ! შენი იმედით ვუშვებ.

ესა თქვა და თვალზე ცრემლი მოადგა, მერე შვილი ძლიერად ჩაიკრა გულში, ერთი ხელი კი ცოლს გადახვია, თითქოს ორი პოლუსი შუაში მდგარმა უფრო შეაკავშირა.

- ანუკჯან, ესქუ ცავატანემ, ჯანიკჯან! - გაისმა ხანში შესული არისტოკრატი ქალის ხმა, რმელსაც ეტყობოდა სომეხი იყო. - Ты -же знаешь в Лос-Анджелесе адрес нашего Гарика, обязательно позвони к ним!

- да, мама, позвоню! - ჩაილაპარაკა ქალმა და ქმარს მიუბრუნდა. ცხადია, უჭირდა მისი დატოვება. მათ დამოკიდებულებაში დავიჭირე ის ოჯახური იდილია, რომლითაც გამოირჩევა სხვა ერებიდან კავკასიელი ხალხი.

თვითმფრინავში ჩასხდომა რომ გამოაცხადეს, ქალს მიუახლოვდა ხანში შესული დარბაისელი მამაკაცი, რომლის ცხოვრებისაგან გადაღლილი, დანაოჭებული სახე სიმწრის ცრემლებს დაენამა. თუმცა ეტყობოდა, ბოღმით იყო სავსე, მაინც ალერსიანად მიმართა მას:

- ჩემო ანუკ, შენ იცი, როგორ ყოჩაღად იქნები! გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ შენი იქ გამშვები ვინ იყო! თავს გაუფრთხილდი, მართალია, ქართველებს ამერიკაში ნათესავები არა გვყავს, მაგრამ იქნება დედაშენის ახლობლები გამოგადგნენ რამეში!

მერე შვილიშვილს ჩაეხუტა და თან დასძინა:

- ქართული არ დაივიწყო, ბიჭო! გახსოვდეს, ვისი ჯიშისა ხარ! შენი იმედი მაქვს, იცოდე!

ბიჭი ბაბუას მაგრად ჩაეკრა, მერე მამას აეწება და ისე, რომ არაფერი უთქვამს, მოწყდა ადგილიდან, რადგან იცოდა, სხვა გზა არ გააჩნდა და დედასთან ერთად გასასვლელისაკენ დაიძრა.

- ეჰ, გავიფიქრე მე, - შევარცხვინე ჩვენი დღევანდელი ყოფა! - ვიცოდი, რომ ეს არც პირველი ოჯახი იყო და არც უკანასკნელი, რომელიც სამშობლოს ტოვებდა. თუმცა მათი სული და გონება რჩებოდა, ხოლო ხორცის ნაგლეჯი მიფრინავდა შორეულ ქვეყანაში და ღმერთის გარდა არავინ იცოდა, რა ბედს გაინაწილებდნენ ისინი. რას იზამ, საუბედუროდ, ასეთია მცირე ერების ხვედრი.

რადგან მეც ერთი თვით მივლინებით ამერიკაში მივფრინავდი, სავარძლიდან წამოვდექი და გასასვლელისკენ ავიღე გეზი, თვითმფრინავი, რომელშიც ათიოდე მგზავრი იჯდა, ასრულებდა რეისს: თბილისი-ერევანი-პარიზი-ლოს ანჟელესი. წინ დამქანცველი გზა გველოდა.

ჩემი ადგილი ქალბატონის გვერდით აღმოჩნდა. მოკრძალებით მივესალმე მას, მერე ბიჭუნას კამფეტებით გავუმასპინძლდი და ჩვენს ფიქრებში ჩაძირულნი ისე ჩავფრინდით ერევანში, არც ერთს სიტყვა არ დაგვიძრავს.

ოთხი საათი იყო შუალედი რეისებს შორის. როცა ტრანზიტი გავაფორმეთ, იქვე სავარძლებში მოვიკალათეთ. ქალმა ზრდილობიანად სახელი მკითხა.

- გიორგი, - ვუპასუხე მე. - თქვენ?

- ანუკი. - მომიგო მან. - დიდი ხნით მიბრძანდებით ამერიკაში?

არა, მივლინებით მივდივარ!

ბედნიერი ყოფილხართ, აბა, ჩვენ როდის მოგვიწევს დაბრუნება, უფალმა იცის!

ესა თქვა და ჩანთიდან რაღაცა ამოიღო, მერე მე გადმომხედა და ათრთოლებული ხმით მომმართა:

- დღეს სასაცილოა, მაგრამ ქართული მიწა ისე, რომ ჩემიანებმა არ იციან, მაინც წამოვიღე.

- როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, - ვუთხარი მე - სულ ცოტა ხანში თქვენ უკან დაბრუნდებით!

- რაღაც ეჭვი მეპარება... - ნაღვლიანად მიპასუხა მან.

- ბოდიში მოვიხდი, რა პროფესიის ბრძანდებით?

- ლინგვისტი. - მიპასუხა მან და შემდეგ დასძინა:

- საბჭოთა ეპოქაში უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი და ვამაყობდი ამით, ახლა კი ისე გაგვიჭირდა, ერთადერთი გამოსავალი ჯერჯერობით ეს არის. ჩემმა ნაცნობმა ამერიკელმა ქალმა მოწვევა გამომიგზავნა, თან შემპირდა ბინაზე ჩემთან გაჩერდებიო. მეყვავილედ მომაწყო ერთ-ერთ მაღაზიაში, 1500 დოლარი მექნება გასამრჯელო,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მერე კი, თუ საქმე კარგად წავიდა, უფლის ძალით იქნებ ჩემმა ქმარმაც, რომელიც პროფესიით ექიმია, მოახერხოს ჩამოსვლა. იქნებ ექიმის თანაშემწედ მაინც აიყვანონ რომელიმე კლინიკაში. სანამ მოწვევის ვადა გაგვივა, თუ სამუშაოს უფლება ვერ ავიღეთ, არალეგალურად მოგვიწევს დარჩენა...

– არა გრცხვენიათ, რა გული გაგიტეხიათ! აი, ნახავთ, ყველაფერი არაჩვეულებრივად აგეწყობათ! – ლაპარაკი გავაწყვეტინე მე.

– თქვენს პირს შაქარი. – ჩაილაპარაკა მან, სიკეთით სავსე თვალებით შემომხედა და დაამატა:

– მე მამით ქართველი, დედით კი სომეხი ვარ.

მასთან გასაუბრების შემდეგ ერთი უცნაური აზრი ამეკვიატა: რაღა ერევნის გავლით ერგო ამ ქალბატონს ბილეთი?! ალბათ ესეც ბედისწერაა. საქართველოს ტოვებდა ორი ეროვნების შვილი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ დედისეული სომხური წარმოშობით ამაყობდა, მაგრამ გაჭირვების ჟამს სათუთად შენახული ქართული მიწა მიჰქონდა თან, თვითონ არ ვიცი რა ძალამ წამომაგდო ადგილიდან, რამდენიმე წუთი დაბნეულმა უაზროდ დავიწყე ბოლთის ცემა, მერე ერთბაშად რაღაც აზრი მომივიდა თავში, ჯიბიდან პატარა დასაკეცი დანა ამოვიღე და გაზონებს გადავევლე... მუხლებზე დაჩოქილმა, რაღაც ამოუცნობი სიწმინდით, საჩქაროდ დავიწყე მიწის ჩიჩქნა, ცხვირსახოცში გავახვიე, მგზავრების სალონში დავბრუნდი და სიტყვის უთქმელად სავარძელში ჩავჯექი.



ნახატი ალო ალოიანისა

– გასაფრენად მოემზადეთ! – გვაუწყა „სტიუარდესამ“.

რამდენიმე წუთში ჩვენი ლაინერი უკვე შორეული ქვეყნისკენ მიაპობდა ზეცას.

– ჩემო ანუკ! – მოწიწებით შევკადრე მანდილოსანს – არ ვიცი, რა მომივიდა, მაგრამ ეს ალბათ განგების ძალამ ჩამაგდებინა სომხურ მიწაზე! – სიტყვა არ დამემთავრებინა, ცხვირსახოცში გახვეული მიწა მივაწოდე. შეკვრა უხმოდ ჩამომართვა, ხელი მოჰკიდა თუ არა, მაშინვე მიხვდა რაც იყო, თავისი სევდიანი, ჭკვიანი თვალებით შემომხედა, ცხვირსახოცი გახსნა, რამდენიმე წამი მიწას დააკვირდა, შემდეგ თავისი ქართული მიწის შეკვრა ამოიღო, რადგანაც ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა, გამიხსენითო, მთხოვა, მერე ეს ორი წმინდა მიწა ნაზად ერთმანეთში აურია, ერთ ხილაბანდში გადაიტანა, მე მადლიერების გრძნობით ხელი ხელზე მომიჭირა, ჩემს გულში ხომ არ იჯექითო, მითხრა და დაამატა:

– ამ ორი მიწის ცალცალკე წაღება ისევე არ ივარგებს, როგორც ჩვენი ერების დაცალკევება.

ესა თქვა, ხილაბანდს ემბორა და დარდის მორევში ჩაიძირა... მონუსხული იყურებოდა უსასრულობაში ისე, რომ რამდენიმე საათი არც კი განძრეულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათელა ხარაიშვილი



„უძლიერესო მეუფეო, გამგებელო ამა ქვეყნისა! სასოებით თავს მოვიდრეკ და გთხოვ, მიწყალობე ნიჭი და გამბედაობა, რათა შევძლო სულიერო განცდების ქაღალდზე გადმოტანა და მკითხველის გულამდე ხმის მიწვდენა“ - თხუთმეტი წელია ამ ლოცვა-ვედრებით იწყება ლოგინსმიჯაჭვული ნათელა ხარაიშვილის ყოველი დღე. ჭირთათმენისა და მხნეობის მისეული ნიჭი მისაბაძია ბევრი ჯანმრთელი ადამიანისთვის - თავად განსაჯეთ:

თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ერთი გულისხმიერი ლექტორის წერილობით მიცემული დავალებებით ისე შეისწავლა გერმანული ენა, რომ მისი მომზადებული აბიტურიენტები დღეს სტუდენტები არიან. თქვენ წარმოიდგინეთ, გოეთეს ლირიკის ზოგიერთ ნიმუშსაც შებედა და, როგორც ამბობენ, არცთუ ურიგოდ...

ქალბატონო ნათელა, ღმერთმა არ მოგაკლოთ გაძლების ნიჭი და მომავლის იმედი...

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

## მეწამული აპრილი

მოთქარუნობს თეთრი რაში,
რაში ფაფარაყრილი,
და განთიადს ელოდება
მეწამული აპრილი.
ვარდისფერებს შელევია
მდუმარე მზის ნათელი,
ცას ღრუბელი შერევია,
ჩუმად იწვის სანთელი.
და ნელ-ნელა იღვენთება
გარეთ ღამენათევი,
ღმერთს მოუხმობს განთიადზე
სული მხამში ნათრევი.

* * *

აქ სასომხეთის ცრემლები მაწვიმს,
მოვდივარ ჩემი ტკივილიანა.
აჭარისა და სვანეთის მთები.
მოუშუშებელ მრჩება იარად.
პირსისხლიანი აპრილის დილა
მთელ ჩემს ცხოვრებას გაჰყვება გვერდში,
დედა-თბილისში ნასროლი ტყვია
უკლებლივ ყველას მოგვარტყეს მკერდში.
და იმ უმწეო ქალთა და ბავშვთა
სისხლით მორწყული ჩვენი ქუჩები,
ძარღვებში მიდუღს წამებულთ სისხლი,
ავფეთქდები და ისევ ვყუჩდები...
უნდა გავფრთხილდეთ, რომ არა ნგრევით,
არა სისხლისღვრით, არა ომებით,
თავისუფლების მოპოვებისთვის
მხოლოდ ჭკუით და მხოლოდ გონებით.

## მე ის საქართველო მიყვარს

მე ის საქართველო მიყვარს,
სადაც ტკივილია ერთი.
სადაც სიყვარული მეფობს,
სადაც მთავარია ღმერთი

მე ის საქართველო მიყვარს,
დღესაც რომ გულწრფელად იბრძვის.
მომავლის დროშასაც ფერავს,
წარსულის ფასიც რომ იცის.

სიბრძნით შემართული მუდამ
ბოროტთან, სისხლის მსმელთან.
მუხლზე დაჩოქილი მიყვარს
მტერთან კი არა და - ღმერთთან!

# გიორგი მეტრეველი

## ვერა ვთქვი



როგორც მინდოდა, ვერა ვთქვი, თუმცა ვეცადე ძალიან,
უფალმა იცის: რაც ვერ ვთქვი, სულ ამ ღრუბლების ბრალია!

მათ გზას გავყურებ მოწყენით, დილა არის თუ ბინდია,
მინდა, რომ ხევ-ხევ იარონ, ისინი სხვა გზით მიდიან!

## ნუ იტყვის

რა გინდა ბილწი და ბოროტი ქარები ქროდეს.
გამწარებული და ღატაკი ცხოვრება გვქონდეს.
ნურავინ იტყვის, რომ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობდეს!

ბედნიერი ვარ მაშინაც კი, როცა მდის ცრემლი,
მაშინაც, როცა გარდაუვალ განსაცდელს ველი,
რადგანაც ვიცი - უფალს ჩემი უპყრია ხელი!..

## მეგობრებს

*იაგო მეტრეველს*

დრო აღარ არის, დრო აღარ არის,
რომ მეგობრები ახალი ვძებნო...
თქვენთან ვიქნები ცოცხალიც, მკვდარიც,
ჩემო ლამაზო, ამაყო ძმებო!

თუ გინახივართ ვინმეს ორპირი
ან მატრაბაზი, ცრუ და მლიქვნელი?..
თუნდაც დამადონ ასი ბორკილი,
მე მაინც თქვენთან ერთად ვიქნები!

ვინც მისმენს, ჩემგან ათასჯერ თქმულა,
ახლაც იმასვე ვყვირი და ვმღერი;
ძმობა გსურთ?! - მოდით, დაგხვდებით ძმურად!
მტრობა გინდათ და - აგერ ვარ მტერი!..

დრო აღარ არის... დრო აღარ არის,
რომ მეგობრები ახალი ვძებნო,
თქვენთან ვიქნები ცოცხალიც, მკვდარიც,
ჩემო ლამაზო, ამაყო ძმებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## შენი ბედი

გქონდა უფლის სახსოვარი თეთრი ქურქი, თეთრი პლედი,
დაცურავდი რუსთაველზე, როგორც ტბაში თეთრი გედი.
მაგრამ მაინც საღათას ძილს მისცემოდა შენი ბედი!

თითქოს არვინ არ გამჩნევდა, თითქოს არვის არ უყვარდი,
თითქოს არვის აწუხებდა შენზე ფიქრი, შენზე დარდი,
თუმცა თეთრად მოქათქათე ზღვიდან მოსულ ნიმფას ჰგავდი!..

კვლავ გაქვს უფლის სახსოვარი თეთრი ქურქი, თეთრი პლედი
და დადიხარ რუსთაველზე მიუწვდომი ქალი - ლედი
ყელყელაობ ამ ლიანგში, როგორც ტბაში თეთრი გედი!

## მაშინ

მაშინ მობრძანდი, სიკვდილო,
როცა გავცდები სამანებს,
როს აღარ მეპიტნავება
ამქვეყნიური სავანე
და ყველას, ვისაც ვუყვარვარ,
გაათხრევინე სამარე!

## აგვისტოს დღე

გალაღებული გავცქერი მდელოს
ქრის სიო ნელი...
სულ მარტოდმარტო მოფრინავს წერო,
სამყურა მღერის!

ტკბილად ქღურტულებს ნიბლია ჩიტი
ტოტებში პანტის...
დახუნძლულია ნაყოფით შინდი,
ბობოქრობს ხვატი!

## მზის ამოსვლისას

მზის ამოსვლისას ალვებთან
ბულბული ლაღად მღეროდა,
ცვარი წვეთ-წვეთად დიოდა
გასხლილი ვაზის ღეროდან

მზიანი დარის დადგომა
პეპელას გულით სჯეროდა,
მოხტოდა ჭრიჭინობელა
ნამნაპკურები ჩეროდან!

მტრედის ღუღუნი ისმოდა
ამწვანებული მდელოდან...

## გადავეხვიოთ ერთმანეთს, ძმებო

უკვე დავადე სევდას ურდული
და სიხარულით მოვედი თქვენთან,
არა მჭირდება ახლა ჩურჩული,
ხმამაღლა გეტყვით, რაც უნდა მეთქვა!

ისევ ძმობით და ისევ ერთობით
გავთელოთ მტერი გულშემზარავი,
სხვის აზრს და სიტყვას ნულარ ვენდობით...
საქართველოა ახლა მთავარი!

ყური მივუგდოთ ჩვენს დიდ წინაპარს:
საქართველოსი ხომ ვართ შვილები,
სხვა უკეთესი, აბა, ვინა გვყავს,
ჩვენს მამულს თუ არ შევეწირებით?!

ყველამ სითბო და ალერსი ვძებნოთ
და გავუწოდოთ ერთურთს მარჯვენა,
გადავეხვიოთ ერთმანეთს, ძმებო,
ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაია წულაია

## დაიძინე, ჩემო ბიჭუნა!

– ო, ბარა, ნათელა!

– შენდა მაკლდი...

ქალმა ხელები წინსაფარზე შეიხოცა, კარი გააღო და ეზოში გაიხედა. ბინდდებოდა, გაზაფხულის ნიავი ქროდა. საიდანღაც ისმოდა ძროხის ზანტი ბღავილი.

ეზოში გამოჩნდა მაღალი, წვერმოშვებული გამოჩნდა, რომელიც უზარმაზარი ტყავის ჩექმების ტალახში ჭყაპუნით სახლისკენ მიემართებოდა. ხელში პროდუქტებით გაძეძგილი უზარმაზარი ცელოფანის პარკი ეკავა.

წვეროსანმა ფეხების ბაკუნით შეაბიჯა ოთახში, კარი ხმაურით ჩაკეტა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

– როგორა ხარ, ნათელა?!

– წვეროსანი მაღალი იყო, სქელი; ერთი შეხედვით ოცდაათი წლისას ჰგავდა, მაგრამ ცისფერი თვალების გამოხედვა მის ჯერ კიდევ ბავშვურ ასაკს ამხელდა.

გოგოები სად არიან? – იკითხა და პარკის ამოლაგება დაიწყო.

– სძინავთ... – ძუნწად უპასუხა მასპინძელმა და თეფშების რეცხვა განაგრძო.

– მოდი, გავაღვიძოთ, გავერთოთ, – არ ცხრებოდა ახალგაზრდა კაცი.

ნათელამ შეშფოთებით შეხედა.

– კარგი, კარგი... ეძინოთ, მოესწრება.

მალე სუფრაც გაიწყო. ნათელა იჯდა დაუპატიჟებელი სტუმრის პირისპირ და უყურებდა, როგორ სვამდა იგი არაყს... თანდათანობით მზერა აემღვრა, სახე გაუწითლდა.

– შენ რატომ არ სვამ? – თითქოს ახლაღა გაახსენდაო, ნათელას მიუბრუნდა.

უკვე ძლივს ადგა ფეხზე, ქალისკენ მიიწია, არყის სუნი სახეში ჩააორთქლა.

– გრცხვენია მოგებულთან სმა, ჰო?

ნათელას სახის გაწევა უნდოდა, მაგრამ ღონიერმა ხელმა შეაჩერა – კაცმა ნიკაპში ჩაავლო თითები.

– თვალებში მიყურე, – წაისისინა, – და დაიმახსოვრე, მე უნდა მითხრა მადლობა, ჯერ კიდევ ცოცხალი რომ ხარ და, შენ და შენს პატარებს ხელის ხლებას ვერავინ გიბედავთ. რადაცით დედაჩემს მაგონებ და იმიტომ გექცევი ადამიანურად, თორემ დიდი ხანია გაგიშვებდით „დასამუშავებლად“.

ნათელა შეშინებული მისჩერებოდა თვალებში, ნიკაპი სტკიოდა. ცხელი სუნთქვა გულს ურევდა

– არ გჯერა ჩემი?

– ქალი დუმდა.

– დაგიმტკიცო?

ახალგაზრდამ ქალს ხელი ჰკრა და ბარბაცით გაემართა იმ ოთახისაკენ, სადაც ბავშვებს ეძინათ.

ქალის თვალებში შეშფოთება გაკრთა, კაცს წინ აესვეტა.

– გეშინია? – დაცინვით წარმოთქვა წვერებიანმა, – ეგრე, უნდა გეშინოდეთ ჩვენი, ყველანი ჩვენი მონები იქნებით, შემდგომ კი გაგანადგურებთ... შენ კი ლამაზი ხარ... – ეს სიტყვები რაღაცნაირად, ცხოველურად ჩაიჩურჩულა და მისმა თვალებმა უსიამოვნოდ იელვა.

ნათელა შეკრთა.

– ძალიან ლამაზი ხარ...

ნათელამ თეძოზე მთვრალის ცხელი ხელი იგრძნო, სცადა გათავისუფლებულიყო, მაგრამ მძლავრი ტორები არ უშვებდნენ. მამაკაცის წვერი ეხებოდა მის კისერს, ცხელი სუნთქვა ყურს უწვავდა. მთვრალმა მსხვერპლი ძველ ფარდაგგადაფარებულ ტახტისკენ წაათრია. ნათელა ეცადა, რამეს ჩასჭიდებოდა. ხელი მაგიდაზე რაღაც ცივს შეეხო... ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, ძალა მოიკრიბა და სტუმარს დანა მუცელში ჩაარტყა. ცხელმა სითხემ თითებზე იჩქეფა. მამაკაცი მოეშვა, მოიკუნტა. ხელები დასუსტდა და მსხვერპლი გაათავისუფლა. გაკვირვებამ გაიელვა მის ფართოდ გაღებულ თვალებში. იატაკზე დაეცა. ერთი-ორჯერ გაიბრძოლა და სამუდამოდ გაშეშდა.

ნათელა სკამზე ჩამოჯდა, ღრმად ამოისუნთქა. გაოფლიანებულ ხელში სტუმრის გასისხლიანებული დანა ეჭირა. ბავშვების ოთახიდან რაღაც ჩქამი მოისმა, ჩუმად ადგა, კართან, მივიდა და ფრთხილად შეიხედა. გოგონებს მშვიდად ეძინათ საწოლზე, ერთი თორმეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



წლის იყო, მეორე რვისა. ნათელამ ლამპა ჩააქრო, ფეხის წვერებზე მივიდა შემოსასვლელ კართან და გასაღები გადააბრუნა.

საათი მშვიდად წიკწიკებდა კედელზე, შორიდან მოისმა ტურის კივილი. გაზაფხულის ცივ ცაზე ძლივს მიბობღავდა სავსე მთვარე. მისი სხივები ფარდაში ატანდნენ და იატაკზე გაშხლართული კაცის სახეზე ეცემოდნენ. ნათელა ჩუმად აკვირდებოდა მას - გრძელი ხელები მუცელზე მიჭერილი დარჩენოდა, სახე დაწყნარებული და მშვიდი ჰქონდა. თითქოს სძინავსო.

ნათელა მკვდრისკენ დაიხარა და თავზე ხელი გადაუსვა. კაცს ისეთივე ნაზი და პრიალა თმა ჰქონდა, როგორც მის ბიჭუნას, მის შვილს - ხუთი წლის ირაკლის. გულმა მწარედ შემოჰკვნესა, ის შავი დღე დაუდგა თვალწინ, არაკაცებმა შვილი რომ მოუკლეს.

...მთელი სოფელი პანიკას შეეპყრო... - მტერი ჩუმად მოიწევდა. ყველა მდინარისკენ მიიჩქაროდა. ნათელა დაბნეული იყურებოდა ირგვლივ. თვალს ავლებდა თავის მშობლიურ სახლს, სადაც გაატარა ახალგაზრდობა, სადაც იყო ბედნიერი, ზრდიდა შვილებს, საიდანაც გაასვენა ქმარი. ცეცხლი მოუკიდოს?.. ცოდვაა. დატოვოს? - უპატრონოდ მიტოვებული სახლი კიდევ უფრო ცოდვაა.

ყოყმანში დრო გადიოდა. მეზობლები ტოვებდნენ სახლებს და გარბოდნენ.

„რას გვიზამენ? - ფიქრობდა ნათელა. - ცხოველებად ხომ არ ქცეულან, ადამიანები არიან. ცუდი რა გავუკეთეთ? ნუთუ არავის დაინდობენ?"

შეშინებული ბავშვები დედას ეკვროდნენ. პატარა ირაკლი დაჟინებით კითხულობდა:

- სად მირბის ...ლხი? რატომ ტირის? ჩვენ ხომ არ დაგვხოცავენ?

ამ გაუთავებელი კითხვებისგან ნათელას თავბრუ ესხმოდა, ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა სახეზე.

ეზოში სამხედროები გამოჩნდნენ, „მორჩა!.." გაიფიქრა ნათელამ.

ორი ბოევიკი სახლში შევიდა. ნათელა და ბავშვები გამოიყვანეს ეზოში და კედელთან მიაყენეს.

ერთი ისევ მიბრუნდა სახლში და ჩხრეკა დაიწყო, მეორე კი ნათელას და ბავშვებს დარაჯობდა. ხელები წითლად ჰქონდა მოთხვრილი, ირაკლი გაკვირვებით უყურებდა, შემდეგ კი შეეკითხა:

- ძია, ეს სისხლია?

„ბოევიკმა" ბრაზიანად შეხედა ბიჭუნას და წამოიძახა:

- ჰო, შენი თანამემამულეების სისხლია და ბევრი რომ არ ილაპარაკო, შენი სისხლის ფერსაც გავიგებ. აბა, გაირბინე! - ამ სიტყვებით ირაკლი ეზოს შუაგულში გაათრია, უკან დაიწია და ტყვიები ფეხებშუა გაუტარა. შეშინებული ბავშვი კივილით აწყდებოდა ეზოს კიდეებს. ყვირილზე სახლიდან გამოირბინა მეორე ბოევიკმა და მანაც სიცილით დაუშინა ტყვიები ცოცხალ „სამიზნეს"

ნათელა გაშეშდა, პირი გაუშრა, თვალთ დაუბნელდა.

ქანცმილეული ირაკლი ტალახში ჩავარდა.

- ადექი, ძაღლის ნაშიერო! - დრიალებდა გამხეცებული „ბოევიკი".

ირაკლის თავი ასწია და თვალებით დედა მოძებნა. ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა გაწითლებულ ლოყებზე. თმა ოფლისაგან დასველებოდა, კანკალებდა.

- დედა, მიშველე! - დაიყვირა უცებ, მაგრამ ავტომატის ჯერმა დაახშო მისი ხმა...

„აბრეშუმის თმა" - ნათელა იჯდა დაუპატიჟებელი სტუმრის გვამის გვერდით, - ასეთი რბილი, ნაზი. შენც იყავი ვიღაცის შვილი, შენც ვიღაცას უყვარდი, ვიღაცა გიმღეროდა ნანას, ახლა უკვე აღარ არსებობ, ველარავინ გნახავს და ვეღარც დაგელოდება..."

ქალის ისტერიკულმა სიცილმა ჩაახშო საათის მონოტონური ხმა. გაზაფხულის ქარი აწვალებდა მანდარინის ნაზ ფოთლებს. ნათელა იჯდა პატარა ირაკლის საფლავთან ეზოს ბოლოში, მანდარინის ხეების ძირას, ხელში წვრილი სანთელი ეჭირა და აკვირდებოდა პატარა, მოციმციმე ალს.

- ასე მოხდა ეს, ფიქრობდა თავისთვის, - იმ ღამეს სარდაფში დავმარხე. ეზოში არ შეიძლებოდა, შეამჩნევდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ მისი ძებნა დაიწყო. ყველას ეკითხებოდნენ, ჩემთანაც მოვიდნენ. რამდენიმე კაცი წაიყვანეს მძევლად. რამდენიმე სახლი დაწვეს, მაგრამ მე გაჩუმებული ვიყავი. აბა, რა მექნა?..

ნათელამ გაყინული თითები გადაუსვა საფლავს.

- იძინე, ჩემო ბიჭუნა. მე ყველაფერს ავიტან. ცოტაღა დარჩა. ამბობენ, მალე ჩვენები მოვლენო...

ნათელას ხმა აუთრთოლდა. მან თავი ასწია და იმედიანად გაიხედა შორს. ქარი სახეზე ელამუნებოდა. მანდარინის ტოტები შეირხა. მათი სურნელი ერწყმოდა შორეული ზღვის არომატს, ამშვიდებდა, ეფერებოდა.

- მალე, მალე, ყველაფერი დასრულდება, მალე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი ბითაძე

* * *

საით მიდიხარ ღრუბელო,
რად მოიჩქარი ასეო,
ამდენი ცოდვის დამნახავს
ცრემლი რად არ გდის თვალზეო.
შენ იქნებ სხვა სამშობლოც გაქვს,
მე - ერთი ქვეყანაზეო!

* * *

კადრი იცვლება კადრით და
ხმა კი გულს ჩამყვა ანდერძად,
ეს არის შენი სამშობლო,
შენთვის რომ შეჰქმნა განგებამ.
ღმერთო, რა განძი გვქონია,
მხარე ასეთი სად არი?
უკვდავი სულის გოდებით
კვნესის დაჭრილი ტაძარი.
თვალებზე ცრემლი მადგება
და შმორი მახრჩობს ჭაობის,
ცაზე ვარსკვლავი ვარდება
ამ მიწის საცოდაობით.

* * *

ამ მთის იქით რუსეთია,
იმ მთის იქით თურქეთი,
ვიღაცისთვის ნუგეშია,
ვიღაცისთვის სულ ერთი.

ბევრი იქაც წუმპეშია,
ბევრი თავის ბუდეში,
ყველა ზიარ ჭურჭელში ვართ -
ვიყურებით სულ ჭერში.

ამ ცხოვრებას ეს წესი აქვს,
იმ ცხოვრებას ის წესი,
ჩვენ თუ ჩვენით არ ვიცხოვრებთ,
ვერას ვპოვებთ სხვის ხელში.

* * *

მივცურავ გემით ზღვაში
მძიმე ტალღები ბარტყობს
ველარ ვეტევი კანში
მთელი არსებით გნატრობ.

ჩემო ლამაზო მთებო,
ჩემო ჭალავ და ბარო,
შენ თუ არ მეყვარები
სხვა, როგორ შევიყვარო.

* * *

სამოთხისათვის მადლობა,
ჩვენთვის რომ შეჰქმენ, უფალო,
ღვთიშობლის ხვედრი რომ არა,
დაიბრუნებდი უკანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შოთა აკობია

*ბატონი შოთა აკობია სოხუმში აღეს-რულა, გაუცხოებულ, გასხვისებულ, ქვა ქვაზე დაღუღებულ სოხუმში. მან გამოღწევა ვეღარ შეძლო, ჩარჩა იქ, სამხეცეში დიდებული ქართველი პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმ-ნელი, ჭეშმარიტი მოღვაწე და ინტელიგენტი, ჭარმაგი კაცი.*

*ბატონი შოთა ათეული წლის მანძილზე, აფხაზეთის ქართულ მწერლობას თავკა-*

## არ შეგრჩება

გაიხედე,
　　　კიდით-კიდე
ნანგრევია, ნალეწია...
საქართველოს ყველა მტერი
სიხარულით ცას ეწია.
გაიხედე,
　　　კიდით-კიდე
ნანგრევია, ნალეწია...
დრო წავიდა თამაშისა,
გართობისა, ზეიმისა...
გაიხედე,
　　　თოფის წამლით
ზეცა როგორ შეინისლა.
არ მეგონა,
　　　გმირთა მხარევ,
რომ ვერაფერს იღონებდი...
გლოვაა და ვის ჭირდება
ეს უბრალო სტრიქონები!
არ მეგონა,
　　　გმირთა მხარევ,
რომ ვერაფერს იღონებდი.
არ შეგრჩება,
　　　ჩრდილოეთო,
საქართველოს აცრემლება,
თუმცა ახლა მისი ბედი
დაიუფლეს გამცემებმა...
არ შეგრჩება,
　　　ჩრდილოეთო,
საქართველოს აცრემლება!

27. IV. 1995 წ.

## ვაების მომსწრე

ვაგლახის მომსწრე,
　ვაების მომსწრე,
კარგია, მაინც
　　რომ ვფიქრობ...
　　　რომ ვწერ!

რომ ვფიქრობ,
　　რომ ვწერ, -
ვივიწყებ ტკივილს...
სადღაც პატარა
　　იმედიც ღვივის.
თურმე წამალი
　　　ყოფილა ჯაფა,
　　　იმედი,
　　　　რწმენა
როცა სულს ღაფავს!
ვაგლახის მომსწრე,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაების მომსწრე,
კარგია, მაინც
რომ ვფიქრობ...
რომ ვწერ!

28. IX. 1995 წ.

## იმედი

დამძიმდა დღეები...
ცხოვრება დამძიმდა! -
იძახის დიდუბე,
იძახის მთაწმინდა...

*ცობდა, მთელი ცხოვრება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობასა და ძმობას ემსახურებოდა... რა მიიღო სანაცვლოდ? მშობლიური ქალაქის დაცემა, ნგრევა, ბოროტების ზეიმი... ასე გაუმწარდა პოეტს სიბერე, რაც მის ბოლოდროინდელ ყველა ლექსში ჩანს, თუმცა იმედიც ფეთქავს - არ გაიწირება საქართველო.*
*იმედია არც გავიწირებით.*

და თუმცა სამშობლოს
რა ელის,
ვინ იცის,
თუ რამე მაცოცხლებს,
იმედი თბილისის!
27.V. 1994 წ.

## გამეფდა ღამე

ბედო, მეგონა,
იდექი კართან...
ბედო, ქვეყანას
სიავე მართავს.
მითხარი, ბედო,
ამრიგად,
ასე,
როდის ჯაბნიდა
ტყუილი მართალს!
მითხარი, ბედო,
ერთი წლის წინათ
ვინ მოელოდა სიავეს წილად;
მითხარი, ბედო,
დედამიწაზე
ვინ აარხრეს
ოდესმე
ასე!
გამეფდა ღამე,
უკუნი ღამე...
თქვი,
საქართველოს
უშველის რამე?
ბედო, მეგონა,
იდექი კართან...
ბედო, ქვეყანას
სიავე მართავს.

20. XII. 1994 წ.

## გარშემო

მტრები
გარშემო
საქართველოს
მუდამ ეხვია...
მაგრამ არასდროს
ის ასე არ
დაუჩეხიათ!

## აჩენდა ომი

აჩენდა ომი სიავეს ულევს...
კვალად ტოვებდა დარდსა და წყლულებს
და იყო ცხადი, ყველაზე ცხადი, -
ომმა ძეკაცი ადარა ნადირს!..
ესეც ცხადია, უამრავ ბოროტს
ომმა ზედიზედ მოუღო ბოლო...
თურმე ოდესღაც წამოსცდათ ბერძნებს:
სიმართლე - ომის გარეშე ვერ ძლებს!..
ზოგჯერ ასეა, ომების მერე
ომების ამბებს უკუღმა წერენ
და, როცა რასტი შარას გაიგნებს,
ავტორთა ნაცვლად რცხვენიათ. წიგნებს
აჩენდა ომი სიავეს ულევს...
27. V. 1994 წ.

## გვნახეს თალხებში

ო, რა დღეშია საქართველო,
ო, რა დღეშია!
სისხლის თქეშია
კიდით-კიდე,
ცრემლის თქეშია,
არვინ აპირებს,
ივაჟკაცოს და ირაინდოს...
სხვა ვინ დაგვინდობს,
როს ქართველი
ქართველს არ ინდობს!
გვნახეს თალხებში...
სამძიმარი არავინ გვითხრა
მაინც
ვისი და
როდინდელი
წყევლა აგვიხდა!
1996 წ. 4.1.

## მდინარე ღალიძგა

ასეა,
როდესაც
ნიავი არ იძვრის,
იმ წუთში მაღლდება
გუგუნი ღალიძგის!
შორიდან მოსულო,
მდინარე იცანი?!
მისივე სახელი
ამტკიცებს,
ვინც არის!

8. IV. 1995 წ.

## ერეკლეს

ალბათ, საფლავში ქვითინებ მწარედ:
„ო, საქართველო ვის ჩავაბარე!..
რომ წამოდგომა შემეძლოს წამით,
სამგლოვიაროს ჩამოვკრავ ზარებს.
ჩავიცვამ შავებს,
ავიღებ ფარ-ხმალს,
ყიჟინას დავცემ აღვსილი რისხვით:
უსამართლობავ, ვეღარსად წახვალ!..
ვის შერჩენია ამდენი სისხლი!"

16. II. 1996 წ.

## ვინ იფიქრებდა

ეს რომ გველოდა,
ვინ იფიქრებდა...
ვაი, იმედი
როგორ მიქრება!
ბოლო მოელო
ღონეს ერთიანს...
სოხუმი
უკვე უცხოეთია!

17. X. 1994 წ.

## ვერაგი ქვეყანა

ვერაგი ქვეყანა
გვიმზადებს მწარე წილს,
რომ დავრჩეთ
ხვალისთვის
მთელიდან - ნალეწი.
მთა-ბარი
ქართველთა
ცხედრებით მოჰფინა...
ახლაღა გავიგეთ,
აი, ვინ ყოფილან!

16. VI. 1994 წ.

## ვინაა, სცანით

ვაი, ენგურის
გაღმა-გამოღმა,
როგორ მოზღვავდა
ჯავრი და ბოღმა.
ქამი იძახის:
- ვინაა,
სცანით,
აღჭურვილები
რუსული დანით!

17. IV. 1996 წ.

# ლიტერატურული სომხეთი

ჩვენ ჭაოხისა და ქართლოხის შთამომავალნი ვართ, ჩვენ ათასწლეულები გვერდიგვერდ ვცხოვრობთ, ვიბრძვით, ვშრომობთ... ჩვენ შევქმენით ჩვენი ისტორია, კულტურა, ლიტერატურა... დღეს ჩვენ თავიდან ვქმნით ჩვენს სახელმწიფოებს – ორი მეზობელი ერი იბრუნებს თავის ჭეშმარიტ სახეს... დღეს ჩვენ ერთმანეთი გვჭირდება, „როდესაც სტიქია ქვემოდან გვიტევს, ღმერთი ზემოდან, მტერი საპირისპირო მხრიდან გვებრძვის... ერთი სიტყვით, გარემოცული ვართ ოთხივე მხრიდან“, მაშინ ვალდებული ვართ, ერთმანეთს „მხარში ამოვუდგეთ, რწმენა შთავბეროთ და გავათბოთ“ (დ. ჰოვანესი), ეს კი სხვაზე უკეთ ლიტერატურას ხელეწიფება, ლიტერატურა ხომ ერის სულის გამომხატველია.

წელს ერევანში გამოვიდა მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალის „გარუნის“ საგანგებო ნომერი, სადაც ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული მწერლობის ნიმუშები. „გარუნმა“ დაგვასწრო, მეგობრობის ხელი გამოგვიწოდა.

ამჯერად „ცისკარი“ იხდის თავის მეგობრულ ვალს, ახლა „ცისკარი“ უთმობს თავის გვერდებს სომხური მწერლობის წარმომადგენლების პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს. რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ სრულყოფილად შევძელით მდიდარი სომხური ლიტერატურის წარმოჩენა, მაგრამ ის, რაც აქ არის წარმოდგენილი, გვაძლევს საშუალებას, ქართველ მკითხველს მიახლოებით მაინც დავანახოთ, რა ხდება დღევანდელ სომხურ ლიტერატურაში.

ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გრძელდება – „ცისკრის“ ეს ნომერიც ამის დასტურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარგო ღუკასიანი

## დედოფლის სახარების შვილი

ჩვეულება მაქვს - დროდადრო დავდივარ მესროპ მაშტოცის სახელობის მატენადარანში ჩვენი ძველი ხელნაწერების სანახავად. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ხელნაწერების შესახებ უნდა იწერებოდეს, ხალხმა უნდა იცოდეს თუ რა საგანძური აქვთ შექმნილი ჩვენს მწერლებს, ჩვენს ნიჭიერ მინიატურისტებს.

როდესაც ვეხები მე-10, მე-12 ან მე-13 საუკუნეების რომელიმე ხელნაწერს, მთელი გონებითა და არსებით იმ საუკუნეებში ვინაცვლებ და ვგრძნობ, რომ ჩვენ, თანამედროვენი, რაღაც უხილავი, მაგრამ მყარი ძაფებით ვართ დაკავშირებული წარსულთან, ჩვენს ისტორიასთან. ეს შეგრძნება უმენაესია და ვალდებულების აღმძვრელი. ეს არ არის ყოველდღიური გრძნობა, მას ადამიანი იშვიათად თუ განიცდის.

დღეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საინტერესო დღეა. მივემართები მატენადარანს, რათა ახლოს გავეცნო არა რომელიმე ცნობილ სომხურ ხელნაწერს, არამედ... ქართული ხელნაწერის ნიმუშს. რომელიც ჩვენი ქართველოლოგის, პროფესორ პარუირ მურადიანის სიტყვებით, ძალიან ღირებულია და კარგადაც არის შენახული.

* * *

ახლა კი იმის შესახებ მოგახსენებთ თუ როდის და ვისი წყალობით აღმოჩნდა ქართული ხელნაწერი ერევნის მაშტოცის სახელობის წიგნსაცავში.

ხელნაწერი დიდხანს იმყოფებოდა ეჩმიაძინის საკათოლიკოსოს წიგნსაცავში. დაცული იყო 127-ე ნომრით. სწორედ ეჩმიაძინში კათოლიკოს ვაზგენ პირველის კეთილი ნების წყალობით პროფესორი აბულაძე გაეცნო ხელნაწერს და დაასაბუთა მისი მსგავსება თამარ დედოფლის სახარებასთან. მოგვიანებით ხელნაწერის ხელოვნებათმცოდნეობით კვლევას შეუდგა ელენე მაჭავარიანი, ხოლო ყველაზე შრომატევადი სამუშაო წილად ხვდა პროფესორ ივანე იმნაიშვილს. მან შეუდარა ერთმანეთს დედნები. მასვე ეკუთვნის ამ სახარების გამოცემა.

სომეხთა უმენაესი კათოლიკოსი ვაზგენ პირველი ხელნაწერთა დიდი მცოდნე იყო. ის მაღალ შეფასებას აძლევდა პერგამენტულ მატიანეებს, მათ როლს განათლებისა და კულტურის განვითარების



საქმეში. ჩვენს წიგნსაცავში მიძღვნილ სომხურ ხელნაწერთა შორის არის ღვთისმშობლის სახარება (VII ს), სარგის პიწაკის მიერ მოხატული ხელნაწერი (XIV ს). თოროს როსლინის ხელნაწერი (XIII ს).

1979 წლის 12 დეკემბერს ვაზგენ პირველმა კვლავ მოინახულა წიგნსაცავი და მას ამჯერად საჩუქრად გადასცა გიორგი მთაწმინდელის სახარება.

გავეცნოთ მთაწმინდელის სახარების შესახებ მონაცემებს, რომელიც მატენადარანიდან არის მიღებული. № 165, 275 გვ. სახარება, ქართულ ენაზე შესრულებული. ზომა 29X23 სმ, პერგამენტი, ყდა მოვერცხლილი, მდგომარეობა - დამაკმაყოფილებელი.

ამგვარად მოევლინა სახარება სამეცნიერო წრეებს, რისი დიდი სურვილიც ჰქონდა კათოლიკოს ვაზგენ პირველს.

ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება დაახლოებით 320 სომხური ხელნაწერი. ის გარემოება, რომ ხელნაწერები მოფენილია მთელს მსოფლიოში და სხვა ერებთან არის დაცული, უკვე მეტყველებს მათი განსაკუთრებული ბედისწერის, ხალხებს შორის ურთიერთობების, ისევე როგორც მათი გადაუჭარბებელი ღირებულების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

თუ გავაგრძელებთ ჩვენს ისტორიას, უნდა ვაღიაროთ, რომ, საერთოდ, სომხური თუ ქართული და სხვა ერების ხელნაწერთა ისტორია ძალიან საინტერესოა. როგორც ადამიანის ბედისწერა, ისე ხელნაწერის ბედიც ზოგჯერ დრამატიზმით არის აღსავსე, ზოგჯერ ტრაგიკული აღსასრულის მქონეა და ან ნადგურდება, ან კიდევ ლამაზი მინიატურული ხელნაწერიდან სულ რაღაც ერთი ფრაგმენტიღა აღწევს ჩვენამდე. სამწუხაროა, როდესაც ხელნაწერი ტყვეობაში ექცევა. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ხელნაწერს ხანძარი შთანთქავს და მდინარეს ემსხვერპლება. ერთი სიტყვით, შეიძლება შეემთხვას მას ყველაფერი, რაც ჩვეულებრივ მოკვდავს ემართება. ჩვენს ქართველ მეგობრებს კი შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. მატენადარანში დაცული ქართული ხელნაწერი საღ-სალამათია, თუმცა ბევრი რამ გაურკვეველია. ცნობილი არ არის, თუ სად იწერებოდა და სად ინახებოდა წლების განმავლობაში. ერთი რამ კი ნათელია - ხელნაწერი სიტყვასიტყვით არის გადმოწერილი კონსტანტინოპოლის გარეუბანში მდებარე ქართულ რომანას მონასტერში გადანახული სახარებიდან.

აქ ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ სახარების წარმომავლობაც, რაც გაგვიადვილებს ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერების გაცნობას.

პირველი - გიორგი მთაწმინდელის ან ათონელის ხელით მე-11 საუკუნეში შესრულებული სახარება. მთავარი დედანია.

მთაწმინდელი ლამაზი, ბრძნული სახელია. ქართველი მემატიანის ეს სახელი წმინდა მთის თარგმანია ბერძნულად. ისიც კი შევიტყვე თუ როგორ ჟღერს ეს სახელი ქართულად - მთაწმინდა, რაც ასევე წმინდა მთას ნიშნავს.

ამდენად, სახელწოდების შინაარსი მსგავსია, სიტყვის ენობრივი გარეგნული ფორმაა მხოლოდ განსხვავებული. სწორედ ეს წარმოადგენს ერების ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშან-თვისებას.

გიორგი საბერძნეთს საქართველოდან წასულა და ათონის მთაზე მდებარე მართლმადიდებლურ მონასტერში დასახლებულა. დიდი შრომის ფასად შეუქმნია თავისი ქმნილების „საოჯახო“ დედანი.

მეორე წმინდა კანონი იყო. მშვიდობის ხანაში ხელნაწერის დედანი სამწერლობო კერას არ გასცილებია. შესაბამისად ათონზე, მთაწმინდელის სახარებიდან იქნა გადანუსხული ხელნაწერი, რომელიც მოგვიანებით კონსტანტინოპოლის რომანას მონასტერში აღმოჩნდა. ამ ვარიანტს ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ სწორედ ის იქცა წყაროდ ორი მომავალი ხელნაწერისთვის.

მესამე - რომანას მონასტერში შუასაუკუნეების საქართველოს მეფის თამარის პირადი სარგებლობისთვის იქნა გადანუსხული მესამე ხელნაწერი.

მეოთხე - ჩვენს მატენადარანში დაცულია ხელნაწერი. ამდენად, თუ ვაღიარებთ, რომ მთაწმინდელის ხელით შესრულებული ხელნაწერი დედაა, დაკარგული სახარება - შვილი, თამარ მეფის სახარება - შვილიშვილი, მაშინ ჩვენს ხელთ არსებული მთაწმინდელის ქმნილება შვილთაშვილია. „ბარტყი“, ასეთი სათუთი დახასიათება მისცა მას ქართველოლოგმა პროფესორმა პ. მურადიანმა.

სტატიის სათაურში შეცდომა არ გეგონოთ. ჩვენს მატენადარანში დაცული ხელნაწერი ხომ დედოფლის სახარების შვილია, რადგან მისგან „შობილა“.

წლების მანძილზე ჩვენს მატენადარანში სახელოვანი მეცნიერი ასატურ მნაცაკანიანი მუშაობდა, რომელიც ხშირად იმეორებდა: „პიშატაკარანი (ანდერძმინაწერი) ხელნაწერის გულია“. მართლაც რომ ასე იყო. რამდენიმე სტრიქონის თუ რამდენიმე გვერდისგან შემდგარი ანდერძმინაწერები მდიდარ ინფორმაციას გვაწვდიან გადამნუსხველის, მის მიერ განვლილი ცხოვრების, ეტრატის შემქმნელის, სამწერლობო კერის, ხელნაწერის თავგადასავლებისა თუ სხვა ამბების შესახებ. სწორედ ანდერძმინაწერის საშუალებით ვიგებთ თუ საიდან არის შობილი ქართული ხელნაწერი.

ვცადე, გამეგო შექმნის თარიღი. ბ-ნ მურადიანს კონკრეტული თარიღის დასახელება უძნელდება. მაგრამ ვარაუდობს, რომ იგი მე-12 საუკუნის მიწურულს ან მე-13 საუკუნის დასაწყისის ქმნილება უნდა იყოს. გადანუსხვის ადგილიც მიახლოებით შეიძლება ითქვას - ტაო ან კლარჯეთი. ანდერძმინაწერებში მოხსენიებული პირები ამ რეგიონში მოღვაწეობდნენ.

* * *

და აი ამაღელვებელი მომენტიც დადგა. მესროპ მაშტოცის სახელობის მატენადარანის დირექტორმა სენ არევშატიანმა ნება მოგვცა, დაგვეთვალიერებინა ქართული სახარება. მთხოვეს, მოსაცდელ დარბაზში დაველოდებოდი ხელნაწერის გამოჩენას. ცოტა ხანში საწერ მაგიდაზე ერთ მძიმე ყუთს დებენ, სადაც ჩემთვის საინტერესო წიგნი ინახება. ერთ-ერთი თანამშრომელი ნაზ ქსოვილს აფარებს მაგიდას და მასზე ხელნაწერს ათავსებს. „ხელნაწერი ასე უფრო მოხერხებულად იგრძნობს თავს“ - დასძენს ის. საერთოდ, ამ ეტრატის შესახებ საუბრისას მატენადარანის თანამშრომლები ცდილობენ გააპიროვნონ იგი, თითქოს საქმე ცოცხალ არსებას ეხებოდეს. მათი ერთადერთი საზრუნავი ის არის, რომ ხელნაწერმა თავი კარგად იგრძნოს.

ყდა მთლიანად მოვერცხლილია. ზოგან შემორჩენილია მოოქროვილი ნაშთებიც. ყდის შუაგულში გამოსახულია ჯვარცმული ქრისტე. კუთხეებში კი ხატები. იმ ნაწილებზე, რომელსაც ადამიანის ხელი არ შეხებია, ნათლად ჩანს, რომ ხატები მინანქრით არის შესრულებული. აი, თურმე რა უძველესი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფესვები ჰქონია ქართული ტიხრული მინანქრის ხელოვნებას. ორნამენტები მწვანე და თეთრი ქვებით არის შესრულებული.

წიგნი ჯერ არ გადამიფურცლავს. ვაბრუნებ მეორე მხარეს. შუაში დიდი ჯვარია გამოსახული, კუთხეებში ტყავის ნაწილების გაცვეთის თავიდან აცილების მიზნით ვერცხლის პატარა კუთხეებია გამაგრებული. იქიდან ფერადი ქვებიც მოჩანს. ხელნაწერი სამ ადგილას ჯაჭვით არის შეკრული. ერთი კიდიდან ჯვარი ჰკიდია, და ეს გასაღებია. მხოლოდ ამ მისაბმელების არსებობა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ იგრძნო თუ როგორ ეთაყვანებოდა წიგნს ყდის შემდგენელი.

ვიწყებ ხელნაწერის თვალიერებას. პირველ გვერდებზე თაღიანი კამარებია გამოსახული, თითოეული თხელი ქაღალდის საცავით დაფარული.

ლამაზია მინიატურები, ფაქიზი ორნამენტებით მორთული. ნახატების ზოგიერთი ფრაგმენტისთვის ოქროა გამოყენებული. ფერებიდან წითელი და ლურჯი ჭარბობს. ჩემს ყურადღებას იქცევს სათუთად შესრულებული ფრინველების, ცხოველების და ყვავილების გამოსახულებანი.

უკვე სახარების თვალიერებას ვიწყებ. სამწუხაროდ, ვერ ვკითხულობ. ვუცქერ ყავისფერი მელნით დაწერილ ასოებს. ასომთავრული ასოები ოქროსფერია, ზოგი გვერდი მოხატულია ცხოველებით და ფრინველებით. მოგვიანებით ჩემი ქართული ენის „ლექსიკას“ სამი ახალი სიტყვა შეემატება - მრგვლოვანი (ასომთავრული), ნუსხური, მხედრული (საერო დამწერლობა). კარგად მახსოვს, აგრეთვე, სვანეთის ცენტრში, მესტიის მუზეუმში უკვე ნანახი დიდი ზომის ქართული ხელნაწერი, რომლის ასოებიც დამწერლობის სტილით ბევრად წააგავს ჩვენს სომხურ ძველ ასომთავრულ დამწერლობას. მიუწვდომელია სვანეთი. აი სად არის შესაძლებელი ხელნაწერი განძების ხელუხლებლად შენახვა.



* * *

მეზობელ მაგიდაზე ერთი ახალგაზრდა მხატვარი თორის როსლინის მინიატურიდან იწერდა ერთ გვერდს. ისევ მე-13 საუკუნე. ჩემს სიხარულს საღვარი არა აქვს, ერთმანეთის გვერდით დევს ორი ხალხის მიერ თითქმის ერთდროულად შესრულებული ქმნილება. მოხარული ვარ იმითაც, რომ დღეს იქმნება მინიატურები, დგება ნუსხები წარსულის ცნობილი მინიატურებისგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წერის და მინიატურის ხელოვნება გრძელდება. ოსტატობა თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ასე მოაღწია ჩვენამდე.

სომხურად ეტრატის წიგნი.

ქართულად ეტრატის წიგნი.

ორივე ხალხების სახელოვანმა შვილებმა თავიანთ შთამომავლობას მემკვიდრეობით გადასცეს მწერლობის და წერის ხელოვნება.

ქართული ხელნაწერი ხელისგულებით მიჭირავს. ისეთი მძიმეა, რომ ძლივს ვიკავებ. მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, რომ გონებაში გადავინაცვლო ბერძნული ათონის მთაზე, რომელიც ეგეოსის ზღვის წყლებით მორწყულ ნახევარკუნძულზე სალონიკთან ახლოს მდებარეობს. ჩემს თვალწინ თითქოს მიცურავს სხვადასხვა გამოსახულება, მთის კლდოვან ფერდობზე მრავალრიცხოვანი მონასტრები - ბერძნული, ბულგარული, რუსული, ქართული, სომხური, სირიული. ვხედავ ეკლესიების სიძველით გაქცენთილ კედლებს, ვიწრო და მაღალ ფანჯრებს, ლამაზ გუმბათებს. ვისმენ ათანასე ათონელის ტაძრის წმინდა წყლის წყაროს ჩუხჩუხს... ხოლო ტაძრებიდან, თითოეული მათგანიდან მშობლიურ ენაზე საეკლესიო გალობა გაისმის.

სომხურიდან თარგმნა

*ზურაბ ალექსიძემ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოვანეს თუმანიანი

## დედა

გაზაფხულის საღამო იყო. ვისხედით და ვმასლაათობდით, როცა ეს ამბავი მოხდა. იმის მერე გაზაფხულის საღამო არა და აღარ მავიწყდება.

ჩვენი სახლის ჭერზე მერცხალს ბუდე გაეკეთებინა. ყოველი წლის შემოდგომაზე გაფრინდებოდა, გაზაფხულზე მოფრინდებოდა, ის ბუდე კი იყო და იყო მიკრული ჭერზე.

ახალ გამოზაფხულებულზე ის რომ სოფელში გამოჩნდებოდა და მხიარული ჭყივილით ჩვენს სახურავქვეშ შემოფრინდებოდა, სიხარულისგან, აღარ ვიცოდით, რა გვექნა.

ჰაი, რა კარგი იყო, დილაობით ტკბილად რომ აჭიკჭიკდებოდა ანდა კიდევ საღამოობით ლატანზე მწკრივად, ჩამომსხდარ თავის ამხანაგ მერცხლებს რომ მიუჯდებოდა და „მიმწუხრისას“ გვიგალობდა.

ჰოდა, ერთ გაზაფხულზეც ის კვლავინდებურად თავის ბუდეს დაუბრუნდა, კვერცხები დადო, ბარტყები დაჩეკა და მთელი დღე მხიარული ჭყივილით აღმა-დაღმა დაფრინავდა, საჭმელს უზიდავდა შვილებს.

იმ საღამოსაც, რომელზეც ახლა გიყვებით, მოფრინდა და ნისკარტით საჭმელი მოუტანა თავის ბარტყებს. ბარტყებმა ბუდიდან ჭივჭივით გადმოყვეს ყვითელი ნისკარტები.

ამ დროს, როგორ იყო, როგორ არა, ერთი ყველაზე გაუფრთხილებელი თუ ყველაზე მშიერი ბარტყი აჩქარდა, ბუდიდან სხვებზე შორს გადმოიწია და დაბლა გადმოვარდა.

დედამ შესჭყივლა და ფრენით დაედევნა დაღმა. იმ წუთას, სად იყო, სად არა, კატა გამოვარდა და ბარტყს პირი დასტაცა.

– ციც, კატავ!

– ციც! ციც! – წამოვცვივდით ყველანი. მერცხალიც დააცხრა კატას, თავს დაჰფრენდა და უნისკარტებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კატამ მოცოცხა და ბეღლის ქვეშ შევარდა. ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერაფერი მოვასწარით.

საწყალი მერცხალი ჭყლოპინითა და ერთი ამბით გარს უფრენდა ბეღელს. ჩვენ, ბალღებმა, ვინც იქ ვიყავით, თითო-თითო ჯოხი თუ შეშის ნაჭერი ავიღეთ და ბეღლის ქვეშ იმდენი ვიძრომიალეთ, სანამ კატა გარეთ არ გამოვაგდეთ. კატამ ახლა მარნისკენ მოუსვა დრუნჩის ლოკვით.

მერცხალმა კატა უბარტყოდ რომ დაინახა, ერთი დაიჭყივლა ხმამაღლა, გაფრინდა და შორიახლო, მოპირდაპირე ხის შტოზე ჩამოჯდა. იქ ჩუმად იჯდა კარგა ხანს და, ერთიც ვნახოთ, ქვის ნატეხივით ჩამოვარდა ძირს.

გავიქეცით, დავხედეთ, – მკვდარი გდია ხის ძირას.

გაზაფხულის საღამო იყო, როცა ეს ამბავი მოხდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ის საღამო მაინც არ დამავიწყდება. მაშინ პირველად მივხვდი, რომ მერცხლის დედაც დედაა და მისი გულიც გულია, როგორც ჩვენი, ადამიანებისა.

სომხურიდან თარგმნა

*ზეზვა მედულაშვილმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარუირ სევაკი

## მასხარა



დღეს გადავწყვიტე თქვენი გართობა...
ოღონდ - არც ცეცხლის შეჭმას ვაპირებ
და არც ორლესულს არ გადავყლაპავ,
გადაყლაპულის ნაცვლად რომ მერე
პირიდან ჩიტი ანდა ჭრელ-ჭრელი
ცხვირსახოცები ამოვაფრინო,
რაც ხელობაა, მოგეხსენებათ,
ჩვეულებრივი ოინბაზების.

და... არც ფოლადის ვეება ძელის
თავზე გადება არ მიფიქრია,
დედიშობილა, ლამაზ-ლამაზი
ქალები ზედ რომ ვაკონწიალო,
რაც, ჩვეულებრივ, ცირკშიც გინახავთ!

და... არც ის - წყვილი ფინიის მყეფარ
მუსიკის ჰანგზე ვაცეკვო დათვი...

მე შემიძლია აგრეთვე... გოგრის
მზე შევქმნა, ანდა, თუ გნებავთ - თავი!..
სატურნით კიდევ - სომბრერო, რასაც
აქვე, თუ თქვენც გსურთ, მეთამბაქოე
ერთ ამხანაგ ქალს ვაჩუქებ გულით...
ეს არაფერი! ქუდს ვაქცევ მარშლად
ან კარდინალად,
ანდა...
რა გითხრათ:
ჩემო კარგებო, ჩიტის ბდღვნად მიჩანს,
ვთქვათ და, ეს ხე ხომ ტვინად გიქციოთ,
ტვინი... - გემრიელ საკენკად, ხოლო
საკენკი - ჩვეულებრივ საჭმელად...

მაგრამ... დღეს თქვენი გართობა არ მსურს
ამგვარ წვრილმანი რამერუმეთი!

დღეს მსურს, სარწმუნო და ასე თამამ
აზრს გაზიაროთ ურწმუნო თომამ,
(მე ასე როდი ვმსჯელობ ნიადაგ!):
ხვალ დაუფენენ ფეხქვეშ ფიანდაზს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სამხეცის ათასნაირ ბინადარი...
(არ შემშრობია ჯერაც მელანი
ბრძანებას) მგელნი დათვნი, მელანი,
სპილო, აქლევი, კობრა... ტურები, -
ეჰ, რა ჩამოთვლის ყველას, ყველანი,
მიხედვით მათი დამსახურების,
გუნდი და გუნდი, ქორო და ქორო,
ჯილდოვდებიან მედლით, ორდენით
და იცით, რისთვის? (ვმალო როდემდე!) -
მოთმინებისთვის მხოლოდ და მხოლოდ...

ჯილდოს მიიღებს ყველა მათგანი
(საფლავისმთხრელი თავად აფთარიც!),
უკლებლივ... ყველა, -
გარდა ზებრების,
რადგან ეს ძველი ვირისებრები
უკეთურებად დარჩნენ ეულად,
ღირსეულებად ჯერ ვერ ქცეულან,
ტლინკებს ჰყრიან და ტლინკებს იმკიან
მათივ გალიის გისოსებისგან...
თუმცა რა? უვარგისი ზებრებისა
თუ სხვისი, ტლინკი მაინც ტლინკია...

ვგონებ, სარწმუნო და ასე თამამ
აზრს გაზიარეთ ურწმუნო თომამ,
მე! - თუ ასეა, ნება მიბოძეთ,
სულ სხვა ფიქრების სახელმწიფოებს
გასტუმროთ ახლა (აზრი მოშვავდა):
ჭეშმარიტების თქმა უმალ, აქვე,
გადიქცა ისე უბრალო საქმედ,
ბოდიშს ვიხდი და, ვით... ვთქვათ... მოშარდვა!

უბრალოდ ვიტყვი (არ ვიჭაჭები),
რომ, მეგობრებო, დღეიდან სულმთლად
განიკურნება სნება ჭაჭების;
რა ჰქვია? ხუთვა? კუთვა თუ ხუთვა?
დაბადებ ერთ ქვას, ორს სამს თუ ხუთ ქვას,
ერთი არ არის? - დაჰყარეთ მუქთად,
მთავარი მაინც შვებით სუნთქვაა!

კიდამ გამომრჩა ჩერჩეტს... (უიმე!),

რომ დღეის ამას იქით ტყუილებს
აღარ გავყიდით... ჩაწვება... თუკი
თქვენც დაიკიდებთ კუდს და იმ კუდით
თქვენც დაეწევით აბეზარ ბუზებს -

რას უწოდებენ? საფიქრალს? მუზას?
ტვინის ჭყლეტას თუ ბოდვას სულეთის? –
ერთია მაინც, არის სულერთი!

დაბოლოს (აბა!), ურწმუნო თომა
ჯერ თქვენ მოგაწვდით ასე თამამს
და მერე თქვენგნით ვირწმუნებ თავად,
რომ იმ უმადურ ჩალა მოზვერმა,
ზამთრის პირზე რომ ყიდვა მინდოდა,
ის მწვანე კვლები მიზკერ-მიზვერა
და მთლად გამიძივ-გამიშინდორა,
მე დათესვა რომ მსურდა სამარტოდ...

ვისი რა მჭირდა, აბა, სამადლო!

მეტი რა? არც რა!
არ თქვა და არ ცრა
მტრისას!.. ტყუილად
ავყეფ-ავლელდი!
კარგად მეყოლეთ, დავუშვათ ფარდა,
მასხარის ფარდა...
ჰოპლა!.. ნახვამდის!..

სომხურიდან თარგმნა *ვიკა შაჰნაზარმა*



ნახატი ერვანდ კოჩარისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჰრანტ მათევოსიანი

## ნარინჯა ფაშატი

ათას ცხრაას ორმოცდახუთში ჩვენმა სოფელმა ომის დროს შეთხელებული ჯოგის მოსამრავლებლად შვიდი ჯიშიანი ფაშატი და ერთიც ღვთისრისხვა რამ აჯილდა მიიღო. ახლა აღარ მახსოვს, დანარჩენებს რა ბედი ეწიათ (მაშინ ათი წლისა ვიყავი); მაგრამ მათგან ორიღა დარჩა, ის აჯილდა და ერთი ფაშატი, ორივ - ნარინჯისფერები. აჯილდა იმ ფაშატის კვიცი ეგონათ და, რაკი ფაშატი არ მაკლებოდა, ეტყობოდა, ასეც იყო.

ათას ცხრაას ორმოცდაექვსში გადასახლებიდან დაბრუნდა მესროპი.

- გადასახლება რა არის? - შევეკითხე ჩემს უფროს ბიძას.

- ტყეებია, დაცემული ტრამალი, თოვლი, ერთი დათვი და არაყი.

ვიფიქრე, ვიფიქრე და, რაკი აღრევე სხვებისგანაც გამეგონა, რა ხილიც იყო გადასახლება, ჩავილაპარაკე:

- ვაითუ, უფრო ციხე იყოს?!

- ჰო, ციხესა ჰგავს, რაღა.

- ციხე რაღასა ჰგავს?

- ციხე?.. ციხე, ეგე, ძალუაშენსა ჰგავს; მოუსვი ახლა აქედან!

- ვაა! - მეწყინა მე.

იგი ურმის უბეს თლიდა, - ნუ მიშლი, გაიზრდები და ყველაფერს გაიგებ.

ათას ცხრაას ორმოცდაშვიდში მესროპი ისევ წაიყვანეს.

- თუ ისევ წაიყვანდნენ, რაღად გამოუშვეს? - შევეკითხე ჩემს უფროს ბიძას.

- ვაა, ტვინი წამჭამა, რაღა! გოგო! - გასძახა მან დედაჩემს, - მომაწყვიტე ეს შენი ლაწირაკი!

იმ ღამეს ჩემი უფროსი ბიძაც წაიყვანეს. დივიზიას (ბიძაჩემიც იმ დივიზიაში ყოფილა) ჯერ თურმე იარაღიც არ ჰქონია მიღებული და გერმანელებს ალყა დაურტყამთ. ერთი ტყვიაც არ გაგისერია და ისე ჩავარდნილხარ ტყვედაო, უთხრეს თურმე ბიძაჩემს რაიონში, სანამ გადაასახლებდნენ. ის სიტყვაზანტი კაცია, ვიდრე თქმას მოახერხებდა, თოფი არა მქონდაო, მატარებელი უკვე მახაჩყალას იყო მიტანებული. მესამე წლის თავზე ჩამოვიდა, შეცდომით გადაესახლებინათ. რაიონში ბოდიში მოუხადეს. სანამ ეტყოდათ, არა უშავს, ხდება ხოლმეო, უკვე სოფელში იყო, ურმის უბესა თლიდა, ტუსავდა და მაჯაგანში მოჰყავდა.

- ეგ როგორ იქნება, ჯარში თოფი არა ჰქონდეთ? - შევეკითხე მე.

- გაიზრდები და გაიგებ.

- მესროპს რატომ აღარ მოუხადეს ბოდიში?

- ვიცი რაო, ჰრანტო? - გაწყრა ბიძაჩემი.

ახლა მე ოცდაათი წლისა ვარ. მესროპის მამას ათას ცხრაას რვა წელში ვიღაც მოეკლა, იმ ადგილს „თურქის მკვდარი" ჰქვია. ცხრაას თვრამეტში სამნი მოსულიყვნენ და მესროპის მამა მოეკლათ, იმ ადგილს კიდევ „სომხის მკვდარს" ეძახიან. მერე, ოცდახუთისა რომ გამხდარა, მესროპს მამის სისხლის აღება მოუწადინებია, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარე ლევონს დაუჭერინებია მესროპი. ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტში მესროპი გადასახლებიდან დაბრუნდა, შევიდა პირდაპირ კანტორაში, სწვდა ლევონს საყელოში და შეაჯანჯღარა.

- ალალმართალ კაცს სახლში ჩეკა დამაყენე, არა?.. ღამის სამ საათზე შენი!..

არც ლევონი მოკუნტულა შიშისაგან, ის კიდევ მესროპს ეცა ყანყრატოში.

- ის შენ არ იყავი, საბჭოთა ხანაში რომ ნაციონალისტობა დამიწყე? რაკი პარტიამ გაპატია და გამოგიშვა, არ გეგონოს მართალი იყავი და იმიტომ გამოგიშვა. ციმბირი დიდია, პარტია გამოუსწორებლებს არ დაინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობს, არა!..

– ერთი ამას ვერ უყურებთ?! – ჩაიცინა მესროპმა, – რუსეთიდან მოვდივარ და პარტიის სახელით ესა ლაპარაკობს!

– პარტია არ გაპატიებს! – დაიღრიალა ლევონმა.

– ეგ პარტია შენა ხარ? – მესროპმა თავით ფეხამდე აათვალ-ჩაათვალიერა იგი.

ლევონს გახვრეტილი ქალამანი ეცვა, ქალამანში კიდევ – გახვრეტილი წინდა. წინდაქალამნის საერთო ნახვრეტიდან ცერა თითს გამოეყო თავი. ლევონი ცალი თვალით ბრმა იყო, მელოტიც იყო და თიაქარიც აწუხებდა.

– მე არა ვარ პარტია, – საწყალ-საცოდავად ჩაიბურტყუნა მან, – მე რა პარტია ვარ.

– მაშ მისი სახელით რატომ ლაპარაკობ?

– შენ რატომღა კითხულობდი ლეოს? (ლეო (არაქელ ბაბახანიანი), სომეხი ისტორიკოსი).

კოლმეურნეობის თავმჯდომარე დოღრიალა სანასარი აქ კი გაბრაზდა.

– მოგცლიათ და მიჰქარავთ! – ჩაერია იგი, – შენ, ლევონ, ახლავე ფერმაში წახვალ. ფერმა დამში არ მოგიყვანია და – სოფელში არ დამენახო, აიბარგე შენი ქონიანად, საითაც გინდა! მესროპ, – ახლა მესროპს მიუბრუნდა სანასარი, – დაბრუნებას მოგილოცავ. მართალი გითხრა, ძალიან გვენატრებოდი. ახლა წადი და ცხენებს მიხედე!

ორიოდე საათიც არ იყო გასული, რაც მესროპი მეჯოგე გახდა და უკვე ამტკიცებდა, აჯილდა ამ ფაშატის კვიცია, სანამ სხვა ულაყს არ მოვუყვანთ, არ იმაკებსო. ერთნი ეთანხმებოდნენ, სხვანი – არა, ხოლო ლევონმა, რომელიც მოსაუბრეთა სწორედ ამ ჯგუფში იდგა, იკითხა: „რაო, უკვე დაიწყო პეიტრობა?“

სანამ ჯოგში ის ნარინჯა აჯილდა იყო, სხვა ულაყი ჯოგის სიახლოვეს ვერ გაიჭაჭანებდა, – არჯალი იყო, რომ – მტრისას! გაღმა მთაზეც რომ დაელანდა რომელიმე ულაყი, მაშინვე მის გასაგლეჯად მიფრინავდა. ამ ხასხასა სიმწვანის სამყაროში, ვითარცა ქარისაგან მოტაცებული ხანძარი, დიდი და ბრიალა მზის ქვეშ ბრიალით მიჰქროდა ფერი ვარვარა ნარინჯისა, მიჰქროდა ბეჩავი საკიდარი ცხენისაკენ; სპილენძისფერი კუდი, თითქოს ეგ არის მოსწყდებაო, ძლივს ეწეოდა უკანიდან. წინა კავშა კოჭიც ფეხთა ელვისუმალ სიჯვარედინეში გაუკრთებოდა და გაქრებოდა, გაუკრთებოდა და გაქრებოდა. ფაფარიც ალივით მისდევდა, ეტალღებოდა და ეგრიხებოდა. მთიდან მთაზე გესმოდა მძლავრი ფილტვების ბორგვა და ნეკნებზე ხათქუნი. შორით უფრო შემაძრწუნებლად ლამაზი ჩანდა მისი ანაზდეული დაგელვება, ოღონდ ეგ არის: თუ იმ საკიდარი ცხენის პატრონი იყავი, უეჭველად მოგინდებოდა ცხელი ტყვია ჩაგეჭედებინა იმ ზარდამცემ მკერდში; მოგინდებოდა, წაბორძიკებულიყო და წაქცეულიყო. წაქცეულიყო კი არა, ისე ჩაქცეულიყო თავის თავში, მისი ხერხემლისაგან ნაფშენეტიც აღარ დარჩენილიყო.

უკან მესროპი მოჰკიოდა.

– ჰუხხ-ტა-ტა-ტა! კაცი ცხენი უნდა ყოფილიყო, რომა...

წლისთავზე მუქწითელ ჯოგში ხალებივით დაჩნდნენ მოუსვენარი ალისფერი კვიცუნები. ისინი ელვასავით მოწყდებოდნენ ზეგნის იქითა ნაპირს და პატარა ნარინჯისფერ ჭავლებად მიიფრქვეოდნენ მთელი მწვანე ზეგნის გაყოლებით. დაზანტებული მათი დედები ყრუდ ხვიხვინებდნენ, შორით უხმობდნენ ცელქებს, ისინი კი – მამის ნესტოებიდან დაფრენილნი, ყველაფერში მამაილები, ბაიბურში არ იტარებდნენ დედების მოწოდებას, სიოზე ფრთხებოდნენ და – ჰაიდაა! – ახლა კიდევ სერდასერ მიგლიჯინებდნენ.

– იქროლეთ, ჰოო, იქროლეთ! – ჩაილაპარაკა ბიძაჩემმა, – აგე ალხოს ფალანს თქვენთვის ვამზადებ სწორედ.

ალხო ჩვენი ცხენი იყო. ასე, ოცი-ოცდასამი წლისა იქნებოდა. ჩვენამდე ერთი ოთხი პატრონი და ამდენივე სახელი ჰქონდა გამოცვლილი. ახალი პატრონი, როგორც წესი, ძველი პატრონის სახელს არქმევდა. ცალი თვალით ბრმა იყო, აღარც კბილების ნახევარი შერჩენოდა, წელზე ათასი ნაიარევი ჰქონდა და ნეკნები კიდევ სულ ჩაცვეთილ-ჩატყავებული უზანგის ცემისაგან. მაინც მაცარი ცხენი იყო. ჯერ მარტო იმ დღეს, ხეობის ტყიდან ცამეტი გზა შეშა ამოვატანინეთ. ისედაც გადახვლეპილი წელი უფრო დაშავებოდა და ჩემმა უფროსმა ბიძამ კარგა ხნით გაანთავისუფლა აღვირ-უნაგირისაგან, გავაზე მათრახი გადაჰკრა, რომ წასულიყო და ჯოგს შერეოდა, თავის ნებაზე ეხვიხვინა

ეროვნული ბიბლიოთეკა



და ექროლა მათთან ერთად.

- ერთი-ორი თვე ინავარდოს, მერე გავყიდი; მოფერხორციანდეს ცოტა და ნახე, თუ ხუთ წელზე მეტი მისცეს ვინმემ!

ალხომ ჯოგი აინუნშიაც არ ჩააგდო, ერთი წამით გახედა, მსუბუქად ჩაიხვიხვინა და ძოვა დაიწყო. ძოვდა ადგილ-ადგილ, თოკის მისაწვდენზე, როგორც დაბმულს სჩვეოდა, მერე ცოტა ფერდი რომ ამოიღო და დაისვენა კიდეც, ყური შეცქვიტა და ფაშატების მხარეს ორიოდე ნაბიჯი გადადგა. სწორედ ეგდა აკლდა! აჯილდა მაშინვე მოსწყდა ჯოგს და ღევივით გრიალით წამოვიდა.

- ანდრე! - გამოსძახა მესროპმა ჩემს უფროს ბიძას, - მე პასუხს არ ვაგებ!

საწყალ ალხოს ან ფეხი სადა ჰქონდა, გაქცეულიყო, ან კბილი და ნალი - მოეცადა. იდგა და თრთოდა ვერხვის ფურცელივით. ფიწალშემართული ბიძაჩემი აჯილდას გადაუდგა და მესროპს გასძახა:

- მესროპ, მე პასუხს არ ვაგებ, მესროპ!..

- ნუ მიჰქარავ, მოერიდე, ანდრე! - დაიძახა მესროპმა.

კარვის ქეჩა გადაიწია და ლევონი გამოვიდა.

- ეს, ეს, ეს რა ამბავია, რა ხდება? - დაბნეული იმეორებდა ის და მერე, გონს რომ მოეგო, ბინის ორმოცივე ძაღლს შეუძახა, აჯილდას მიუქსია. არეულ ლავლავში და ძაღლების ტევებაში ულაყმა ალხო დაკარგა და ჯოგს დაუბრუნდა.

- ამას რა ვუყო ახლა? - ჩაფიქრდა ბიძაჩემი.

- სოფელში წავიყვანოთ.

- კაცო, მინდა მოსუქდეს, გავყიდო.

ჯოგიდან საკმაოდ მოშორებით, ბინის ახლოს, ერთი ადგილი შევარჩიეთ და იქ დავაბით, მაგრამ იმ გაუგებარს საბმური აეწყვიტა, ფაშატებისკენ წასულიყო და აჯილდას დაეხრჩო.

მის ლეშთან მწყემსები იდგნენ და საუბრობდნენ. კარგი ცხენი იყო. რვა ფუთზე მეტს ჰკიდებდნენ და ყაზახის გვალვიან სოფლებში მიჰყავდათ. ბორები აწუხებდნენ, სახრისა თუ მათრახისაგან ფერდები ჰქონდა გამოთქვეფილი. ყაზახის ხვატწაკიდებული სოფლებიდან, მთელ ას კილომეტრზე, თოთხმეტ ფუთსა ჰკიდებდნენ და ბიძაჩემს კი ატყუებდნენ, რვა ფუთზე მეტი არ აგვიკიდნიაო. „ბამბასავით მსუბუქი ქერია, რაღა!" დასცინოდნენ ჩემს უფროს ბიძას. ტვირთს ჩამოხსნიდნენ თუ არა, ახლა სადგურში მიჰყავდათ, თან სცემდნენ და აჩქარებდნენ. მატარებელზე იგვიანებდნენ და ახლა იმის გამო სცემდნენ.

- გაჩენაა და არ აჩენს, არც იწველება, ტვირთი არ იცის და ბარგი! ერთი ალხოს ასაკიდებელი ამაკიდებინა და თან ტყავიც ზედა, მე მაგის პატრონის!..

- აჯილდაზე ამბობ? ცოტა ნელა!..

- ულაყზე კი არა, იმ შენს ფაშატზე! - უთხრა ბიძაჩემმა მესროპს, - შენს ნარინჯა ფაშატზე. აჯილდა აჯილდაა, გვესმის, ფაშატს რაღას აქნევთ? არცა მაკლება, არც ტვირთსა ჰკიდებთ!

მერე კოლმეურნეობამ სამი სატვირთო ავტომანქანა მიიღო და ორი ტრაქტორი. ერთი ტრაქტორი კალოზე სალეწს ამუშავებდა, მეორემ ერთ კვირაში დაამთავრა საშემოდგომო ხვნა და საქმე რომ აღარა ჰქონდა-რა, ტყიდან სათარს ეზიდებოდა. ხარები და ცხენები დასუქდნენ, დსკდომაზე იყვნენ. ულლის საქონელი ხორცის დამზადებაზე გარეკეს. მალე ბებერი ჭაკებიც გაგზავნეს სასაკლაოზე. იმათვე მიაყოლეს ცოტა კოჭლი, ცოტა დაბალი, ცოტა მაღალი, ცოტა ზანტი და ცოტა აწყვეტილი ჭაკებიც, მაგრამ უიმათოდაც რჩებოდა საკმაოდ დიდი ჯოგი, რომელსაც ზამთარში ამდენი და ამდენი ტონა ქერი უნდა შეეჭამა. ეს ყველაფერი სარაიონო გაზეთში დაბეჭდილ სამეურნეო ანგარიშში ციფრობრივ იყო წარმოდგენილი. ცხენს ცხვრის ფასი დაედო. დაიწყეს ცხენების მიყიდვ-მოყიდვა.

ნარინჯა ფაშატი კბილის ექიმმა იყიდა. იგი თავის ქალაქ ერევნიდან იმ ზაფხულს ამოსულიყო ჩვენს მთებში, კარაქზე, ყველზე თუ ფულზე მწყემსებსა და მწველავებს კბილებს უსხამდა და ისინიც მრუდედ იღიმებოდნენ. ამგვარი მამაძაღლობით მან ერთ თვეში ათასები დააგროვა და ახლა თავზე ბუზს აღარ ისვამდა. ნარინჯა ფაშატზე ამხედრებული უნდა წასულიყო სახლიდან მედპუნქტში, ერევნიდან - ეჩმიაძინში, თეატრიდან - რესტორანში. ფაშატი სულ ათას ორასი მანეთი დაუჯდა.

- სართად კიდევ, - უთხრა მესროპს, - თუ გაფუჭებული კბილი გაქვს, გვირგვინს გადაგიკრავ.

- მესროპმა უთხრა, არ მინდაო, ფაშატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხომ ჩემი არ არის, მე მხოლოდ მეჯოგე ვარო, მერე კი ლევონს მიუბრუნდა და წაეჩხუბა.

– ღამე ჩეკა დამაყენე სახლში, არა?..

ეს კანტორაში ხდებოდა. ბუღალტერმა წარბები აზიდა.

– რაოოო? ნარინჯას ყიდით? ძალიან თავს ქვას ახლით! – ქაფი გადმოყარა ბუღალტერმა, – წლიურად ორი-ორმილიონნახევრისას მარტო მატყლს ვაბარებთ, ვისი რა საქმეა, თუ ერთი ფაშატი ურწანი გამოდგა. სხვა ვინდა აჩენს შვილს, რომ ფაშატმა გააჩინოს?! ქვეყანა ურწანით არის სავსე, იმათ რომელი სასაკლაო ეყოფათ, რაც სასაკლაოებია, ისინიც კი ვერ აუვლენ!..

– წყნარად, წყნარად! – თქვა ძველმა ნათავმჯდომარალმა აბგარმა, რომელიც თავს აჩვენებდა, ვითომ გაზეთსა ვკითხულობო, სინამდვილეში კი გაზეთს მოფარებული პაპიროსს ეწეოდა.

მოლარე ფულს ძლივს ითვლიდა, სეიფის კარის გაღებას ვერ ახერხებდა.

– მჭედელს დაუძახეთ, მოვიდეს, გამოამტვრიოს... ესეც ვითომ სეიფია, ესეც ვითომ კლიტე და გასაღებია, რაღა!..

ნარინჯა ფაშატმა თავი არ დაგვაჭერინა, მას უნაგირი ეწვნია და იცოდა თავისუფლების ფასი. ერთი ოცი კაცი მაინც ვიყავით და იგი გრძნობდა, ეს ამოდენა ხალხი რომელიმე ქეციანი კვიცის დასაჭერად არ შეიყრებოდა. განუწყვეტლივ რომ ვდევნიდით და გვინდოდა მაინცდამაინც ჯოგში შეგვეგდო, ამაშიც ცუდს რასმე ყნოსავდა და კანკალებდა. არადა არ შეერია ჯოგს, რათა სხვა ცხენებს შუა არ გამოჭეჭყილიყო, სულ გარეთ და განზე მიიწევდა. მივიმწყვდევდით თუ არა მსხვილ გაეათა გალავანთან, მაშინვე მოცახცახე კუნთების გროვად იქცეოდა, ტრიალებდა ჯოგის გარშემო და თავადაც არ იცოდა, ვის გადაგვთელავდა ან საით გაიქცეოდა. მუცელაწურულს ფოლადის კისერი აეღირა, გავათა კედელს ეგლისებოდა, მოუსვენრად ტოკავდა და ხმადაბლა ფრთხვინავდა. სპილენძისფერი ძუა შეეულად ჩამოჰყროდა და ფაფარი ნელი შრიალით სცემდა კისერზე. აქეთ-იქით გაცქვეტილი ყურები წამისუმალ იჭერდა ყოველი ჩვენგანის აზრსა და განზრახვას. წინა ფეხები წამდაუწუმ გვერდ-გვერდ გაურბოდა და მწვანის მარადი საფარველი იმ ფერხთა ქვეშე უწყალოდ იჩეჩქვებოდა. ჯოგის გარშემო ასე სიარულსირბილით წრიული ბილიკი შეეკრა და ახალ-ახალი გარშემოვლით ეს ბილიკი თანდათან შავდებოდა, წლობით ნატარ და წლობით სავალ ბილიკს ემსგავსებოდა. ასე გაგრძელდა ათ წუთს, ოც წუთს, ოცდაათ წუთს. მერე თანდათან მივუახლოვდით. იგი შეიკუმშა. კიდევ მივუახლოვდით – უფრო მოიკუნტა, დაიძაბა და დაიჭიმა. ანაზდად გაიშალა, მოსწყდა ჯოგს და წაგვივიდა. მისი გაქცევა ჩვენში უფრო აღვივებდა დაჭერის სურვილს. ყველა ჩვენგანი თავის ფიქრში მდევარი იყო, ის – დევნილი და ქვეყნიერებასაც თითქოს იმიტომ ჰქონდა ამდენი ხინჯი, რომ ეს უბედური ფაშატი ჯერ დაჭერილი არ იყო.

ჯოგი უკან მიჰყვა და, როგორღაც მოხდა, იგი მძიმე გავათა შუა გამოჭყლეტილი აღმოჩნდა. ჯოგი მისი მტერი იყო. გავათა უსიცოცხლო კედელი მას აწვებოდა და ამსხვრევდა. კბენა-გლეჯით თავი გამოაღწია და კვლავ გაჰკრა, წავიდა... ჯოგი დაოთხილი მისდევდა. იგი გაურბოდა ჯოგს. ფეხებმა მის ქვეშ გამრავლება იწყეს, გამრავლდნენ, გამრავლდნენ, სანამ სულ არ გაქრნენ: ფეხების მოძრაობა აღარ ჩანდა, ყოველ შემთხვევაში ქროლვა ფეხებზე არ იყო დანდობილი – დედამიწის პირზე მიცურავდა ერთი გაჭიმული ყვითელი ალი. აფსუს კი, რომ ის ალი მიწას მაინც ვერ სწვდებოდა, ღრანტეებს ჩასდევდა, ბორცვებს ამოსდევდა, გზასთან ერთად უხვევდა და ტრამალთან ერთად, სადღაც შორეთში რომ იკარგებოდა, ისიც თვალთაგან დაიკარგა.

მესროპი სანაძლეოს დებდა, კისერს მოვიჭრი, თუ მაგას დაიჭერთო.

– ნახე, ის შენი გაცოფებული ათას ორასი როგორ მიფრინავდა, ექიმო? მორჩა, გაფრინდა და ეგ არი! – დასცინოდა იგი კბილის ექიმს.

– მოიცა, მოიცა, შენს კისერს მოეშვი, – უთხრა კბილის ექიმმა და უბიდან საფულე ამოიღო. – ერთი სიტყვით, აი, რა, ძმაო, – მან ფული გადათვალა, აიღე ეს ფული. აიღე, აიღე! – იგი თავს აჩვენებდა, თითქოს ცალი ხელით არ შეეძლო საფულის დაკეცვა და ამისათვის საჭირო იყო მეორე ხელიც დასცლოდა. – გამომართვი! ჰოდა, იმას გეუბნები.... მაშასადამე, კაცურად შევთანხმდით, ეგ ფული შენია, აიღე და ჩაიდე ჯიბეში, ოღონდ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნარინჯა უნდა დაიჭირო!

- კარგი, - მიუგო მესროპმა, - მაგრამ - უფულოდ! - იგი ხელში სრესდა ფულს, რცხვენოდა თუ ნანობდა - უკანვე აწვდიდა ექიმს.

ორი დღის შემდეგ მე ქალაქში გამგზავნეს, სკოლაში. კბილის ექიმს ვალები ჰქონდა მოსაკრეფი და სოფელში დარჩა, სექტემბრის შუა რიცხვებში ჩამოვიდა ქალაქში. მერე მემთეურებმაც გადმოინაცვლეს სოფლის ახლო თბილ ხეობებში. მესროპი არ წამოჰყოლიათ, ოციოდ დღეს მთაშივე დარჩა თავისი ჯოგით. ნარინჯა ფაშატი თანდათან ჯოგთან ახლო მოდიოდა და მესროპს გული უთრთოდა. შემოდგომური ნელთბილი მზის სხივებში უკანასკნელი სიმწვანით მწვანობდნენ მთები. არც ერთი ბინიდან კვამლი არ ადიოდა და მოწყენილი იყო მესროპი. მესროპს ზაფხულური ხმები ენატრებოდა, გინებით რომ ჩაუხტებოდა ხოლმე მეზობელ ბინას და იყო ერთი კომბლის ტრიალი.

- მოდი, ნარინჯა ფაშატო, მოდი! - გასძახოდა იგი შორიახლო მდგარ ცხენს, - მეღა დავრჩი, ყველანი წავიდნენ. ის ერევნელიც წავიდა, მე და შენღა დავრჩით.

შორს, ტატნობზე რაღაც გაილანდა შავ წერტილად. მესროპს ძალიან, ძალიან უნდოდა ეს რაღაც ვინმე ცხენოსანი ყოფილიყო და მისკენ მომავლებულიყო.

- გხედავ, ცხენოსანი ხარ, - ეუბნებოდა წერტილს მესროპი, - ტვირთსა ჰკიდებ უნაგირზე; წამოვიდე, გიშველო? - მაგრამ გადიოდა წუთები და იგი ახლაც ბინდში ირწეოდა. - ქვა ხარ, ქვა! - ამბობდა მესროპი, - მე რა, აგერ საცაა, მეც ჩავალ სოფელში, შენ კი მანდვე დარჩები, საწყალო მგზავრო! გოგო, შენ გეუბნები! - მიუბრუნდებოდა მესროპი ნარინჯა ფაშატს... იგი ზეგნის განაპირას უძრავად იდგა თავაღერილი, ყურებდაცქვეტილი და იმ წუთს ძალიან ჰგავდა სახელმძღვანელოებში დახატულ ცხენს, - მოდი, გენაცვალე, მერწმუნე, არ დაგიჭერ. კბილის ექიმი, მორჩა, წავიდა, ფაა-ფუ! - ხელისგულებს ერთმანეთს აუსვ-ჩაუსვამდა ტყაჩუნით, - მორჩა, წავიდა!..

- ზაფხული გავიდა! - მართლა წუხდა მესროპი, - შენ ცხენი ხარ, ვერ გაიგებ... - და რაკი მთელ ამ მოლლეტილ მთებზე თვითონა და ცხენებიღა იყვნენ დარჩენილნი, მესროპი ნათქვამს ასწორებდა: - იმდენს ვერ გაიგებ! ცხოველებში, მართალია, ყველაზე ჭკვიანი ხარ, მაგრამ კაცი მაინც სხვა არის...

ფაშატი ჯოგს არ შორდებოდა, გარშემო უვლიდა. ოქტომბრის დასაწყისში ჯოგს ისიც ჩაჰყვა სოფელში, ოღონდ შორიახლო მისდევდა, ახლო არ უდგებოდა. მთებში აციებულიყო. სოფლის ხევებშიც ჯოგის შორიახლო ძოვდა. დეკემბერში თოვლი მოვიდა და ჯოგი საჯინიბოში შერეკეს, თივა-ქერზე გადაიყვანეს. ის მაინც სოფლის ირგვლივ ტრიალებდა და ჯაგმაგებს ღრღნიდა. ჩვიდმეტ დეკემბერს მგლებმა ლევონის ძროხა შეჭამეს ხევში; ცხრამეტში შუაღამისას არტემის გომს დაეცნენ. თოფები დაადევნეს და ოცში დღისით სოფელში აღარ გამოჩენილან, თუმცა კი კალოს ლეწავდნენ სოფლის გარშემო. ღამითაც სოფელს დილამდე უტრიალებდნენ და ყმუოდნენ. მესროპს გაეღვიძა და გავიდა. ხედავს, ნარინჯა მიჰკვრია სახლის კედელს და ცახცახებს. დაიძრა ცხენისაკენ, მაგრამ ცხენი არ დაუდგა გაიქცა. ოთხი დღის შემდეგ, ღამის თორმეტი - პირველი საათი იქნებოდა, მესროპი კანტორიდან გამოვიდა. სინათლეზე წამით ნარინჯა დალანდა, მაგრამ დალანდვა იყო და - გაქრა, წავიდა. იმავე ღამეს მესროპის ძაღლი კარს მიაწყდა. სანამ მესროპი გამოვიდა, აღარც ძაღლი იყო სადმე, აღარც მგლები, შორიდანღა ისმოდა ოდნავი შრაშუნი თუ ჭრაჭუნი. ოცდაცხრაში, ღამეს, მესროპი საცხენეში იყო, რომ უცებ გარედან ფრთხვინვა შემოესმა. გამოვიდა, ხედავს, ნარინჯაა. ცხენმა აღარ დაუცადა შეპატიჟებას, მკერდით ცალ მხარეს მიხრიკა მესროპი, შემოიტანა კარში მაღალი ტანი და ბაკუნით წავიდა, მოძებნა ბაგაზე თავისი ადგილი. იქ, რომელიღაც კვიცი იდგა, უკბინა, გააგდო და დადგა თავის ულუფა ქერზე. გომი - თბილი, ქერი - ბევრი, ირგვლივ - ცხენების ფრუტუნი! ხოლო როცა ასეა, გარეთ რამდენმა მგელმაც არ უნდა იყმუვლოს, სავსე ბაგისა და თბილი ადგილის პატრონს ეგ ფეხებზედაც არა ჰკიდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მწვანე მინდორი

მეხი ხმელი ჭახანით მიენარცხა კლდეს, კლდისგან უკუიტყორცნა და იქავე, მწვანე კორდში ჩაიმარხა. კლდემყარს ბაიბურშიც არ გაუვლია მეხის ცემა, ან იმ რუხი პიტალოსთვის მეხს რა უნდა დაეკლო, ორიოდე ნამცეცი მოაფშვნა და ეგ იყო. იმ მოსადევარზე მოჭახჭახე ყველა მეხის სასაფლაო ის კლდისძირა მწვანე კორდი იყო, იქ იმარხებოდა გაზაფხულზე თუ ზაფხულზე გავარდნილი ყველა მეხი. იქავე, შორიახლოს მდგარი მუხა მეხის თითოეულ დაქუხებაზე შიშისაგან თრთოდა და გულში თავისებურად, მუხურად ემადლიერებოდა კლდეს, რადგან იმ მინდორში ჩამოტყორცნილ ყველა მეხს კლდე იზიდავდა, თავისივე ძირში მარხავდა და მუხას ხანძარს აცილებდა.

ცოტა უწინარეს, სანამ მეხი მინდორსა და გორმახებს დასტრიალებდა, ფიქრობდა გავარდნას, მაგრამ ჯერ არ გავარდნილიყო, კვიცის დედამ ნაზი ხვიხვინით მიიხმო კვიცი. კვიცის დედამ იცოდა, რომ მეხი გავარდნას აპირებდა და ქუხილს ვაითუ შეეშინებინა კვიცი, ხოლო კვიცმა იფიქრა, დედა მოსაწყენლად მეძახისო და თავს დააყურადა, ყურები შეარხია და თავის თავს დააყურადა, მინდა თუ არა რძის ჭამაო და - არც იმდენად უნდოდა ჭამა, უნდოდა ბალახები და ყვავილები ესუნა, სათითაოდ დაეხსომებინა ისინი და, სწორედ იმ დროს დაიქუხა მეხმა. კვიცი დაფრთხა და დედისაკენ გაიქცა, მაგრამ იმდენად შეშინებოდა, რომ დედისკენ კი არა, სულ სხვა მხარეს გარბოდა. დედამ კვიცისკენ გაიწია, მაგრამ თოკმა არ გაუშვა. მაშინ დედამ ხვიხვინით მიიხმო კვიცი.

კვიცი ერთი თვისა იყო. სიცოცხლის იმ ერთ თვეში მეხის ქუხილი პირველი გაგონება იყო მისთვის. იგი დედას მუცელქვეშ ამოეფარა. დედის მუცელქვეშიდან ცოტა ხანს ყურდაცქვეტილმა უსმინა მუხის ფოთლებზე წვიმის წკაპუნს, ცოტა ხანს კლდეს უყურა, მერე ასკილის ბუჩქს შეხედა, მერე - მუხას, თვალები დაახამხამა და წელანდელი შიში სულაც გადაავიწყდა; იმ წამს ისე ეგონა, დედასთან ძუძუს საჭმელად მოვედიო. შავი, ხუჭუჭა კუდის ქნევით კვიცი დედის მუცელქვეშ შევიდა. ბებერმა ცხენმა ფეხი განზე გადგა და სარძევე ძარღვები მოადუნა, რათა მის კვიცუნას ხალვათად და მაძღრისად მოეწოვა.

ის ვარსკვლავა კვიცი იყო, ესე იგი - თვირთვილა, ერთიანად თრთვილის მსგავსი პაწია ვარსკვლავებით მოჩითული. წვრილი და გრძელი ფეხები ჰქონდა, უკანა მარჯვენა ფეხის საოლავი თეთრი ჰქონდა. თვითონ მთლიანად თითქოს თვირთვილა იყო, უკანა მარჯვენა ფეხით კი თოვლა ეთქმოდა. კისერი თხელი და გრძელი ჰქონდა, თავი - პატარა, შუბლზე კი ვარსკვლავა ყვავილის მინამგვანი მრგვალი, თეთრი ნიშანი ეჩინა. იმ მინდვრის წყალზე დასარწყულებლად დადიოდნენ ირმები, თხები და ბატკნები, აგრეთვე ის ცხენიც, რომელსაც აქამდე ბევრი კვიცი ჰყოლოდა, მაგრამ ეს კვიცი ამ მწვანე მინდვრის ყველაზე მშვენიერი ქმნილება იყო. ფაფარი და კუდი შავი ჰქონდა. ჩვენ არ ვიცოდით თუ რა ფერის თვალები ჰქონდა კვიცს, რადგან მიახლოებაზე ფრთხებოდა, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ თვალებიც ძალიან ლამაზი ჰქონდა, ვინაიდან ცხენებს, საერთოდ, ლამაზი თვალები აქვთ, მთელი გარემო ირეკლება ცხენის თვალებში. კვიცის თვალებში ახლა ირეკლებოდა მუხა, ყვავილები, ასკილი, მისი ქურანა დედა და მთელი მწვანე მინდორი.

ის ცოტა სულელი იყო, მაგრამ სულელი იყო პატარაობის გამო. წვიმის წვეთი გაგორდა და ფეხებშუა შეუგორდა. იგი შეფრთხა და განზე გახტა. დედას უკანვე აღარ მოუხმია, რადგან წვიმას უკვე გადაეღო და აღარც მეხი დაიქუხებდა, ახლა მზე იყო ცაზე.

მწვანე მინდორი მზეში ბრწყინავდა. სისველეში და უხვ სინათლეში ბრწყინავდა იმ მინდვრის ერთადერთი მუხაცა და ასკილის ბუჩქიც, ცხენის სველი გავაც, კვიცის გავაც და აგრეთვე ნაკადულიც, რომელიც რუხი კლდიდან იწყებოდა და მწვანე მინდორზე მილიკლიკებდა. ნაკადულს მეხის სუნი ასდიოდა და კვიცი ცოტა შეფრთხა. ასკილსაც მეხის სუნი ასდიოდა და ამანაც ერთი-ორჯერ შეაფრთხო კვიცი, მერე ისევ გახედა ასკილს და ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრთხილად მიუახლოვდა, რათა კიდევ დაესუნა იგი.

ცხენი იცნობდა ამ მინდვრის ყველა მცენარესა და ყველანაირ სუნს. მან იცოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მინდვრისა და ყველა ბორცვის ყველანაირი სუნი, მაგრამ „მწვანე მინდვრისა“ მაინც - ყველაზე უკეთესად, რადგან ამ მინდორში ხშირად აბამდნენ ხოლმე საძოვრად. მეხის სუნი წარმავალი იყო, ცვარის აორთქლებისას ისიც გაქრებოდა. არც ველთქონდარას სუნი იყო ამ მინდვრისა, ეს სუნი ქარს ჩამოეტანა გორაკებიდან. ცხენი ძოვდა და ცხვრის სველი მატყლის სუნსა გრძნობდა, ცხენი ფიქრობდა, რომ გორაკების გადაღმა ფერდობზე ცხვარია გაშლილი და, რაღა თქმა უნდა, იქვე ქოფაკი ძაღლებიც არიან.

გორაკების გადაღმა კალთებზე ცხვარი ძოვდა, მინდვრის სველი ბალახი გემრიელი იყო, ნაკადულის წყალიც ხომ - გემრიელი, მზე ათბობდა, კვიცი ფრთხომა-ფრთხომით იზრდებოდა მინდვრის თბილ სიკეთეში და ბებერ ცხენსაც მეტი არა უნდოდა-რა.

ცხენმა თავი ასწია. მუხა მშვიდად იდგა, კლდე როგორღაც მძინარესავით განისვენებდა, კვიცი ასკილს სუნავდა, მზე ათბობდა და ბალახი გემრიელი იყო; ესე იგი, უნდა ეძოვნა. ცხენმა ისევ საძოვნელად ჩაღუნა თავი, ერთი-ორი პირი ბალახი მოგლიჯა, მაგრამ რაღაც შემაშფოთებელმა გრძნობამ თავი ისევ მაღლაააწევინა.

მწვანე მინდორზე უძრავად მდგარმა, თავმაღლააწეულმა ბებერმა ცხენმა დიდხანს ათვალიერა მინდორი და დიდხანს აყურადა სიჩუმეს. ყველაფერი წელანდებურად იყო: მუხა მშვიდად იდგა, კლდე თვლემდა, კვიცი ასკილის ბუჩქთან კუნტრუშებდა, თითქოს შეიძლებოდა ძოვნა, მაგრამ ქურანა ცხენს ჩიჩვირი მიწამდეც არ დაეშვა, რომ უცებ თავი მოწყვეტით მაღლა შეაგდო და ყურებდაცქვეტილი გახევდა, რათა დაეჭირა მინდვრის ყველა იდუმალი ჩქამი. ნესტოებგაგანიერებული ელოდა, რომ ეგრძნო ამ მინდვრისთვის უჩვეულო რაიმე სუნი. პეპლები დაშრიალებდნენ, ბუზები ბზუოდნენ, ნაკადული რაკრაკებდა, კისერწაგრძელებული კვიცი ასკილის ბუჩქის გარშემო პეპელას უტრიალებდა, მაგრამ ბებერ ქურანა ცხენს არც იმ მოსასმენის მოსმენა უნდოდა და არც იმ სანახავის ნახვა. იყო, არ იყო - მინდორში რაღაც საფრთხე იყო. ჰაერს იმ საფრთხის ხმა არ მოჰქონდა, ჰაერში ის საფრთხე არ ჩანდა, ნიავზე იმ საფრთხის სუნი არ იგრძნობოდა, მაგრამ ცხენს არ ეძოვნებოდა.

ბებერ ქურანა ცხენს ბრაზი შეეკიდა. ქურანა ბებერ ცხენს ის აბრაზებდა, რომ მინდორში მტერი იყო, მაგრამ ის მტერი არ იგრძნობოდა, არ ისმოდა და არ ჩანდა.

რუხი კლდე, გაბარჯღული მუხა, ბებერი ქურანა ცხენი და ასკილის ბუჩქი მწვანე მინდორს გაჰყურებდნენ და სიჩუმეს აყურადებდნენ. მწვანე მინდორში კლდეს არავითარი საფრთხე არ ელოდა, რადგან იმ დღეს მეხი აღარ გავარდებოდა; მუხა იყურებოდა და მუხისთვის ყველაფერი კარგად იყო, ვინაიდან მეხი აღარ გავარდებოდა და მზეც ათბობდა; ასკილსაც ყველაფერი კარგად ეჩვენებოდა, რადგან კვიცი ჩიჩვირს ვერ აწვდენდა მის წვერზე გაშლილ ორიოდე ყვავილს, ხოლო ბებერ ქურანა ცხენს დაძაბულ ლოდინში ოფლი გამოაყარა.

მინდორი ჰღალატობდა ცხენს. მინდორში მტერი იყო, მინდორი კი არ ამჟღავნებდა მტრის ხმას და მტრის სუნს. ბებერი ქურანა ცხენი ვერ ბედავდა კვიცისაკენ წასულიყო, ეშინოდა, თავის ფეხისხმაში მტერი არ გამოჰპარვოდა. ბებერი ქურანი ცხენი ვერც სუნთქვას ბედავდა, ეშინოდა თავისი ფილტვების ხმით არ ჩაეხშო მტრის განაბული სუნთქვა. ბებერი ქურანა ცხენი არც თვალებს ახამხამებდა, რათა მისი თვალების დახამხამებისთანავე მტერს სამალავი არ გამოეცვალა.

მწვანე მინდორში ასე უძრავად იდგნენ კლდე, მუხა, ასკილი და ცხენი. კლდე თვლემდა. საიმედო ჯავშნით დაგარსული მუხის რკოები წვნით ივსებოდნენ და მუხას არაფერი ანაღვლებდა. ასკილს ყვავილთა გვირგვინები მზისთვის გადაეშალა და მზეს ეწაფებოდა, ქურანა ბებერ ცხენს კი სიბრაზისაგან აკანკალებდა. არასდროს, არც ერთხელ მინდორს ცხენისთვის ასე არ უღალატნია. იქნებ, მეხის სუნი უშლიდა ცხენს, ეგრძნო მტრის სუნი? იქნებ, სადღაც სიახლოვეს მართლაც იყო მტერი, რომელიც, ალბათ, სუნსაც გამოჰყოფდა, მაგრამ მის სუნს მეხის ნატუსალი აჭარბებდა?

კვიცი რაღაცას უცქერდა; ჯერ იმას აცქერდებოდა, მერე დედას გახედავდა. იმ რაღაცას დედა ვერ ხედავდა, დედის ახლოდან ის რაღაც არ მოჩანდა. კვიცი უყურებდა იმ რაღაცას, მერე თავს დედისაკენ გაიბრუნებდა და დედას გახედავდა. დედა იდგა კისერაშვეტილი და მის თვალებს ვარვარი გაჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვიცმა კისერი წაიგრძელა, ჩიჩვირი წაიშვირა და იმ რაღაცისკენ დაიძრა. ეს იყო და, დედამ იმწამსვე იცა მგლის საზიზღარი სუნი. მან დაიჭიხვინა, კვიცისკენ გავარდა და დაგელვებულმა თვალი ჰკიდა, რა დანდობილი და გრძელი ნახტომით მოსწყდა მიწას მგელი.

ცხენის მყისიერი და მძვინვარე ჭიხვინი გორაკების გადაღმაც კი გავარდა. გორაკების ჩაღმა ფერდობზე, ცხვრის ფარასთან ქოფაკებმა წამით ყური ჰყარეს, დაიძაბნენ, ცოტა ხანს სხვა ხმებს აყურადეს და დამშვიდდნენ.

ქურანა ცხენი გაიჭრა კვიცისაკენ, მოწყვეტით გაიჭრა მგლისა და კვიცისაკენ, მაგრამ უმალ დაეცა და გაგორდა. ის ბებერი ცხენი იყო, სხვა დროსაც დაცემულა, მაგრამ ასე მოულოდნელად - არასდროს. წაიქცა და წამოდგა მაშინვე. წააქცია თავისმა ერთბაში ძალით მოწყვეტამ და თოკმა. თოკი ახრჩობდა, თოკი არ უშვებდა, გაფრენილიყო თავის პატარასთან.

კვიცი გარბოდა ასკილის ბუჩქიდან შორს, დედის საპირისპირო მხარეს. კვიცს უნდოდა დედასთან მისვლა, გრძელი რკალის დარტყმით დედისაკენ იწევდა, მაგრამ მგელი ყოველთვის გზას უჭრიდა და უფრო აშორებდა დედას. დედას კი თოკი ახრჩობდა. კვიცმა თავგანწირული ნახტომი გააკეთა დედისაკენ, მგელს თავზე გადაევლო, მაგრამ მგელმა ქვეშიდან მოასწრო მისი უკანა ფეხის დაჭერა და კვიცი დაეცა. კვიცმა მწვეტი ხმით შესჭიხვინა და წამოხტა.

კვიცის ჭიხვინი გორაკების ჩაღმასაც მისწვდა. ცხვრის ძაღლებმა კვლავ ყურები ცქვიტეს და ძაღლებში ყველაზე უფრო, ყბაშავი თოფუშა ძაღლი გაუყუჩდა ჰაერს.

კვიცმა დაიფთხვინა, წამოხტა და, სწორედ ამ დროს დედა ყალყზე შედგა, მთელი სიმძიმითა და მთელი გააფთრებით გაიწია მგლისა და კვიცისაკენ. თოკი გაწყდა და მათრახივით ამოეწნა დედის ფეხებს. დედა წავიდა მთელი თაფით, მთელი ძალით, მთელი მძვინვარებითა და მთელი სიყვარულით. ის ძალიან ფეხმალი ფაშატი იყო, მაგრამ სიცოცხლეში არასოდეს ასე სწრაფად არ ურბენია.

გორაკების გადაღმა ისმოდა მისი ნალების ყრუ ბაგა-ბუგი. მერე გორაკების გადაღმა აღარავითარი ჩქამი არ ისმოდა და ქოფაკი ძაღლებიცა და პატარა მწყემსიც მალევე დამშვიდდნენ.

მგელმა კვიცს თავი ანება და ამან დატორვას გადაარჩინა. ცხენი თავს ესხომდა და მგელი ცოტაზე გაიქცა. ცხენი ისევ ეტანებოდა და მგელმა ცოტა კიდევ დაიხია. მიწაზე ქვიქვირმიკრული ცხენი მძიმედ, მუქარით მიიწევდა მგლისაკენ. მგელი მიწას გაეკრა, რომ წამოფრენილიყო და ცხენს ნესტოებზე დაჰკიდებოდა. მაგრამ ცხენი ელვისუმალ შემოტრიალდა და მგელს გავა მიუშვირა.

ცხენი როგორც კი გავით მიუტრიალდა, მგელმა იმწამსვე ისკუპა და ისევ წინიდან მოექცა. ქვეშ კვიცამოფარებული ცხენი ისევ შემობრუნდა და მასთან ერთად შემობრუნდა მგელიც. მგელი განუწყვეტლივ უტრიალებდა და ცხენიც განუწყვეტლივ ტრიალებდა. ორი მოკლე ნახტომით მგელი უცებ ცხენის დრუნჩთან აღმოჩნდა. მაგრამ ცხენმა კვლავ მოასწრო შემოტრიალება და ქაცის ყრა. მაშინ მგელი გრძელი ნახტომით მიეტანა დრუნჩზე. აქ უკვე ცხენმა ვეღარ მოასწრო მთლიანად შეტრიალება და მგელმა შეძლო ნესტოები გაეკაწრა მისთვის, ოღონდ ცხენმა მაინც მოახერხა კამპი ჩამოეკრა მგლისათვის. მგელმა უკან დაიწია, მაგრამ არ გაქცეულა, წამოყუნტდა და ცხენს დაუწყო ყურება. ცხენიც მგელს მისჩერებოდა. მგელმა დაიდასტურა, რომ ცხენი კვიცს ბოლომდის დაიცავდა და ცხენიც მიხვდა, რომ მგელი თავს არ დაანებებდა. ცხენი გაოფლიანებულიყო, მაგრამ მგელიც ნაკლებად არ იყო დაღლილი. უცებ მგელი ისევ მიაფრინდა ცხენს. ამის შემდეგ მგელმა კიდევ დიდხანს იხტუნავა და უტრიალა ცხენის დრუნჩს, ცხენიც განუწყვეტლივ ტრიალებდა და თან კვიცზე იყო გადაფაფრული.

უკვე დასაღამოვებულიყო და მათი მოძრაობაც დაზანტებულიყო. მგელი ცხენს ნელა უვლიდა გარს, თითქმის თრევით, თითქმის ხოხვით, მაგრამ მაინც უვლიდა გარს და ცხენიც ერთ ადგილზე ტრიალებდა, ისიც - ნელა, გაჭირვებით, ბორძიკითა და ხანდახან წაჩოქებითაც კი. მზერადაბინდულები ერთმანეთს ძლივსღა ხედავდნენ, დაღლილობისაგან დაყრუებულიყვნენ.

პატარა მწყემსი გორაკზე გამოდგა და მზის დასავალს გახედა. დასავალი წითლად ღუოდა, დაისის შუქზე ლამაზიანობდა მინდვრის ერთადერთი მუხა... მაგრამ ის, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა


იხილა, იმდენად უშნო და მახინჯი იყო, პატარა მწყემსს ხმაც კი წაერთვა. ქურანა ცხენს მგელი ნესტოებზე დაჰკიდებოდა და ცხენი მგლის დატორვას ვეღარ ახერხებდა. ბებერი ქურანა ცხენი, ჰა და ჰა, უკვე დანებებაზე იყო.

– ჰეჰეი, ბიჭო, ჰეჰეი! – გასძახეს ბიჭს მოპირდაპირე გორაკიდან, – დაახრჩო, ბიჭო, იმ მგელმა ის ცხენი, ჰეჰეეი!.. ძაღლები სად არიან, ძაღლები, ჰეეი!..

პატარა მწყემსმა დასაკივლებლად პირი დააღო, მაგრამ ხმა წართმეოდა. ისღა შეძლო, რომ ხელების ქნევას მოჰყვა. ძაღლებმა გახედეს და შეიცქვიტნენ, ერთ წამს კიდევ უყურეს, მერე მოიგლიჯნენ და გაიძაბნენ... თოფუშა, სევო, ბოღარა, ჩალაკა და ჩამბარა. ყბაშავი თოფუშა გამოცდილი ძაღლი იყო, ჩუმად მადევარი და ჩუმად დამცემი, დანარჩენ ძაღლებწინ იგი ახლაც ჩუმად მირბოდა, ბოღარა კი ახალმოჯოხებული ძაღლი იყო, მგლებისა, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, იმიტომაც ჯერ კიდევ შორიდანვე ასტეხდა ხოლმე ყეფას, რა არის ყეფაზე მგლები გაქცეულიყვნენ და მათთან ჩხუბს გადარჩენილიყო. ბოღარა ახლაც ყეფით მირბოდა. ის ძალიან სწრაფი ძაღლი იყო, თოფუშას ხან უსწრებდა კიდეც, მაგრამ ჯგუფიდან მოწყვეტასა და მარტო წასვლასაც ვერა ბედავდა, დგებოდა და ყეფით უცდიდა თოფუშას, გვერდზე აედევნებოდა, მაგრამ ისევ მალე უსწრებდა და მერე ისევ მოუნელავებდა.

როცა ცხენი თითქმის დაჩოქებაზე იყო, მგელმა შორეულად, როგორც სიზმარში, ძაღლების ყეფას მოჰკრა ყური. მგელმა დაჯერება არ ისურვა, რომ ძაღლები ყეფით სწორედ მასზე მოდიოდნენ. ბედი ხომ არ უნდა ყოფილიყო იმდენად უმოწყალო, რომ მთელი დღის ნაწვალები წყალში ჩაეყრევინებინა და იგი თავის სამ ლეკვთან მშიერი და ცარიელ-ტარიელი გაებრუნებინა?

როცა უკვე არაქათი გამოლეული ჰქონდა, ნესტოების ტკივილსაც ვეღარ გრძნობდა, თვალები მთლიანად დაჰბნელებოდა და ყურები მთლიანად დაჰყრუებოდა, დედა ცხენს შორით-შორად ძაღლების ყეფა მოეყურა და მიხვდა, რომ ძაღლები მისთვის და მისი კვიცისათვის იყეფებოდნენ. მაშ, ბედი ხომ არ უნდა ყოფილიყო იმდენად უმოწყალო, რომ მის კვიცს ეცოცხლა მხოლოდ ერთადერთი ივნისი. ბებერმა ცხენმა იცოდა, რომ ძაღლები ახლო იყვნენ და მათი ყეფის ხმა შორეულად ეჩვენებოდა მხოლოდ თავისი გალუნგებისა და ყურდაქანცულობის გამო. ბებერმა ცხენმა ისიც იცოდა, რომ ვალდებული იყო, ცოტა კიდევ, სულ ცოტა კიდევ გაეძლო, სანამ ძაღლები მოაღწევდნენ, მაგრამ რა ძნელი იყო სუნთქვა! რა ძნელ ტვირთად ქცეულიყო ცხოვრება!

ძაღლების ყეფა მეხივით გავარდა ახლა უკვე ზედ მგლის ყურებთან, მაგრა მგელს არა და არ უნდოდა დაჯერება, რომ ასეთი ტანჯვით მოპოვებული გამარჯვებისთანავე ასეთი მარცხი შეემთხვეოდა. ლეკვები შინ მშივრები უყრია, ძუძუებში ქრინტა რძე არ უდგას და... კისერი დაუჯენჯეს, ყურები დააგლიჯეს და, მგელი შეეშვა ცხენის ნესტოებს. თათი დაუჭირეს და თათის წართმევის ძალაც აღარ ჰქონდა. მგელს ახლა უნდოდა დაძინება, დაძინება და სხვა არაფერი. ჩხუბის თავი აღარა ჰქონდა, ერთიღა უნდოდა, მომკვდარიყო და მოესვენა. და მაინც მგელი გაწვა, ყელი მჭიდროდ მიაკრა მიწას, რათა ძაღლები ყანყრატოში არა სწვდომოდნენ. ძაღლები უჯენჯავდნენ ზურგსა და კისერს, აგლეჯდნენ ყურებს, ის კი ყანყრატოს უფრთხილდებოდა და ძაღლების ზედახორაში ცოტ-ცოტას სულს ითქვამდა.

მგელმა ერთ თათს უკბინა და ერთ-ერთი ძაღლი წკმუილით გახტა განზე. მგელი წამოიმართა და გარშემოხვეული ძაღლები ლოდინად დადგნენ. ძაღლებშუა მდგარმა მგელმა ძაღლებს თვალი მოატარა, ისინი ბევრნი იყვნენ და ძნელი იყო, უზომოდ ძნელი, თითქმის შეუძლებელი – დაღწეოდა მათ და როგორმე წალასლასებულიყო თავის ბუნაგში, სადაც მშიერი ლეკვები ელოდნენ. ღოჯებგადმოყრილმა მგელმა შეხედა ძაღლებს, ძაღლებმა შეხედეს მგელს, ერთ წამს ასე უყურეს ერთმანეთს და მგელმა არ იცოდა, რა უნდა ექნა, ისევე, როგორც ძაღლებმა არ იცოდნენ, რას იზამდნენ. უეცრივ ერთ-ერთი ძაღლი აიბურძგნა, გადახტა, ჰკრა მკერდი და გაისროლა მგელი. მგელმა ძლივს მოახერხა არ დაცემულიყო და მიხვდა, რომ ყველაზე საშიში ეს ყბაშავი ძაღლი იყო.

– ჰეჰეი, ბიჭო, რომელი ხარ მანდა, ჰეჰეეი!.. ჰარიქა, მიეშველე იმ ძაღლებს, მიეშველე იმ ძაღლებს, ბალღო! დროზე, დროზე, რომ დაახრჩონ, ჰეჰეეი!.. – გადასძახეს მიღმა გორაკიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხენი ძლივსღა იდგა ფეხზე, თავს ვეღარ იმაგრებდა. ცხენს თავი უმძიმდებოდა და დაბლა უვარდებოდა. ცხენი გრძნობდა, რომ კვიცი სწოვდა და ძლივსღა ახერხებდა გახარებოდა ეს ამბავი. ცხენს თავი გვერდზე გადაუვარდა, წინა ფეხები მოეკეცა, ხოლო კვიცი ჯერ ისევა სწოვდა. ცხენი წაიქცა, კი არ წაიქცა, ჩაიშალა. კვიცი ახლა დედის სიახლოვეს იდგა და მის წამოდგომას ელოდა, მაგრამ დედა არა დგებოდა. კვიცმა მუცელში დრუნჩი ამოჰკრა, უბიძგა, მაგრამ დედა არ წამომდგარა, არც კი განძრეულა. კვიცი წამოჯდასავით დედის მუცელთან და თუმცა უკანა ფეხი სასტიკად სტკიოდა, დაიწყო წოვა. დედა ჯერ კიდევ რძეს აწოვებდა, ჯერ კიდევ უხვად, ბლომად აწოვებდა თავის, ამიერიდან უკვე ობოლ კვიცს, რაც კი სიცოცხლეში კვიცები ჰყოლოდა - მათში ყველაზე მშვენიერ კვიცს, რომელიც ვარსკვლავებით იყო მოჩითული, ფაფარი შავი ჰქონდა, კუდი - ხუჭუჭა, საოლავი - თეთრი, ხოლო შუბლზე თეთრივე, ვარსკვლავის წანამგვანი ყვავილი აჩნდა და თუმცა ცოტა სულელი იყო, სულელი იყო მხოლოდ სიპატარავის მიზეზით.

მგელმა მაინც მოახერხა თავის დაღწევა. თავს თუ ვერ დააღწევდა, ლეკვები ობლად დაურჩებოდა, ისინი კი სრულიად უმწეონი იყვნენ და ამოწყდებოდნენ, ამიტომ მგელმა მოახერხა გაპქცეოდა ძაღლებს. თუმცა იმ გაქცევას გაქცევა არც ერქვა, ის იყო უკანდახევა ნაბიჯ-ნაბიჯ, ნახტომ-ნახტომ, რამდენიმე ნახტომის შემდეგ ისევ რამდენიმე ნახტომით. როცა ძაღლები ეწეოდნენ და ცოტაღა ურჩებოდა, დაეჭირათ კიდეც, მგელი შემოტრიალდებოდა, აიჯაგრებოდა, ღოჯებს დააღრჭენდა და ძაღლები ჩერდებოდნენ. ამასობაში მგელი კიდევ ორიოდე ნახტომით წინაურდებოდა.

უშველებელმა ყბაშავმა ქოფაკმა მაინც ვერა და ვერ მოახერხა კბილებში ეგდო მგლის ყანყრატო, მგელმაც ვერ მოახერხა ეკბინა და შეეშინებინა იგი. თუმცა ყბაშავი ძაღლი ახლა მგელს არ მისდევდა, მას მგლის კისრიდან ერთი ბღუჯა ბალანი გარჩენოდა პირში და ყბაშავი ახლა უკან ჩამორჩენილიყო, გულზიდებითა და ხველა-ხრიალით პირს ისუფთავებდა. რაკი ყბაშავი მგელს არ მისდევდა, სხვა ძაღლები იმდენად საშიშნი აღარ იყვნენ, რადგან გამოცდილება აკლდათ.

ძაღლებმა დაკარგეს მგელი, მერე - მისი კვალიც აგრეთვე, მაგრამ დიდხანს ტრიალებდნენ, ირეოდნენ და ღავღავებდნენ მწვანე მინდორზე, სადაც ახლა ხშირბინდში აღარ მოჩანდა კლდე, სადაც მშვიდად ამართულიყო მუხა, თავისი ორიოდე ყვავილი ცვარის შესაგროვებლად გაეშალა ასკილს, ხოლო ასკილის სიახლოვეს ეგდო ბებერი ქურანა ცხენის ლეში. კვიცი იდგა დედასთან და, ცოტა არ იყოს, შფოთავდა, თითქოს უკვე ესმოდა მომხდარი ამბავი.

დაისის მხარეს მთელი მინდორი მწვანედ ხასხასებდა, ბებერი ქურანა ცხენის გარშემო ადგილი კი ჩაშავკურუმებულად გამოჩნდა. ბებერი ქურანა ცხენის ლეში ეგდო იმ შავ ჩარჩოში. ის შავი ჩარჩო მგლისა და ცხენის ნაბრძოლი ადგილი იყო, ის შავი ადგილი კი - ცხენის ნატორ-ნაფლოქვარი მიწა. იმ შავი, ნაძეკი, ნათხარი, ნატკეპნი მიწის მიხედვით შეიძლებოდა მიხვედრა, თუ რამდენ ხანს უნდა ეტრიალა ბებერ ცხენს თავისი თავის გარშემო მგელთან ერთად.

ის შავი ჩარჩო ისევე შავად დარჩა ერთი სამ წლამდის მაინც, სამ წელიწადს იქ ბალახი არ ამოსულა და მხოლოდ ჩვენი ბებერი კარგი ცხენის კენჩხო ეგდო იმ შავ ჩარჩოში. მერე მაინც სიმწვანემ გაიმარჯვა, მწვანე ბალახმა ამოყო ყური იმ შავ ჩარჩოში. კენჩხოს ფოსოებში ყვავილები ამოყვავდნენ, ბალახმა დაიძახა, იმძლავრა, მთლიანად დაიჭირა ის ჩარჩო და ახლა „მწვანე მინდორი" მთლიანად გადამწვანებულია.

როცა გორაკებიდან დასცქერი, „მწვანე მინდორი" ერთიანად მწვანეა, მუხა გოროზად გაბორჯილა, კლდე რულმორეულად აყურადებს ღრუბლების შარიშურს, ასკილს მზეში დაუკეცია თავისი ხუთად ხუთი ყვავილის გვირგვინი და მწვანე მინდორში აბია ერთი თვირთვილა ცხენი, რომელსაც უკანა მარჯვენა ფეხის საოლავი თეთრი აქვს, ფეხები - გრძელი, კისერი - გრძელი, კუდფაფარი - შავი და მზით ნარუჯი, შუბლს კი თეთრი ვარსკვლავა ყვავილი უმშვენებს. როცა ნაბიჯით დადის, უკანა მარჯვენა ფეხი ცოტა ეჭიმება და უსიამო თრთოლვად ედება სხეულს, ეს ძველი ჭრილობის მიზეზითა აქვს.

ნიშა ცხენი ლამაზ თავს ასწევს და მის თვალებში ირეკლება კლდე, მუხა, აყვავებული ასკილი, მწვანე მინდორი და ლურჯ ზეცაზე მცურავი თეთრი ღრუბლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



– მორჩა?

– მორჩა.

– არა!

– როგორ თუ, არა?

– დედა ცხენი არ უნდა მოკვდეს!

– აბა, როგორა ვთქვა, დედა ცხენი არ მომკვდარა-მეთქი, როცა დედა ცხენი მოკვდა. პატარა მწყემსმა რომ გორაკიდან ჩაირბინა, დედა ცხენი უკვე მკვდარი იყო, ხოლო კვიცი ნაღვლიანად თავჩაქინდრული იყო დედის გვერდით. ის პატარა მწყემსიც, რომელიც ბიჭს გორაკიდან გასძახოდა, „ჰარიქა, ბიჭო, მიეშველეო", როცა იმ გორაკიდან ჩავიდა და ცხენთან მივიდა, დედა ცხენი უკვე სულ მთლად გაცივებული იყო. ბებერი მწყემსი და პატარა მწყემსი ცოტა ხანს ჩამოსხდნენ ბებერი ქურანა ცხენის გვერდით და ბჭობას მოჰყვნენ, კვიცი როგორ გამოვზარდოთო.

– მერე, როგორ გამოზარდეს?

– სხვა ცხენის რძით.

– არა, დედა, მოდი, ნუ მოკვდება!

– აბა, როგორა ვთქვა, დედა არ მომკვდარა-მეთქი, როცა მთელი ზაფხული ობოლ კვიცს მე ვკვებავდი სხვა ცხენების რძით.

– გითხრა, როგორ აჯობებს?

– თქვი.

– გორაკის გადაღმა რომ მწყემსია, ის, მოდი, გორაკის თხემზე დააყენე, რომ მგელს ადრევე მოჰკრას თვალი.

– მწყემსი გორაკის გადაღმა იყო და მგელი მაშინ შენიშნა, როცა გორაკის თხემზე ავიდა.

– ცხენი რაღამ მოკლა?

– როცა ბებერი ქურანა ცხენის ლეშთან ისხდნენ, მაშინ ბებერმა მწყემსმა პატარა მწყემსს უთხრა, ცხენს კვიცის გამო შიშისა და თან კიდევ ზიზღისა და გააფთრებისაგან გული გახეთქიაო.

– ეგ მგლის ზიზღისაგანო?

– ჰო, მგლისა.

– მაშინ ძაღლებს მგელი დაახრჩობინე!

– აბა, როგორა ვთქვა, ძაღლებმა მგელი დაახრჩეს-მეთქი, როცა ყბამავ ძაღლს მგლის ბალანი გადაჰყლაპოდა და ცოტაღა უკლდა თვითონ დამხრჩვალიყო?

– პატარა მწყემსი შენი იყავი?

– მე ვიყავი, ცხენი ჩვენი იყო, კვიციც ჩვენი ცხენისა იყო.

– ახლა კვიცი გაიზარდა და მწვანე მინდორში აბია?

– კი, გაიზარდა და მწვანე მინდორში აბია.

– ახსოვს თავისი ქურანა დედა?

– იქნება ახსოვს კიდეც თავისი ქურანა დედა, რადგან ცხენებს მახსოვრობა აქვთ.

– აბა, ერთი, ხელახლა მომიყევი!

– მეხი ხმელი ჭახანით მიასკდა პიტალო კლდეს, გვერდზე აირეკლა და მწვანე მიწაში ჩაიმარხა. კლდემყარს მეხი რას უზამდა, ორიოდე ნაფშვენი ძლივს გააგდებინა. ეგ იყო, რომ ცოტაოდენი შიში ჭამა მუხამ, რადგანაც მეხი მუხებს ეცემა, და კიდევ, ძალიან შეეშინდა პატარა ნიშა მუტრუკს. კვიცს მუტრუკსაც ეძახიან ხოლმე... ისე შეეშინდა, რომ თავისი ფიქრით ვითომ დედისაკენ გარბოდა, სინამდვილეში კი სხვა მხარეს გარბოდა და ბებერმა ქურანა ცხენმა ხვიხვინით ამცნო მას თავისი ადგილი...

სომხურიდან თარგმნა

*ზეზვა მედულაშვილმა*



ნახატი აკოფ აკოფიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ოვანესი

## ქალაქური ზამთარი

მიყვარხარ, ჩემო მშობლიურო ქალაქო,
მიყვარს შენი ძველი ფოთოლჭრელი შემოდგომები,
გაზაფხული მწვანე და ზაფხული შეხვინთქული...
მაგრამ ყველაზე მეტად ვეტრფი შენს საბრალო,
შავ, უთოვლო და მშრალ ზამთარს,
შენს ზამთარს, რომელიც, შეხედე: –
ნაცემი ძაღლი ჩალანკივით მიმნდობი, მობუზულა გარეთ,
რომელიც, არცკი იცი, როგორ აღმოჩნდა ამ ქალაქში...
გარეთ მოკუნტულა და თრთის
ზამთარი მიტოვებული...
...და არ უყვარს ის არავის, არ უყვართ ელვარე შემოდგომების,
თავნება ზაფხულის თუ მწვანე გაზაფხულების ფონზე...
მოყირჭებული და სულ დაქანცული, მშვიდობიანი და წყნარი.
მაგრამ მე მიყვარხარ, ჩემო მშობლიურო ქალაქო,
შენი ზამთარიც კი, შენი ზამთარი – არცთუ ლამაზი...
შენი ზამთარი მიყვარს – მიმნდობი ჩალანკი,
რომელიც, არცკი იცი, როგორ მოხვდა ამ ქალაქში.
მე მიყვარს ეს ობოლი და მიუსაფარი ძაღლი,
ვკოცნი მის სიცივისგან აკანკალებულ დრუნჩს,
ვუალერსებ მის ზურგს და ვეჩურჩულები:
მისმინე, ვეუბნები, მისმინე, ჩემო ჩალანკ,
არასოდეს გინახავს და არც გესმის, თუ რას ნიშნავს,
როცა შენს ირგვლივ სიცარიელეს დაუსადგურებია,
როცა შენს გარშემო არც თოვლია, არც სულიერი და არც სიცოცხლე,
როდესაც ირგვლივ გამეფებულა მშრალი სიშავე, უსიცოცხლო და შესაბრალისი.
ძაღლი: მიმნდობი, მიუსაფარი ჩალანკი!!.
და ამ ძაღლს უწოდებენ ქალაქის ზამთარს...
და ამ ძაღლად იწოდება არა თავნება ზაფხული,
შეთქორილი გაზაფხული თუ სხივფენილი შემოდგომა, –
არამედ ზამთარი, ქალაქის ზამთარი,
შემთხვევითი (ან მოულოდნელი), უგნური, სევდიანი და გზააბნეული...
შენს მსგავსად უწოდებენ ჩალანკს, ერთ ძუკნას,
რომელიც გარეთ მოკუნტული ჯერ კიდევ წკმუტუნებს
ჭუჭყიანი და კუდამოძუებული.
მომისმინე, ჩემო ფინიავ, ჩემო ჩალანკ, ზამთარო ჩემო: –
მიყვარხარ, თუმცაღა ობოლი და უსახლკარო,
შენი დამშრალი ძუძუებით და ბეწვი სიცოცხლით...
საწყალი ხარ, შესაბრალისი ზამთარი – ქალაქს მოსული,
ვკოცნი შენს გაყინულ ცხვირ-პირს.
გაიქეცი აქედან, გაგვშორდი, ჩემო ჩალანკ,
ნუთუ ვერ ხედავ, როგორ უმოწყალოდ გათელავთ ფეხქვეშ!?

ეროვნული ბიბლიოთეკა





## მარადიული სომეხი

ეს მე ვარ, მარადიული სომეხი, მდგარი მიწისძვრისა
და ხოცვა-ჟლეტის ქარცეცხლში. თვალები მასისისთვის
მიმიპყრია.

როდესაც სტიქია ქვემოდან მიტევს, ღმერთი
- ზემოდან, მტერი საპირისპირო მხრიდან მებრძვის,
მეგობარი ზურგიდან მივლის, ერთი სიტყვით ,
გარემოცული ვარ ოთხივე მხრიდან და მაინც ცოცხალი ვარ!
მე უკვე ვხედავ საშინელი სამსჯავროს დღეს.

მე სომეხი ვარ და ჩემი მოკვლა შეუძლებელია, ვინაიდან მე ყველაფერი ვარ, ვარ ყველგან და დაუსრულებლად.

ბავშვი ვარ დაგლეჯილი, დედა ვარ გონდაკარგული, მამა - უსაფლავოდ დარჩენილი, კუბო ვარ მოუპოვებელი, თითი - გადამტვრეული, მიწა - გაყინული, სახელი - მივიწყებული, რწმენა - დევნილი, ქვეყანა - უკუნით მოცული, ქვა - დაფშვნილი, იმედი - გაცრუებული, სული - განდგომილი, სხეული - განივთებული, მიწა - დანაწევრებული, კანონი - მკვდარი, აზრი - ამბოხებული, ადამი - განდევნილი, სამოთხე - დაკარგული, ჯოჯოხეთი - კარებდახსნილი, კუჭ-ნაწლავი - გავეშებული, ლავა - ამოფრქვეული, თვითმფრინავი - დალეწილი, კაპიტელი - ჩამომსხვრეული, პური - შელახული, ღვინო - დაქცეული, სიტყვა - დატყვევებული, პოეტი - ჯვარზე გაკრული, ე. ი. - ღმერთია ჩემში ჩასახლებული!

საშინელი სამსჯავროს დღეს მე უნდა დავჯდე ღვთის ნაცვლად: საფრთხისგან დავიცვა და ნუგეში ვცე, მგლოვიარეთ მივყვე და მხარში ამოვუდგე, რწმენა შთავბერო და გავათბო, შევახსენო და აღვკვეთო, შუქი მოვფინო და შევაკავშირო, გავარკვიო და ნათელი გავხადო, ავაჟღერო და განვაგრძო, განვკურნო და სული შთავბერო, მივიღო, შევაერთო და ზღვარი დავუდო, ვირწმუნო და დავბრუნდე, ვიპოვნო და დავასრულო, მშვიდობა მოვუპოვო და კალაპოტში მოვაქციო, ვიხსნა და დავადგინო, აღვმართო და შევკრიბო, გავანთავისუფლო, დავეშვა და ღვთისებრ სათაყვანებლად ვიქცე, ღმერთს დავემსგავსო!..

ვინაიდან ქვეყნის დასაბამიდან დაწყებული ჩემი სხეული პურია და სისხლი - ღვინო, ჩემი სიტყვაა ღმერთი და ღმერთი ვარ მე.

მე არ ვსრულდები.

და ის, ვინც იგემა ჩემი პური და ვერ დანაყრდა,
შესვა ჩემი ღვინო და წყურვილი ვერ მოიკლა,
უსმინა ჩემს ღმერთს და არ იწამა,
მიხილა და ვერ შემიცნო, - სტიქიაა თუ ღმერთი, მტერი თუ მოყვარე, დასავლეთი თუ აღმოსავლეთი, - დაბლა დგას ჩემს წინაშე და პასუხი უნდა მომცეს საშინელი სამსჯავროს დღეს, ვინაიდან მე მარადიული სომეხი ვარ და მთელ სომხეთს წარმოვადგენ, რადგან ყველაფერი ვარ, ვარ ყველგან და დაუსრულებლად.

სომხურიდან თარგმნა *რუსუდან ჭუბაბრიამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არტემ არუთიუნიანი

## მაჯისცემა



მაჯისცემის უტყუარი, მგზარდი ხმაური,
ასე ცხადი და ნიშანდობლივი,
თითქოსდა ცაში მონანავე
ორი წეროა,
რომლებიც ჩანან გაზაფხულის
თვალშეუდგამ სინათლის წიაღ...
და ხდება ასეც,
რომ ყვავილი გადაანაცვლებს
სინათლეს უფრო
სხვა სიღრმისაკენ...
და გასარჩევი ხდება მაშინ
ველ-ჭინჭროვანი,
ჭინჭრები, როგორც
რომაელი ჯარისკაცები,
ჩამწკრივებული ხრამის პირზე
ფხიზლობენ მუდამ,
შუბების მსგავსი თავები კი
ძირს დაუხრიათ,
ჩაშტერებულნი წვიმით დამბალ
აყალო მიწას,
ფორიაქობენ ღღენიადაგ
რაღაცის გამო...

* * *

კვარტლები - თვალს რომ ჩაგიკრავს წითელ-ყვითელი ხინათლეებით
მოხამხამენი,
ქუჩებში - ფიცარნაგი, სცენები - ახალი საუკუნის თავისქალისმაგვარი
ფუტურო სახლები,
როლები, როლები, რომელთაც გვერდს ვერ აუვლი და
გაცოფებული ბილიკები,
სადაც მოსიარულე ღვთისმოშიში ადამიანიც იქცევა მხეცად,
ანდა იქცევა მხატვრის ხასად, რომელიც ჩუმად ინახავს
სურათებში აღბეჭდილ თავის სიმრუშეს...
სუფთა ქალაქი ხრაშუნებს, როგორც ნამცხვარი კაფეთა კლიენტების კბილებში...
კარები - ღია, სახეები - გაბადრული და ბიწის ნაოჭებს ჩაბღაუჭებული...
ეს არის სული და არა ის, რაც დაინახე...
სული, რომელმაც ყოფნა უნდა გაიხანგრძლივოს...
სანამ ჯერ კიდევ არ ჩამქრალა ხსოვნის ლამპარი -
ნედლი ფოსფორი შენი ცხვირის აბუზულ წვერზე,
რაც კოსმეტიკა არის ოდენ ფრიად მოდურ და ანტიკურ ქალიშვილთათვის.
თავს იწონებს ქალაქი, გათხუპნილი ფერუმარილით
პირისახეს რომ უშვერს სინათლეთა მღვრიე კოცონებს...
რომლებიც დღემდე აფხიზლებენ ჰარმონირებულ,
კარჩაკეტილ მაცხოვრებელთა ამაოების მუდმივ სიცხადეს...

თარგმნა *ელგუჯა მარღიამ*

# მერუჟან ტერ-გულანიანი

## დასასრული

სადღა იყო ის ძლიერი, წარმოსადეგი ვაჟკაცი. ავადმყოფი, ხანდაზმული და უღონო იწვა საწოლზე. ფერმკრთალ კანქვეშ ლურჯი, დამშრალი ძარღვები მოუჩანდა. უღონო და სუსტი ხელები საბანზე ეწყო. ნახევრად მოხუჭული თვალები ლამაზად მოხატული ჭერისათვის მიეშტერებინა. იწვა და ფიქრობდა, რომ უკვე კვდებოდა. ავადმყოფობის ამ ბოლო ხანს იგრძნო რომ ყველამ მიატოვა. განშორდა, ზურგი აქცია. შეატოვა საკუთარ ფიქრებსა და ტკივილებს, სწორედ ამ მიზეზით თვითონაც განცალკევებულიყო ყველასა და ყველაფრისაგან და მარტოდმარტო შერჩენოდა თავის ყრუ, ამოუხსნელ ტკივილებსა და გრძნობებს. პირველად მისთვის გაუცხოვდა სამყარო, შემდეგ სახლის სხვა, ოთხი ოთახი, სადაც თვითონ აღარ შედიგადიოდა და მათი არსებობის შესახებ თითქმის აღარაფერი იცოდა. შემდეგ დაკარგა საკუთარი ოთახიც, სადაც იწვა. იატაკის ხალი. კარადებში მზრუნველობით ჩაწყობილი ძვირფასი, ლამაზი ჭურჭელი. დიდი გაჭირვებით რომ ჰქონდათ შეგროვილი და ამიტომაც ძალიან უფრთხილდებოდნენ. დარჩა მხოლოდ ოთახის კარი, საიდანაც შედი-გადიოდნენ მეუღლე და ერთი კვირის წინ ერევნიდან დეპეშით გამოძახებული ვაჟი. დღეს დილიდან კი, ექიმის წასვლის შემდეგ, როცა უკვე მიხვდა, რომ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო, კარიც გაუქრა თვალთახედვიდან. ფიქრები ნაპირზე გამოყრილი თევზებივით ეხეთქებოდა ერთმანეთს. კარს ვეღარ ხედავდა. თითქოს არც არსებობდა. თუნდაც დაენახა. მერე რა? იმ კარიდან ხსნას უკვე ვერავინ მოუტანდა, სიკვდილს ვეღარავინ ააცილებდა. პირდაპირ მხოლოდ ფანჯარას ხედავდა. მინებს ვაშლით დახუნძლული ტოტები ეხეთქებოდა. შორს, მთის ფერდობებზე მოჩანდა ივნისის ცხელი ცის ქვეშ მობიბინე, ახლად დათავთავებული ქერის მწვანე ყანა. ფანჯარა სულს უხუთავდა. სინათლე უსიამოვნო და აუტანელი ხდებოდა. გული ერეოდა. სულთქმა ეკვროდა, თვალები ეხუჭებოდა, თითქოს შორდებოდა და ეყრებოდა მის სხეულს. შინაგანად მხოლოდ სიცარიელეს გრძნობდა. სული უდაბნოს მიუგავდა. მისუსტებული უკანასკნელ ძალებს იკრებდა, რომ უკან მობრუნებულიყო, სიცოცხლეს დაბრუნებოდა. თვალებს ძალით აღებდა და შეშინებული უყურებდა ღია ფანჯარას, საიდანაც ვიღაც უცნობი თითქოს უჩუმრად ჩასაფრებულიყო, იქიდან უმზერდა, აშინებდა და გულს უწიწკნიდა. ფანჯარა ფანჯარას კი არა, დევის თვალს ჰგავდა, რომელიც დღე და ღამე მოსვენებასა და ძილს უკარგავდა. ის ექიმიც, დილას რომ მოვიდა, სწორედ დევის გამოგზავნილი იყო. მეწისქვილე სააკის ვაჟი მასთან რატომ მოვიდა? რაიონში მის გარდა, სხვა ექიმი აღარ იყო? მართლა სააკის ვაჟია? იმ მომზირალმა თვალმა ყველაფერი იცის. ისიც კი, თუ წინათ თვითონ რა დღე დააწია სააკს. ამიტომაც გამოუგზავნა სწორედ თავისი ვაჟი, რომ ახლა მან გააწამოს და სამაგიერო გადაუხადოს, გატანჯოს, არ დაანებოს, რომ მშვიდად ჩააბაროს ღმერთს სული. ვარდანი ამბობს, სხვა გზა არ იყო, ეგ რომ არ მომეწვია, სხვა ვინ უნდა მომეყვანაო. როდის მოასწრო მეწისქვილე სააკის ვაჟმა ასეთი სახელის და ცოდნის შეძენა? როგორ მოხდა, რომ უმამოდ გაზრდილი, მშიერ-მწყურვალი დიდი ოსტატი, ცნობილი ექიმი გახდა? შენ რას აკეთებდი, ვაჟბატონო ვარდან? მხოლოდ ჯანი მოგიმატებია. შენ გამხდარიყავი ცნობილი ექიმი, შენთვის დაეძახათ და შენ მოეწვიე. სად ბრძანდებოდი, ვაჟბატონო?

სულის შემხუთავი ხველა აუვარდა.

- ვარდან! - ხმადაბლა, თითქოს საკუთარ ხმას სცდისო, დაიძახა, - ვარდან!

- მოვედი, აქა ვარ, - ახლოდან გაისმა ვაჟის ხმა. - წყალი გინდა?

- ვარდან, მეწისქვილის შვილმა იცის, მისი მამა მე რომ გავასახლებინე სოფლიდან?

ფანჯარასა და საწოლს შორის გაჩერებული შვილი გაოცებული შეჰყურებდა მამას.

- ეგ რა თქვი, მამაჩემო? სააკი შენი გული-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სათვის გაასახლეს?

შვილის გაოცებითა და დაბნეულობით შეშინებულმა ერთხანს ხმა გაკმინდა და მზერა ხელებზე გადაიტანა.

– დედა, მოდი აქ და ყური დაუგდე, რას ამბობს მამაჩემი, – დაუძახა დედას, გაოცებულმა და შეშინებულმა შვილმა ისე, რომ მამისათვის თვალი არ მოუცილებია.

– იერვანდ, გძინავს? – ჰკითხა ცოლმა, რომელიც შვილის – დაძახილისთანავე მოვიდა და საწოლთან გაჩერდა.

ავადმყოფს თვალი არ გაუხელია, არც ცოლისკენ გაუხედავს.

– ჰო, მძინავს! – უხმოდ, მხოლოდ ბაგეების მოძრაობით თქვა და თვალები უფრო მაგრად მოხუჭა, – მძინავს, თქვენ საქმეს მიხედეთ. თქვენ ხომ უცოდველები, წმინდანები ხართ, ჩემ მოტანილ პურს თქვენც არ ჭამდით? ტანსაცმელს არ იცვამდით? მე მარტომ გავაძევე სააკი სოფლიდან? ის დევი ფანჯრიდან თქვენ არ მოგჩერებიათ, არა გტანჯავთ, თქვენ უცოდველები ხართ, არაფერი გინახავთ, არ გაგიგონიათ, თავმჯდომარეც მე, მარტომ... – მისი გული სუსტად, უიმედოდ აძგერდა, გუნებაში ნათქვამმა სიტყვებმა კვლავ დააშორა შვილსა და ცოლს. გასწიეს, თავის შინაგან სამყაროში წაიყვანეს და თავდაყირა ჩააგდეს ბნელ, უძირო ორმოში. უღონოდ სცადა, თავი დაეღწია, უკან გამობრუნებულიყო, ბურუსი კი განაგრძობდა მის რწევას და დაღლილი, უძილობით გაწამებული მისი სული დანებდა. მათ გვერდით აღარ იყო, ხევში, სოფლის ბოლოში ჩასულიყო. წყლისპირა ტირიფების თავზე ძერა დაფრინავდა. ბელურების შეშინებული გუნდი წამოქოხილი კლდის ძირას ქივქივებდა. ერთი პატარა, ჯერ გამოუცდელი ბელურა ტირიფის დაბალ ტოტზე შემორჩენილიყო და შეშინებული ჭყიპინებდა და კანკალებდა. თვითონ იდგა და უყურებდა, ქვა არ უსვრია და არც უყვირია. გუნდად შეგროვილი ბელურები ჭყიპინებდნენ, ეძახდნენ შეშინებულ, დაბნეულ ბარტყს, ძერა კი ტრიალებდა და ტრიალებდა. წრეს თანდათან ავიწროებდა. საინტერესო იყო, რა მოხდებოდა. იდგა და უყურებდა. ძერამ იტრიალა, იტრიალა. თანდათან მოახლოვდა და უცებ ქვასავით დაეშვა. ელვასავით ჩაიქროლა ტოტებს შორის, თითქოს არც კი შეხებია მათ და, როცა გაფრინდა, ბელურა ტოტზე აღარ იჯდა. ძერამ, თითქოს უნდოდა მისი ნადავლი ადამიანისათვის ეჩვენებინა, სულ ახლოს ჩაუქროლა, ბრჭყალებში ჯერ ისევ ცოცხალი ბელურა ეჭირა, რომელიც ახლა აღარ კანკალებდა და არც ჭყიპინებდა – გათანგული ზემოდან დასცქეროდა ადამიანს.

უცებ საღამოს წვიმა წამოვიდა. ივნისის, თბილი, კოკისპირული შხაპაშხუპით მოდიოდა, ელვრებოდა ქერის ამწვანებულ ყანას, ხმაურობდა ქვებსა და თუნუქის სახურავებზე, ვაშლის ხის ფოთლებზე. დედა-შვილი ავადმყოფის სასთუმალთან იჯდა და არც კი შეუმჩნევიათ, არც უგრძვნიათ, რა მოულოდნელად დაარღვია წვიმამ სიზმარსა და სინამდვილეს შორის არსებული საზღვრები. ხმადაბლა ლაპარაკით იყვნენ გართულნი. წვიმა შეიჭრა ავადმყოფის შინაგან სამყაროში, მის სიზმარში, ძილშივე მთლად დაასველა. სახე შეუტოკდა, ბაგეები აუმოძრავდა და ნელ-ნელა გამოფხიზლდა. იმ წუთშივე უნდოდა თავის სიზმარს დაბრუნებოდა, მაგრამ წვიმის ხმაური უშლიდა, აღარ უშვებდა, რომ სიზმარს დასწეოდა. შემდეგ შვილის ხმა ჩაესმა, დედას რომ ეუბნებოდა:

– არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ერთი კვირით გამომიშვეს სამსახურიდან.

– შეატყობინე, დეპეშა გაუგზავნე, რომ დაიგვიანებ.

ავადმყოფმა მისდა უნებურად თავი დააღწია ძილის კლანჭებს, ყური უგდო საუბარს.

– დეპეშა გავუგზავნო? რა მივწერო? რა ვუთხრა, რამდენ ხანს დამიგვიანდება?

ქარმა ვაშლის ხე შეარხია და ტოტი მსუბუქად მოხვდა ფანჯრის მინას.

– არ ვიცი, შვილო, რა გითხრა. მამაშენია, ასე ხომ ვერ მიატოვებ და წახვალ...

ავადმყოფი ლოგინში შეინძრა, თვალი მაინც არ გაუხელია. ძალა მოიკრიბა, უნდოდა შვილი დაეტუქსა. მაგრამ არა, რატომ? დაე წავიდეს. სამსახურში არ დაიგვიანოს. მე რა მამა ვარ, ამდენი ხანია ვწევარ, საწყალი ბიჭი, სამსახურში აგვიანდება, არ იცის, რა უთხრას უფროსებს, რა უდეპეშოს. არ იცი, რა უნდა მისწერო? მისწერე, რომ ჯერ არ მოვმკვდარვარ. მოკვდება, დავმარხავ და ჩამოვალ-თქო. ახლა უკვე უღონოდ ჩაეჭიდა გუნებაში ნათქვამ სიტყვებს. უნდოდა, შვილის მიმართ სიძულვილი ეგრძნო, მაგრამ უცებ შორიდან მომავალმა ტკივილმა გული დაუხშო, აიძულა, დაეკვნესა. ფიქრები აერია. გორგლად ექცა და დაგორდა, წავიდა, გასცილდა, მთიდან დაგორებულ თოვლის გუნდასავით ერთთავად გაიზარდა. შემდეგ ის მოზრდილი თოვლის გუნდა ერთ ბნელ კედელს მიეხეთქა, დაფანტა, თოვლის მტვრად იქცა და ჰაერში გაიბნა, გაქრა. დარჩა მხოლოდ კედელი. არა, ეს კედელი კი არა, მიწის დიდი ბორცვი იყო, რომელზეც თავმჯდომარე იჯდა.

– რუბენ, ეს შენა ხარ? – შეშინებულმა ჰკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



– მე ვარ. მე ვარ, იერვანდ.

თავმჯდომარის ხმა ძლიერი გამოძახილით ჰაერში გაიფანტა და ხეობებში ჩაიკარგა. ერთმა აუტანელმა და გაურკვეველმა ფიქრმა ყელი აუწვა, ენა დაება და სულშეგუბებულმა ძლივს თქვა:

– საიდან მოხვედი, რუბენ? შენ ხომ მკვდარი ხარ?

თავმჯდომარემ გადაიხარხარა.

– ჰა, ჰა... – მისი ხმა მძიმედ ახმაურდა ხეობებში, ისე ხმამაღლა, ეგონა ყურის ბარაბნები დაასკდებოდა.

– იერვანდ, იერვანდ, – ატირებული ეძახდა და მკლავებზე ეჯაჯგურებოდა ცოლი, – რა დაგემართა, არ გესმის?

ცოლის ხმა სულ ახლოდან ჩაესმა, ისე ახლოდან, რომ მან შეძლო მისი დაჭერა, მთელი სხეულით ჩაეჭიდა, აი ისე, როგორც დასახრჩობად განწირული კაცი ჩაეჭიდება წყალში ბედად ატივტივებულ ფიცარს. ამ ხმამ მოაცილა თავმჯდომარეს, უკან წამოიყვანა, დაეხმარა, რომ თვალები გაეხილა.

– ვართან, არ წახვიდე, მეშინია, ჩემთან დაჯექი, – ძლივს წარმოთქვა და ხმა აუკანკალდა.

ვაჟი საწოლს მიუახლოვდა. მამის უსიცოცხლო, ხის მოტეხილი ტოტივით მოწვეტილი ხელი აიღო და თავის თბილ ხელებში მოიქცია:

– ექიმს დავუძახო, მამი!

ვაჟის ხელის შეხებასა და მისი სითბოს შეგრძნებაზე გული აუჩუყდა:

– მე მტანჯავენ, მაწამებენ, მკლავენ. აღარაფერი მიშველის, – ავადმყოფი გაღიზიანებული, ჯიუტი ბავშვივით თავს აქეთ-იქით აქნევდა ბალიშზე. ვეღარ მიშველის. ვერავინ მიშველის!

ოთახის მოკაშკაშე სინათლე თვალებზე ეცემოდა, მაგრამ თვითონ ვეღარას გრძნობდა, ვერა ხედავდა. ცოლმა რაღაც უთხრა, მაგრამ პასუხი არ გაუცია, არც ერთისათვის არ შეუხედავს. მზერა ჭერისთვის არ მოუწყვეტია და ასე უხმოდ და უნუგეშოდ ტიროდა. ცრემლები სახეს უსველებდა. ჭაღარა ულვაშებში იკარგებოდა. შემდეგ ნელა მილულა თვალები და გაყუჩდა. შვილის ხელების სითბომ დაამედა და დაამშვიდა თუ თავისუფლად მომსკდარმა ცრემლებმა დააწყნარა, ნელ-ნელა შეუმსუბუქდა გული და ძილის მომგვრელ რბილ ხავერდში გაეხვია.

უცებ გამოერკვა, თვალები გაახილა და თავის პირდაპირ, ფანჯრის ადგილას დაინახა თავმჯდომარე, რომელმაც დიდხანს უყურა და შემდეგ წყნარად, ძველი ნათესავივით უთხრა:

– გახსოვს, იერვანდ? ახალგაზრდები ვიყავით. მე თავმჯდომარედ დამნიშნეს, ჩემი ადგილის დაკავება გინდოდა, საგუთნე რკინა მოიპარე. დიდი, ბრტყელი რკინა იყო. შენ ამხანაგებთან ერთად წაიღე და ტბაში ჩააგდე. შემდეგ კი წერილი მისწერე რაიონის ხელმძღვანელობას, ვითომ მე სახალხო ქონებას ვანიავებდი და ვყიდდი. მეორედ გუშაგებს ჩასძინებოდათ, ღამით ცხენები შეგერეკა კალოზე, ხორბლის ხვავებზე კომისიის მიერ დადებული ნიშნები რომ დარღვეულიყო, რომ ეფიქრათ, ვითომ ხორბალი მე მოვიპარე.

– მართალი ხარ, რუბენ, სწორედ ეგრე იყო.

– სააკის ცოლზე თვალი გეჭირა, წისქვილში შეხვედი ოცდაათი ტომარა ფქვილი მოიპარე. ხელმძღვანელობამ კი სააკი დააპატიმრა.

თავმჯდომარის ხმა ნელ-ნელა დაშორდა იქაურობას და გაქრა. უცნობმა ხმებმა დაუწყო ყურებში ქრიალი. უნდოდა ეყვირა, რომ თვითონ არა ტყუის, რომ ავადმყოფია. მაგრამ სიტყვები ყელშივე გაეჩხირა. სცადა ხველებით ამოეწმინდა, გათავისუფლებულიყო მათგან, მაგრამ ვერ შეძლო. იგრძნო, რომ სწყუროდა. სწყუროდა და ეგონა, რომ მხოლოდ წყალი იხსნიდა დახრჩობისაგან. აი, ახლავე თვითონ წავა, წყალს დალევს, კარგად გახდება. აქამდე როგორ ვერ მიხვდა? უნდა წავიდეს, მოცდა არ შეიძლება, ლოგინიდან ადგა, კარი გააღო, დერეფანში გავიდა, იქ სინათლე ენთო. ნაბიჯს აუჩქარა, შემდეგ სირბილი დაიწყო, სინათლე სწრაფად უახლოვდებოდა. ახლა უფრო მსუბუქად სუნთქავდა, გულზე ეშვებოდა, თავისუფლდებოდა მძიმე, აუტანელი სიმძიმისაგან. და აი დამთავრდა დერეფანი. სინათლეს მიაღწია და თბილ, თვალისმომჭრელ სხივებში დაინახა ტბა. დედა ნაპირზე რეცხავდა, თვითონ კი, პატარა ბავშვი, თეთრი პერანგის ამარა მის გვერდით იდგა...

განთიადის მოლურჯო სინათლე ღია ფანჯრიდან ოთახში იღვრებოდა. საგნები კვლავინდებურად თავიანთ ადგილას იყო. ხალიც იატაკზე ეგო. ავადმყოფის ღია თვალები ფანჯარას მისცქეროდა. ხელი საწოლიდან ჩამოვარდნოდა. ალიონის შუქთან ერთად დიდ ბუზსაც გამოეღვიძა, ჩამოკიდებულ ხელზე დააჯდა, ზედ გაირბინა, შემდეგ კი ფანჯრისკენ გაფრინდა, რომელიც ახლა უკვე აღარა ჰგავდა დევის თვალს. ეზოში კვლავ მოჩანდა ვაშლის ხე, შორს ფერდობზე კი ქერის ათავთავებულ მწვანე ყანებს ივნისის თბილი ნიავი ატოკებდა.

სომხურიდან თარგმნა

*მაყვალა-არამ გეურქოვა-სააკიანმა*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ღუკას სირუნიანი

## მუსიკა

გუშინ ოპერის ეზოს ბუჩქნარის გარდასულ წელთა ნაგვის წმენდისას
აღმოჩნდა გული.
გული ძველი და ლამაზი იყო, სავსე გრძნობებით,
უბრალო თრთოლვით,
ის ხელოვნების მშვენიერი ქმნილება იყო – ნატვრა-სურვილით
გაჯერებული.
როგორც კი გული სცენაზე დადეს, იგი გაიპო ნაწილ-ნაწილ
დროის შეხებით...
– ეს ანგელოზის გული არის – თქვა ვიღაც შაშის მოთამაშემ,
უნიკალური სახეობა დიდი ხნის წინ გამქრალი გულის...
– ალბათ პატრონმა მიატოვა, – განაცხადა
ისტორიკოსმა, – რადგან ბავშვებსაც კი ტოვებენ
გაჭირვების დროს...
– ეს გამიზნული თამაშია, – თქვა ვიღაცამ, გზაზე გამვლელმა,
– კრიშნას ხორცშესხმა, – აღნიშნა სხვამ და ნაზი ხელები
გულზე დაიდო.
საღამოს, როცა დამლაგებელი ქალი მოვიდა
და სიცივე სახლებისკენ დევნიდა ყველას,
ნაპოვნი გული სცენაზე დარჩა, როგორც თიხის ძველი სასმისი.
ვაი! – თქვა ქალმა, – რა ლამაზი ქოთანია, წავიღებ და მაწვნით
გავავსებ, – და თან წაიღო, შეჯდა ცოცხზე და ერევნის ცა გადაკვეთა
კორდუქის მთების მიმართულებით.
როცა რესტორანს გადაუქროლა,
სადაც ელიტა შეკრებილიყო იმ ღამით თავის შესაქცევად,
თანამდებობის მაღალმა პირმა მკერდის მარცხენა მხარეს იგრძნო
ძლიერი ჩხვლეტა, ყველანი უცებ აფორიაქდნენ, საყვარლებს გული შეუღონდათ,
მიხაკების მსგავსად ცვიოდნენ,
ქვეშევრდომები წესისამებრ უცებ მიყუჩდნენ,
უფრო დაბალი ჩინის წევრები მწუხარების გამომხატველ
სკულპტურად იქცნენ,
ექიმთაგან თითოეული თვითონ ცდილობდა
დახმარებოდა ძვირფას ავადმყოფს,
ეროვნულმა უშიშროებამ ყველას ეჭვით დაუწყო ცქერა,
და დაცვის რაზმმა სულ ერთ წამში დაიკავა მთელი შენობა, ეზო და ქუჩა...
ამ დროს კი თვალი გაახილა იმ ჩინოსანმა და ყველას ტკბილად გაუღიმა!
არაფერია, გული იყო, გამიარა... ჩართეთ მუსიკა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ადამიანი, ანუ ჭიანჭველა

კაცი მიათრევს თავის მძიმე ტვირთს:
ფიქრს, გულს და ოჯახს, პარტიას და ათასგვარ ხარისხს...
ჩუმად მიათრევს თავის საფლავის მიწაყრილამდე და
იქ მხრებიდან მოწყენით იხსნის...
და კაცი მიდის, სამოთხეში,
ჯოჯოხეთში კი ვასახლებთ ჩვენთვის არასასურველ ადამიანებს,
ვისაც არასდროს ვყვარებივართ, ისინი კი ჩვენ გვგზავნიან იმ ჯოჯოხეთში.
ამგვარად, ყველა, ბოლოსდაბოლოს, მოქალაქის ორმაგ სტატუსს მივიღებთ
ბოლოს.
თუ დავინახავთ, ჭიანჭველას ღონიერ ხელებს
მახვილი და წებოვანი ეკლები თან აქვს. ისინი ალაფს იკრავენ და
ბუდეში მიაქვთ.
ბასრი ეკლები არც ნაკლებად კაცის ხელსა აქვს.
დახედეთ თუნდაც ხელისგულებს და დარწმუნდებით...

## ძველი და ახალი წელი

ამ წელმაც ჩაიარა, წავიდა ჩვეულებისამებრ.
მიდიან ჩვენი საყვარელი ადამიანები, კარი ნელ-ნელა იხურება მათ უკან,
ცოტა დარდიანი, მაგრამ შემწყნარებლური და თვალებში აკიაფებული იმედის
ნაპერწკალი,
რომელიც ამბობს: არაუშავს, რაც იყო იყო, ოდესმე შევხვდებით, თუკი
უფალი ინებებს.
ის წავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიმცხრალა ჩურჩული, ჯერ კიდევ მისი
სურნელი იფრქვევა,
სული კარისკენ მიფრთხიალებს, კარი, კარი, კარი...
მის წინაშე გასაღებად, ვინც ეს-ეს არის მოვიდა.
ბაგაბუგი გაუდის ტკივილისა და სიყვარულის შიშის საფარველქვეშ ჩამალულ
ათინათს,
მაგიჟებს ეს შეუცნობლობა, ცოდვილი სიყვარულის მსგავსად,
როგორც გლეხი გოგონა, რომელიც ძვირფას სარეცელს გწყვეტს,
თავლაში მიჰყავხარ და ჩალაში ამოგანგლული ქარს ატანს თავის სიყვარულს.
თასით ხელში ვეგებები ამ შეუცნობადს: კეთილი იყოს შენი მობრძანება!
ეს წელიც გავიდა, ახალიც უკვე სამოსელს იხდის.
მოჯადოებული შევყურებ, თითქოსდა ჯერ არ მენახოს გათენებული დღე,
ქალსა და ოცნებას არ ვზიარებულვარ.
იგივე დღეები ენაცვლებიან ერთმანეთს, თითქოს ჯამბაზთა გუნდებია,
როგორც აწმყო, წარსული თუ მომავალი.
მოდი შევსვათ, არაფერი იცვლება, რასაც ვეძებთ, ვერ ვპოულობთ,
იმას წავაწყდებით, რაც არ გვიძებნია, დაიჯერე,
წლებს სიცოცხლესთან კავშირი არა აქვთ...
გარდაიცვალა და ერთი წლით კიდევ გაიზარდა...

თარგმნა *ბადათერ არაბულმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არევშატ ავაქიანი

## 1982 წლის დადგომისას

იმედზე ჩაბღაუჭებული
და იდუმალი,
მოაბიჯებდა ჩემთან ერთად,
როგორც აჩრდილი.
ის მომყვებოდა
სუსხიანი დეკემბრის გზებით,
ამ გზების ბოლოს
ახალი წლის ჭიატებს შუქი...
ზამთრით გადაღლილ
მდინარეთა მბზინავ სარკეში
ირეკლებოდა ხორხოშელა,
მინდვრებზე თოვლი...
და ჩვენი მზერის გასწვრივ
ფერმკრთალ მთვარესთან ერთად
იჭიმებოდა ჰორიზონტიც
ბორცვებაბორცვ, ნელა...
ჩვენ მივდიოდით
უსასრულო ღამის წიაღში...
და უცებ თოვლით, მთვარითა და
სიყვარულით განათებული,
მარტოსულივით ჩაწდა ნაძვის ხე,
რომელიც ხელებს
ვარსკვლავიან ზეცას უშვერდა...

## ჩვენი ყოველი ქვა

ჩვენთან წყაროთა ნაპირებზე
დღენიადაგ დარიალებენ
ღრუბლები, როგორც მკრთალი რინდები,
მოხეტიალე
უსამშობლო, უცხო მგზავრივით...
ჩემსა და შენში უხილავი, რაღაცნაირი
ერთობა ქარი
სხვა ქვეყნიდან გადმოხვეწილი...
ჩვენს მთრთოლვარე შემოდგომებში
ყოველი ხე
თავანკარა ერთი წყაროა,
რომლის მადლიან ნაყოფიდან
წვეთავს ნექტარი...
ჩემსა და შენში, ო, ის დღეები,
ნაღვერდალივით ინახავენ
სინათლეს, ჩრდილებს,
როგორც სახსოვარს შორეული
ვარსკვლავებისას...
და ყოველი ქვაც ხვიფლმოდებული,
სილით და შლამით ავსებული ერთი გულია,
სადაც ხმაურობს
ისტორიის დაღლილი სისხლი,
საუკუნეთა ქარტეხილებს გამოღწეული...
შენ პატრონი ხარ იმ ხეობათა,
სადაც უნდა იხეტიალოს
მარადიულად ჩემმა ბავშვობამ...

## ჩემი სახელი ჩადე კონვერტში

შენი ცრემლები გაატანე
ქარსა და წვიმას
და თოჯინების ცრემლების მძივი
ერთ ცხვირსახოცში გადაინახე...
პეპლის ხეშეში ფრთების გვერდით
დადე ყვავილი... ლურჯი ყვავილი,
საკუთარ თავს როს უსახსოვრო,
რომ სამუდამოდ დავიწყების
დაფაროს მტვერმა...

თარგმნა *ელგუჯა მარღიამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არუთ კბეიანი

## იადონი საზარელ სიზმარს ხედავდა...

ზაფხულის ცხელი დღე იდგა. ეზოს თაკარა მზე დაჰყურებდა. მთელი დღის უმიზნო ხეტიალისგან ქანცგაწყვეტილი ყმაწვილი სახლში ბრუნდებოდა. როცა სადარბაზოს კიბეს მიუყვებოდა, ნაგვისგამტანი მილის ავზის თავზე წამოსკუპებულ იადონს მოჰკრა თვალი. შედგა, საზაფხულო კეპიანი ქუდი მოიხადა და ჩიტს ნელა მიუახლოვდა. იადონი ბიჭს მშვიდად ადევნებდა თვალყურს და ადგილიდან არ იძვროდა. ბიჭმა ისკუპა და ჩიტი ქუდში მოამწყვდია. ქუდი ხელში კარგად ჩაბღუჯა და სახლისკენ გზა განაგრძო.

როდესაც მესამე სართულს გაუსწორდა, სამოთახიანი ბინის კარი გაიღო და დიასახლისი გამოჩნდა.

- შემოხვალ? რაღაც მაქვს გადასაადგილებელი, იქნებ დამეხმარო! - მიმართა ბიჭს.

- შემოვალ, დაგეხმარები, - უპასუხა ბიჭმა და თვალი შეავლო ახალგაზრდა ქალის სხეულს, ამ სიცხეში მოკლე ხალათი რომ ემოსა.

კარი დაიხურა და ბიჭი ქალის ბინაში აღმოჩნდა.

- რა გაქვს ქუდში? - იკითხა ქალმა.

- ჩიტი, - მიუგო დერეფანში მდგომმა თავჩაკიდულმა ბიჭმა, - ჩიტი...

ბიჭმა ქუდში მომწყვდეული ჩიტი მაგიდაზე დასვა და იადონიც ქუდში საგანგებოდ დატანებული ჰაერგამტარი ნასვრეტიდან. დაუყოვნებლივ შეუდგა გარემოს შესწავლას. ბიჭი ყუთს ასაწევად დასწვდა, ქალიც დაიხარა. არც კი უცდია გაშლილი ნაკეცებიდან გამონათებული შიშველი მკერდის დაფარვა. ეს ბიჭისთვის უკვე რაღაცას ნიშნავდა. ყუთი კარადის თავზე შემოდგეს. ქალი ფეხის წვერებზე აიწია და ყუთის სიღრმეში შესაწევად გადაიზნიქა. ბიჭმა ნერწყვი გადაყლაპა და ქალს აეკრა... იადონმა სარკეში დალანდა ორი შიშველი უკანალი...

ᲘᲐᲓᲝᲜᲘ - ეს ის უნდა იყოს, რასაც ვგულისხმობ, მოხეტიალე თოლიის სკლინტი, როგორ ღმუის, შემზარავიც კია. ეს ყოველივე უფრო საინტერესო ჩანს, ვიდრე ჩვენთან ხდება ხოლმე. ო, რა გრძნობათა კორიანტელია, როგორი გახელება...

ვნება დაცხრა, სიშიშვლეს სამოსი დაეპატრონა...

- ისევ მოვიდე? - იკითხა ბიჭმა გარეთ გამოსვლისას.

- თვითონ გეტყვი! - მიუგო ქალმა მშვიდად, თითქოსდა განურჩევლად.

ბიჭი ქუდით ხელში კარის მეორე მხარეს იდგა და, ჯერ ვერ გაეაზრებინა, რა მოხდა.

სახლში მისვლისთანავე ქუდი გაშალა. ჩიტი ფრთხიალით ამოფრინდა და ჭერზე დაკიდულ ჭაღზე მოიკალათა.

აუტანლად ცხელი დღე იდგა. ქუჩაში არაყიით გაბრუებული ხმით ღრიალებდა ვიღაც. სიცხემ ნელ-ნელა იკლო.

როცა ცა წითლად შეიფერა და მზემ დასავლეთისკენ გადაგორება დააპირა, ბიჭი კვლავ გამოვიდა სახლიდან, ამჯერად მეგობარ გოგონასთან შესახვედრად მიიჩქაროდა. არც თავისი ტყვის წაყვანა დავიწყებია. ცოტა ხანს იხეტიალეს, მერე სკამზე ჩამოსხდნენ და არაფრისმთქმელ, ვითომდა ფილოსოფიურ მსჯელობას მოჰყვნენ. იადონი კი თავისთვის ფიქრობდა:

- გონიერი მეგობარი ჰყავს, უჩვეულოდ ცხოვრობს. ერთისგან სიამოვნებას იღებს, მეორისგან - სიყვარულს. როცა მოვკვდები და ბუმბული დამცვივა, მივალ უფალთან და შევთხოვ, კაცად მაქციოს. ერთი წვეროსანი ჩემს უფალს არწმუნებდა სიკვდილის შემდეგ ჩვენი სული სხვა სხეულში გადასახლდებაო. დაიჟინა - ოდესღაც ჭია ვიყავიო. ვინ იცის, მე იქნებ კაცი ვიყავი... უდავოდ ძლიერი...

იმ დღეს გოგონას და ბიჭს დიდხანს არ უს-

ეროვნული ბიბლიოთეკა



აუბრიათ. ბიჭი სახლში სწორედ იმ დროს დაბრუნდა, როცა ცაში მიმოფანტულ ღრუბლის ქულებს მზემ ცეცხლი წაუკიდა და დასავლეთისკენ იბრუნა პირი.

სახლში თითქოს სიმშვიდე სუფევდა. საუბრის თემად ნაპოვნი იადონი აირჩიეს. ყველას საკუთარი აზრი ჰქონდა ყვითლად შეღინღლულ ჩიტზე, არავის აინტერესებდა, თვითონ ჩიტი რას ფიქრობდა. როცა ვითარებამ დაძაბვა დაიწყო, ბიჭმა გადაჭრით განაცხადა: - ჩიტი ჩემია, მისთვის გალიას ვიყიდი და შიგ ჩავსვამ.

- უფლის პოვნაზე რაღას იტყვი? - იკითხა დამ. ის მუდამ ძმის დარიგებით იყო გართული.

- ჩვენს უფალსაც იქ მოვათავსებ! - იყო პასუხი.

და გაშრა, დედას სითეთრემ გადაჰკრა, მამამ წამოიყვირა. მერე დაშოშმინდნენ და დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ.

დილით გაღვიძებისთანავე ბიჭის ყურთასმენას იადონის ჭყივილი მოსწვდა. „შია!" - გაიფიქრა და ჩიტს პურის ნამცეცები დაუყარა. ერთი საათის შემდეგ გალიით ხელში დაბრუნდა, დიდი გაჭირვებით შესვა იადონი გალიაში. ჩიტმა ხმა გაკმინდა და მოწყენილი მიჯდა ერთ მხარეს.

იადონი - ძაღლის ლეკვი, მე თითქმის პატივს ვცემდი, მან კი ამ ჟანგიან გალიაში შემაგდო. საქმე იმაშია, რომ ვერ ვახერხებ ჩემი ნაფიქრალის გამოთქმას, ნუთუ მასაც არ შესწევს ამის ძალა...

საღამოჟამს სიცხე მინელდა. ბიჭი სკოლის ამხანაგებს შეეხმიანა და ქალაქის მტვრიან და ჩახუთულ ქუჩებში სახეტიალოდ წავიდა. გზად გოგონებს უთვალთვალებდნენ, უფრო სწორად, შიშველ ფეხებს აყოლებდნენ მზერას.

მზე დასავლეთისკენ იწვერებოდა, როცა ბიჭი მეგობრებს დაემშვიდობა და სახლისკენ გზას გაუყვა.

რაღაც უფორმო არსება გამოიქცა მისკენ და, განზრახ თუ უნებლიეთ, ფეხებზე გადაურბინა.

- ნელა! - თქვა ბიჭმა.

არსება მობრუნდა, ქედმაღლური გესლიანი კილოთი ბიჭს ნათქვამის გამეორება სთხოვა და ჰკითხა:

- ნელა, არა?

- ჰო, ნელა! - მიუგო ბიჭმა.

ჰაერი შეიკუმშა. უფორმო არსებამ დასასხმარებლად სხვა თავისმაგვართ უხმო.

ბიჭი სახლში ძალიან გვიან დაბრუნდა. ბნელოდა. სახე დასიებოდა და აქა-იქ ჩალურჯებოდა. ჭრილობები მოიბანა და დასაძინებლად მიწვა. ღამით ქარმა დაუბერა და თან ღამისეული ავხორცი სუნთქვა მოიტანა. ერთმანეთს ენაცვლებოდა ძაღლების ყეფა, კატების კნავილი, ხვრინვა... წვიმის სურნელი ტრიალებდა ჰაერში.

დილით მზემ გამონათება სცადა. შავი ღრუბლები ხედვას უშლიდნენ. ბიჭსაც გაეღვიძა, ჩიტს საკენკი დაუყარა და იგრძნო, როგორ განათდა ფანჯრის ერთი მხარე. ფანჯრიდან თავი გაყო თუ არა, შენობიდან შენობაზე გადაჭიმულ ელექტრომავთულს ნაპერწკალი დაეცა. მალევე დაიგრგვინა კიდეც. თითქოსდა რუდაქმა აღწერა ეს სანახაობა:

„მიწამ მაშინვე ფეხზე დააყენა თავის ურიცხვ ღრუბელთა ლაშქარი,

მხედართმთავრობა ქარმა ითავა, გრგვინვა კი მესაყვირედ იქცა.

მეჩირაღდნე მეწამური ნაპერწკალი იყო, დიდებით აკიაფებული,

მრავალი ბრძოლის შემსწრე ვარ ცხოვრებაში, მაგრამ ეს მათ შორის ყველაზე შემზარავი აღმოჩნდა".

ჩიტს თვალები გაუფართოვდა, შიშისგან მობუზული ჟანგიანი გალიის კუთხეს აეკრა. ბიჭი ფანჯარას მიუახლოვდა და თავი მოვარდნილ ნიაღვარს შეუშვირა. დასიებული სახიდან გამოფიტული თვალები უმზერდნენ ჩიტუნას. ბიჭმა ძალდატანებით გაიღიმა...

- გინდა გაფრენა?.. წასვლა გინდა?

გალიის კარი ფრთხილად შეაღო და... გაფრინდა ჩიტი.

- ვაშა... - შესძახა ჩიტუნამ, - თავისუფალი ვარ, კი მაგრამ, როგორ? განა ვერ შევძლებ ცხოვრებას ყოველდღიური ადამიანური თავსატეხის გარეშე?!

ძლივს მიფრინავდა, წვიმის მსხვილი და მძიმე წვეთები ეხეთქებოდნენ მის ერთიციდა სხეულს, ფრენას უშლიდნენ და ასველებდნენ. ყვითელ ბუმბულს ნაცრისფერი დაედო. ჩიტი სახურავზე შეფრინდა, იქ მყუდრო ადგილი მონახა და მიყუჩდა. ვერ შენიშნა კატა... ფრთებს შორის მისი კბილების სითბო იგრძნო მხოლოდ... ჩამობნელდა...

ერთი იადონი გალიაში აფართხალდა. ნელნელა გამოფხიზლდა და გონებას მოუხმო. მეგობარ ქალს რაღაცას უამბობდა... სიზმარი ენახა...

სომხურიდან თარგმნა

*რუსუდან ჭუბაბრიამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავაქ ეფრემიანი



1.

დროის თვითდამღუპველი სიტყვები.
ესაა დასაბამი ამ უაზრო დღეების.
წაქცეული სვეტები... მიჭირს უკან მიხედვა.
თუმცა მაინც ვცდილობ ჩავისახო ამ მარცვლებში,
რომლებსაც თავი მოუყრია რამდენიმე ასოსთან და ფურცლებთან.
ურცხვ ხელებს მიჭერენ ყელზე, სადაც ჯერ კიდევ ღია ჭრილობებია.
მეორედ უნდა შევიდე ერთსადაიმავე მდინარეში?
ნანგრევები... ამბობს ნაწერი და ქვეყანა...
ყმაწვილკაცობა გარდასული დროის სიკვდილია, სიკვდილი - წარსული,
სიბერე - ამბოხებული სულის დაცხრომაა.
არც თესლი, არც მთესველი,
მაგრამ წარმოსახვის შემზარავი წინასწარმეტყველი.

2.

სიტყვა ერთი მუჭა თოვლის ცივი გახსენებაა.
თოვლი წინასწარი ლოცვაა, ლტოლვაა, ნებაა
ბედისწერის საპირისპირო, მეორე სიცოცხლე,
სადაც დაკანონებულია, რომ ვერც წარსული,
ვერც მომავალი, ვერ დაარღვევს აწმყოს.

ეს დილა თავისი კარგი და ცუდი თვისებებით ბოლოსართია.
მოგონებას ჩუმად არ ჩაუვლია, ერთი-ორი სტრიქონი
ძველი გაცრეცილი ფურცლებიდან კვლავ ამ გარყვნილებს
გამამართლებელი არგუმენტი
პოეტური აღმაფრენის უსუსურობას ატყვევებს.
იდეებს აზრის საშოში მოუყრია თავი.
მუცელი მიცოცავს წარსულის უსასრულობისაკენ.
თმების ტალღებზე ბუმბული ნანაობს.
კისერზე ბაფთაა შებმული.
სიყვარულს შემპარავად მოაქვს თავისი ყვავილები.

3.

სიყვარულს შემპარავად მოაქვს თავისი ყვავილები,
ინასკვება სიტყვები, როგორც კვირტები, თუმცა ძველ ქაღალდს, -
ყმაწვილის ტუჩებს ჯერ არ უგემნია
ღვინო ჯადოსნური სასმისიდან.
მას დაღუპვის უხილავი ნათელი ატყვევებდა.
გზას ველარ იგნებდა რწმენის ზიგზაგებში
ის და მასთან დაკარგული ერთი თაობა.
აზრს ვაგრძელებ წინარე სონეტიდან...
ორივე მხრივ შემოღობილ ციხეში:
აწმყო ქუნჯია--მარჯვნივ მომავალი, მარცხნივ--წარსული.
საკუთარი თავის აღმოჩენის გადაწყვეტილებები,--
მოქმედების სისტემა ისევ მოშლილია;
მოსწავლე არ არის მეტი ხარკის გამღები,
არაადამიანური შრომისა და გადასახადისგან წელმოწყვეტილი

თარგმნა *ავთანდილ ხარაიშვილმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არა ნაზარიანი

## ეგზოტიკური ისტორია

*ბაგატელი - ბულონის ტყეში *არსებული სასახლე, რომელიც 62 დღის განმავლობაში ააგო ერთმა არისტოკრატმა დადებული სანაძლეოს თანახმად*

პარიზში მცხოვრები რიგითი ფრანგი ქალი კონკორდის მოედნის ღია კაფეში ხანგრძლივად მოწყენილი იჯდა. მანქანების გამაყრუებელი ხმაური სმენას ახშობდა. ქალმა კარგა ხანს უმზირა კარნავალეს ძველი კედლის თითქოსდა შეუმჩნეველ ბზარს, რომელიც, ვინ იფიქრებდა, რომ საუკუნის განმავლობაში თვალის მსგავსად გაიხსნებოდა და დაჟინებით დაუწყებდა თვალთვალს ქვეყნის ავ-კარგს, პარიზს, სადაც აღარც რაინდები იყვნენ, არც მეფეები და კარგა ხანია უკვე აღარც გმირული თავგადასავლების ასპარეზად მიიჩნევდა ვინმე. შემდეგ რივოლის ქუჩას გაუყვა სიტემდე, ნოტრ-დამში სანთელი აანთო, ხელოვნების ხიდიდან ხანგრძლივად უმზირა სენას, იმდენად დიდხანს, რომ აზრი შეიკრა და სენას მოლიცლიცე ტალღებში მოზაიკური ნამტვრევების მსგავსად ეიფელის კოშკის სურათი შეაკოწიწა და ამგვარად შერწყმა-გამთლიანებით თვალი მიაპყრო კერპად ქცეულ ეიფელის კოშკს, რომელიც მარსის მოედანზე ქირაფივით იდგა, ღრუბლებში თავშერგული. აჩქარდა, მივლინების გასაფორმებლად ორი წუთით გამომცემლობაში შეირბინა და... მზერა უკანასკნელ სურათზე შეჩერდა - ეიფელის კოშკი, ქირაფივით დიდებული და მოუხეშავი, ახლა კი თვითონვე იდგა „გამარჯვებულ მთიელთა“ ქალაქის მოედანზე „სანგრის ბიჭებს“ შორის, ფეხები განზე გაედგა, შეკრული თმა წითელ თავსაფარში გამოეკრა, ჟურნალისტის თხელთასმიანი უზარმაზარი ჩანთა მიწას ერთი მეტრით წყდებოდა. „სანგრის ბიჭები“ აქამდე ღირსშესანიშნავ ღარბაზებს იცავდნენ, ძველ დიდ ქალაქს ათავისუფლებდნენ, იმედის გზას მეთვალყურეობდნენ, ვითარცა გამარჯვებულნი, თავს მორცხვად გრძნობდნენ და იმავდროულად ამაყადაც პარიზიდან ჩამოსულ ამ სუსტ არსებასთან, რომელიც ჟურნალისტი იყო და კვლავ პარიზში აპირებდა დაბრუნებას... დამორცხვებულები ერთმანეთს მუჯლუგუნს ჰკრავდნენ, ერთმანეთს თვალებში უყურებდნენ და მორცხვობდნენ. სივით პარიზიდან ჩამოსულ გოგონას კი თავი ისე ეჭირა, თითქოსდა მეზობელ ეზოში სარეცხისთვის ახლახან მიენებებინა თავი, რომ ერთი წუთით ქუჩაში გავარდნილიყო, მებრძოლთა საზეიმო სვლა რომ არ გამოჰპარვოდა, შემდეგ კი აღფრთოვანებული ქივქივით უკან შემობრუნებულიყო, ვინაიდან ამ გმირებს, მართალია, ძველი დიდი ქალაქი დაეპყროთ, მაგრამ ყმაწვილკაცები იყვნენ სქელი ულვაშებით და ძველი დიდი ქალაქის აღების გარდა შესაძლოა იდუმალი განზრახვაც ჰქონოდათ. სანგრებიდან მოსული ვაჟები ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, წინ აგდებდნენ კარგად გადარეცხილ ქვაფენილზე და მზე ღვრიდა სხივებს, ხოლო გოგონას მუცელზე განასკვული ლურჯი მოსაცმელის ქვეშიდან ჭიპი მოჩანდა და დროდადრო მზეს თვალს უკრავდა. ბიჭები თვალებს ჭუტავდნენ, მორცხვობდნენ და ეს ყოველივე გოგონას იმდენად ანცვიფრებდა, რომ თავისი ღია და აღფრთოვანებული ღიმილი ავიწყდებოდა. ბიჭებისთვის კი ისეთი სიამოვნების მომგვრელი იყო გოგონას აღფრთოვანებული მზერის დანახვა, რომ, აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ, მისი ჭკვიანი თვალებიდან განცვიფრების ეს ნაპერწკალი რომ არ გამქრალიყო. ძველი დიდი ქალაქი უკვე დაპყრობილი ჰქონდათ, იქნებ ხელახლა დაეპყროთ, რადგან ის ითხოვდა, იმუდარებოდა მოწინავე ხაზზე წაყვანას, ეს კი სახიფათო იყო, ვერ დაჰყვებოდნენ მის თხოვნას, გარდა ამისა, რომ წაეყვანათ კიდეც, რა უნდა ეჩვენებინათ? თოფები და ყუმბარები? იქ სანახავი არაფერი ეგულებოდათ. გოგონას კი ბაგე განცვიფრებისგან ნახევრად გაპობოდა და ლალისფერი ტუჩების მიღმა წვრილი თეთრი კბილების მწკრივი გადამსკდარი ბროწეულის მარცვლების მსგავსად გამოიმზირებოდა. ბროწეულის ღვინის ერთგვარი მათრობელა ოხშივარი ტრიალებდა, თუმცაღა ღვინო აშკარად აკლდათ... ეს აქ და ახლა, თორემ სახლის მარანში, ქვევრებში ღვინო დადუღებულ-დადინჯებული იყო. ბიჭები ერთმანეთს ეცილებოდნენ, გოგონას სკამს სთავაზობდნენ. მან, როგორც იქნა, თავის ჟურნალისტის ჩანთა გადამლებ-ჩამწერ მძიმე აპარატურასთან ერთად განმარტოებით მდგარ საწოლ-ლავანზე მოხერხებულად მოიკალათა. განცვიფრებას ვერ მალავდა ღვინის გამჭვირვალე ძოწისფრის გამო. სასმისებიც უსაშველოდ დიდი ეჩვენებოდა, უკვირდა, ბიჭები ასე რომ ეძალებოდნენ სასმელს და ზატკის კუნძულის ფილოსოფოსთა მსგავსად

\- - - - -

ზატიკ სომხურად ნიშნავს აღდგომას - რ. ჭ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამწკრივებულიყვნენ... საკუთარი თავისაც ვერაფერი გაეგო, დიდი, ძალიან დიდი ჭიქით მათსავით ერთად სვამდა და ღათრობის ნაცვლად სულ უფრო და უფრო ღრმა განცვიფრებას ეძლეოდა - აჯადოებდა ეს უცნაური სამყარო, ღვინის ძალა და ბიჭების შემართება, მათრობელა აღმოჩნდა უცხო ქვეყნის ჰაერი, ღვინის შეუმღვრეველი ძოწისფერი და ყმაწვილთა სიმორცხვე. გამოუთქმელად მშვენიერი იყო ყოველივე - ომის ქარცეცხლში გახვეული ქვეყნის ეს ბნელი და იდუმალი ღამე, ამ სოფლის ორსართულიან სახლში მყოფი სანგრის გმირი მოუხეშავი ბიჭები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ შეეგრძნოთ თავიანთი მომხიბვლელობის ძალა. მათ შორის ერთი გამოირჩეოდა - ლურჯთვალა, რომლის ერთი კვირის გაუპარსავ ჯაგარივით გამოშვერილ წვერს სასიამოვნო სიმკვრივე ჰქონდა, თავს უსაფრთხოდ გრძნობდა და დაიმედებულად. 18 წლისა იყო, რა ენახა ამ ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენ მტერს გადაჰყროდა, კაცს თვალის დაუხამხამებლად მოკლავდა, მაგრამ ქალის გემო ჯერ ვერ დაეჭაშნიკებინა. პირველი იყო მისთვის, ამიტომ თვალები დაეხუჭა და ისე ჩურჩულებდა, როგორც დედის მკერდს მიკრული ჩვილი... გოგონა კი მზრუნველად უალერსებდა თავზე და ბიჭის მამაკაცად ქცევის წუთები მისთვის ისეთივე ახლობელი იყო, როგორც მტვრიან სარდაფში შემოჭრილი მზის სხივი... და კიდევ სოფლის გერმანული ენის მასწავლებელი, რომელსაც, ფაქტობრივად სულ ევროპასთან ჰქონდა კავშირი, მაგრამ საქმით ამ ქვეყანასთან წილნაყარი არასდროს ყოფილა, ლტოლვა კი დიდი ჰქონდა. ეს იყო პირველი უშუალო შეხება, ხელოვნებასთან მიახლოების წყურვილი, კეთილსინდისიერად... კოსტიანი უკანასკნელი იყო, ამღვრეული კუთხეში განმარტოებით იჯდა, ახლოს არ ეკარებოდა, გამორჩეულივით გამოიყურებოდა, უცხოსავით ეჭირა თავი, თავისას არ იშლიდა, ვიდრე ბიჭებმა „სასანგრე მეგობრობის" სახელით არ მოტეხეს. გმირის სიახლოვით, გმირის, რომელიც ყოველდღიურად სიკვდილს უყურებდა თვალებში, ამ მამაცი ბიჭების სულისა და მეობის, მათი სიამაყის ნეტარი გრძნობისაგან გოგონა ფრთაშესხმული იყო, ბედნიერებისაგან გონება ებინდებოდა. მისი ლალი სიცილი ისე ღვიოდა, როგორც ნაკვერჩხალი... როგორც იქნა, კოსტიანმა ამ ზღურბლს გადააბიჯა, მაგრამ გადაბიჯება ის სიტყვა არ არის. ბიჭები სვამდნენ, ის კი თავისი საქმით იყო გართული, სხვები სვამდნენ, ის კი... კოსტიანის ჭიქა არ იცლებოდა, მაგიდაზე სავსე იდგა, ვიდრე ბიჭებმა ტახტს ღრიალით არ ააწყვიტეს და ჭიქასთან არ მიათრიეს... მაინც არ სვამდა. თითქოს სკამზე იყო გამოქანდაკებული, ზოგჯერ გაუბედავი ღიმილით გახედავდა ტკბილად ჩაძინებულ გოგოს, საშოში მყოფი ბავშვივით რომ მოკუნტულიყო ტახტზე. სახეზე ნეტარების სხივი დასთამაშებდა, აღფრთოვანებული გაოცება შერჩენოდა ნახევრად გაპობილ ბაგეს. კოსტიანი არ სვამდა, არ სვამდა და უცებ განაცხადა, რომ გოგონას ცოლად შერთვა ჰქონდა გადაწყვეტილი. ბიჭებთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება იმის გამო, რომ ასე უკადრისად მოექცნენ მის რჩეულს. იმდენი იჩხუბა, ვიდრე ბიჭებმა არ ჩააგონეს - გოგონა აქ დარჩენას არ აპირებს, ისევ პარიზში ბრუნდება და ეს ღალატის ტოლფასიაო, მაგრამ კოსტიანმა გამოსავალი იპოვა, მტკიცედ გადაწყვიტა და განაცხადა, რომ სოფელში წაიყვანდა ფრანგულის მასწავლებლად. ბიჭები ცხოვრებისეულ საკითხებში მთლად უმეცარნი არ იყვნენ. ვთქვათ და, კოსტიანი კი წაიყვანდა, მაგრამ გოგონა რომ არ დაჰყოლოდა მის ნებას, მაშინ? ამიტომ ხუმრობას მოჰყვნენ, ხუმრობა იქით იყოს, მართლაცდა ანგარიშგასაწევი არგუმენტი იყო.

კოსტიანმა კვლავ იფეთქა - ბიჭები ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ, მაგრამ ახლა ამას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მაინც დაქორწინდებოდა. იმდენი ილაპარაკა, იკამათა, რომ ბიჭებმა გოგონას ფეხრთით მიუწვინეს და დააძინეს... ღამეს უკვე ჩაევლო. საცაა გათენდებოდა, მაგრამ მზე ჯერ არ ამოწვერილიყო. მზისა და სინათლისგან მალულად, ისე, რომ მზერას ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს, ხელმოცარული უძლური ბებრებივით გაუჩინარდნენ, კვლავ თავიანთ მოუქნელ, ტლანქ და სახიფათო, სურნელებისგან გამოფიტულ უბადრუკ ყოფას დაუბრუნდნენ. იქ არც ეიფელის კოშკი იდგა და არც „კომედი ფრანსეზი" არსებობდა. სიკვდილს თვალებში შეჰყურებდნენ, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად გრძნობდნენ და ამ ბედნიერებისთვის თავს უღირსად მიიჩნევდნენ.

სიმართლე უნდა ითქვას - ფრანგი ქალი მოლოდინში იყო, ელოდა რაღაცა ძლიერსა და ეგზოტიკურს. სიკვდილის კარს დროებით მოწყვეტილი ბიჭები მართლაც ვიოლინოზე ხომ ვერ დაუკრავდნენ... გარდა ამისა, თუკი სამართლიანი ვიქნებით, მე-20 საუკუნის დასასრულს ნაზი სითბოს რაღაც ნაწილი მათაც ერგოთ. იქნებ ეკუთვნოდათ კიდეც, იქნებ - არა, ვინ იცის...

ბიჭებმა სანგრებს მიაშურეს, ერთი ქერა იყო, ლურჯთვალა, მეორე 18 წლისა ძლივს იქნებოდა, მესამე გერმანულს ასწავლიდა სოფლის სკოლაში მეოთხეც - კოსტიანი. გზას გაუდგნენ, გოგონა მარტო დატოვეს, ის კი ჰორიზონტიდან მეტრის სიმაღლეზე ამოგორებული მზის სხივებში ნაცარში ამოგანგლული ბუმბულივით ლივლივებდა, ფიქრში კრებდა სინამდვილეედ ქცეულ მოზაიკურ ნამსხვრევებს ამ ეგზოტიკური ისტორიისა, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იშვა ყაყაჩოების, ირისების და ფარდებში ჩაძირული ჯადოსნური სასახლის „ბაგატელის" მსგავსად. გაიზმორა და ზანტად დაამთქნარა, სენას ტალღებში არეკლილ ეიფელის კოშკს წააგავდა, ქირაფივით განსაცვიფრებელსა და მედიდურს, ზევიდან რომ დაჰყურებს სამყაროს.

სომხურიდან თარგმნა *რუსუდან ჭუბაბრიამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ედვარდ მელიტონიანი

## ცოდვილნი



ცოდვილებს, ვისაც თავი კრავივით
მოგაქვთ და ღრეობთ დროის სახელით...
მე რომ შემეძლოს, ვერცხლზე გაყიდულ
განვლილ ცხოვრებას დაგანახებდით.

ტკივილი მარტო განა ის არის,
იყოთ ცოდვილნი... თუმცა ძნელია.
ძვირფასი განძი, თქვენ რომ დაკარგეთ -
სინდისი დღემდე არ გიძებნიათ.

## დღეს...

არ ახელილა იმისთვის თვალი
მთის ბინულივით ცრემლები ღვაროს;
დაღლილი სულის წყაროა ცრემლი,
სინათლის ზღვაში მბრწყინავი წყარო.

მელოდიაა იგი მწუხარე,
გულშემზარავი, გლოვა-ვაების...
როგორ დავმალოთ თვალებში ცრემლი,
რომ სიამაყით ჭვრეტდნენ თვალები.

ნეტა თუ არი რამე ციური
ძალა, კურცხალი ვარსკვლავად იქცეს;
გაასხივოსნოს ამქვეყნიური
და მიღმიერი უსაზღვრო სივრცე...

იტირე თვალო მზე და მთოვარე,
ადამიანო, რაღა გახარებს;
ამ სამყაროში შენს სიდიადეს
დღეს მე წარვმართავ და შევხარხარებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ნახატი ჰენრიკ ელიბეკიანისა

## შეფურთხების ხელოვნება

რწმენის გამოცვლა, ნიღბის მორგება
და საკუთარი თავის ღალატი;
ესეც ცოდვაა არანაკლები
როგორც იუდას ცოდვა მარადი.

ვის სურს; ძაღლივით ჩაკვდეს, იშრომოს,
ამ ქვეყნის სიტკბო რომ არ შეირგოს...
როს შეიძლება ოქრო იშოვო
სიცრუით... ყოფა მოიწესრიგო.

თუმცა ცხოვრება - სიტყვა ღვთიური,
ოღენ გვამონებს და გვაიმედებს;
რადგანაც ჩვენთვის ყოველდღიურად
მცირე სარჩოსაც აღარ იმეტებს...

შენ შეგიძლია, ასეც განეწყო,
ზეგარდმო ნიჭის ადამიანო...
რომ ყოფნას ფურთხით ჩამოარეცხო
ლაფი და მერე წვიმას მიანდო...

შენ შიშობ... თავი აღარ დახარო,
დროა! - ბოროტი ძალა ალაგმო...
და შენებურად ცოდვილ სამყაროს,
მხოლოდ სიმართლე ელაპარაკო.

თარგმნა *ელგუჯა მარღიამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურგენ ხანჯიანი

## ბაქანზე

მარტო უნდა წავიდეს, პატარა ხომ არ არის? ათასჯერ უვლია ამ გზით. მიხვეულ-მოხვეული ტროტუარით ჩავა ლიმონათის მაღაზიამდე, სწრაფად ჩაურბენს სულელი კლარას ზამთარ-ზაფხულ ფანჯრებმოფრიალებულ სახლს, უკან მოიტოვებს ვიწრო შესახვევს და ნახევრად სარდაფში ჩამჯდარ ნავთის სავაჭრო ჯიხურს, რომელსაც ტროტუარის ერთ მხარეს მთელ სიგრძეზე გასდევს ბეტონის სქელი კედელი, მეორე მხარეს კი რკინიგზის ლიანდაგი მიიკლაკნება. პირდაპირ, აგურით ნაგები შენობის სარდაფის ფანჯრებიდან ისმის ქურთი გოგონების ხითხითი და მხიარული შეძახილები. მეორე სართულის აივნიდან ხრინწიანი ხმით ყეფს ბებერი ბულდოგი, რომლის მუდმივად ღია პირიდან გადმონადენი დორბლი ხმაურით ეცემა მზესუმზირით მოვაჭრე მოხუცი ქალის სკამთან.

ესეც ბეტონის კედელში დატანებული დიდი ხვრელი, რომლითაც შეიძლება მეორე მხარეს გასვლა, სადაც დაგხვდება ჟანგმოდებული სამარქაფო ლიანდაგი და ხუთი თუ ექვსი უქმად მდგარი ვაგონი. ამ ვაგონებში დროდადრო შეასახლებენ ხოლმე საიდანღაც მოყვანილ და სადღაც წასაყვან ტყვეებს, რომლებიც საერთოდ არ არიან საშიში, როცა გისოსებს მიღმა იმყოფებიან. სამარქაფო ლიანდაგი მთავრდება დიდ მიწაყრილთან. იმის იქით მაზუთის უზარმაზარი პირღია ცისტერნაა, რომელსაც რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს. ამას წინათ ჩვენი ეზოს ბიჭებმა კატის ორი კნუტი ჩააზრჩვეს შიგ. მეისრის მიწურიდან კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და, უკვე ლიანდაგზე ვარ. ფრთხილად, მაგრამ სწრაფად გადავდივარ. ქვიშიანი ბილიკი თანდათან ფართოვდება, აქვეა საწყობის შენობა. ტვირთგადასაზიდი ურიკები, გაზეთის, ლუდისა და ნაყინის ჯიხურები, ხის მძიმე სკამები, დიდი და შტოხშირი ფინიკის ხე, ბოძები, თაღები... კედლის უზარმაზარი საათი... უკვე ბაქანზე ვარ.

მამას დაურეკავს მოსკოვიდან. დედასთან ულაპარაკია. ბიჭი შინ არ ყოფილა (ქუჩაში კოჭობანას თამაშობდა), რომ სცოდნოდა, მამას უნდა დაერეკა, სახლიდან ფეხსაც არ გადგამდა. წუთითაც კი არ გავიდოდა გარეთ. მაგრამ, რა იცოდა. მამას დაერეკა და ეთქვა: „დიდი ხანია, ბიჭი არ მინახავს, როგორ არის? მომენატრა. უეჭველად მოვიდეს სადგურზე, არ დაიგვიანოს, მატარებელი ცოტა ხანს ჩერდება, უთხარით, რომ მისთვის საჩუქარი მომაქვს".

- ღმერთმა უწყის, რა უყიდა, ნეტა შარვალი მაინც მოუტანოს. ბავშვს რიგიანი შარვალი არა აქვს, სკოლაში რომ ჩაიცვას, - თქვა ბებიამ.

- შარვალი კი არა... ვინ მისცა იმას შარვლის საყიდელი ფული? - ჩაიცინა დედამ.

- ამას რატომ ამბობ? - ჩაერია საუბარში პაპა: - კაცს თუ მივლინებით აგზავნიან მოსკოვში, საქმე ცუდად არ უნდა ჰქონდეს.

- ღმერთმა ქნას, მაგრამ იმას რა შეცვლიდა? კარგად ვიცნობ, რაც არის, თუმცა რა ჩემი საქმეა, შეიცვალა თუ არა, - ამოიოხრა დედამ და მხრები ისეთნაირად აიქნია, თითქოს რაღაც მძიმე საგნის ჩამოგდება უნდაო.

- მარტო უნდა წავიდე, პატარა ხომ არა ვარ? უკვე რა ხანია, თერთმეტისა გავხდი, - გამოაცხადა ბიჭმა.

- გაუშვით, მარტო წავიდეს, ახლოა, - თქვა პაპამ.

- ვაიმე, რას ამბობ! - ხელები მუხლებზე დაიკრა ბებიამ. - ხომ არ გაგიჟდით, ლიანდაგზე მარტო როგორ გადავა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა





– გადავალ! – მტკიცედ შეაგება ბიჭმა. – პირველად ხომ არ მივდივარ.

– ქართულ პურზე რომ ვაგზავნით, სწორედ იქ არ გადადის? – ირონიულად დასძინა პაპამ.

– ლიანდაგზე გადადის... – მოლბა ბებია.

„ლიანდაგზე გადავდივარ" – დაამტკიცა ბიჭმა და დედას მიუბრუნდა: – მწვანე ფეხსაცმელი უნდა ჩავიცვა.

– ეგ ერთი წყვილი ფეხსაცმელი გაქვს სკოლაში ჩასაცმელი... – საყვედურით უთხრა ბებიამ.

– თავი დაანებე, ჩაიცვას, – თქვა დედამ, – ძველი ფეხსაცმლით ხომ არ წავა.

– სწორია, ძველი ფეხსაცმლით ხომ არ წავა, – გაიმეორა პაპამ, მერე მაგიდისკენ გაიხედა და დაიყვირა, – ის არაყი ვინ წაიღო აქედან? ახლავე მოიტანეთ!

– ლიანდაგზე ფრთხილად გადახვალ. აქეთ-იქით კარგად მიიხედ-მოიხედე და ისე გადადი, – შინიდან გასვლისას დაარიგა დედამ და მაშინვე მიბრუნდა. ბიჭმა კი სარკეში მაინც დაინახა მისი ცრემლები.

ბიჭი თამამად მიაბიჯებდა დიდ ბაქანზე... როცა ქვიშიანი ბილიკი დასრულდა და დაიწყო ფართო ასფალტიანი გზა, მან ნაჭრით გადაისუფთავა დამტვერილი ფეხსაცმელი. და ახლა ისინი ბაქნის სიღრმეში მდგომი ტირიფის ნორჩი ფოთლებივით ელავდნენ. გრძელტოტებიანი შარვალი არ ჰქონდა. თუმცა ძალიან უნდოდა, რომ სწორედ ასეთი შარვლით მისულიყო სადგურში. ბებიამ დაიწყო ბიძის ზოლებიანი შარვლის გადაკეთება, მაგრამ ვერ დაასრულა. „სიცხეებმა გაიაროს, თვალებში ოფლი ჩამდის, თავბრუ მესხმის. შემოდგომისთვის დავამთავრებ, ჩაიცვამ და სკოლაში წახვალ", უთხრა „ეს. მოკლეტოტებიანი შარვალიც განიერი ჰქონდა და უფრო შესამჩნევს ხდიდა გამხდარ მუხლებს. ბიჭი ამას თვითონვე ხედავდა ვიტრინებში, როცა თავის გამოსახულებას ათვალიერებდა. რომელი მხრიდანაც უნდა შეეხედა, სულ ერთი და იგივე ჩანდა: – მუხლებამდე მოსული შარვლის განიერი ტოტები და მისი გაგრძელება – წვრილი, ძვლოვანი კანჭები.

პატარა გოგონა, რომელსაც მოკლე, ზამბარასავით მაგარი ნაწნავები ჰქონდა, ხის დიდ სკამზე იჯდა და ნაყინს შეექცეოდა. მოკეცილ, ქუსლებით სკამზე მიბჯენილ ფეხებს აქეთ-იქით არწევდა და მადიანად ლოკავდა საპონივით გალიპულ ნაყინს, საიდანაც დიდრონი ღილებივით ეცემოდა წვეთები ყავისფერ კაბაზე. მაგრამ ვერც თვითონ და ვერც მისი სათვალიანი მამა, მის გვერდით რომ იჯდა, ვერ ამჩნევდნენ ამას. გოგონამ ბიჭის მზერა შენიშნა, დაღრიჯა თავისი პატარა, ცხვირაბზეკილი სახე და ენა გამოუყო. ბიჭს შერცხვა, გაწითლდა, თავი ჩაჰკიდა და ნაბიჯს აუჩქარა. მიკროფონით უკვე გამოაცხადეს, სწრაფი მატარებელი „მოსკოვი-ერევანი" მეზობელი სადგურიდან გამოვიდაო, ბიჭი ბაქნის კიდესთან მივიდა თუ არა, ფეხის წვერებზე აიწია და მოუთმენლად იყურებოდა იქით, საიდანაც სადაცაა უნდა გამოჩენილიყო მატარებელი. ქვემოთ, ლიანდაგის გაყოლებით ამოსული ბალახი და ეკლები მაზუთით იყო დათხიპნილი, აი, უცებ შეირხა ლიანდაგზე ამოსული მოყვითალო, სუსტი ყლორტი, შემდეგ ხელახლა, უფრო ძლიერად შეტოკდა. გაისმა გრუხუნი და ლითონის უზარმაზარი ბულდოგი გამაფრთხილებელი განუწყვეტელი საყვირითა და შემაზრზენი ხმაურით გამოცურდა მტვრიანი აკაციებით დაფარული გვირაბიდან. ბიჭმა სცადა, მატარებლის სისწრაფის მიხედვით გაერკვია, რამდენად შორს გაჩერდებოდა და სად მოხვდებოდა მერვე ვაგონი, და თვითონაც გაიქცა. მატარებელი ჩამოდგა ძლიერი ქშენით, მუხრუჭების ღრჭიალით. ამაყად გაჩერებული გამცილებლებით, რომელთაც ხელში დახვეული ყვითელ-წითელი დროშები ეჭირათ. მათ იღლიებს ქვემოდან ან მხარზემოდან მოჩანდა დაძაბულ მგზავრთა სახეები, ფანჯრების ფარდების თეთრ ეკრანზე კი ორმწვერვალიანი მთა... ეს ყველაფერი მღელვარებით ავსებდა მატარებლის

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვერდით სირბილით მიმავალ ბიჭს. გაიარა მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე... ვაგონმა... აი, უკნიდან გაიგონა თავისი სახელი, ძახილი განმეორდა, მაგრამ ახლა უკვე წინიდან. სირბილს უმატა, თუმცა უკვე სუნთქვა ეკვროდა. რკინის მოკლე კიბის ზემოთ ჭრიალით გაიღო კარი და დერეფანში გაჩხერილი მგზავრები მატარებლის გაჩერებისთანავე ბაქანზე გადმოვიდნენ.

მამის ძლიერმა, დიდრონმა, მზედაკრულმა მკლავებმა მსუბუქად აიტაცა ბიჭი, ზემოდან უკვე იმდენად უკიდეგანოდ აღარ ეჩვენებოდა ბაქანი. სკამზე მჯდომი გოგონაც გამოცვლილიყო, როგორღაც მოკუნტული და გასაწყლებული მოჩანდა.

- ეტყობა, არ ვარჯიშობ, კუნთები ფაფასავით გაქვს, მოშვებული.

- ვარჯიშობ... ცოტას...

- ბევრი ივარჯიშე. ვაჟკაცი ხარ, ძლიერი უნდა იყო.

- შენსავით? - ბიჭი კმაყოფილებით უყურებდა მამის გუნდებივით დაბერილ კუნთებზე ლურჯად დაქსელილ ძარღვებს. უხაროდა, რომ ამ მკლავებმა აიტაცა ხელში.

- ჰანტელები არა გაქვს?

- მაქვს, ნახევარკილოიანებია.

- ნახევარი ძალიან ცოტაა, უკვე ათი წლისა ხარ.

„თერთმეტის". ბიჭს უნდოდა შეეხსენებინა მამისთვის, მაგრამ გაჩუმდა.

- ჩემთან რომ მოხვალ, ტრენაჟორს გაჩუქებ, - განაგრძო მამამ. - ზამთრის არდადეგებზე ხომ ჩამოხვალ?

- არ ვიცი...

- დავრეკავ, დედაშენს მოველაპარაკები. ახლა წაგიყვანდი, მაგრამ არდადეგები უკვე გიმთავრდება...

„არ მიმთავრდება", კვლავ თავისთვის, გუნებაში თქვა ბიჭმა.

- მერე... საქმე... რა გითხრა. ის ახალშობილი შენი დაიკო ერთთავად ტირის. ყველა მას ემსახურება. მესამე კლასი კარგად დაამთავრე?

„მეოთხე" - ბიჭს უნდოდა, ახლა მაინც შეესწორებინა, მაგრამ მხოლოდ ესა თქვა:

- ოთხებსა და ხუთებზე.

- ყოჩაღ. თქვენს სადგურში ლუდს არა ჰყიდიან!... - შვილის პატარა, გაოფლილი ხელი თავის დიდ და ძლიერ ხელში მოიქცია და ასე ხელჩაკიდებულები ჩავიდნენ ბაქანზე.

- ნაყინს შეჭამ?

- არა.

- ყელის ტკივილის გამო?

- ჰო, ყელის გამო.

- შენ აქ გაჩერდი, ლუდს ავიღებ, ვაგონში დასალევი აღარაფერი დარჩა...

ფარდულის წინ დიდი რიგი იდგა. მამა კი, გაუგებარია, როგორ მობრუნდა ასე სწრაფად ხელში ლუდის შეორთქლილი ბოთლებით.

- წავიდეთ, - თქვა და წავიდნენ მერვე ვაგონისაკენ. მამამ უცებ შენიშნა ბიჭის მწვანე ფეხსაცმელი.

- ეს რა არის? ვაჟკაცი მწვანე ფეხსაცმელს ჩაიცვამს? - გაეხუმრა.

- პაპამ მიყიდა, - თავი იმართლა დარცხვენილმა და აწითლებულმა ბიჭმა და მაშინვე გული შეეკუმშა იმის გამო, რომ უღალატა პაპას.

- პაპა როგორაა? კიდევ სვამს?.. როგორ არიან თქვენები?

- კარგად...

- მიშიკ, ეს ბოთლები გამომართვი, - დაიძახა მამამ ნახევრად ღია ფანჯარასთან, საიდანაც ორი ბანჯგვლიანი ხელი გამოცურდა და ბოთლები წაიღო.

- მაგიდის ქვეშ რომ ყუთი დევს, მომაწოდე! - გაახსენდა მამას და იგივე ბანჯგვლიანმა ხელმა პატარა ყუთი გადმოაწოდა.

- აიღე, - მიმართა მამამ. - ეს შენ, სუვენირია. მოსკოვიდან.

- გმადლობთ, - ძლივს წარმოთქვა ბიჭმა და ყუთი გამოართვა. ეს „მადლობა" მეტად გრძელი და ენისათვის მიუჩვეველი იყო.

- მადლობა რომელია! ერთი მითხარი, რატომ წესიერად არ ვარჯიშობ? ეს მამაკაცის ხელებია? დამპირდი, რომ ივარჯიშებ.

- ვივარჯიშებ.

- სუყველასი რატომ გრცხვენია და, საერთოდ, ნუ ხარ ასეთი მორიდებული. თავი მაღლა ასწიე. არა, ეგრე არა. მზერას ძირს ნუ ხრი. აი ასე. ახლა კი გადააფურთხე. დააფურთხე, დააფურთხე ასფალტზე, აი აქ, დააფურთხე!

- როგორ...

- დააფურთხე, რომ გეუბნები, დააფურთხე, ჰო, აი ეგრე.

- დაიძრა, - თქვა ბიჭმა და უჩვენა საკმაოდ წინ წასული ვაგონი.

- კარგი, აბა, ერთი ლოყა მოიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიჭმა კვლავ იგრძნო მსუბუქი ჩხვლეტა სახეზე და ძლიერი, მაგრამ მშობლიური სუნი.

– მატარებელი მიდის...

– ნუ გეშინია, არ დავრჩები. თქვენებს მოკითხვა გადაეცი, – მამა გაიქცა და მსუბუქად შეახტა მატარებელს. ასახტომად რომ ფეხი ასწია, ბიჭმა შენიშნა, რომ შარვლის ტოტები გაცვეთილი ჰქონდა, შემდეგ კი მამის ხშირთმიანი თავი გამცილებლის ყვითელწითელ დროშებს იქით გამოჩნდა. „იანვარში დაგელოდები“, გაისმა ძლიერ ხმაურში.

მატარებელი თანდათან უმატებდა სვლას და უკვე იმდენად შორს იყო, რომ თვალთან ცერის მიტანით აღარ ჩანდა. ერთი პატარა ცერი ფარავდა უზარმაზარ მატარებელს, ათობით ვაგონებს ასობით მგზავრით, რომელთა შორის იყო ბიჭის მამაც.

ბიჭმა დაუშვა ცერი, რომელსაც აღარაფერი ჰქონდა დასაფარი შორეულ რელსებზე და გამოჰყვა უკვე დაცარიელებულ ბაქანს. ნაწნავებიანი გოგონა ჯერ ისევ იჯდა სკამზე მთვლემარე მამის გვერდით. დაინახა თუ არა ბიჭი, ხელახლა გამოუყო ენა. ბიჭი მობრუნდა, ასფალტზე დააფურთხა და გზა განაგრძო.

გოგონამ გააყოლა მას მზერა. როცა საკმაო გზა გაიარა და უკვე მარტო დარჩა, იღლიის ქვეშიდან გამოიღო ყუთი და შეამოწმა, ფიცარს გვერდებზე ნახვრეტები ჰქონდა, შიგნით არაფერი ჩანდა. ყუთზემოდან ლურჯი ანაბეჭდი იყო. მაღაზიის სანახევროდ გადაშლილი ბეჭედი ესვა. ბიჭი თვალებით დიდხანს ეძებდა, თუ რა იყო ყუთში. შემდეგ კედლის ძირას დიდი ბიჭები დაინახა და ყუთის გახსნის სურვილი, მაშინვე გაუქრა.

სახლიც უკვე ახლოს იყო, მოჩანდა კიდეც.

– გამოართვით ყუთი და გახსენით, – თქვა ბებიამ.

– არა, მე უნდა გა... გა... გა... გა... გავხსნა, – დაიყვირა ბიჭმა და რაღაც უცნაურად შეარხია მხრები.

– რა თქმა უნდა, შენ უნდა გახსნა, დაწყნარდი, – მიეალერსა დედა და თავზე ხელი გადაუსვა.

– აიღე, ამით ადვილად გააღებ, – დიდი სახრახნისი მიაწოდა პაპამ.

ყუთში საშუალო ზომის კუ იყო. უმოძრაოდ იდო. თავი და ფეხები ჯავშანში შეემალა. ბიჭმა ყუთიდან ამოიღო და მაგიდაზე დადო. ყველა უსიტყვოდ უყურებდა. ჯავშნიდან კუს ბრტყელი თავი და გაფაციცებული თვალები გამოჩნდა, მაგრამ მაშინვე გაუჩინარდა.

– ცხოველები უყვარს, მახსოვს, ერთხელ არწივის ბარტყი მოიყვანა შინ... – მამის გასამართლებლად თქვა დაბნეულმა პაპამ. – ბავშვს ჩასაცმელი არაფერი აქვს, იმის მაგივრად, რომ... – დაიწყო ბებიამ, მაგრამ დედამ შეაწყვეტინა, – გაჩუმდი, – ბევრსა ლაპარაკობ, – დაამატა პაპამ. ბიჭს უცებ გაახსენდა მამის გაცვეთილი შარვალი და საშინლად მოიწყინა.

– ამბობენ, კუს ხორცით გემრიელი საჭმელი მზადდებაო, – არ ისვენებდა ბებია. – ჩემ კუს თავი დაანებე, – უხეშად იყვირა ბიჭმა. – ამ მწვანე ფეხსაცმელსაც აღარასოდეს ჩა... ჩა... ჩა... – დაიწყო მან სლოკინი, ვერ დაამთავრა, კუ აიყვანა და ოთახიდან გავარდა.

სომხურიდან თარგმნეს

*მაყვალა და არამ სააკიანებმა*



ნახატი მარტიროს სარიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გევორქ სნხჩიანი

## ჩემი ჩინარი



*საყვარელი ძმის ოჯახს*

ჩემი დამქრალი კერიის ჩინარს,
ხანმოთნეულს და ჩამომხმარს უკვე,
კვლავ გასკდომია კვირტი და მცინარ
და ლორთქო შტოებს გამჳლელებს უკმევს...

თუ ჩემი ოდა - ოდესღაც მყარი -
აწ ჭინჭარს მიაქვს... რა მოხდა მერე? -
მერე რა, თუკი ჩაშლია მხარი,
მისთრევს და მიაქვს ამღვრეულ ღელეს...

ჩემი ჩინარი კვლავ გაკვირტულა,
აღმსდგარა მკვდრეთით განგების ნებით
და ვით სიყრმის ჟამს - მხნე და დიდგულა -
შრიალა შტოებს უხვედრებს ზეფირს...

ჩემი ბავშვობა ხტის შენს გარშემო, -
საწყალს, სალბუნად შენ უფენ ჩეროს;
შენსავე ხვედრზე ფიქრის ამშლელო
ახალყოილო მოხუცო ჩემო!..

* * *

იქით ზვიადი მთიანეთი მოსჩანს - სასუნი,
აქეთ - ღვთის სახლი, ჯავახეთი, ზეცად ასული;
ისტორიაა საარაკო ამბად გასული,
იქით ზვიადი მთიანეთი მოსჩანს - სასუნი

სტუმართმოყვარე მხარე - უხვი, მლხენი, გულღია,
მოყვასთან სათნოს მტრისთვის ქედი არ მოუხრია;
იქით ზვიადი მთიანეთი მოსჩანს - სასუნი,
აქეთ - ღვთის სახლი, ჯავახეთი, ზეცად ასული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ეპიტაფია მეგობარს

თემურ ფიფიას ხსოვნას

მე აქ შენს მეტი მყავდა არავინ -
ეჰ, მარტოდ შთენილს ღმერთმა უშველოს!
ჩემი ოჯახი, ჭერი, კარავი
შენ იყავ, ახლა, რა ვქნა უშენოდ?

ძმაო კეთილო, ბედი ბეცია!.. -
ამ უღმერთობით მარად ვევნები;
ეს გარეგანი რა დღე გეწია,
მკვლელი ხიბლის და სულიერების.

აბა, ვით გითხრა: „წახვედ მშვიდობით" -
მე განშორების არ მწამს სამანი...
შენ ციცხალი ხარ - მხნე და მიმნდობი -
დიდი ტკივილი ღია სამარის!..

## პარალელურ ტალღებზე...

უმეტეს ქუფრი, უსახური კიდევ დრო თუა -
ტალახის ფურთხი დასდებია ქუჩას, ტროტუარს;
- ჩემ მთებში ახალ წმინდა თოვლი ირევს ლილოსფერს,
თოვლქვეშ ენძელას გამოჩენას ვცნობთ ლურჯ ღიმილზე...

ჰაერი - თალხი, ქუჩა - გაწვდილ ხელით უპოვრის,
ცინცხალ ცვარს წამლად ნორჩ ბუჩქსაც კი ვერსად უპოვი;
- ჩემ მთებში ახლა კვირტი ხეთქავს ქვასაც, ქარაფსაც
და მშობიარის ტკივილს მიწაც აგდებს არაფრად...

ქუჩა დაკლული... მიხაკებით, სავსე - ძაღლებით
და მშერა - დამქრალ ოცნებებით, გულისწამლებით;
- ღედისეული თონის ტუჩზე კატა ვანური
შიგ ქოთანი და ლავაში და სუნი მამულის...

აქ წვიმა მალპობს, ბუვის ისმის შორი კივილი;
- ჩემ მთებში - ბატკნის ხმა რძიანი, ბავშვის ღიმილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ქვეყანა თითქოს სცენაა დიდი,
ხოლო ცხოვრება - უაზრო დრამა;
თამაშობს ყველა: ვინ რა გზით მიდის,
ვის რა გამოსდეს, ვინ განსჯის ამას?

ყოველით ტკივილი და მოწყენაა,
ღმერთო, თამაში კი გვიღირს ამად?! -
ქვეყანა თითქოს დიდი სცენაა,
ხოლო ცხოვრება - უაზრო დრამა...

* * *

დაწყნარდი, გული თვინიერო! -
შენ შენი ქედით,
შენ შენი მხრებით
შენი ჯვარი დათმენით ზიდე...
და მძიმე თუა,
ვის ანაღვლებს ეგ შენი ხვედრი?! -
აჰა, გოლგოთაც! - დაცხრი,
მცირე გზა გრჩება კიდევ...

სომხურიდან თარგმნა *გივი შაჰნაზარმა*



კომპოზიცია რუბენ ადალიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჰენრიკ ს.სააკიანი

## საქართველოს

როგორ დააღწიოს თავი კავკასიამ ომს და ქაოსს! -
შენ რას ფიქრობ, ძმაო ქართლოს! შენ რას იტყვი, ძმაო ჰაოს!

არარატთან - ნოეს კვალს და იქ, კოლხეთში - ოქროს საწმისს -
ჩვენ ხსოვნაში ღრმად ვიმარხავთ - ძალას მატებს იგი საძმოს!..

საქართველოვ! მე ვარ შენი უუერთგულესი შვილი!
შენს სახელს რომ გავიფიქრებ, ამ ფიქრითაც პოეტს შველი!

მე ვარ შენი მშენებელი - შენ ამაში არ დაეჭვდე:
ყველგან ნახავ ჩემი სულის და თითების ანაბეჭდებს! -

თეძამია, მარმარილო, ფიქალია, აქატია -
შენი ტაძრის ღვთიურ პერანგს ჩემი ხელიც ახატია.

როგორც კახმა, როგორც სვანმა, როგორც მესხმა, როგორც თუშმა... -
მეც ვებრძოლე საქართველოს დასაქცევად მოსულ დუშმანს...

და რომ წავალ - რომ მოვრჩები ძმობის ლხინს და შრომის ფერხულს -
შენი უკვდავების კიბეს მეც შევმატებ ერთ საფეხურს...

## ეს ჩემი მიწაა

ეს მიწა, რომლის ნახვისთვის ამდენი გიოცნებია,
შენს თვალწინაა! ეს ძნები - მზის მოოქრული ძნებია!

მუდამ შენს ტკივილს ვიყოფდი! შენც მუდამ მხარში მედექი!
ჩემი და შენი მტკვარი ჩანს, შენი და ჩემი მეტეხი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



შენი და ჩემი მიწაა, ჩემი და შენი ცა არი!
ჩვენია, დილით ბორიოს ხმები რომ მოაქვს საარის...

უფლის სურვილით აყვავდა აქ დავარდნილი ის თესლი -
გადმოსულია ჩვენზედაც მადლი იესო ქრისტესი...

ეს მთები - ჩვენი მთებია, მზე რომ გვწვავს - ჩვენი მზე არი! -
სამარადისოდ საერთო, სამარადისოდ ზიარი!

ჩვენია ეს ავლაბარი, ჩვენია ეს ნარიყალა,
ჩვენია ლეღვი, რომელმაც ციხის ნაბზარში იხარა...

გვიმრავლოს ძმა და მოყვარე, გვენახოს მტერი ძლეული!
ბედნიერი ქნას უფალმა ახალი ათასწლეული!

რა ლამაზია ცარგვალზე ვარსკვლავის თვალთა ხამხამი!
დარჩი: იგრძენი ბოლომდე მშვენიერება ამ ღამის...

თარგმნა *ტარიელ ჭანტურიამ*



ნახატი ჰენრი ელიბეკიანისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რუბენ ოვსეფიანი

## ბროწეულები

პაპაჩემი შესანიშნავ გუნებაზე იყო. თავისი პენსია თვალის დახამხამებაში მიაფშვნიტა ბაზარში: ერთი კილო თამბაქო იყიდა, ერთი ხელი საცვალი, ყველი, პური, არაყიც გადაეყლურწა და ახლა სწორედ ის არაყი არწევდა ასე. ჭრაჭუნა ტახტზე იჯდა და ზანტად იხსნიდა შარვლის ღილებს, ფეხსაცმლის შესაკრავებს დ თავისთვის ღიღინებდა თბილისელი კინტოების სიმღერას, რომელიც არც მხიარული იყო და არც ნაღვლიანი.

- ნუ მღერი, პაპა, - ვიყვირე მე.
- რატომ, შე ძაღლის ძუძუთი გაზრდილო?
- ნუ მღერი, - ვუთხარი, - მეტირება.

იმიტომ კი არ მეტირებოდა, რომ სიმღერა ნაღვლიანი იყო, არა. ჩვეულებრივი სიმღერაა, თბილისელი კინტოები ვაშლის გაყიდვისას რომ მღეროდნენ: „დული იაბლოკი, დული იაბლოკი...“

იმიტომ მეტირებოდა, რომ პაპაჩემმა, მამაჩემის მამამ, რომლის ერთადერთი შვილიშვილი და ჩვენი ოჯახის ერთადერთი იმედი მე ვიყავი, ისე დახარჯა მთელი პენსია, არც კი გავხსენებივარ. მარტო იმ ფულით, არაყში რომ მიახარჯა, შეეძლო შინ მოეტანა ხუთიექვსი დიდი ბროწეული, ეს კი საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ ახლა ტირილი არ დამეწყო.

თქვენ არ იცით, რომ მე ზღაპრებსა ვთხზავ? არა, კი არ ვთხზავ, ვყვები, არა, ვყვები კი არა, ვხედავ ჩემს შეთხზულ ზღაპრებს. იმ ზღაპრებში მუდამ არის ხოლმე ბროწეულები. ბროწეული მხოლოდ ხილი როდია. ბროწეული ზღაპარია. ბროწეულის წითლად ჩაწიკწიკებული მოელვარე მარცვლები ბრილიანტები და იაგუნდებია, ასეთი ძვირფასი ქვები კი სადა გვხვდება? რასაკვირველია, ზღაპრებში. უკვე მერამდენე დღეა, ხილის მაღაზიაში შევდივარ და შევყურებ ბროწეულების გორას. გუნებაში ვფცქვნი გემრიელ ხილს და მარცვლებისაგან ყელსაბამსა და სამაჯურს ვაკეთებ...

დღეს გამყიდველს, ალბათ, მადის გასაღვიძებლად, ერთი დიდი ბროწეული გაეჭრა და მისი წვენი, სისხლივით წითელი წვენი დახლზე ჩამოწანწკარებულიყო, ეს წითელი წვეთები ისეთნაირად ელავდა, ისეთნაირად მიზიდავდა, ველარ გავუძელი და პირთან უჩუმრად მივიტანე თითი, რომ შემდეგ გამელოკა, მაგრამ. ჩემდა საუბედუროდ, წვეთები ყინულად ქცეულიყო,

- თუ გეტირება, იტირე, - მითხრა პაპაჩემმა. - როცა ადამიანს ეტირება, უნდა იტიროს. თუ მშიერია და ჭამა უნდა, უნდა ჭამოს, თუ სწყურია და დალევა უნდა, უნდა დალიოს...

ახლა უკვე ტიტლიკანა იყო პაპაჩემი და ახალ საცვლებს იცვამდა თუთუნთან, ყველთან და პურთან ერთად ბაზრიდან რომ მოიტანა. შეშინებულმა ვიფიქრე, ეს საცვლები, ალბათ, სხვისია, ვინც ახლა უკვე აღარ არის, გარდაცვლილია. თორემ ბაზარში რატომ უნდა გაეყიდათ? მეგონა, რომ ის მკვდარი ამაღამ ან ხვალ პაპაჩემს გამოეცხადებოდა და თავის თეთრეულს მოსთხოვდა. რა უნდა ეპასუხა პაპას? და მეტირებოდა, რადგან უცებ გამახსენდა ჩემი ცხოვრების ყველა ნაღვლიანი დღე. გავიხსენე დედაჩემი, რომელიც მოულოდნელად გაქრა, გავიხსენე მისი დაკარგვის საღამო, შინ მარტო მე და მამაჩემი რომ დავრჩით, არ ვლაპარაკობდით, ერთმანეთს არც კი ვუყურებდით. მე შაქარი ჩავაგდე ჩაიში და პატარა კოვზით ვურევდი, დიდხანს, დიდხანს ვურევდი, კოვზს ჭიქის კედელზე რაკარუკი გაუდიოდა. მამაჩემი მელოდებოდა, მასაც სჭირდებოდა კოვზი ჩაის მოსარევად. შაქარი უკვე დამდნარიყო, მაგრამ მე მაინც ვურევდი, მაინც ვაჩხაკუნებდი კოვზს. სიმღერას ვისმენდი.

მამაჩემი უკვე იძულებული იყო, ეთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- კოვზს არ მომცემ?

- არა...

- კარგი, - თქვა მამამ და ჩაი მოურევლად დალია.

სახეზე შევხედე, არ ვიცი, რა დავინახე მაგრამ მახსოვს, რომ ავტირდი.

- ადამიანმა ჩიტივით უნდა იცხოვროს, - თქვა პაპაჩემმა. - ჭამა გინდა? ჭამე, დალევა გინდა? დალიე. სიმღერა გინდა? იმღერე...

უეცრად კარი გაიღო და ჩვენი მეზობელი, მკლავებაკაპიწებული ქერივი ვართენი, შემოვიდა. ორთქლის და საპნის სუნი ასდიოდა და მეც მივხვდი, რომ უნდა მებანავა.

- აბა, ჩქარა, სწრაფად, - თქვა ვართენმა, - წყალი ცივდება, წელიწადის ბოლო დღეა. ჭუჭყიანი ხომ არ შეხვდები ახალ წელს? მერე მთელ წელს ჭუჭყში გაატარებ. აბა, სწრაფად, სწრაფად.

ვართენმა თვითონვე გამხადა ტანსაცმელი, ამიყვანა და ტაშტში ჩამსვა. ხეშეში თითებით მისრესდა მკლავებს, ზურგს, კისერს. ასე მეგონა, ჯანს მაცლიდა, თავზე მდუღარეს მასხამდა და მე ცალკე ტკივილისაგან, ცალკე ცხელი წყლის გამო ვტიროდი.

- თვალები დაუდგეს დედაშენს, შვილო, - იწყევლებოდა ვართენი და კანს მაძრობდა, - ფეხები მოტყდეს დედაშენს, - ამბობდა და ცხელი წყლით თავს მიფუფქავდა.

როცა გამშრალებული და ჩაცმული თბილად ვიჯექი ღუმლის გვერდით, კარგა ნამტირალევი შევყურებდი ღუმლის კარიდან ძაღლის ენასავით გადმოგდებულ ალს, ვნახე ერთი ზღაპარი, მანამდე რომ არასოდეს მენახა.

მატარებელი ჩვენს სადგურში გაჩერდა. იმ მწვანე მატარებლიდან ჩამოვიდა თოვლის პაპა. ხელში არც ტომარა ეჭირა, არც ტომსიკა. ასე ცარიელი მომიახლოვდა და თავზე ხელი გადამისვა. ჯიბიდან ერთი ბროწეული ამოიღო, შემდეგ მეორე, მესამე მეოთხე... ამასობაში სადგურის ზარი დარეკეს, თოვლის პაპამ ხელახლა გადამისვა თავზე ხელი და გაიქცა დაძრული მატარებლის დასაწევად.

ისე ნათლად დავინახე ეს ზღაპარი, გამიკვირდა კიდეც, როცა ბროწეულები გაქრა. შვიდჯერ ვნახე იგივე სიზმარი და, ალბათ, ხელახლა ვნახავდი, რომ მამაჩემი არ მოსულიყო. მამაჩემს ხელში არც ტომარა ეჭირა, არც ტომსიკა. ასე ხელცარიელი მომიახლოვდა და თმაზე მომიალერსა. სულშეგუბებული ველოდი ზღაპრის გაგრძელებას. მაგრამ მამაჩემს ჯიბეებიდან არაფერი ამოუღია, არც ბროწეული, არც ვაშლი, არც კანფეტი, სულ არაფერი.

და მე ვიფიქრე, ამქვეყნად არავის უნდა ზღაპარი სინამდვილედ აქციოს-მეთქი: ვითომ რა ძნელი იყო, ჯიბიდან ოთხი ცალი ბროწეული ამოეღო?

- სადგურში მივდივარ, - ვთქვი და პალტო ჩავიცვი.

- ამ გვიან ღამით? - მკითხა.

- ჰო, ამ გვიან ღამით...

- კარგი, - თქვა მამაჩემმა - წადი.

კვლავ გამახსენდა კოვზის ამბავი, არა, მაინც რატომ არ მიბრაზდება ეს კაცი? რატომ არ მიყვირის? რატომ არ მიკრძალავს? თუ დამტუქსავდა, თუ დამიყვირებდა, თუ ამიკრძალავდა, ვეტყოდი: მივდივარ, გშორდებით, რადგან... რადგან ერთი ბროწეული რაა, ისიც კი არ მომიტანე ამ ახალი წლის ღამით-მეთქი. მაგრამ ის არა მტუქსავს, არ მიყვირის, არ მიკრძალავს, კარგიო, მეუბნება და მე უფრო მეტად ვღონდები.

მამაჩემიც გამომყვა გარეთ. ერთმა შეციებულმა ძაღლმა დაიყმუვლა, მაგრამ მისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. თოვლის ფანტელები გვეყრება, არც ამას ვაქცევთ ყურადღებას. მივდივართ სადგურში. სადაც არის ჩამოდგება ღამის მატარებელი. გუნებაში შველასა ვთხოვ ჩემს ცხადლივ წარმოდგენილ, ზღაპრებში არსებულ ჯადოქრებს: გემუდარებით, ამ ერთხელ მაინც სინამდვილედ მიქციეთ ზღაპარი. მე თქვენგან არც ნაძვის ხე მინდა, არც ციგა, არც დარბაზები, არც ცხენი, მხოლოდ გთხოვთ, რომ დღეს, აი, ამ ღამის მატარებლიდან ჩამოვიდეს თოვლის პაპა და მაჩუქოს ოთხი ბროწეული, ოთხი ბროწეული, ოთხი ბროწეული...

ჩავუარე ხილის მაღაზიას და ვერ შევძელი, არ გამეხედა იქითკენ. ბროწეულების გორა განახევრებულიყო. მკლავით გავწმინდე მაღაზიის მინა, რომ კარგად დამენახა, მაგრამ მინა შიგნიდან შეორთქლილი იყო.

- ბროწეული მჟავეა, არა, მამი? - ვკითხე.

- მჟავეა.

- კბილები მეკვეთება ბროწეულის ჭამისას, - ვთქვი და გუნებაში კვლავ შევევედრე ჯადოქრებს: ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მაინც ექცია ზღაპარი სინამდვილედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაქანზე წითელქუდიანი სადგურის უფროსი და რამდენიმე რკინიგზელი იდგნენ. სადგურის უფროსს ხელში ფარანი ეჭირა და მის შუქქვეშ თოვლის ფანტელები უკეთ, უკეთ ჩანდნენ, უფრო დიდები და გამჭვირვალენი. შემდეგ შუქი შესუსტდა, რადგან მატარებელი თავისი გველეშაპის მსგავსი თვალებით მოგვიახლოვდა.

ჩაგვეარა ვაგონის ფანჯრებს მიკრულმა სახეებმა, ღამის ნათურებმა, ფარდებმა მოგვაფრქვია ქვანახშირის, მაზუთის, ზეთის სუნი და მატარებელიც გაჩერდა. იქიდან ვიღაც ჩამოვიდა, მაგრამ ის თოვლის პაპა არ იყო. რამდენადაც მივხვდი, ის კაცი ტუქსავდა და თითს უქნევდა სადგურის უფროსს.

მივუახლოვდი. კაცი ყვიროდა:

- გაწმინდეთ, ახლავე გაწმინდეთ.

- დიახ, დიახ, - თავს აკანტურებდა სადგურის უფროსი.

- მორიგეობა დანიშნეთ, ეს რა ბარბაროსობაა?..

- დიახ, დიახ, - იმეორებდა სადგურის უფროსი. შინ მარტო დავბრუნდი, რადგან მამაჩემმა თოვლის გადახვეტა იკისრა, დილამდე იქ უნდა დარჩენილიყო.

- შრომას ფულად აგინაზღაურებთ, - შეჰპირდა სადგურის უფროსი.

შინ მივედი. პაპაჩემს ახალი წლის დადგომისათვის არ მოეცადა და დაეძინა. მეც ჩავწექი ლოგინში და გადავწყვიტე, აღარასოდეს, აღარასოდეს აღარ მომეგონებინა ზღაპრები, აღარ მენახა სიზმრები და, ალბათ, პირველი შემთხვევა იყო, რომ ზღაპრის უნახავად დავიძინე.

დილით კი ჩემს ბალიშქვეშ ოთხი ბროწეული ვიპოვე...

პაპაჩემი ღუმელზე აგურს ათბობდა, რომ ორ საბანში გახვეული აკანკალებ[illegible] მამაჩემისთვის ფახებქვეშ დაედო.

და მე ვიფიქრე, რომ ამქვეყნად ყვე[illegible] ძნელი ზღაპრის სინამდვილედ ქცევაა...

სომხურიდან თარგმნეს
*მაყვალა და არამ სააკიანებმა*



ნახატი აკოფ აკოფიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხაჩიკ მანუკიანი

## უკანასკნელი თაფლობის თვე



უკანასკნელი თაფლობის თვეა ცოდვილთათვის:
დიდებით მგზნებარე მზევ კარგად ანათებ, -
ეს, რა ენერგია შთაგბერა შენმა დედილომ
თავისი სხივოსანი ძუძუებით?
შენ, რომელიც ბედის გამრიგე ბილიკი იყავ,
რომლის ყოველ ნაწილში შუქი ილვრებოდა, -
შენ, ო, ღმერთო, ათასჯერ მომიტევე მე ცოდვები,
ჩემო ციურო არსებავ!
ისინი, ვინც შენამდე იყვნენ,
უკვე საუკუნეებით გაგვშორდნენ...
ჩემი გულის უკანასკნელი სამსხვერპლო ტაბლა -
მკრთალად ციალებს, მშვიდობით იყავ!

## დამასკოს აღთქმა

მე ვიცი მაგრამ თქვენ არ გაგიმხელთ,
როგორ იხსნიან ეჭვისაგან საყვარელ ქალებს,..
ამის შესახებ დამასკოში მიამბო ერთმა...
ტურფა დიაცმა, მომღერალმა დამასკოელმა...
გვიან დამემდე ჩემთან ერთად შეთვრა არაყით...
შემიტყუა... და შემიყვანა სახლში პატიჟით.
ვით წყალში თევზი: მე აღმოვჩნდი მის სარეცელში.
გათენებამდე ვიჭყუმპალეთ ვნების მორევში:
- აი ცხოვრება - მითხრა ქალმა: - ბრიყვო მგოსანო...
სწორედ ეს არის და არა ის შენ რომ გგონია...
ამ ქოხში ფრთხილად დაველოდები -
შენს შემოსვლას შუაღამისას...
ჩუმად მოხვალ და ჩუმად წახვალ თევზივით სველი...
თუ გინდა ეჭვი აარიდო საყვარელ ქალებს.
ისინი მაგრა უნდა გიყვარდეს.

* * *

ჩემს დამშრალ თვალებს ჩაუქრა სხივი,
ჩემი ზღაპარი ღვინოსა და მტვერში ჩაიფლო;
გიჟმაჟი ქარი შლის ჩემს ნაკვალევს -
ძაღლივით მყეფი დროის კედლებში...
წყვდიადის კართან, სადაც არ კრთის არანაირი სხივი სინათლის.
ვის მოვუხმო დარჩენილმა უცხო სამანზე?
სიყვარულმა, რომელმაც ამოგვირჩია და ვერ მოგვაგნო -
ცას მიაშურა საკუთარი ჯვარცმისათვის.

თარგმნა *კობა არაბულმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მჰერ არშაკიანი

* * *

1.

ჩვენი სხეული მიიკრა გულთან და ჩვენი თავყრილობა
თითქმის უჩინარი და შიშველი, ძნელად გასაგები,
გამჭოლი ნათება, რომელმაც შენ ნატვრა შთაგბერა,
სამუდამოდ შებრუნდა ერთი ჯვარცმულის ბაგეზე.
რაიმე სხვა ნება უნდა შეეწიოს შენს შურისძიებას,
ჯერ ნუ შეუშვერ მუხლებს წყლის ნაკადს,
შენ ვინ მოგემსახურება დაღლილს,
არ დაამახინჯებენ შენს ნაბიჯს,
მოწყვეტილო უფალო ჩემო.
მე სხეულს ვირჩევ, მე ვირჩევ გამოფიტული ძახილის
უკანასკნელი ღმერთის ცივ ჩრდილს
და მესაკმეველეს უკვე დაუსრულებლად არსებულს
და არ ვუტოვებ ჩემს ტკივილს იმ ხნიერ ებრაელს.
ერთის უიმედო დაუსრულებელი თვლემა
წყლულს ამწკრივებს ჩვენს ვენებზე
და იქ არიან უკვე თავდავიწყებული კაცები -
თავდავიწყებული სიყვარულის მწვერვალებზე გარდაცვლილნი.
იქ დრუბელი მიკრულ ტუჩს ყოფს ორად,
წყურვილის ძახილს გაიგონებ და გამოფიტულს,
მე ჩემი მოჩვენება ვარ და საფლავი ჩემი ცრუ
უნდა გამქრალიყო ჯვარზე გაკრულის სიკვდილით თვლემა,
ან ჭრილობა უნდა გახსნილიყო ცაში,
მე შენს სხეულს ვირჩევ, უმიწოს,
დიდების გარეშე დარჩენილს,
ყველგან უკვე ჯვარზე გაკრულნი მიუტევებენ.

2.

მძიმე, მკვდარი მიწის მსგავსად,
მძიმედ ქრება დილა ჩემს სხეულზე
და არ დასახლდებიან ეს მოხეტიალე ჩრდილები ჩემს სულში,
და სალხინებლის მიმტოვებელი, ეამბორება სიბნელეს,
და არ ისურვა ის არც ერთმა ბარბაროსმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგრამ მისი სიბნელე უყვარდათ და დიდი იყო უღვთოება მისი,
რადგან სიბნელე არსებობის სივრცეებში - ჯანმრთელი სიბნელეა.
არ გამსკდარა მისი თავის ქალა მკვდარი მიწის მსგავსად,
რომელიც შეყვარებულ იქნა სევდით და სრულებით არ დაუკარგავს ხიბლი.
ერთადერთი შუაღამისას სისხლი არ ცხრება ჩვენს ვენებში
ჩვენ უარს ვამბობთ ჩრდილების მძიმე სევდისგან,
ჩემი სიყვარული აღარ მოკვდება შენთვის
და ოცნებათა მსგავსად არ ვიცხოვრებთ წესისამებრ.
მაგრამ მივყავართ ცაში ისე, რომ არ ვუახლოვდებით ჩვენს მზის ჩასვლას
პედესტალებზე დღეგრძელი საფლავები ირწევიან ცაში,
მომდევნო დღის მსგავსად არარანი ვართ
და არაფერი იქნება სრულყოფილი,
არყოფნის ზმელი ჩვენთვის წილხვედრილი ჯოჯოხეთის საპირისპიროდ
და მოჭრიალე უფსკრულების ჭრილობებზე შესანახად
იგივე შეყვარებულნი ვართ უარყოფილნი,
სიბნელისგან ისევ დანაწევრებულნი და შიშველნი,
ჩემს წინაშე აღიმართება ჯვრის მატარებლის ზურგი,
სხეულთა შორის ჩვენ არ გვაპატიებენ ჩრდილში არყოფნის უკანასკნელ შესაძლებლობას,
როგორც სიკვდილმისჯილი ვერ უძლებს სიკვდილს.
მძიმე, მკვდარი მიწის მსგავსად მზის ჩასვლას ვატარებთ ჩვენს ცარიელ ვენებში და
ოცნებები მიგვაქვს მკვდარი სამშობლოების საფლავებში,
რომელთა დათარიღებაში წარხოცილია დილის არქონის აღიარება.
არ უნდა დაიჯერო, ჩემო სიყვარულო, რომ ამის შემდეგ მომეტევება ცოდვები,
სიბნელეში არ ხდება პატიება,
არაფერი ამბობს - არსებობას ღვთისა, ასევე მის არ-არსებობას.
რაღაც აფორიაქებული ვტოვებ ამ სიყვარულს,
მე ყოველთვის მიყვარდნენ ქალები,
რომელთაც სიკვდილის მსგავსად არაფრის დაპირება არ უყვართ.
მე ყოველთვის უარს ვეუბნებოდი ყველაფერზე ჩემს თავს,
როცა არ მინდა გაცემა, ვსწავლობ ჭეშმარიტების თამაშს,
რადგან არაფერი დარჩა და არავინ;
მე დიდება მინდოდა,
უკვდავებაშეგნებული უკანასკნელი ცოდვილის დიდება,
დიდება უკვე ღვთის მიმართ რწმენადაკარგულისა,
მსურდა ქალებზე უარი მეთქვა, როგორც ერთადერთ მეფეს,
როგორც სიყვარულის სიტყვებისგან დაღლილი წიგნის ერთ გვერდს,
რომელიც ოცნებებში დავტოვე.
ახლა გესმის?
ოქტომბრის იმ ცხელ დღეს
ვკილავდი ქალებს და ქალთა უარმყოფელო,
ზედმეტია ცოდვათა ჩაქვავება,
ზედმეტია იმედის ქონა თუკი სიყვარული არ გინდა, მითუმეტეს, თუკი გინდა.
მაგ დილას, როცა ქუჩებში სიყვარულს დავდევდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაქცევის საშუალებას არ მაძლევდნენ
და როგორც გარდაცვალების ნიშანი
ვიმალებოდი თითოეულის ნაკვალევში. შემდეგ ვღრიალებდი
- მოკვდი, ზედმეტო ჩემო, მოკვდი!
და არავინ შეიწუხა თავი ჩემი უცოდველობის საპატიებლად,
მარიამ, ნუთუ ვეღარ ვიპოვი თავშესაფარს?
თუ ცხოვრებას აზრი არა აქვს, თუკი სულ ერთია მღელვარება.
ჩვენ ყველანი ზურგსუკან ვნატრობთ სიყვარულს.
ჩვენ შეგვიძლია იერუსალიმის დაბრუნება
ღმერთთან მიახლოვების გარეშე,
ისე, რომ თაყვანი არ ვცეთ მას.
ახლა მე ვიცი, ვინც უნდა შვას სიძულვილი -
იმან, ვინც დაიცავს დედას და თავის უფალს.
ჯერ კიდევ გუშინ სიყვარული და სიკვდილი ეზომებოდნენ შენს ყოველ სიტყვას
და ჩემს ყოველ მზერაში დაბადებიდან აღმდგარის
დაწყლულებული ჩემი სხეული ეცემოდა შენს წინაშე, მარიამ,
ამის შემდგომ აღარ მომიძებნიხარ,
ამ დღიდან ა ღ ა რ   მ ი ყ ვ ა რ დ ი.
მე არ ვიცი, ჩვენგან ვინ ვინ მიატოვა,
ღმერთები მსხვერპლშეწირვისთვის
ანგარიშგებას აწარმოებენ და არა სიკვდილისთვის,
მე დღესაც დიდების შესახებ ვლაპარაკობ,
კიდევ ერთ ღამეს წავიკითხავ
ყველა სტრიქონს,
რომ გვერდი აგიარეს პირველი სიყვარულის მსგავსად,
ჯერ შენს თვალებში წავიკითხე პირველი სტრიქონი -
ცოდვილი ხარ, ვინაიდან ჯერ ღმერთთან ახლოს იმყოფები,
ვინაიდან შენ თვითონ ხარ ღმერთი, - აპატიე.
როცა ღამის კარიბჭე დაიხურება, არ მოეძებნით არავის და არ იქნება დილა,
არ იარსებებს განთავისუფლება სიყვარულიდან აღფრთოვანებამდე.
შენ თვითონ ხედავ,
ვიცი მხოლოდ ის, რომ უარყოფილი იქნება ყოველი,
აღარ არის მოღრუბლული ოქტომბერი
და უცებ ჩაიხრებიან მუხლები
და, რაც არ განდიდდება, უნდა მოასწავებდეს ღვთის დაბრუნებას,
ოჰ, მარიამ, სიყვარულს თავისი ერეტიკოსი ჰყავს,
მაგრამ არა თავისი ღმერთი;
ჯვარი აღიმართება კოცონის ადგილას,
ეს ჯვარი ვისი ხვედრია?
სწორ გზაზე შევიგრძენი სიკვდილი,
გარკვეული აზრით, ესეც ერთი მიზეზია, რომ დღეს აღარ მოვკვდე.

სომხურიდან თარგმნა *რუსუდან ჭუბაბრიამ*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვიოლეტ გრიგორიანი

## შუაღამე

1.

სავსე მთვარე ამოგორდა ცის კაბადონზე -
ჩამოქნილი ფაიფური, მოსხლეტილი თოჯინა,
თითებს ამოძრავებს, ძაფებს ექაჩება,
ადიდდა მოჯადოებული წყლები,
მამაკაცთა მოქნილი სასქესო ორგანოები,
აღსდგნენ მთვარეულები, ძაღლებმა დინგები აიშვირეს,
უფრო მაღლა, ვიდრე ქვიშაა, ვიდრე ქალი, სახურავები თუ ხიდები, ფუნდუკები თუ მატარებლები.
მაგრამ მე ვერ ვახერხებ ხელების აწევასაც კი,
მზერის აღმართვაც კი არ შემიძლია,
სიტყვის სიტყვისგან გამორჩევა არ ძალმიძს,
გადამტვერეულ ვარდამდე ვიარე, უკანასკნელი ეკალი გულში ჩამესო,
მივუახლოვდი ფიჭვნარს -
ვნახე მთვლემარე ნეტარი ხეები ორგაზმში -
ამოჩრილ კონუსებზე წავიფორთხილე,
ყინულზე სასიკვდილო ცეკვა შევასრულე,
მაგრამ ლანგრით კომბოსტოს თავი მომართვეს,
ოქრო მივეცი ფულის გადამცვლელს,
მან ფერად-ფერადი ქაღალდები შემომაჩეჩა,
ტანისამოსს შევიკერავ ამ ქაღალდებისგან,
შევხედე საკუთარ თავს, თურმე ვტირი,
შევხედე საკუთარ თავს, თურმე მოწყენილი ვყოფილვარ.

2.

თვალებს ვხუჭავ, სევდაა ირგვლივ, თვალებს ვახელ, ისევ სევდაა, თავს ვაბრუნებ - ისევ..., ხუთ ღერს ვანთებ ასანთისას - ისევ მოწყენილობაა, ფანჯრის ქვეშ მარეტი გაცხოველებით ვაჭრობს, წიგნს ვშლი - თეთრი ირემი ევლება ფურცელს, დატოტვილი რქები სტრიქონებს შორის ეხლართება, შაშვი ტოტიდან ტოტზე ხტება, იცდის, თვალებს აცეცებს - რამე ხომ არ შეცვლილა? ტახმა წაიკუნტრუშა მინდორში, დაჭყლიტა აბიბინებული ბალახი, ციცინათელებმა თქვეს - იქმენინ ნათელი, ჭოტი და თხუნელა გაოგნებულნი დარჩნენ, ჩემი სანთლის შუქი თრთოდა, სიბნელეში მარეტი ჯერ კიდევ ვაჭრობს, კოდალამ ხეს კაკუნი აუტეხა, ცხრატყავამ გაიკვირვა: ხომ არ გაგიჟდა?! არ დაიჯერა. შაშვმა იცადა, ნახა, რომ არაფერი იცვლება, უწინდელ ტოტზე გადაფრინდა, ირემმა კისერი მოიღრიკა, რქები სტრიქონიდან დაიხსნა, ტახმა მიწაყრილი დატორა, როგორც მოეჩვენა, თაგვმა თავი გამოყო - მოუხეშავი ისევ ტრაბახს მოჰყვა, ნახევარსტრიქონიც გარეულმა ვირმა მოძოვა,
მარტორქას მზერისგან შორს, შაშვმა იცადა, ნახა, რომ არაფერი იცვლება, სხვა ტოტზე გადასკუპდა. ერთიც მე დავახველე, პანმა დამინახა, მხიარულად მომიახლოვდა, თმებზე მომიალერსა, ჩემთვის სალამური აახმიანა, რბილად შეტოკდნენ ჩემი ფარდები, გარეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მარეტი ვაჭრობს, ნიმფებმა სამკაულები მომართვეს, ფერუმარილი და სურმა, მძაფრი სუნამო მიბოძეს, აბრეშუმის თავსაბურავი დამახურეს, ფეხზე ლამაზი სანდლები მომარგეს, მკლავზე ავი თვალის წინააღმდეგ ლურჯი მძივი შემაბეს. მდინარის პირას წამიყვანეს, მითხრეს – უყურე, მოულოდნელად ძილმა არ წაგიღოს, ყურადღებით ადევნე თვალი...
შავმა წყალმა ჩამოიარა, ფეხი არ შემიდგამს,
მას რუხი წყალი მოჰყვა, არც მაშინ შევსულვარ,
ქანგმორეული წყალი გადმოდინდა, ხელი არ დამიკარებია,
ოქროს წყალს თმები შევუშვირე,
რძიანი წყალი სახეზე შევისხი,
ვარდისწყალი სხეულზე გადავივლე.
ანკარა წყალში გადავეშვი,
სირინოზს გავეთამაშე, სიმღერა გავაბი,
შხეფები კისკისებდნენ ჩემს ირგვლივ,
ფანჯრის ქვეშ მარეტი მოჰყვა ღრიალს: რომელი ნაძირალა ასხამს ამ ბინძურ წყალს?
თავსაბურავი ქარმა მომტაცა, სანდლები წყალმა წაიღო, უთავსაბურავომ და ფეხშიშველამ ბალახებში ჩავრგე თავი.
ტყის ფერიებს მოვეწონე, მომიალერსეს, სახეზე ხელი დამისვეს, მუცელი ამილოკეს, მოხდენილი ძუძუები ჩემს მკერდზე ააცურეს, ჩემი ბარძაყები თავიანთ ფეხებს შორის მოიქციეს, სველი ენით შემიღიტინეს, გონება დავკარგე, ქელესებურ მასად ვიქეცი, ბალახში გავერთხე, ერთიც ვნახე, რომ მოსაყოლი გამიჩნდა, გავიზმორე, ღეროები დავარწიე, ვარსკვლავა ლერწმად გადავიქეცი... ფანჯრის ქვეშ მარეტს სილა გააწნეს: „აი, ტუტუტა ძუკნა, დოლარი ვის შეაჩეჩე?" პანმა სული შეუბერა და გვერდები ერთმანეთში არია. ამგვარად მე კენტავრად დავრჩი – ნახევრად „შუაღამე" და სანახევროდ ლერწამი. ჩემგან ახლა რა სალამური გამოითლება? ფანჯარა დავკეტე – სევდა იყო ირგვლივ.

3.

ლერწმის ენა ცუდად ვიცი,
ვიოლეტას ცოტა ესმის...
მაგრამ ჩემი ერთი ცხოვრების შესახებ გიამბობთ,
ოჰ, მარეტნო, ხმამაღლა დამიტირეთ,
ერთმა მე და მეორემ ჩემი ხვედრი.
შუაღამისას ჩემი თითი მოკვდა,
ჩამოვჯექი ზღურბლზე,
ვიტირე ჩემი თითის გამო.
საერთოდ მეტირებოდა.
მამაჩემმა ჩემზე ძალადობა იხმარა,
დედამ ბეჭედი გამიყიდა,
ძმამ ეშმაკისეული მიწოდა,
დებმა სიცილი დამაყარეს,
საყვარელმა დამაორსულა და მიმატოვა ბნელ ღამეს.
უცნობი მეზობელი მომიახლოვდა და... სახეში შემაფურთხა.
ბიძებმა ინგლისური ქინძისთავებით
ჯანმრთელი სხეული დამიჩხვლიტეს,
ლურსმებგამოჩრილ კასრში ჩამსვეს და ზემოდან დამაგორეს.
ბიძაშვილებმა მუხის ხისგან გამოთლილი მოხერხებული კუბო მაჩუქეს,
მეგობარმა ქალმა ჩემი საქმრო თავის ლოგინში შეითრია,
ჩემმა უფროსმა ვაჟმა კაზინოში წააგო საკუთარი დედა.
ჩემი კოჭლი ქალიშვილი კი
მძღოლებმა სარდაფში თავიანთ მსხვერპლად გაიხადეს.
ღამის სრულ სიჩუმეში შუაღამისას მოკვდა ჩემი თითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოი, მარეტო, ხმამაღლა დაიტირეთ,
ჩემი თითის გამო შენდობა თქვით.

4.
შვიდი წელია სიტყვა არ დამიძრავს და არ გამიღიმია,
შვიდი წლის განმავლობაში ძაფს ვართავდი,
შვიდი წელიწადი ტილოს ვქსოვდი,
შვიდი წელი პერანგს ვკერავდი.
არც ერთი ჩემი გედი ძმა არ დაბრუნებულა,
უფლისწული მე არად მაგდებს
ჩემს თვალებსა და თმებს არცკი უყურებს,
მხოლოდ ფეხსაცმლის ზომას აზუსტებს,
ნაცარში, ნაცარში, ნაცარში დავემალები მას.

5.
მე ვნახე, როგორ ხუჭავს ვარდი თვალებს, იმორება,
თავს დებს მიწის მაღალ სამსხვერპლო მაგიდაზე,
წამჩურჩულა - ჩემს ადგილას დადექი.
მე ვნახე, თუ როგორი ძლიერი ნაკადით გამოხეთქა სისხლმა კაცის ჭიშკრიდან და მე შემესხა - ჭრელ-ჭრელი ჭიები დამესივნენ.
ზამთარში მე რამდენჯერმე ქალაღდის ტანისამოსში გავიარ-გამოვიარე,
ხოლო ჩემი რჩეული მუდამ ყინულის ქვეშ იმყოფებოდა,
ჩემს თვალებს უყურებდა, ხელს ვერ აწვდენდა,
ჩემს თვალებს ხედავდა, ბაგეებს ვერ ახებდა,
ჩემს თვალებს ხედავდა, სურნელს ვერ გრძნობდა,
ჩემს თვალებს უყურებდა...
მე ზანზალაკი მაქვს ფეხზე შებმული კეთროვანის მსგავსად და რამდენჯერმე ვრეკავ;
გამერიდეთ, ჯანმრთელო ყმებო;
განმშორდით, მდიდარო გოგონებო,
ნუ შემომხედავთ, მშვენიერო ყმაწვილებო,
დაუჭიანებელნო, სრულქმნილნო, სრულყოფილნო, ობმოუკიდებელნო, ხელშეუხებნო.
რამდენჯერ დავმალვივარ საკუთარ თავს უბედურების მაუწყებელი ექვნების წკარუნში.
მაგრამ ერთი ყრუ ფუტკარი, მფრინავი მალემსრბოლი,
ირგვლივ ტრიალებდა, მიახლოვდებოდა ყოველი მხრიდან.
ის მე დამღარავს თავისი ხორთუმით,
ჩემი ჭრილობებიდან ნექტარს ამოწოვს, მაგრამ მე, ბოლოსდაბოლოს,
მეთოთხმეტე ღამე რომ დადგება, დავწვები წყლის წვეთზე,
ჩემს გულს - წითელ ლაქას - დავაყრდნობ მოქნილ, დაჭიმულ ჩემს ხერხემალს
და ჩალის ღეროს კბილებს შორის გავათამაშებ...

4.
ხოლო, როცა სავსე მთვარე ამოვა,
ჭრიალით ამოიზრდებიან ცოცხალი მამაკაცური სასქესო ორგანოები,
გასცდებიან ქვიშას, ვარდს, ფერფლს, დროშას, სიტყვას, ფულის გადამცვლელს,
უკან მოიტოვებენ გლოვას, ფარსს, მამაჩემს, დედაჩემს, სპორტს, მათემატიკას,
აღთქმათ წყევლას... ზემოდან გადმოხედავენ ამ ჯანსაღ გაუგებარ ქელეს.

სომხურიდან თარგმნა *რუსუდან ჭუბაბრიამ*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ილია ბარამიძე

## ჩემი ელჩობის ოდისეა

1989 წლის აპრილის შუა რიცხვები იყო. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თბილისის უმაღლეს კურსებზე ვმუშაობდი. გენერალ როდიონოვზე თავდავიწყებით შეყვარებული კურსების ხელმძღვანელობა რუსულ პრესაში მომრავლებულ ანტიქართულ სტატიებს ქსეროქსზე ამრავლებდა და თანამშრომლებში ავრცელებდა. კურსების ქართველი თანამშრომლები მუდმივი თვალყურის ქვეშ იყვნენ (ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ახლაც ჩემთან ინახება) და ამ დროს მე, სუკის ოფიცერმა, გაფიცვა გამოვაცხადე პროტესტის ნიშნად. ასეთი რამ საბჭოთა უშიშროების ისტორიას არ ახსოვს, თუ მოსკოვის ყურამდე მიაღწია ამ ამბავმა, დასრულებულია – ჩემი კარიერაო, იფიქრა კურსების უფროსმა კოვალიოვმა და, რადგან პროფილაქტიკურ საუბრებს ვეჯიუტებოდი, ურჩი ოფიცერი სომხეთის დედაქალაქ ერევანში გამგზავნა ერთთვიანი მივლინებით, პრაქტიკაზე მყოფ სომეხ კურსანტთა ხელმძღვანელად.

ხარმა ხარს ურქინა და ბალახზე მიაგდოო, ამაზე უთქვამთ; სომხური ეროვნული მოძრაობის ეპიცენტრში აღმოვჩნდი. ამაში დიდად დამეხმარა რუსთაველის საზოგადოების წევრობა და კიდევ ჩემი ერთი საბუთი – ქართველობა. ამ საბუთმა პირველად ერევნის სასტუმრო „შირაქში" გაჭრა.

ნომერი თუ გაქვთ-მეთქი, ვკითხე მორიგეს. სასტუმრო მიწისძვრით დაზარალებული ხალხით არის გამოტენილი, მაგრამ ქართველს უარს როგორ გეტყვიო, მიპასუხა მორიგემ და ანკეტა დამიდო წინ შესავსებად. ძალიან მიყვარს ქართველები, ვაჟკაცური, გულღია ხალხი ხართ, სომხებს რომ მიწისძვრა დაატყდათ თავს, სწორედ ქართველები მიეშველნენ პირველნი, თვით ერევნელებსაც კი ჩაასწრეს უბედურების რაიონებშიო. მერე დავრწმუნდი, რომ ყოველ სომეხს ქართველთან საუბრისას ისე აუცილებლად მიაჩნია ამ უანგარო დახმარების აღნიშვნა, როგორც პირჯვრის გადაწერა ეჩმიაძინში შესვლისას.

ეროვნული მოძრაობის ხალხი სად იკრიბება-მეთქი, მორიგეს ვკითხე. იქვე, სასტუმროს წინ, კარუსელებიანი პარკისკენ მიმითითა. რომელიღაც პარტიის წევრები, რომლისა, არ ვიცი, იქ იკრიბებიანო.

ერთ საათში პარკში ვიყავი. ჭარმაგ ადამიანთა ჯგუფთან მივედი, რაღაცაზე გაცხარებით რომ დავობდნენ. დამნაკლებლები აღმოჩნდნენ, ძირძველი ერევნელები და რეპატრიანტები.

გულთბილად მიმიღეს, ცხრა აპრილის გამო მომისამძიმრეს, ერი შემიქეს. ერთი მათგანი ისტორიის პროფესორად გამეცნო. ქართველთა და სომეხთა ძმობა ურყევიაო. თქვენს მენშევიკებთან ევროპაში საუკეთესო ურთიერთობა გვქონდა, ზოგიერთ საკითხში უთანხმოების მიუხედავადო. მერე მკითხა, როგორ უყურებს ქართული ეროვნული მოძრაობა ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ახალციხის სომხეთისათვის დაბრუნების საკითხსო („ახალქალაქ", „ახალციხ" – ასე წარმოთქვამდა სახელებს, ალბათ, ასე უფრო სომხურად ჟღერდა). ჯგუფის სხვა წევრებს არ მოეწონათ პროფესორის საუბრის თემა. ნუთუ ქართველებმა ის დაიმსახურეს ჩვენგან, რომ ახლა ტერიტორიული პრეტენზიები წავუყენოთო?

ქართველები თქვენზე ნაკლებ არც მე მიყვარს, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა ხომ უნდა აღდგესო, თქვა პროფესორმა და მერე ამ თემას აღარ დაბრუნებია.

იმ დროს ერევანში საგანგებო მდგომარეობა იყო, კომენდანტის საათი მოქმედებდა. ბატონკაცურად დააბიჯებდნენ ხელჯოხიანი, მაგრამ უიარაღო რუსი ჯარისკაცები. ოპერისა და ბალეტის თეატრი გუშაგების ალყაში იყო. კოსმოსური კვლევის ცენტრში უფრო ადვილად შეაღწევდი კაცი, ვიდრე თეატრის ტერიტორიაზე. საქმე შემდეგში ყოფილა: რამდენიმე თვის წინ თეატრისწინა მოედანზე მიტინგები იმართებოდა თურმე. საგანგებო წესების შემოღებისთანავე, კომენდანტურის ბრძანებით, მიტინგები აიკრძალა და თეატრის მოედანიც ალყაში მოაქციეს. მიტინგები მალე ისევ განახლდა. ყოველდღიურად მრავალათასიანი უსანქციო თავყრილობები იმართებოდა მატენადარანთან, უმაღლეს საბჭოსთან, ცეკასთან, უნივერსიტეტთან, საბრალო ჯარისკაცები კი დღე-ღამის განმავლობაში იცავდნენ ფუნქციადაკარგულ თეატრის მოედანს, ვინმე არ შეიპაროს და მიტინგი არ მოაწყოსო. აი, კომუნისტური სიფრთხილე და წინდახედულობა.

სომხური პრესა უაღრესად კომუნისტური იყო, თითქოს არაფერი ხდებოდა; სახალხო-ეროვნული ღონისძიებების ფირზე აღბეჭდვა აკრძალული იყო და, თუ ჩემმა ფოტოობიექტივმა ისტორიას გამოსტაცა რამდენიმე უნიკალური კადრი, სტატუსს უნდა ვუმადლოდე.

ერევნის ცენტრში ერთი პატარა, ლამაზი სკვერია, უზარმაზარი ჭადრებითა და მოვლილი წყაროთი, რომლის მარმარილოს ფასადსაც საიათნოვას ბარელიეფი ამშვენებს. ეს სკვერი იყო სომხური ეროვნული მოძრაობის მონაწილეთა თავშეყრის ადგილი. აქ წყდებოდა პოლიტიკური საკითხები, იცვლებოდა ინფორმაცია. სამხედრო კომენდატურა სკვერს რატომღაც ყურადღებას არ აქცევდა. ამ სკვერში მესულს ქართული ლაპარაკი მომესმა. ერთ სკამ-მერხზე რამდენიმე შუახნის ქალი საუბრობდა გამართული ქართულით, შიგადაშიგ სომხურსაც გაურევდნენ. მივედი და ქართულად მივესალმე. გაუხარდათ ჩემი ნახვა. სანხერის რაიონიდან ვართ ჩამოსახლებულები, აქ ქართველს იშვიათად ნახავს კაცი და, მშობლიური ენა რომ არ დაგვავიწყდეს, ერთმანეთს ხშირად ქართულად ვესაუბრებითო. თქვენ რაზე ჩამობრძანებულხართო, მკითხეს. ქართული არაფორმალური გაზეთის კორესპონდენტი ვარ, მინდა, სომხურ ეროვნულ მოძრაობაზე წერილების სერია დავწერო-მეთქი, ვთქვი თუ არა, ერთი მათგანი წამოხტა და გაუჩინარდა. ცოტა ხანში დაბრუნდა და კომიტეტის ხელმძღვანელობა გთხოვთო, მითხრა. თურმე კომიტეტის წევრებისათვის მოუხსენებია, საქართველოდან ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ჩამოვიდაო. ოთხმოც წელს გადაცილებულ სიმპათიურ მოხუცთან

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიმიყვანეს. ძველი არმიის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, მკერდზე ორდენი ქანია ანდრანიკ ვოზანსანის გამოსახულებით. ეს ჩვენი ეროვნული მოძრაობის პატრიარქია, დიდი ანდრანიკის თანამებრძოლი (!), თუ რაიმე პრობლემა შეგექმნებათ, მას მიმართეთ, თქვენთვის საჭირო ყველა ინფორმაციასაც მისგან მიიღებთო მითხრეს.

ასე, შემთხვევის წყალობით ვიქეცი ქართული ეროვნული მოძრაობის ელჩად სომხეთში. დამხმარედ მუშეღი მომამაგრეს, ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე, ყოფილი ტაქსისტი.

იმავე დღეს, ხუთ საათზე, მატენადარანის წინ სამასათასიანი მიტინგი გაიმართა. პრეზიდიუმში მიმიწვიეს. მიტინგის წამყვანმა 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად წუთიერი დუმილი გამოაცხადა. გარინდული ხალხის თავზე სამასი ათასი მუშტი აღიმართა. გვერდით მდგომ ქალბატონს გავხედე, რომელმაც ნებაყოფლობით იკისრა ჩემი თარჯიმანობა. ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

მუშეღმა სახელმწიფო კონსერვატორიაში წამიყვანა. ვესტიბიულში უზარმაზარი სტენდი იდგა ქართული, ლიტვური და ესტონური რუსულენოვანი გაზეთებით. აქ იღებდა ხალხი ახალ და ობიექტურ ინფორმაციას საქართველოზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ვესტიბიულში ფოტოსტენდი იდგა 9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი მასალებით. ბევრი სომეხი მინახავს ამ სტენდთან მუშტმომუჭული და თვალცრემლიანი. ბევრი ამოოხვრა მსმენია აქ.

თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ მატჩის დღე ახლოვდებოდა. იგი ერევანში უნდა გამართულიყო, ჰაგრამ მთავრობას ეშინოდა, შეხვედრა ეროვნული მოძრაობის ახალ ზვირთად არ ქცეულიყო და შეეცადა თბილისელთა დაყოლიებას, რათა მატჩი სოჭში გამართულიყო.

რას იზამენ ქართველები? – აი, კითხვა, რომელიც მაშინ ყველა სომეხს აწვალებდა. დინამოელთა გადაწყვეტილებამ მატჩის ერევანში გამართვის შესახებ ფრთები შეასხა მებრძოლ ერევანს.

მთელი სომხეთი ემზადებოდა ქართველთა ღირსეულად შესახვედრად. არაფერს ვამბობ იმ ზღაპრულ შეხვედრაზე, აეროპორტში რომ მოუწყვეს ჩვენს სპორტსმენებს, მატჩი კი მართლაც დაუვიწყარი იყო.

სტადიონ „რაზდანზე“ მატჩამდე ერთი საათით ადრე მივედით. ამდენი მოზეიმე სახე ჯერ არ მინახავს. ჩემს შესვლას სექტორში ოვაციებით შეხვდნენ. რეპროდუქტორებიდან ქართული ჰანგები იღვრებოდა. სარბენ ბილიკზე, მოედნის გარშემო, უზარმაზარ სომხურ დროშას დაატარებდნენ და, რომელ სექტორსაც დროშა გაუსწორდებოდა, ის სექტორი ყიჟინით წამოიშლებოდა. ასეთი რამ მხოლოდ უცხოეთის სტადიონებზე მინახავს. მუშეღი გაღიმოიხარა და მკითხა, თქვენ, ქართველებს ეროვნული დროშა თუ გაქვთო. დადებითი პასუხი რომ მიიღო, ოთხფერიანი პასტა მომაწოდა, სიგარეტის კოლოფზე დამიხატე თქვენი დროშაო. ნახატი გამომართვა და გაქრა. სად წავიდა-მეთქი, მეზობელს ვკითხე. საჩუქარს გიმზადებსო, მიპასუხა. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა მუშეღი. რა საჩუქარი! ხელში არაფერი ეჭირა.

უცებ ყიჟინა, ღრიანცელი და ტაში ატყდა. გავიხედე და...

ოი, საოცრებავ! ნელი, დარბაისლური რხევით ტრიბუნების წინ მოცურავდა უზარმაზარი, ნაცხრააპრილარი ჩვენი სამფეროვანი დროშა. სტადიონი ფეხზე ადგა. მეორე მხრიდან სომხური სამფეროვანი დროშა დაიძრა, ასევე ტაშის გრიალში, ქართულ დროშასთან მივიდა... ორივე გაუჩინარდა ჩვენი მხედველობის არედან. მერე ისევ გამოჩნდა ერთმანეთზე ნემსით და ძაფით სახელდახელოდ გადაკერებული ორი დროშა – ქართული და სომხური, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში დასეირნობდა ტრიბუნებზე ხალხის აღტაცებული ყიჟინისა და ოვაციების თანხლებით.

დაიწყო თუ არა მატჩი, მსაჯმა თამაში შეაჩერა. დიქტორმა მაყურებელს მოკლედ მოუთხრო 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ და წუთიერი დუმილი გამოაცხადა. ხალხი წამოდგა და მის თავს ზემოთ ათასობით მუშტი აღიმართა; წუთიერი დუმილის შემდეგაც კარგა ხანს ირხეოდა აღმართული მუშტები სკანდირებით: „პოზორ რუსსკიმ!“ „პოზორ რუსსკიმ!“

მოედნის გარშემო ჩამწკრივებულმა რუსმა ჯარისკაცებმა სტადიონი დატოვეს.

მატჩი უგოლო ფრეთი დამთავრდა. სხვა ანგარიში არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მთელი სტადიონი გაჰყვიროდა: „დინამო!“ „დინამო!“ და, თუ რომელიმე სომეხი ფეხბურთელი, უნებლიეთ, დინამოელთა კარისკენ გაგზავნიდა ბურთს, ტრიბუნიდან სტვენა და გინება გაისმოდა.

9 აპრილის მსხვერპლთა ორმოცი ახლოვდებოდა. თბილისში წამომსვლელთა დელეგაციას ადგენდნენ. საქართველოსთვის საჩუქარს ვამზადებთო, მითხრეს. სომხური ხაჩკარის (ჯვრიანი ქვის) პროექტი მაჩვენა სამველმა, დელეგაციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და, თუ არ ვცდები, ხაჩკარის ერთ-ერთმა ავტორმა.

დანიშნულ დღეს საიათნოვას სკვერთან სატვირთო მანქანით მოასვენეს ხაჩკარი, სომხური კულტურის სიამაყე, რომელიც ახლა ავლაბარში სომხური ეკლესიის წინა მოედანს ამშვენებს. რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა დელეგაციის და ჯვრიანი ქვის გასაცილებლად და თბილისისკენ დაიძრა მანქანების კოლონა. ისევ ცრემლიანი თვალები, მაღლა აღმართული მუშტები! რუსთაველის საზოგადოებაში მიხა არაბულს დავურეკე და დელეგაციის წამოსვლის შესახებ ვაცნობე.

რამდენიმე დღის შემდეგ ერევანში დაბრუნებულმა დელეგატებმა მამცნეს და მომილოცეს ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერთა განთავისუფლება საპყრობილედან.

9 აპრილს დაღუპულთა შორის ორი სომეხი ქალიც ყოფილაო, დაუფარავი სიამაყით მითხრა ერთმა. მივხვდი, ნანა და მარინა სამარგულიანები ჰყავდა მხედველობაში. არ მითქვამს, სამარგულიანი სომხური კი არა, ქართული, სვანური გვარია-მეთქი. „თქვენიც იყვნენ, ძმაო, ისინი, თქვენიც“, – ვფიქრობდი გულში.

9 აპრილს წამებულნი არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთისა და მთელი კაცობრიობის კუთვნილებანი არიან, მათი ეროვნულობის მიუხედავად, რადგან ბოროტების იმპერიის ნგრევას სწორედ მათი სიკვდილი დაედო საფუძვლად, თუმცა ამაზე წერას დღეს რატომღაც ერიდებიან.

ერთმა თვემ უცებ გაირბინა და ჩემს სომხურ ოდისეასა და უნებლიე ელჩობასაც წერტილი დაუსვა.

ასე გავიცანი მშრომელი, მებრძოლი, ზვარდანოცის, გარნისა და გეღარტის შემოქმედი სომეხი ხალხი, დავრწმუნდი მის არაჩვეულებრივ სტუმართმოყვარეობაში, გულუხვობაში, ვაჟკაცობასა და ჭირსა შიგან მყოფი მოძმისათვის ნუგეშისცემისა და თანაგრძნობის უნარში.

ღრმად მჯერა, რომ ნამდვილი ეროვნული მოძრაობა ყველგან წმინდაა და იგი ისევე ვერ შეირყევს სულბინძურ ადამიანებს, როგორც თავანკარა ქართული ღვინო კუპრს.

ეს ძმობა და ეს სიწმინდე ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიხაილ ბულგაკოვი

## მორფი

### I

დიდი ხანია, ცნობილია ჭკვიანი ხალხის ნათქვამი, რომ ბედნიერება ჯანმრთელობასავით არის: როცა გაქვს, ვერ ამჩნევ. მაგრამ, როცა წლები გაივლის, როგორ იხსენებ ბედნიერებას, ო, როგორ იხსენებ!

ჩემს თავზე თუ მოგახსენებთ, როგორც ახლა გამოირკვა, ბედნიერი თურმე 1917 წლის ზამთარში ვყოფილვარ. ო, რა დაუვიწყარი, ქარბუქიანი, დაუდეგარი წელი იყო!

ამოვარდნილმა ქარბუქმა დახეული გაზეთივით ამიტაცა და მიყრუებული უბნიდან სამაზრო ქალაქში გადმაგდო. იფიქრებთ, დიდი რამეც კია ეს სამაზრო ქალაქიო! მაგრამ თუ ვინმე მთელი წელიწადნახევარი ჩემსავით მჯდარა ზამთრობით თოვლში, ზაფხულობით პირქუშსა და ულიმღამო ტყეებში ისე რომ აქაურობას ერთი დღითაც არ მოსცილებია, თუ ვინმეს ერთი კვირის წინანდელი გაზეთის ბანდეროლი ისეთი გულისძგერით გაუხევია, როგორც ბედნიერ შეყვარებულს ცისფერი კონვერტი, თუ ვინმეს დაწალიკებით ცხენებშებმული მარხილით მშობიარესთან 18 ვერსზე უვლია, ის, ალბათ, მიმიხვდება.

ნავთის ლამპა მყუდროების მომნიჭებელია, მაგრამ მაინც ელექტრონათურები მირჩევნია!

ჰოდა, მომხიბლავი ელექტრონათურები ისევ ვიხილე! აი, გლეხის მარხილებით კარგად გატკეპნილი მთავარი ქუჩა პატარა ქალაქისა, ქუჩა, სადაც თვალს ახარებდა ჩექმიანი აბრა, ოქროსფერი კრენდელი, წითელი დროშები, ფირნიში, რაზედაც გამოსახული გახლდათ ღორისთვალება, თავხედურად მომზირალი ახალგაზრდა კაცი, არაბუნებრივი თმის ვარცხნილობა რომ ჰქონდა. ეს ფირნიში გაუწყებდათ, რომ მინის კარს იქით ბრძანდებოდა იქაური ბაზილი, ვინც 30 კაპიკად გაგპარსავდათ, როცა მოისურვებდით, სადღესასწაულო დღეების გარდა, რაც ჩემს მამულში ასე უხვად არის.

აქამდე ძრწოლით ვიგონებ ბაზილის ხელსახოცებს. ამ ხელსახოცების დანახვისას უსათუოდ თვალწინ წარმომიდგებოდა კანის დაავადებათა გერმანული სახელმძღვანელოს ის გვერდი, სადაც დამაჯერებლად და თვალსაჩინოდ იყო გამოსახული მაგარი შანკრი ვიღაც კაცის ნიკაპზე.

მაგრამ ჩემს მოგონებებს ჩრდილი ამ ხელსახოცების გახსენებამაც ვერ მიაყენა!

გზაჯვარედინზე ცოცხალი მილიციელი იდგა, დამტვერილ ვიტრინებში ბუნდოვნად მოჩანდა რკინის ფირფიტებზე მჭიდროდ ჩამაგრებული წითურკრემიანი ღვეზელები, მოედანს თივას აფენდნენ, ხალხი მიმოდიოდა ფეხით, ცხენებით, მარხილებით, ისმოდა გამვლელ-გამომვლელთა ლაპარაკი, ჯიხურში გასაოცარი ცნობების მაუწყებელი გუშინდელი მოსკოვური გაზეთები იყიდებოდა, შორიახლოს მოსკოვის მატარებლების სტვენა გაისმოდა. მოკლედ, ეს გახლდათ ცივილიზაცია, ბაბილონი, ნევის პროსპექტი.

საავადმყოფოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იქ იყო ქირურგიული, თერაპევტული, გადამდებ სნეულებათა და სამეანო განყოფილებები. საავადმყოფოში იყო საოპერაციო, სადაც ელავდა ავტოკლავი, ვერცხლისფრად ბრწყინავდა ონკანები, მაგიდებს მოუჩანდა ეშმაკურად მოწყობილი თათები, კბილები, ხრახნები. საავადმყოფოს ჰყავდა მთავარი ექიმი, სამი ორდინატორი (ჩემს გარდა), ფერშლები, მეანები, მომვლელები, იყო აფთიაქი და ლაბორატორია. წარმოგიდგენიათ, ლაბორატორია! ლაბორატორიაში - ცეისის მიკროსკოპები და მიკროსკოპებისთვის საჭირო საღებავების მშვენიერი მარაგი.

მე ვკრთებოდი და ქრუანტელი მივლიდა, შთაბეჭდილებები მთრგუნავდა. მრავალმა დღემ გაიარა, სანამ მივეჩვეოდი, საავადმყოფოს ერთსართულიანი კორპუსები, დეკემბრის ბინდბუნდში, თითქოს ბრძანებას დამორჩილებულნი, ელექტროშუქით ერთბაშად რომ გაჩახჩახდებოდა ხოლმე.

ელექტროშუქი მაბრმავებდა. აბაზანებში წყალი ბობოქრობდა და თქრიალებდა, შიგ ამოთხუპნილი ხის თერმომეტრები ყვინთავდა და დაცურავდა. გადამდები სნეულებების ბავშვთა განყოფილებაში მთელ დღეს კვნესა, შესაბრალისი ტირილი, ხიხინბუყბუყი გაისმოდა.

მომვლელი ქალები გარბი-გამორბოდნენ, მიმოქროდნენ...

გულიდან მძიმე ტვირთი მომცილდა. ამქვეყნად რაც უნდა მომხდარიყო, საბედისწერო პასუხისმგებლობა მე აღარ მეკისრებოდა. ჩემი საზრუნავი არ იყო ჩაჭედილი თიაქარი, არ ვკრთებოდი, როცა ირიბად მდებარე ნაყოფის მქონე მშობიარეს მარხილით მოიყვანდნენ, მე არ მეხებოდა ჩირქოვანი პლევრიტები, რასაც ოპერაცია სჭირდებოდა... პირვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელად ვგრძნობდი თავს ისეთ კაცად, ვისი პასუხისმგებლობაც რაღაც ჩარჩოთია შემოფარგლული. მშობიარე? აგერ გუთაყვა, დაბალი კორპუსი, აგერ, განაპირა ფანჯარა, თეთრი მარლა რომ აქვს ჩამოფარებული. იქ გახლავთ სიმპათიური, მსუქანი, ქდალულვაშა, მელოტი მეანი ექიმი. ეს მისი საქმეა. მარხილი მარლაჩამოფარებული ფანჯრისკენ მიატრიალეთ! გართულებული მოტეხილობა მთავარი ექიმის - ქირურგის მოვალეობაა. ფილტვების ანთება? თერაპიულ განყოფილებაში პაველ ვლადიმიროვიჩს მიაკითხეთ.

ოჰ, დიდი საავადმყოფოს ზუსტად გაპარსულგაპოხილო დიდებულო მანქანავ! აპარატს შეც წინასწარ ზომაალებული ახალი ხრახნივით მოვერგე და საბავშვო განყოფილება ჩავიბარე. მთელი ჩემი დღეები დიფთერიტმა და ქუნთრუშამ ჩანთქა. მაგრამ მხოლოდ დღეები. ღამით ვიძინებდი, იმიტომ, რომ ჩემი ფანჯრების ქვემოთ აუსმიომასწავებელი ღამეული ბრაგაბრუგი აღარ გაისმოდა, რასაც შეიძლებოდა წამოვეგდე და წყვდიადისკენ, ხიფათისა და გაურკვევლობისკენ წარვეგზავნე. საღამოობით ვკითხულობდი (პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დიფთერიტზე და ქუნთრუშაზე, შემდეგ კი - რატომღაც უცნაური ინტერესით - ფენიმორ კუპერს) და ურთობ ფასი მიეცა მაგიდაზე მდგარ ლამპას, სამოვრის სადგარის მოთეთრო კიდეებს, შეგრილებულ ჩაის და წელიწადნახევრის განმავლობაში უძილობის შემდეგ მოსვენებით ძილს...

ასე ბედნიერი ვიყავი 17 წლის ზამთარში, როცა მიყრუებული ქარბუქიანი უბნიდან სამაზრო ქალაქში გადამიყვანეს.

II

გაირბინა ერთმა თვემ, შემდეგ მეორემ და მესამემ, უკან დარჩა 17 წელი და უკვე 18 წლის თებერვალი მიდიოდა. ჩემს ახალ ყოფას მივეჩვიე და შორეული უბანი თანდათან მიმავიწყდა. მეხსიერებაში წარიშალა მოხისხინე, მწვანე ნავთის ლამპა, მარტოობა, ნამქერი... რა უმადურობაა! დავივიწყე ჩემი საბრალო პოსტი, სადაც მარტოდმარტო, ჯოჯოლგვარ შემწეობას მოკლებული ვებრძოდი სნეულებებს, საკუთარ ძალებს მინდობილი, ფენიმორ კუპერის გმირის მსგავსად, თავს ვაღწევდი ყველაზე საოცარ ვითარებებს.

ზოგჯერ, თუმცა იშვიათად, როცა ლოგინში ნავწვებოდი და იმაზე ვფიქრობდი, რომ ახლა დავიძინებდი, დაბინდულ ცნობიერებაში ნაგლეჯ-ნაგლეჯი სურათები ამიცურდებოდა. მწვანე შუქი, მოციმციმე ფარანი... მარხილის ჭრიალი... ოდნავი კვნესა, შემდეგ წყვდიადი, მინდორში ქარბუქის მიყრუებული ღმუილი... მერე ყოველივე გვერდზე გადატრიალდებოდა და ჩაინთქმებოდა...

„საინტერესოა, ვინ არის ახლა იქ ჩემს ნაცვლად?.. ვინმე, ალბათ, იქნება... ჩემნაირივე ახალგაზრდა ექიმი... მერე რა, მე ჩემი ყავლი გავლიე. თებერვალი, მარტი, აპრილი... პა და პა, მაისი - ჰოდა, ჩემი სტაჟი დამთავრდება, მაშასადამე, მაისის გასულს ჩემს ბრწყინვალე ქალაქს გამოვეთხოვები და მოსკოვში დავბრუნდები. თუ რევოლუციის ტალღა გამიტაცებს, შესაძლოა, ხეტიალმა კიდევ მომიწიოს... ასეა თუ ისე, ჩემს უბანს თვალით ვეღარასოდეს ვნახავ... ვეღარასოდეს... დედაქალაქი... კლინიკა... ასფალტი, შუქი...

ამას ვფიქრობდი.

„...მაინც კარგია, იმ უბანზე რომ ვიყავი... გამბედავი გავხდი... აღარ მეშინია... რაღას არ ვმკურნალობდი?! მართლა, რა არ მიმკურნალია? პა? ფსიქიკური დაავადებანი არ მიმკურნალია... ასეა... არა, მოიცა... მაშინ აგრონომი არაყში თავს რომ იხრჩობდა... მე ვმკურნალობდი, მაგრამ საკმაოდ წარუმატებლად... თეთრი ცხელება... განა ფსიქიკური დაავადება არ არის? ფსიქიატრიის წაკითხვა დამჭირდება... მოიცა ერთი... მერე როდისმე მოსკოვში წავიკითხავ... ახლა კი პირველ რიგში ბავშვის სნეულებებს უნდა მივხედო... მხოლოდ ბავშვის სნეულებებს... განსაკუთრებით ამ კატორღულ საბავშვო რეცეპტურას... ფუი, ეშმაკს... თუ, ვთქვათ, ბავშვი ათი წლისაა, რამდენი პირამიდონი შეიძლება მივცეთ ერთ ჯერზე: 0,1 თუ 0, 15?.. დამავიწყდა. თუ სამი წლისაა?.. ბავშვის სნეულებების გარდა, ვერაფერზე მოვიცლი... ვერაფერზე... კმარა სხვა რამეზე ტვინის გაცხელება! მშვიდობით, ჩემო უბანო!.. ეს უბანი ამ საღამოს მაინც რას გადამეკიდა?.. მწვანე შუქი... იმასთან ხომ ანგარიში სამუდამოდ გავასწორე... ჰოდა, კმარა... დავიძინოთ...“

- წერილია... თქვენთან გამოატანებიათ.

- მომეცით.

მომვლელი ქალი ჩემი ბინის წინკარში იდგა. საყელოგაცრეცილი პალტო ბუქლიანი თეთრი ხალათის ზემოდან მოესხა. იაფფასიან ლურჯ კონვერტზე თოვლი დნებოდა.

- მისაღებში დღეს თქვენ მორიგეობთ? - ვკითხე სიქნარებით.

- დიახ.

- არავინ მოუყვანიათ?

- არა.

- თუ ვინმე მოიყვანონ (მთქნარებამ პირი ლამის გამიხია დ სიტყვებს უხეიროდ გამოვთქვამდი), მაშინვე დამიძახეთ... მე დაშაქინებლად დავწვები...

- კარგი. შეიძლება, წავიდე?

- ჰო, ჰო, წადით.

ქალი წავიდა. კარმა გაიწრიპინა, მე კი ფეხსაცმელების ფრატუნით საწოლი ოთახისკენ გავემართე, თან კონვერტი თითებით ირიბად, უხეიროდ ჩავფხრიწე.

კონვერტში მოგრძო, დაჭმუჭნილი ბლანკი აღმოჩნდა, ჩემი უბნის, ჩემი საავადმყოფოს შტემპელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომ ჰქონდა... დაუვიწყარი ბლანკი...

ჩავიცინე.

„საინტერესოა... მთელი საღამო ჩემს უბანზე ვფიქრობდი, ბოლოს, თავი თვითონაც შემახსენა... წინათგრძნობაა...“

შტემპელის ქვეშ ქიმიური ფანქრით რეცეპტი ეწერა. გაჯღაბნილ-გადახაზული ლათინური სიტყვების ამოკითხვა ჭირდა...

- ვერაფერი გამიგია... უაზრო რეცეპტია... - ჩავიბუტბუტე და ერთ სიტყვას ჩავაშტერდი... „morphini“. „რა არის ამ რეცეპტში უჩვეულო?.. ჰო... ოთხპროცენტიანი ხსნარი! მორფის ოთხპროცენტიან ხსნარს ვინ გამოწერს?.. რატომ?..“

ფურცელი გადავაბრუნე და მთქნარებამ გამიარა. ფურცლის მეორე გვერდზე ღუნე ხელით გაფანტულად ეწერა:

*„1918 წლის 11 თებერვალი.*

*ძვირფასო collega!*

მომიტევეთ, ქაღალდის ნაგლეჯზე რომ ვწერ. ქაღალდი ხელთ არა მაქვს. ძალიან მძიმედ, ცუდად დავსნეულდი. შემწე არავინა მყავს და არც მინდა, რომ შემწეობა თქვენს გარდა, ვინმესთან ვეძიო.

მეორე თვეა, თქვენს ყოფილ უბანზე ვარ. ვიცი, რომ ქალაქში ხართ, აქედან არცთუ ისე შორს.

უნივერსიტეტის წლებში ჩვენი მეგობრობის იმედით გთხოვთ, რაც შეიძლება მალე ჩამოხვიდეთ. თუნდაც ერთი დღით, თუნდაც საათით. და თუ მეტყვით, რომ ჩემი მდგომარეობა უიმედოა, დაგიჯერებთ... იქნებ ჩემი გადარჩენა შეიძლებოდეს?.. იქნებ იმედი საიდანმე კიდევ გამოკრთეს? გთხოვთ, რასაც გწერთ, არავის გააგებინოთ“.

- მარია! ახლავე მისაღებში წადით და მორიგე მომვლელს დაუძახეთ... რა ჰქვია?.. დამავიწყდა... ერთი სიტყვით, მორიგეს, ვინც ახლა წერილი მომიტანა. სწრაფად!

- ახლავე.

ორიოდე წუთის შემდეგ მომვლელი ქალი ჩემს წინ იდგა. თოვლი აღნებოდა გაქუცულ კატას, ქალს კისერზე საყელოს მაგივრად რომ მოეხვია.

- წერილი ვინ მოიტანა?

- არ ვიცი, წვეროსანი იყო. თქვა, კოოპერატორი ვარ, ქალაქში მივდიოდიო.

ჰმ... კარგი, წადით. არა, მოიცადეთ. ახლავე წერილს დავწერ და მთავარ ექიმთან გაგატანთ. გეთაყვა, პასუხიც მომიტანეთ.

- კარგი.

მთავარ ექიმს მივწერე:

*1918 წლის 13 თებერვალი.*

„პატივცემულო პაველ ილარიონოვიჩ. ახლახან ჩემი უნივერსიტეტელი ამხანაგის, ექიმ პოლიაკოვის წერილი მივიღე. იგი გორელოვოში, ჩემს ყოფილ უბანშია მარტოდმარტო. ავად გამხდარა, ეტყობა, მძიმედაა. თავი მოვალედ მიმაჩნია, მასთან ჩავიდე. თუ ნებას მომცემთ, განყოფილებას ხვალ, ერთი დღით ექიმ რადოვიჩს ჩავაბარებ და პოლიაკოვთან წავალ. კაცი უმწეოდაა.

პატივისცემით ექიმი ბომგარდი“.

მთავარი ექიმის საპასუხო წერილი:

„პატივცემულო ვლადიმირ მიხაილოვიჩ, გაემგზავრეთ.

პეტროვი“.

საღამოთი რკინიგზის გზამკვლევი გადავსინჯე. გორელოვომდე ჩასვლა ამგვარად შეიძლებოდა: ხვალ, დღის ორ საათზე მოსკოვის საფოსტო მატარებელს გავყვებოდი, რკინიგზით 30 ვერსს გავივლიდი, სადგურში ჩამოვხდებოდი, იქიდან კი გორელოვეს საავადმყოფომდე ოცდაორ ვერსს მარხილით გავივლიდი.

„თუ გამიმართლა, გორელოვოში ხვალ საღამოს ვიქნები, - ვფიქრობდი, როცა ლოგინში ვწვებოდი. - რით არის ავად? ტიფით, ფილტვების ანთებით? არც ერთით, არც მეორით... მაშინ უბრალოდ მომწერდა, ფილტვების ანთება დამემართაო. ეს კი ბუნდოვანი, ცოტა არ იყოს, ყალბი წერილია. მძიმედ, ცუდად დავსნეულდიო. რით? სიფილისით? ჰო, უეჭველად სიფილისით. შეძრწუნებულია... მალავს... ეშინია... მაგრამ სადგურიდან გორელოვომდე ვისი ცხენებით წავალ? კარგ დღეში ჩავვარდები, სადგურში დაბინდებისას თუ ჩავალ და იქიდან წასვლას კი ვერ შევძლებ... არა, რაღაცას მოვახერხებ. სადგურზე ვიღაცას მოვნახავ და ცხენებს გამოვართმევ. დეპეშა ხომ არ გავუგზავნო, ცხენები რომ დამახვედროს? აზრი არა აქვს! ჯერ მე ჩავალ და დეპეშა ერთი დღის შემდეგ მოვა... გორელოვოში ხომ ვერ გადაფრინდება. სადგურში მანამდე იდება, სანამ ვინმეს იქით მიმავალს არ გაატანენ. ვიცი გორელოვეს ამბავი, ვიცი, რა მიყრუებული ადგილიცაა“.

ბლანკზე მონაწერი ბარათი მაგიდაზე მედო და ლამპის შუქი ანათებდა. ლამპის გვერდით კი გულის შემაღონებელი უძილობის თანამგზავრი, ნამწვებით აჯაგრული საფერფლე იდგა. დაჭმუჭნილ ზეწარზე ვტრიალებდი და გულში ბრაზი მეპარებოდა. წერილი უკვე მაღიზიანებდა.

„მართლაცდა, თუ რაიმე მწვავე დაავადება არა აქვს და, თქვათ, სიფილისი სჭირს, თვითონ რატომ არ ჩამოდის აქ? ქარბუქში მე რატომ უნდა ვიწანწალო? ლეესისგან ერთ საღამოს ხომ ვერ განვკურნავ? ანდა საყლაპავი მილის კიბოსგან? რა კიბო, რის კიბო! ჩემზე ორი წლით უმცროსია, 25 წლისაა... „მძიმედ...“ სარკომა? აბდაუბდა, ისტერიკული წერილია. ასეთი წერილის მიმღებს, წეიძლება, შაკიკი დაემართოს... ნაღდად ასეა. საფეთქელთან ძარღვი გაგიშეშდება... დილით გაიღვიძებ და ტკივილი ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რდეს თხემისკენ აუყვება. ნახევარ თავს გაგიკავებს და საღამოთი პირამიდონი და კოფეინი უნდა ყლაპო. მარხილით ჯაყჯაყი და პირამიდონის ყლაპვა როგორი რამეა?! ფერშალს სამგზავრო ქურქი უნდა გამოვართვა, თორემ ჩემს პალტოში გავითოშები... რა უნდა სჭირდეს? იქნებ იმედი გამოკრთესო... ასეთ რამეს ექიმის სერიოზულ წერილში კი არა, რომანებში წერენ!.. სჯობია, დავიძინო და ამაზე აღარ ვიფიქრო. ხვალ ყველაფერი გამოირკვევა. ხვალ".

ამომრთველი გადავატრიალე და ჩემი ოთახი უმალ წყვდიადმა შთანთქა. უნდა დავიძინო... ძარღვი მიბქუის... მაგრამ უფლება არა მაქვს, აბდაუბდა წერილის გამო კაცზე გავბრაზდე, სანამ არ შევიტყობ, რა სჭირს. კაცი იტანჯება და უნდა, რომ თავისი წუხილი სხვას შეატყობინოს ისე, როგორც შეუძლია, როგორც ჰგონია... შაკიკის გამო, შეწუხების გამო, საკადრისი არ არის, კაცი თუნდაც გულში დაადანაშაულო... ეს წერილი ყალბი და რომანტიკული იქნებ სულაც არ არის. სერიოჟკა პავლოვი, ორი წელია, რაც არ მინახავს, მაგრამ კარგად მახსოვს. ყოველთვის გონიერი იყო... მაშ, რაღაც უბედურება დაემართა. ძარღვიც ცოტა დამიწყნარდა... ეტყობა, ძილი მიახლოვდება. ძილის მექანიზმი როგორია?.. ფიზიოლოგიაში წავიკითხე... მაგრამ ბუნდოვანი იყო... ვერ გავიგე, ძილი რა არის... ტვინის უჯრედები როგორ იძინებს?! საიდუმლოდ გეუბნებით, ვერ გავიგე. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ფიზიოლოგიის შემდგენელი თავადაც ძალიან მტკიცედ თავდაჯერებული არ უნდა იყოს... ყველა თეორია ტოლფასია... აგერ სერიოჟკა პოლიაკოვი - ოქროსფერღილებიანი მწვანე ქურთუკი აცვია, თუთიის მაგიდასთან დგას, მაგიდაზე კი გვამია...

ჰო... ეს უკვე სიზმარია...

III

ტუკ, ტუკ, ტუკ... ბუს, ბუხ, ბუხ... ჰო... ვინ? ვინ? რა?.. უჰ, აკაკუნებენ, დასწყევლოს ეშმაკმა, აკაკუნებენ... სადა ვარ? რას ვაკეთებ?.. რა ხდება? ჰო, ლოგინში ვწევარ... რატომ მაღვიძებენ? იმიტომ მაღვიძებენ, რომ მორიგე ვარ. ექიმო ბომგარდო, გაიღვიძეთ. მარია ფეხების ფრატუნით უკვე კარის გასაღებად მიდის. რომელი საათია? პირველის ნახევარი... ღამეა. ეტყობა, მხოლოდ ერთი საათი მეძინა. შაკიკი მაწუხებს? ჰო, მაწუხებს.

კარზე ხმადაბლა მოაკაკუნეს.

- რა მოხდა?

სასადილო ოთახის კარი გამოვაღე. მომვლელი ქალის სახე სიბნელეში დავინახე, მაგრამ მაშინვე შევამჩნიე, რომ გაფითრებული იყო, თვალები გაფართოებული და შეშფოთებული ჰქონდა.

- ვინ მოიყვანეს?

- გორელოვეს უბნის ექიმი, - ხმამაღლა, ხიხინით მიპასუხა მომვლელმა ქალმა. - დაჭრილია. თავის მოკვლა უცდია.

- პო-ლი-ა-კო-ვი? შეუძლებელია! პოლიაკოვი?

- გვარი არ ვიცი.

- ჰო, ჰო... ახლავე, ახლავე მოვდივარ.. თქვენ კი მთავარ ექიმთან გაიქეცით და ამ წუთასვე გააღვიძეთ. უთხარით, რომ სასწრაფოდ მისაღებში ვიწვევ.

მომვლელი ქალი შეტრიალდა და თეთრი ლაქა უმალ თვალს მიეფარა.

ორი წუთის შემდეგ პარმაღზე გასულს ავმა, მშრალმა და მსუსხავმა ქარბუქმა სახეზე ამიქროლა, პალტოს კალთები ამიფრიალა, შეშინებული სხეული გამიყინა.

მიმღები ოთახის ფანჯრებში თეთრი, მოუსვენარი შუქი ბრიალებდა. პარმაღზე თოვლის კორიანტელში მთავარ ექიმს შევეჩეხე. ისიც იქით მიიჩქაროდა, სადაც მე მივდიოდი.

- თქვენი ამხანაგია? პოლიაკოვი? - ხველებით მკითხა ქირურგმა.

- ვერაფერი გამიგია, ეტყობა, ის არის, - ვუპასუხე და მისაღებში სწრაფად შევედით.

სკამიდან ჩვენს შესახვედრად შეფუთნული ქალი წამოდგა. ყავისფერი თავშლის ქვემოდან ნამტირალევი, ნაცნობი თვალები შემომაცქერდა და გორელოველი მეანი ქალი, გორელოვეს საავადმყოფოში მშობიარეთა მოვლა-პატრონობისას ჩემი ერთგული თანაშემწე მარია ვლასიევნა ვიცანი.

- პოლიაკოვია? - ვკითხე მას.

- დიახ, - მიპასუხა მარია ვლასიევნამ - რა საშინელებაა, ექიმო, მომყავდა და მთელი გზა შიშით ვკანკალებდი, ვაითუ, ცოცხალმა ვერ ჩააღწიოს-მეთქი.

- ეს როდის მოხდა?

- ამ დილას, გათენებისას. - ბუტბუტებდა მარია ვლასიევნა, - დარაჯმა მოირბინა და მითხრა, ექიმის ბინიდან სროლის ხმა გავიგონეო.

ნათურა მაგიდას საძაგელ, მშფოთვარე შუქსა ჰფენდა. მაგიდაზე ექიმი პოლიაკოვი იწვა. მისი ფეხის ჩექმების უსიცოცხლო, თითქოს გაქვავებულ ქუსლებს შევხედე თუ არა, გულმა რეჩხი მიყო.

პოლიაკოვს ქუდი მოვხადეთ. ერთმანეთზე შეწებებული სველი თმა გამოუჩნდა. ჩემი ხელები, მომვლელი ქალის ხელები, მარია ვლასიევნას ხელები პოლიაკოვის მკერდთან ერთმანეთში აირია, პალტოს შიგნიდან წითელ-ყვითელი, გაღლაბნილი ლაქებით დაფარული თეთრი მარლა გამოვაცალეთ. პოლიაკოვს მკერდი სუსტად აუდ-ჩაუდიოდა. მე პულსი გავუსინჯე და შევკრთი. პულსი თითებქვეშ მეკარგებოდა, იჭიმებოდა და წვრილ-წვრილად ჩაკვანძილი, დაძენძილი ძაფივით მალიმალ წყდებოდა. ქირურგის ხელი უკვე მხარზე მისწვდა და მკრთალი კანი თითებში მოიქცია, რომ ქაფური შეეშხაპუნებინა. ამ დროს დაჭრილმა ერთმანეთს მიწებებული ტუჩები გააპო და სისხლის ვარდის-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფერი ზოლი გამოაჩინა, მერე სუსტი ხმით ცივად თქვა:

- ქაფური მომაშორეთ. ჯანდაბას...

გალურჯებულ ტუჩებს ოდნავ ატოკებდა.

- გაჩუმდით, - უთხრა ქირურგმა და ყვითელი ზეთი კანქვეშ შეუშხაპუნა.

- უნდა ვივარაუდოთ, რომ გულის პარკუჭი დაზიანებული აქვს, - ჩაიჩურჩულა მარია ვლასიევნამ, მაგიდის კუთხეს ხელი მაგრად ჩასჭიდა და დაჭრილს ქუთუთოებში ჩააცქერდა (მას თვალები დახუჭული ჰქონდა). დაისის ჩრდილების მსგავსი ნაცრისფერ-იისფერი ხაზები ცხვირის ორივე მხარეს სულ უფრო მკაფიოდ ჩნდებოდა და ოფლის წვრილი, ვერცხლისწყლისნაირი სხურპლები ამ ჩრდილებს ნამივით დაასხა.

- რა რევოლვერი იყო? - იკითხა ქირურგმა და ცალი ლოყა შეატოკა.

- ბრაუნინგი, - ამოიკნავლა მარია ვლასიევნამ.

ე-ეჰ, - თითქოს ბრაზით, თანაც სინანულით თქვა ქირურგმა, უეცრად ხელი ჩაიქნია და განზე გადგა.

მე ვერაფერს მივხვდი და მისკენ შეშინებული შევტრიალდი. მხარს უკან ვიღაცის თვალებმა გაიელვა. ერთი ექიმი კიდევ მოვიდა.

პოლიაკოვმა ტუჩები უცებ გვერდულად ისე შეატოკა, იფიქრებდით, ნამძინარევი კაცი აბეზარი ბუზის მოცილებას ცდილობსო, მერე ქვედა ყბა შეარხია, თითქოს ყელში კოშტი გაეჩხერია და ჩაყლაპვა უნდაო. ეჰ, ვისაც რევოლვერის ან თოფის საშინელი ჭრილობები უნახავს, იმისთვის ასეთი მოძრაობა კარგად არის ცნობილი! მარია ვლასიევნამ წარბები ავადმყოფურად შეჭმუხნა და ამოიოხრა.

- ექიმ ბომგარდს მოუხმეთ, - ძლივს გასაგონად თქვა პოლიაკოვმა.

- აქა ვარ, - ალერსიანად გაისმა ჩემი ჩურჩული მის ტუჩებთან ახლოს.

- რვეულს თქვენ გიტოვებთ... - უფრო სუსტად ჩაიხიხინა პოლიაკოვმა.

მერე თვალები გაახილა და ჭერისკენ აღაპყრო. თვალთა მუქი გუგები შუქით თითქოს შიგნიდან გაივსო, თვალების გარსი გამჭვირვალე, თითქოს ცისფერი შეიქნა, ზეაპყრობილი თვალები ისევე გაშეშდა, მერე აიმღვრა და წამიერი მშვენიერება გაქრა.

ექიმი პოლიაკოვი მოკვდა.

## IV

ღამეა. განთიადი ახლოვდება. ნათურა ძალიან მკაფიოდ ანათებს იმიტომ, რომ ქალაქს სძინავს და ელექტროდენი ჭარბადაა. ყოველივე დუმს, ხოლო პოლიაკოვის სხეული სამლოცველოში ასვენია. ღამეა.

თვალები კითხვისგან ჩაწითლებული მაქვს. მაგიდაზე გახსნილი კონვერტი და ფურცელი მიდევს. ფურცელზე წერია:

*„ძვირფასო ამხანაგო!*

აღარ გიცდით. მკურნალობა გადავიფიქრე. ეს უიმედოა. აღარც ის მინდა, რომ ვიტანჯო. საკმარისად ვეცადე. სხვებს ვაფრთხილებ: 25 წილ წყალში გახსნილ თეთრ კრისტალებს უფრთხილდით! ამ კრისტალებს ძალზე მივენდე და მათ დამღუპეს. ჩემს დღიურს საჩუქრად გიტოვებთ. ყოველთვის მაძიებელ და დოკუმენტების მოყვარულ კაცად მეჩვენებოდით. თუ დაინტერესდებით, ჩემი ავადმყოფობის ისტორია წაიკითხეთ.

*მშვიდობით. თქვენი ს. პოლიაკოვი".*

შემდეგ მსხვილი ასოებით მინაწერი:

*„გთხოვთ, ჩემს სიკვდილში ნურავის დაადანაშაულებთ.*

*ექიმი სერგეი პოლიაკოვი.*

1918 წლის 13 თებერვალი".

თვითმკვლელის წერილის გვერდით მუშამბაგადაკრული საერთო რვეული მიდევს. წინა ფურცლები, რვეულის ნახევარი, ამოხეულია. დარჩენილ ნახევარში მოკლე ჩანაწერებია, თავიდან ფანქრით ანდა მელნით. ხელნაწერი მკაფიოა, ასოები წვრილი. რვეულის ბოლოსკენ ქიმიური ფანქრით და მსხვილი, წითელი ფანქრით. ხელნაწერი დაუდევარია, ასოები მიბრეცილ-მობრეცილი, ბევრი სიტყვა შემოკლებული.

*„...7 წლის 20 იანვარი (უეჭველად 1917 წლის. - ექ. ბომგარდი)*

...ძალიან მიხარია, ღმერთს მადლობას ვწირავ: რაც უფრო მიყრუებულ ადგილას ვიქნები, მით უკეთესია. თვალით არავის დანახვა აღარ შემიძლია, აქ სნეული გლეხების გარდა, ვერავის ვნახავ. ამათ კი ჩემს საწუხართან, აბა, რა ხელი აქვთ? თუმცა, ჩემზე უკეთესად არც დანარჩენები გაუნაწილებიათ ერობათა უბნებში. მთელი ჩემი გამოშვება ომში გაწვევას არ ექვემდებარებოდა (მეორე ჯგუფის მოლაშქრეთა 1916 წლის გამოშვება), ერობებში ჩამოარიგეს. თუმცა, ეს არავისთვის საინტერესო არ არის. ამხანაგებიდან მხოლოდ ივანოვისა და ბომგარდის ასავალ-დასავალი შევიტყვე. ივანოვს არხანგელსკის გუბერნია აურჩევია (გემოვნების ამბავია), ხოლო ბომგარდი, როგორც ფერშალმა მითხრა, ასეთივე მიყრუებულ უბანში, სამი მაზრის იქით, გორელოვოში ყოფილა. მინდოდა, წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმეწერა, მაგრამ გადავიფიქრე. არც ნახვა მინდა ვინმესი და არც გაგონება.

*21 იანვარი.*

ქარბუქია. ყველაფერი რიგზეა.

*25 იანვარი.*

რა ნათელი დაისია. მიგრენინი - Antipirin' a, coffein' a, u ac. citric შენაერთი.

1,0 ფხვნილი... 1,0 შეიძლება?.. შეიძლება.

*3 თებერვალი.*

დღეს გასული კვირის გაზეთები მივიღე. კითხვა არ დამიწყია, მაგრამ თეატრების განყოფილებისკენ თვალი მაინც გამექცა. „აიდა" გასულ კვირას მიდიოდა. მაშ ის სცენაზე გამოდიოდა და მღეროდა: „მოდი ჩემთან, მეგობარო..."

არაჩვეულებრივი ხმა აქვს. საოცარია: ბნელი სულის მქონე არსება ნათელი, ძლიერი ხმის პატრონია...

(აქ დღიური წყდება, ორი თუ სამი ფურცელი ამოხეულია).

...ქიმო პოლიაკოვ,ეს, რა თქმა უნდა, უღირსი საქციელია. ასეთი სისულელე გიმნაზიელს თუ შეეფერება. განა შეიძლება, ქალი ქუჩურად ლანძღო იმის გამო, რომ მიგატოვა? არ უნდოდა შენთან ყოფნა და მიგატოვა. მორჩა და გათავდა. არსებითად, ყველაფერი ხომ მარტივად არის. ოპერის მომღერალი ქალი ახალგაზრდა ექიმს გადაეყარა, ერთი წელი მასთან გაატარა და მიატოვა.

უნდა მოეკლა? ყველაფერი სისულელეა, უაზრობა. უიმედოა!

ფიქრი არ მინდა. არ მინდა...

*11 თებერვალი*

ქარბუქი არა და არ თავდება... ქარბუქში ვარ ჩაკარგული! მთელ საღამოებს მარტოდმარტო ვატარებ. ლამპას ავანთებ და ვზივარ. დღისით ხალხს კიდევ ვხედავ. მაგრამ მექანიკურად ვმუშაობ. სამუშაოს შევეგუე. არც ისეთი საშიშია, როგორც ადრე მეგონა. თუმცა, ომის დროს ჰოსპიტალში ყოფნა ძალზე დამეხმარა. რაც უნდა იყოს, აქ არც ისეთი უვიცი მოვედი.

დღეს პირველად გავაკეთე ბრუნის ოპერაცია.

მაშ ასე, თოვლში სამი ადამიანი ვართ დამარხული: მე, ანა კირილოვნა - ფერშალ-მეანი და ფერშალი. ფერშალი ცოლიანია. ისინი (ფერშლების პერსონალი) ფლიგელში ცხოვრობენ. მე კი მარტო ვცხოვრობ.

*15 თებერვალი.*

წუხელ საინტერესო რამ დამემართა. დასაძინებლად დაწოლას ვაპირებდი, როცა მუცლის არეში ტკივილი ვიგრძენი. თანაც როგორი! შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. უნდა მოგახსენოთ, ჩვენი მედიცინა მაინც საეჭვო მეცნიერებაა. როცა კაცი კუჭ-ნაწლავის არავითარ დაავადებას არ უჩივის (მაგ. აპენდ.), ღვიძლიც საუკეთესო აქვს და თირკმელებიც, ვისი კუჭ-ნაწლავიც სავსებით ნორმალურად მოქმედებს, ღამით ისეთმა ტკივილებმა რატომ უნდა შემოუტიოს, რომ მოკრუნჩხულმა საწოლზე იგორაოს?

კვნესით მივაღწიე სამზარეულოს, სადაც მზარეული ქალი და მისი ქმარი ვლასი ღამეს ათევენ. ვლასი ანა კირილოვნასთან გავგზავნე. ანა კირილოვნა იძულებული შეიქნა, ჩემთვის მორფი გაეკეთებინა. მითხრა, მთლად გამწვანებული იყავითო.

რა დამემართა?

ჩვენი ფერშალი არ მომწონს. ერთი უჟმური ვინმეა. ანა კირილოვნა კი ძალიან სანდომიანი, განვითარებული ქალია. საოცარია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი სრულიად მარტოდმარტო რანაირად ცხოვრობს ამ თოვლის სამარეში. მისი ქმარი გერმანელთა ტყვეობაშია.

არ შემიძლია, ხოტბა არ შევასხა, ვინც ყაყაჩოდან მორფი პირველად მოიპოვა. იგი კაცობრიობის ჭეშმარიტი კეთილისმყოფელია. ნემსის გაკეთებიდან შვიდი წუთის შემდეგ ტკივილმა გამიარა. საინტერესოა, რომ ტკივილი უწყვეტ ტალღად, ყოველგვარი შუალედის გარეშე მიტევდა და სულს მიხუთავდა. თითქოს მუცელში გავარვარებული რკინა შემირჭეს და მიტრიალებდნენ. ნემსის გაკეთებიდან ოთხი წუთის შემდეგ უკვე ვამჩნევდი, რომ ტკივილი ხან მიკლებდა, ხან მიმატებდა.

კარგი იქნება, რომ ექიმს საშუალება ჰქონდეს, მრავალი წამალი საკუთარ თავზე გამოცადოს. მაშინ სულ სხვანაირად გაიგებს, ეს წამლები როგორ მოქმედებს. ნემსის გაკეთების შემდეგ, ბოლო თვეების მანძილზე ღრმად და კარგად პირველად მეძინა. ვინც მიღალატა, იმაზე აღარ ვფიქრობდი.

*16 თებერვალი.*

დღეს მიღებაზე ანა კირილოვნამ მკითხა, როგორა ხართო, და მითხრა, შუბლგახსნილი პირველად გნახეთ, სულ მოღუშული დადიხართო.

- განა მე მოღუშული ვარ?

- ძალიან, - დამაჯერებლად მიპასუხა მან და დაუმატა, მიკვირს, სულ ჩუმად რომ ხართო.

- რა ვქნა, ასეთი ვარ.

ადრე საღამოვდება. ბინაში მარტო ვარ. დაბინდებისას ტკივილმა მომიარა, მაგრამ არც ისე ძლიერმა, გუშინდელის აჩრდილმა, სადღაც გულის კოვზს ქვემოთ. შემეშინდა, გუშინდელი შეტევა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამმეორებოდა, და თეძოში ერთი სანტიმეტრგრამი მე თვითონ გავიკეთე.

ტკივილმა თითქმის მყისვე გამიარა. კიდევ კარგი, ანა კირილოვნამ ერთი შუშა დამიტოვა.

*18 თებერვალი.*

ოთხი ჩხვლეტა საშიში არ არის.

*25 თებერვალი.*

ანა კირილოვნა უცნაური ვინმეა! თითქოს თავად ექიმი არ ვიყო 1. 1/2 შპრიცი-0,015 morph? დიახ.

*1 მარტი*

ექიმო პოლიაკოვო, ფრთხილად!
სისულელეა.

ჩამობინდდა.

ორი კვირაა, რაც ჩემს მოღალატეზე ფიქრი აღარ დამბრუნებია. მისი ამნერისის პარტიის ჰანგმა მიმატოვა. ამით დიდად ვამაყობ. ვაჟკაცი ვარ.

ანა კ. ჩემი ფარული ცოლი გახდა. სხვა რამ მოსალოდნელი არც იყო. ჩვენ ხომ დაუსახლბელ კუნძულზე ვართ მომწყვდეულნი.

თოვლი შეიცვალა, თითქოს მორუხო ფერი დაედო. ძლიერმა ყინვებმა გაიარა, მაგრამ ქარბუქი დროდადრო განახლდება ხოლმე.

პირველი წუთი: კისერზე შეხების შეგრძნება. ეს შეხება თბილი ხდება და ფართოვდება. მეორე წუთში გულის კოვზთან უეცრად ცივი ტალღა ჩაირბენს, შემდეგ კი გონება არაჩვეულებრივად ნათდება და შრომისუნარიანობის აფეთქება იწყება. უსიამოვნო შეგრძნებანი აბსოლუტურად ქრება. ეს ადამიანის სულიერი ძალის გამოვლინების უმაღლესი წერტილია. სამედიცინო განათლებით წამხდარი რომ არ ვიყო, ვიტყოდი, რომ ადამიანს ნორმალურად მუშაობა მხოლოდ მორფის გაკეთების შემდეგ შეუძლია. მართლაც, კაცი, აბა, რის მაქნისია, როცა უბრალო ნევრალგიაც კი თავგზას უბნევს:

ანა კ. შიშობს. მე დავამშვიდე, ვუთხარი, ბავშვობიდანვე ნებისყოფის უზარმაზარი ძალით გამოვირჩეოდი-მეთქი.

*2 მარტი.*

რაღაც გრანდიოზული ხმები დაირხა. ამბობენ, ნიკოლოზ მეორე ჩამოაგდესო. დასაძინებლად ძალიან ადრე ვწვები. ასე, ცხრა საათზე.

ტკბილად მძინავს.

*10 მარტი*

იქ რევოლუცია ხდება. დღემ იმატა, საღამოს ბინდი კი თითქოს მომტრედისფრო გახდა.

ასეთი სიზმრები გათენებისას არასოდეს მინახავს. ეს ორმაგი სიზმრებია.

ამასთან ერთად, ძირითადი სიზმარი, ასე ვთქვათ, მინისაა, გამჭვირვალეა.

საძაგლად განათებულ რამპას ვხედავ, იქიდან შუქთა მრავალფერი ლენტი მოილტვის. ამნერისი მწვანე ბუმბულს არხევს და მღერის. ორკესტრი მართლა არამიწიერი, არაჩვეულებრივად სრულხმოვანია. თუმცაღა, ამის სიტყვით გამოხატვა არ ძალმიძს. ერთი სიტყვით, ნორმალურ სიზმარში მუსიკა უხმოა... (ნორმალურში? ეს კიდევ საკითხავია, რომელი სიზმარია ნორმალური? თუმცა, ვხუმრობ...) ჩემს სიზმარში კი ციური ხმებივით გაისმის. რაც მთავარია, შემიძლია, მუსიკა ჩემს ნებაზე გავაძლიერო ანდა შევასუსტო. გახსოვთ, „ომი და მშვიდობაში" აღწერილია, პეტია როსტოვმა ძილ-ღვიძილში ასეთივე რამ როგორ განიცადა. ლევ ტოლსტოი შესანიშნავი მწერალია!

ახლა გამჭვირვალების თაობაზე; „აიდას" მოლივლივე ფერებში ძალზე რეალურად ამოიზრდება ჩემი საწერი მაგიდის კუთხე, კაბინეტის კარიდან რომ მოჩანს, ლამპა და პრიალა იატაკი, დიდი თეატრის ორკესტრის ხმას აშკარად კვეთს ფეხის ხმა, კასტანეტების ყრუ კაკუნივით სასიამოვნოდ რომ მოისმის.

მაშ, რვა საათია და ანა კ. მოდის, რათა გამაღვიძოს და გამაგებინოს, მიმღებში რა ხდება.

იგი ვერ მიმხვდარა, რომ ჩემი გაღვიძება საჭირო არ არის, ყველაფერი რომ მესმის და მასთან ლაპარაკი შემიძლია.

გუშინ ასეთი ცდა ჩავატარე კიდევაც:

*ა ნ ა*: - სერგეი ვასილევიჩ...

*მ ე*: - გისმენ... (მუსიკას ხმადაბლა - „ძლიერად").

მუსიკა - დიადი აკორდი.

რე დიეზი...

*ა ნ ა*: - ოცი კაცია ჩაწერილი.

*ა მ ნ ე რ ი ს ი* (მღერის),

თუმცა, ქაღალდზე ამის გადმოცემა შეუძლებელია.

ეს სიზმრები სახიფათოა თუ არა? ოჰ, არა. ამ სიზმრების შემდეგ ძალ-ღონე და მხნეობა მემატება და კარგად ვმუშაობ. სამუშაოს მიმართ ინტერესიც კი გამიჩნდა, რაც ადრე არა მქონდა. ანდა რა გასაკვირია, როცა სულ ჩემს ყოფილ ცოლზე ვფიქრობდი.

ახლა კი დავმშვიდდი.

დავმშვიდდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



*19 მარტი.*

წუხელ ანა კ-ს წავეჩხუბე.

- ხსნარს აღარ დაგიმზადებთ.

მე მის დაყოლიებას შევეცადე:

- ანუსია, რა სისულელეა. ბავშვი ხომ არა ვარ?

- არ დაგიმზადებთ. თქვენ დაიღუპებით.

- როგორც გნებავთ, მაგრამ მკერდში ტკივილები მაქვს!

- იმკურნალეთ.

- სად?

- შვებულება აიღეთ და წადით. მორფის კეთება მკურნალობა არ არის. (მერე დაფიქრდა და დაუმატა) თავს ვერასოდეს ვაპატიებ, მაშინ მეორე შუშა რომ დაგიმზადეთ.

- მე რა, მორფინისტი ხომ არა ვარ?

- დიახ, მორფინისტი ხდებით.

- მაშ, არ დამიმზადებთ?

- არა.

მაშინ ჩემს თავს პირველად შევამჩნიე, გაბრაზების უსიამოვნო უნარი რომ გამაჩნდა და, რაც მთავარია, შემძლო, ადამიანისთვის მეყვირა, როცა თავად ვტყუოდი.

თუმცა ერთბაშად არ ავყვირებულვარ. საწოლ ოთახში შევედი დ ვნახე, რომ შუშის ფსკერზე ხსნარი ცოტა ჩარჩენილიყო. შპრიცში მოვაგროვე - 1/4 შპრიცი აღმოჩნდა. შპრიცი გადავაგდე, კინაღამ გავტეხე, თავად კი ავკანკალდი. ფრთხილად ავიღე და გავსინჯე - ბზარი არსად ჰქონდა. საწოლ ოთახში ოციოდე წუთს ვიჯექი, მერე მივედი და ვნახე, რომ ანა აღარსად იყო.

წავიდა.

წარმოიდგინეთ, ვერ მოვითმინე და მასთან წავედი. ფლიგელის განათებულ ფანჯარაზე მივუკაკუნე. თავშალმოხვეული ანა პარმაღზე გამოვიდა. წყნარზე წყნარი ღამე იდგა. ირგვლივ ფაშარი თოვლი იდო. სადღაც შორს, ცაზე, გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობოდა.

- ანა კირილოვნა, აფთიაქის გასაღები მომეცით.

ანამ ჩაიჩურჩულა:

- არ მოგცემთ.

- ამხანაგო, აფთიაქის გასაღები მომეცით. როგორც ექიმი, ისე გეუბნებით.

ბინდბუნდში ვხედავ, ანას სახე როგორ შეეცვალა, ძალიან გაუთეთრდა, თვალები ჩაუღრმავდა, ჩაუცვივდა, ჩაუშავდა. ისეთი ხმა ჰქონდა, რომ გულში სიბრალული აღმეძრა, მაგრამ მაშინვე ბრაზი კვლავ მომერია.

- ასე რატომ მელაპარაკებით? - მითხრა ანამ. - ეჰ, სერგეი ვასილევიჩ, მე ხომ მებრალებით.

თავშალს ქვემოდან ხელი გამოიღო და ვნახე, რომ გასაღები ხელში ეჭირა. მაშ, როცა ჩემთან გამოდიოდა, გასაღებიც გამოიყოლა.

- მომეცით გასაღები! - ვუთხარი უხეშად, გასაღები ხელიდან გამოვტაცე და საავადმყოფოს თეთრი კორპუსისკენ ფიცრებდამპალ, მორყეულ წანწალა ხიდს გავუყევი.

გულში ბრაზი მიდუღდა, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ოდნავი წარმოდგენაც არ მქონდა იმის თაობაზე, კანქვეშ შესაშხაპუნებელი მორფის ხსნარი როგორ დამემზადებინა. ფერშალი ხომ არ ვიყავი, ექიმი გახლდით!

მივდიოდი და ვცახცახებდი.

უკანიდან ფეხის ხმა შემომესმა. ანა ერთგული ძაღლივით მდევნებოდა. გულში მის მიმართ სინაზე აღმეძრა, მაგრამ ჩავიხშე, შევტრიალდი და კბილებდაკრეჭილმა ვუთხარი:

- მომიმზადებთ თუ არა?

ანამ ხელი განწირულივით ჩაიქნია, ახლა ყველაფერი სულ ერთიაო, და მიპასუხა:

- მოგიმზადებთ...

...ერთი საათის შემდეგ თავს ნორმალურად ვგრძნობდი. რაღა თქმა უნდა, ანას ბოდიში მოვუხადე, უაზრო უხეშობა რომ გამოვიჩინე. თავადაც არ ვიცი, ეს როგორ დამემართა, ადრე ზრდილობიანი კაცი ვიყავი-მეთქი.

ჩემმა ბოდიშმა ანას უცნაური საქციელი გამოიწვია. მან დაიჩოქა, ხელებზე მომეკრა და მითხრა:

- არ გიწყრებით, არა. უკვე ვიცი, რომ დაღუპული კაცი ხართ. ვიცი და ჩემს თავს ვწყევლი, მაშინ ნემსი რომ გაგიკეთეთ.

როგორც შემეძლო, ვამშვიდებდი. ვარწმუნებდი, რომ დანაშაული არ მიუძღოდა და საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობა თავად მეკისრებოდა. აღვუთქვამდი, ხვალიდან სერიოზულად დავიწყებ გადაჩვევას, ნელ-ნელა დოზას შევამცირებ-მეთქი.

- ახლა რამდენი გაიკეთეთ?

- ბევრი არაფერი. ერთპროცენტიანი ხსნარის სამი შპრიცი.

ანამ თავზე ხელები შემოიჭდო და გაჩუმდა.

- ამის გამო ნუ ღელავთ! - ვუთხარი კიდევ დასაწყნარებლად.

სიმართლე რომ ითქვას, კარგად მესმის, შეშფოთების მიზეზი რომ აქვს. Morphium hidrocloricum-ი მართლაც საშიში რამ გახლავთ. ადამიანი ძალიან სწრაფად ეჩვევა. მაგრამ მცირედი ჩვევა ხომ მორფინიზმი არ არის?..

...კაცმა რომ თქვას, ეს ქალი ერთადერთი ადამიანია, ვინც ჩემს მიმართ ნამდვილ ერთგულებას იჩენს. არსებითად, ჩემი ცოლი ეს უნდა იყოს. ის ქალი დამავიწყდა. დამავიწყდა. ამ ამბავს კი, ასეა თუ ისე, მორფს უნდა ვუმადლოდე...

*1917 წლის 8 აპრილი.*

ეს სატანჯველია.

*9 აპრილი*

გაზაფხული შემზარავია.

კოკაინი შუშაში ჩამძვრალი ეშმაკია. დიახ, შუშაში ჩამძვრალი ეშმაკი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



მისი მოქმედება ამგვარია:

2%-იანი ხსნარის ერთ შპრიცს გაიკეთებ თუ არა, მყისვე სიმშვიდე გეუფლება, რასაც უმალვე აღტაცება და ნეტარება ენაცვლება. ეს მხოლოდ ერთი-ორ წუთს გასტანს, მერე ყოველივე უკვალოდ ქრება, თითქოს არც ყოფილიყო, და გეუფლება ტკივილი, ძრწოლა, წყვდიადი. გაზაფხული კი გუგუნებს, შავი ფრინველები შიშველი ტოტებიდან ტოტებზე მიმოფრენენ, ტყე შორით ცისკენ შავად აჯაგრულა, ხოლო ტყის გადაღმა ცის ერთი მეოთხედი გაზაფხულის პირველ დაისს აულანძავს.

ჩემი ბინის ცარიელ ოთახში კარიდან ფანჯრისკენ, ფანჯრიდან კარისკენ დიაგონალზე მივდი-მოვდივარ. რამდენჯერ უნდა წავიდ-წამოვიდე? თხუთმეტჯერ ან თექვსმეტჯერ, მეტჯერ არა. მერე მივტრიალდები და საწოლ ოთახში შევალ. მარლაზე შპრიცი დევს, შპრიცის გვერდით, შუშა. შპრიცს ვიღებ, დაჩხვლეტილ თეძოს იოდით დაუდევრად ვიწმენდ და კანში ნემსს ვირჭობ. ტკივილს სრულებით ვერ ვგრძნობ. ო, პირიქით: წინასწარ ეტკბები ეიფორიით, ახლა რომ უნდა დამეწყოს. მეწყება კიდევაც. ამას გარმონის ხმები მაუწყებს. გაზაფხულის დადგომით გახარებული ვლასი პარმაღზე ზის და გარმონს უკრავს. და, აი, გარმონის ნაგლეჯ-ნაგლეჯი ხმა, მინის იქიდან ყრუდ რომ მოისმოდა, ანგელოზთა ხმას ემგვანება, ხოლო გაბერილი ტყავის უხეში ბანები ციური ქოროსავით გაისმის. მაგრამ ორი წუთი გადის და სისხლში კოკაინი საიდუმლო კანონით, რაც ფარმაკოლოგიაში არსად არის აღწერილი, ახალ რაღაცად იქცევა. მე კი ვიცი, რომ ეს სატანისა და ჩემი სისხლის ნარევია. პარმაღზე მჯდომარე ვლასის მიმართ სიძულვილი მიპყრობს, დაისი მოუსვენრად თრთის და შიგნეულს მიღრღნის. დაბინდებამდე ეს რამდენჯერმე მეორდება და ბოლოს ვხვდები, რომ მოწამლული ვარ. გული ძგერას ისე მიწყებს, რომ ხელებსა და საფეთქლებში ვგრძნობ... მერე უფსკრულში ჩაინთქმება და დგება წამი, როცა მგონია, რომ ექიმი პოლიაკოვი სიცოცხლეს ვეღარ დაუბრუნდება...

*13 აპრილი*

მე, ბედკრული ექიმი პოლიაკოვი, ამა წლის თებერვალში მორფინიზმით დასნეულებული, ვაფრთხილებ ყველას, ვისაც ბედი ჩემნაირ ხვედრს არგუნებს, კოკაინით მორფის შეცვლას ნუ შეეცდება. კოკაინი უსაშინლესი და უმზაკვრესი საწამლავია. ანამ გუშინ ქაფურით ძლივს მომასულიერა, დღეს კი ცოცხალ-მკვდარი ვარ.

*1917 წლის 6 მაისი.*

დიდი ხანია, დღიურისთვის ხელი არ მომიკიდია. დასანანი კია. სინამდვილეში ეს დღიური კი არა, ავადმყოფობის ისტორიაა და, როგორც ჩანს, ამქვეყნად ერთადერთი მეგობრის მიმართ (თუ ჩემს სევდიანსა და ხშირი ტირილით თვალებდასიებულ ანას არ ჩავთვლით) პროფესიული ლტოლვა მაქვს.

მაშ ასე, თუ ავადმყოფობის ისტორიას ვადგენ, უნდა ჩავწერო: მორფს დღე-ღამეში ორჯერ ვიკეთებ: საღამოს 5 საათზე (სადილის შემდეგ) და ღამის 12 საათზე ძილის წინ.

ხსნარი სამპროცენტიანია: ორი შპრიცი. მაშასადამე, ერთ ჯერზე 0,06-ს ვიკეთებ.

გვარიანი დოზაა!

ადრინდელი ჩანაწერები ცოტა ისტერიკულია. განსაკუთრებულად საშიში არაფერი მჭირს. ჩემს შრომისუნარიანობაზე ეს არავითარ გავლენას არ ახდენს. პირიქით. მთელი დღე წინა დღეს განაკეთებით ვარსებობ. ოპერაციებს საუცხოოდ ვაკეთებ, რეცეპტებს ყურადღებით, წუნდაუდებლად ვწერ და ექიმის სიტყვას ვიძლევი, ჩემს მორფინიზმს ჩემი პაციენტებისთვის არაფერი ვნება. ვიმედოვნებ, რომ არც ავნებს. მე სხვა რამ მაწამებს. სულ მეჩვენება, რომ ჩემს მანკს ვიღაც გაიგებს. პაციენტების მიღებისას ვგრძნობ, ჩემი ასისტენტ-ფერშალი ზურგიდან ჩაციებით, გამომცდელად რომ მაკვირდება და ეს ძალიან მიმძიმს.

სისულელეა! ის ვერ მიხვდება. არაფერზე მეტყობა. თვალის გუგებმა მხოლოდ საღამოთი შეიძლება გამთქვას, საღამოთი კი ფერშალს არასოდეს ვხვდები.

მაზრაში ჩაველი და ჩვენს აფთიაქს მორფის შემზარავი დანაკლისი შევუვსე. მაგრამ უსიამოვნო წუთების გადატანა იქაც მომიხდა. მოთხოვნილებაში განზრახ კიდევ სხვა ბევრი რაღაცრაღაცა ჩავწერე, კოფეინის მსგავსი (თუმცა კოფეინი თავზე საყრელი გვქონდა) საწყობის გამგემ მოთხოვნილება გამოართვა და მითხრა:

- 40 გრამი მორფი?

ვიგრძენი, რომ თვალებს მოწაფესავით ვმალავდი. ვიგრძენი, რომ ვწითლდებოდი...

- იმან კი მითხრა:

- ამდენი არა გვაქვს. ათ გრამს მოგცემთ.

- მართლაც არა ჰქონდა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ჩემს საიდუმლოს ჩასწვდა. თვალებით მჩხრეკდა და მზურღავდა, ხოლო მე ვღელავდი და ვიტანჯებოდი.

დიახ. თვალის გუგები, მხოლოდ თვალის გუგებია სახიფათო, ამიტომ წესად უნდა მქონდეს, საღამოთი არავის შევხვდე. თუმცადა, საამისოდ ჩემს უბანზე შესაფერი ადგილი მთელს ქვეყნიერებაზე არ მოიძებნება. ექვს თვეზე მეტია, ავადმყოფების გარდა, იქ არავინ მინახავს. იმათ კი ჩემთვის არა სცხელათ.

*18 მაისი.*

ჩახუთული ღამეა. გაავდრდება. ტყის გადაღმა მუცელგაბერილი შავი ღრუბელი იზრდება და იბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლქვება. უკვე მკრთალად ილევა. ავდარი იწყება.

მაგიდაზე იმ ადგილას გადაშლილი წიგნი მიდევს, სადაც მორფისგან თავის შეკავების შესახებ ზოგი რამ წერია.

*„...უკიდურესი მოუსვენრობა, მშფოთვარება, სევდიანობა, აღგზნებადობა, მეხსიერების შესუსტება, ზოგჯერ ჰალუცინაციები და გონების მცირედი დაბინდვა...“*

ჰალუცინაციები არ მქონია, მაგრამ სხვა რამეთა თაობაზე შემიძლია ვთქვა: ო, რა ულიმღამო, უსულგულო, რა არაფრის მთქმელი სიტყვებია!

„სევდიანობა!..“

არა, მე, ამ საშინელი სენით დაავადებული კაცი, ექიმებს ვაფრთხილებ, რომ თავიანთი პაციენტების მიმართ უფრო შემბრალენი იყვნენ. „სევდიანობა“ კი არა, ნელი სიკვდილი ემუქრება მორფინისტს, თუ მორფს ერთი ან ორი საათით მოაკლებთ. გაუგემურებულ ჰაერს ვეღარ ყლაპავს... სხეულში ერთი უჯრედიც აღარა აქვს, რომელსაც არ სწყუროდეს... რა? ამის არც განსაზღვრა შეიძლება, არც ახსნა. ერთი სიტყვით, კაცი აღარ არსებობს. გათიშულია. გვამი მოძრაობს, წუხს, იტანჯება. აღარაფერი უნდა, აღარაფერზე ფიქრობს გარდა მორფისა, მორფისა!

წყურვილით სიკვდილი სამოთხეა, ნეტარებაა მორფის წყურვილთან შედარებით. ცოცხლად დამარხული ჰაერის უკანასკნელ, უმცირეს ნამცეცებს, ალბათ, ასე ეტანება კუბოში და მკერდს ფრჩხილებით იღადრავს, ერეტიკოსი კოცონზე ასე გმინავს და იგრიხება, როცა ცეცხლის პირველი ენები ფეხებს ულოკავს.

სიკვდილი - უსახური, ნელი სიკვდილი...

აი, რას ნიშნავს ეს სიტყვა - „სევდიანობა“.

მეტი აღარ შემიძლია. ავდექი და ვიჩხვლიტე. ამოვისუნთქე. კიდევ ამოვისუნთქე.

გულს მომეშვა. ცოტაც. - ცოტაც... - აი, გულის კოვზის ქვეშ უკვე სიგრილეს ვგრძნობ...

3%-იანი ხსნარის სამი შპრიცი. ეს შუაღამემდე მეყოფა...

ლაყბობაა. ეს ჩანაწერი ლაყბობაა. ყოველივე არც ისე საშიშია. ადრე თუ გვიან მივატოვებ!.. ახლა კი უნდა დავიძინო, დავიძინო.

მორფთან უაზრო ბრძოლით მხოლოდ თავს ვიტანჯავ და ვისუსტებ.

(ამის შემდეგ რვეულში ოციოდე ფურცელი ამოხეულია)

...მბერი.

...კვლავ გულის რევა ხუთის ნახევარზე.

როცა ცოტა მოვსულიერდები, საშინელ შთაბეჭდილებებს ჩავწერ.

*1917 წლის 14 ნოემბერი.*

მაშ ასე, მოსკოვიდან, ექიმ... (გვარი გულმოდგინედ გადახაზულია) საავადმყოფოდან გამოქცევის შემდეგ კვლავ შინა ვარ. წვიმა კოკისპირულად ასხამს და მთელი ქვეყნიერება თვალთაგან მიქრება. დაე, გაქრეს. ეს ქვეყნიერება არა მჭირდება, ისევე როგორც ამქვეყნად თავად მე არავის ვჭირდები. სროლისა და გადატრიალების დროს ჯერ კიდევ საავადმყოფოში ვიყავი. მაგრამ მკურნალობის მიტოვებაზე ფიქრი ადრევე შემომეპარა და საავადმყოფოდან გაქცევა მოსკოვის ქუჩებში ბრძოლების დაწყებამდე გადავწყვიტე. მორფს ვუმადლი იმას, მამაცი რომ შევიქენი. სროლა ოდნავადაც არ მაშინებს. ანდა, საერთოდ, რამ უნდა შეაშინოს ის, ვინც მხოლოდ ერთ რამეზე - დიდებულ, ღვთიურ კრისტალებზე ფიქრობს. როცა ქვემეხთა გრუხუნისგან მთლად გაოგნებული ფერშალი ქალი...

(აქ ერთი ფურცელი ამოხეულია.)

...ხიე ეს ფურცელი, რომ არავის წაეკითხა, დიპლომიანი კაცი მალულად, მხდალურად როგორ მიიპარებოდა და საკუთარ კოსტიუმს იპარავდა.

კოსტიუმს კიდევ რა უშავს!

პერანგი საავადმყოფოსი გამოვიყოლე. ამაზე ფიქრისთვის აღარ მცხელოდა. მეორე დღეს, მას მერე, რაც ნემსი ვიჩხვლიტე და გამოვცოცხლდი, ექიმ №-თან დავბრუნდი. ექიმმა სიბრალულით შემომხედა, მაგრამ ამ სიბრალულში ზიზღიც გამოსჭვიოდა. მერედა, რატომ? ის ხომ ფსიქიატრია და უნდა იცოდეს, რომ თავს ყოველთვის ვერ ვიოკებ. მე სნეული ვაარ. განა ამის გამო კაცის შეზიზღება შეიძლება? საავადმყოფოს პერანგი უკანვე დავაბრუნე.

- გმადლობთ, - მითხრა მან და მერე დაუმატა: - ახლა რას აპირებთ?

მე მკვირცხლად ვუპასუხე (ამ დროს ეიფორიაში ვიყავი):

- გადავწყვიტე, ჩემს მიყრუებულ მხარეში დავბრუნდე, თანაც შვებულება უკვე დამიმთავრდა. დიდ მადლობას მოგახსენებთ მზრუნველობისთვის, ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. მკურნალობას შინ გავაგრძელებ.

- თქვენ თავს უკეთ ოდნავადაც არა გრძნობთ, - მიპასუხა პროფესორმა. - სასაცილოა, ამას მე რომ მეუბნებით. თვალის გუგებში ერთხელ რომ ჩაგხედოთ, ესეც ხომ საკმარისია. აბა, ამას ვის ეუბნებით?

- პროფესორო, ერთბაშად გადაჩვევა არ შემიძლია... განსაკუთრებით ახლა, როცა ასეთი ამბავია... სროლამ მთლად მომშალა.

- სროლა დამთავრდა. ამჟამად ახალი ხელისუფლებაა. დარჩით და მკურნალობა განაგრძეთ.

იმ წუთას ყველაფერი გამახსენდა... ცივი დერეფნები... ზეთის საღებავით შეღებილი, შიშველი კედლები... ხოლო მე ფეხმოტეხილი ძაღლივით დავფორთხავ... რაღაცას ველი... რას? ცხელ აბაზანას?.. 0,005

ეროვნული ბიბლიოთეკა


მორფის ჩხვლეტას. ასეთი დოზის წყალობით არ მოვკვდები... ეს არის და ეს... სევდა კი უცვლელად გრჩება, გულს როგორც გიმძიმებდა, ისევე გიმძიმებს... უძილო ღამეები, როცა პერანგი შემოვიხიე და ვიხვეწებოდი გამიშვით-მეთქი?

არა. არა. მორფი თუ გამოიგონეთ, ღვთაებრივი მცენარის გამშრალი თავებიდან თუ გამოწურეთ, მაშ, ხერხიც გამონახეთ, რომ სნეული უწამებლად განკურნოთ! თავი ჯიუტად გავიქნიე. ამ დროს იგი წამოდგა და მე კარისკენ შეშინებული გავექანე. მომეჩვენა, რომ კარს ჩამიკეტავდა და საავადმყოფოში ძალით დამტოვებდა...

პროფესორი წამოჭარხლდა.

- მე ციხის ზედამხედველი არა ვარ, - თქვა გულმოსულმა. - და აქ საპატიმრო არა მაქვს, წყნარად იჯექით. ორი კვირის წინ ტრაბახობდით, სავსებით ნორმალური ვარო. ახლა კი... - მან ჩემი შიშის გამომხატველი ჟესტი გამომეტყველად გაიმეორა - აქ არ გაკავებთ.

- პროფესორო, გემუდარებით, ხელწერილი დამიბრუნეთ, - ვუთხარი და ხმა შესაბრალისად ამითრთოლდა.

- ინებეთ.

მან მაგიდის უჯრაზე გასაღები გააჩხაკუნა და ხელწერილი მომცა, სადაც ვწერდი, რომ მოვალე ვიყავი, ორთვიანი კურსი ბოლომდე ჩამეტარებინა, მათ საავადმყოფოში ჩემი დატოვება შეეძლოთ და ასე შემდეგ. მოკლედ, ჩვეულებრივი ფორმის ხელწერილი გახლდათ.

ხელწერილი აკანკალებული ხელით გამოვართვი, ჯიბეში ჩავიდე და ჩავიბურტყუნე:

- გმადლობთ.

მერე წამოვდექი და კარისკენ გავემართე.

- ექიმო პოლიაკოვო! - ხმა დამადევნა პროფესორმა. მე შევტრიალდი, ხელი კარის სახელურზე მეკიდა. - მისმინეთ, - მითხრა მან. - გონს მოდით. იცოდეთ, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მაინც მიგიყვანენ, ვთქვათ, ცოტა მოგვიანებით... მაგრამ მაშინ გაცილებით უარესად იქნებით. მე, როგორც ექიმს, მაინც გიწევდით ანგარიშს. მერე კი სულიერად სავსებით განადგურებული მოხვალთ. ჩემო კარგო, სიმართლე რომ გითხრათ, თქვენი მუშაობა საერთოდ არ შეიძლება. დანაშაულიც კია, თქვენი სამუშაო ადგილი რომ არ გავაფრთხილოთ.

მე შევკრთი და აშკარად ვიგრძენი, რომ სახის ფერი დავკარგე (თუმცა ფერი ისედაც არა მქონდა).

- პროფესორო, გემუდარებით, - ვუთხარი ყრუ ხმით. - არავის არაფერი უთხრათ... სამსახურიდან დამითხოვენ... ავადმყოფს დამიძახებენ... ასე რატომ უნდა მომექცეთ?

- წადით, - მითხრა მან განაწყენებით. - წადით. არავის არაფერს ვეტყვი. თქვენ მაინც აქ დაგაბრუნებენ...

მე წავედი და, გეფიცებით, მთელ გზაზე ტკივილისა და სირცხვილისაგან ვიკრუნჩხებოდი... რატომ?...

უბრალო რამის გამო. ჩემო მეგობარო, ჩემო ერთგულო დღიურო. შენ ხომ არ გამცემ? კოსტიუმი არაფერ შუაშია. საქმე ის არის, რომ საავადმყოფოში მორფი მოვიპარე. სამი კუბური სანტიმეტრი კრისტალები და ათი გრამი ერთპროცენტიანი ხსნარი.

მე მხოლოდ ეს არ მაინტერესებს. კიდევ, აი, რა. კარადის კარში გასაღები იყო ჩარჩენილი. გასაღები რომ არ ყოფილიყო? კარადას გავტეხავდი თუ არა? ჰა? გულზე ხელი დავიდოთ და ისე ვთქვათ:

გავტეხავდი.

მაშ ასე, ექიმი პოლიაკოვი ქურდია. ამ ფურცლის ამოხევას მოვასწრებ.

მუშაობის თაობაზე კი პროფესორმა გადაამლაშა. ჰო, მე დეგენერატი ვარ. ნამდვილად ასეა. ზნეობის განადგურება დამეწყო, მაგრამ მუშაობა შემიძლია და არც ერთ ჩემს პაციენტს არაფერს ვავნებ.

რატომ მოვიპარე? უბრალო მიზეზით. ვიფიქრე, რომ ამ ბრძოლებისა და არეულობის გამო, რაც გადატრიალებამ გამოიწვია, მორფს ვერ ვიშოვიდი. მაგრამ როცა არეულობა მინელდა, გარეუბნის ერთ აფთიაქში თხუთმეტი გრამი ერთპროცენტიანი ხსნარი კიდევ ვიშოვე. აბა, ეს ჩემთვის რა იყო, ცხრა შპრიცი უნდა გამეკეთებინა! თანაც თავის დამცირება დამჭირდა. ფარმაცევტმა ბეჭედი მომთხოვა, პირქუშად და ეჭვიანად მიყურებდა. სამაგიეროდ, მეორე დღეს, როცა ნორმაში გახლდით, სხვა აფთიაქში ოცი გრამი კრისტალები შეუფერხებლად მომცეს - რეცეპტი საავადმყოფოსთვის გამოვწერე (რა თქმა უნდა, რეცეპტში კოფეინი და ასპირინიც ჩავწერე). ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა ვიმალებოდე, რად უნდა მეშინოდეს? მართლაც, შუბლზე ხომ არ მაწერია, მორფინისტი რომ ვარ? ბოლოს და ბოლოს, ვისი საქმეა?

სენი ძალიან მაქვს გამჯდარი? მოწმედ ეს ჩანაწერებიც გამოდგება. მართალია, ჩანაწერები ნაწყვეტ-ნაწყვეტია, მაგრამ მე ხომ მწერალი არა ვარ! განა აქ სადმე გიჟური აზრებია? მე მგონი, სავსებით ჯანსაღად ვმსჯელობ.

მორფინისტს ერთი ბედნიერება აქვს, რასაც ვერავინ წაართმევს - მას შეუძლია ცხოვრება სრულიად მარტოდმარტომ გაატაროს. სიმარტოვე კი საყურადღებო, მნიშვნელოვან აზრებს ბადებს, სიმარტოვე ჭვრეტაა, სიბრძნეა.

კუნაპეტი, მდუმარე ღამე მიდგინება. სადღაც ფოთლებშემოძარცული ტყეა, ტყის გაღაღმა მდინარე, სიცივე, შემოდგომა. შორს, შორს აჯაგრული, ბობოქარი მოსკოვია. მაგრამ მე არაფრის ჯავრი არა მაქვს, არაფერი მჭირდება, გული არსაით მიმიწევს.

ჩემო ლამპავ, ანათე, წყნარად ანათე, მინდა

დავისვენო და დავივიწყო, რაც მოსკოვში თავს გადამხდა.

დავივიწყე კიდევაც.

დავივიწყე.

*18 ნოემბერი.*

სუსხმა დაჰკრა. გზები აშრა. სახლიდან გავედი და მდინარისკენ ბილიკს გავუყევი, იმიტომ რომ ჰაერზე არასოდეს ვარ.

პიროვნების რღვევა - ეს უკვე აშკარაა, მაგრამ მაინც ვცდილობ, ეს თავიდან ავიცილო. მაგალითად, ამ დილას ნემსი არ გამიკეთებია (ახლა 4%-იანი ხსნარის სამ შპრიცს დღეში სამჯერ ვიკეთებ). უხერხულია. ანა მეცოდება. ყოველი ახალი პროცენტი გულს უხეთქავს. მეცოდება. ოჰ, როგორი ქალია.

დიახ... აი, ასე... დიახ... ცუდად როცა შევიქენი, გადავწყვიტე, თავი გამეტანჯა (დაე, დატკბეს პროფესორი №), ჩხვლეტის დრო გადამეწია და მდინარეზე წავსულიყავი.

ნამდვილი უდაბნოა. ჩქამი არსაიდან მოისმის. ჯერ არ დაბინდებულა, მაგრამ ჩრდილები სადღაც არიან ჩამალულნი და ჭაობებში, კოლბოხებსა და ჯირკებს შორის მოღოღავენ... ლევკოვოს საავადმყოფოსკენ მოისწრაფიან... მეც ჯოხზე დაყრდნობილი მივღოღავ (სიმართლე რომ ვთქვა, ბოლო ხანს ცოტა დავსუსტდი).

ჰოდა, ვხედავ, მდინარის მხრიდან, ფერდობზე, ჩემკენ სწრაფად მოფრინავს ყვითელთმიანი დედაბერი, ისე რომ ფეხებს მიწაზე არ ადგამს. ჭრელი კაბა ზარივით გაუშლია... პირველ წუთს აზრზე ვერ მოვედივარ, არც შიშსა ვგრძნობ. ჩვეულებრივი დედაბერი მეგონა. უცნაური კია, ამ სიცივეში თავშიშველი და კოფთის ამარა რატომაა? ამას გარდა, საიდან გაჩნდა? ვინ არის? ლევკოვოში მიღება რომ დამთავრდება და გლეხები ბოლო მარხილებით წავლენ-წამოვლენ, ირგვლივ ათ ვერსზე აღარავინაა - მხოლოდ ნისლი, ჭაობი და ტყეა! მერე კი უცებ ზურგი ცივმა ოფლმა დამისველა - მივხვდი! დედაბერი კი არ გამორბოდა, მოფრინავდა, მიწას ფეხს არ აკარებდა. როგორია? მაგრამ იმიტომ კი არ ავყვირებულვარ, არამედ იმიტომ, რომ დედაბერს ხელში ფიწალი ეჭირა. ასე რატომ შევშინდი? რატომ? ცალ მუხლზე ჩავიჩოქე და ხელები წინ ისე გავიწოდე, რომ დედაბერი არ დამენახა, მერე შევტრიალდი და შინისკენ, როგორც მხსნელი ადგილისკენ, ისე გავიქეცი. აღარაფერი მსურდა იმის გარდა, რომ გული არ გამსკდომოდა, თბილ ოთახებში მალე შემერბინა, მალე დამენახა ცოცხალი ანა და მორფი...

ჰოდა, შინ მივირბინე.

სისულელეა. უაზრო ჰალუცინაცია. შემთხვევითი ჰალუცინაცია.

*19 ნოემბერი.*

გული ამერია. ეს ცუდია.

ჩემი საუბარი ანასთან 21-ში, ღამით:

ანა. - ფერშალმა იცის.

მე. - მართლა? ჩემთვის სულ ერთია.

ანა. - თუ ქალაქში არ წახვალ, თავს ჩამოვიხრჩობ. გესმის? აბა, ხელებზე დაიხედე, აბა, დაიხედე.

მე. - ოდნავ მიკანკალებს. ეს მუშაობაში ხელს სრულებით არ მიშლის.

ანა. - დახედე. ხელებში სინათლე გაგდის. მარტო ძვალი და ტყავიღა ხარ... ნახე, ნახე, რას გიგავს... ყური მიგდე, სერიოჟა. ქალაქში წადი, გაფიცებ, წადი...

მე. - შენ რაღას იზამ?

ანა. - წადი. წადი. თორემ დაიღუპები.

მე. - ეს კი გადაჭარბებულია. თუმცა, თავადაც ვერ გამიგია, ასე მალე რატომ დავსუსტდი? ჯერ ხომ ერთი წელიც არ არის, რაც ავადა ვარ. ეტყობა, ასეთი აგებულება მაქვს.

ანა. (მწუხარედ) - ამქვეყნად რა დაგაბრუნებს? იქნებ ამნერისმა გიშველოს - შენმა ცოლმა?

მე. - ოჰ, არა. დამშვიდდი. მორფის მადლობელი ვარ, ის რომ დავივიწყე. მორფი იმის მაგიერია.

ანა. - ღმერთო ჩემო... რა ვქნა?

მეგონა, ანასნაირები მხოლოდ რომანებში იყვნენ. თუ როდისმე გამოვჯანმრთელდები, ჩემს ბედს სამუდამოდ, სამუდამოდ დავაკავშირებ მის ბედთან. დაე მისი ქმარი გერმანიიდან აღარ დაბრუნდეს.

*27 დეკემბერი.*

დიდი ხანია, რევოლვერისთვის ხელი არ მომკიდია. შეფუთნილი ვარ. ცხენებშებმული მარხილი მელოდება. ბომგარდი გორელოვოს უბნიდან გადავიდა და მის შემცვლელად მგზავნიან. ჩემს უბანზე ქალი ექიმი ჩამოდის.

ანა აქ რჩება. ჩემთან ჩამოვა ხოლმე.

თუმცა, იქამდე 30 ვერსია.

გადავწყვიტეთ, რომ 1 იანვრიდან შევებულებას ავიღებ ავადმყოფობის გამო და მოსკოვში პროფესორთან წავალ. ხელწერილს კიდევ მივცემ, რათა საავადმყოფოში ერთ თვეს არაადამიანურად ვიტანჯო.

მშვიდობით, ლევკოვო. ნახვამდის, ანა.

*1918 წელი*
*იანვარი.*

მოსკოვში არ წავსულვარ. კრისტალებთან, ჩემს ღვთაებასთან განშორება არ შემიძლია.

მკურნალობისას სული ამომხდება.

სულ უფრო ხშირად ვფიქრობ, რომ მკურნალობა არ მჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



*15 იანვარი.*

დილით გული ამერია.
4%-იანი ხსნარის სამი შპრიცი შებინდებისას.
4%-იანი ხსნარის სამი შპრიცი ღამით.

*16 იანვარი*

ოპერაციების დღეა, ამიტომ თავი დიდხანს უნდა შევიკავო, საღამოს 6 საათამდე.

შებინდება ყველაზე საშინელი ჟამია. შინ როცა დავბრუნდი, ოთახიდან ხმა შემომესმა. ვიღაც მონოტონურად, მუქარით იმეორებდა:

- სერგეი ვასილოვიჩ. სერგეი ვასილოვიჩ.

ნემსის გაკეთების შემდეგ ყოველივე უმალ გაქრა.

*17 იანვარი.*

ქარბუქია. მიღება არ არის. ჩხვლეტისგან თავს ვიკავებ და ფსიქიატრიის სახელმძღვანელოს ვკითხულობ. შთაბეჭდილება შემზარავია. დავიღუპე. იმედი აღარაფრისა უნდა მქონდეს.

როცა ჩხვლეტისაგან თავს ვიკავებ, ფაჩუნიც მაკრთობს, ხალხი მძულს - ადამიანებისა მეშინია. ეიფორიის დროს ყველა მიყვარს, მაგრამ მარტოობა მირჩევნია.

აქ ფრთხილად უნდა ვიყო - გორელოეში ერთი ფერშალი და ორი მეანი ქალია. ძალიან ყურადღებით უნდა ვიყო, თავი რომ არ გავთქვა. უკვე გამოცდილი ვარ, არ გავთქვამ. სანამ მორფის მარაგი მაქვს, ვერავინ ვერაფერს შეიტყობს. ხსნარს თვითონ ვამზადებ ანდა ანას წინასწარ ვუგზავნი რეცეპტს. ერთხელ მან სცადა (რაც უაზრობა გახლდათ), ხუთპროცენტიანი ხსნარი ორპროცენტიანით შეეცვალა. ხსნარი ლევკოვოდან ყინვასა და ქარბუქში თვითონ ჩამოვიტანე.

ამის გამო ღამით დიდი ჩხუბი გვქონდა. დავარწმუნე, რომ ეს არ უნდა ექნა. აქაურ პერსონალს განვუცხადე, რომ ავად ვიყავი. დიდხანს ვიჭყლეტდი ტვინს, რა სენი მომეგონებინა. ვთქვი, ფეხების რევმატიზმი და მძიმე ნევრასთენია მაქვს-მეთქი. გავაფრთხილე, რომ თებერვალში შვებულებას ავიღებდი და სამკურნალოდ მოსკოვში გავემგზავრებოდი. საქმე კარგად მიდის, მუშაობა სრულიად არ მიფერხდება. ოპერაციებს თავს ვარიდებ იმ დღეებში, როცა გულისრევა და სლოკინი ამიტყდება. ამის გამო ჩემს ავადმყოფობებს კუჭის კატარიც მივუმატე. ეჰ, ერთ ადამიანს რამდენი სენი შეიძლება სჭირდეს!

აქაური პერსონალი ლმობიერია და თავად მაძალებს, შვებულებაში წავიდე.

სენის გარეგნული ნიშნები: სიგამხდრე, სახეცვეილისფერი.

აბაზანა მივიღე და საავადმყოფოს სასწორზე ავიწონე. შარშან 4 ფუთს ვიწონიდი, ახლა სამ ფუთსა და 15 გირვანქას ვიწონი. სასწორის ისარს რომ შევხედე, შევშინდი. მერე შიშმა გამიარა.

მკლავები და თეძოები ჩირქოვანი მუწუკებითა მაქვს დაფარული. ხსნარს სტერილურად ვერ ვამზადებ, ამას გარდა, სამჯერ გამოუხარშავი შპრიცი ვიჩხვლიტე, რადგან გამგზავრების წინ ძალიან ვჩქარობდი.

ასეთი რამ არ შეიძლება.

*18 იანვარი.*

ასეთი ჰალუცინაცია მქონდა:

ჩაშავებულ ფანჯარაში ვიღაც ფერმკრთალ ადამიანთა გამოჩენას ველოდი. ამის ატანა შეუძლებელია. ფანჯარაზე მხოლოდ ერთი ფარდაა ჩამოფარებული. საავადმყოფოდან მარლა წამოვიღე და ჩამოვაფარე. მიზეზად ვერაფერი მოვიგონე.

ჯანდაბას ყველაფერი! ბოლოს და ბოლოს, ჩემს ყოველ მოქმედებას მიზეზი რატომ უნდა მოვუძებნო და რამე მოვიგონო? ეს მართლაც სიცოცხლე კი არა, წამებაა!

ჩემს აზრებს დალაგებით გამოვთქვამ?
მე მგონი, დალაგებით.
სიცოცხლე სასაცილოა!

*19 იანვარი.*

დღეს, როცა მიღებისას შესვენება გვქონდა, აფთიაქში პაპიროსს ვეწეოდით. ფერშალი ფხვნილებს ახვევდა და თან (რატომღაც სიცილით) მიყვებოდა, ერთ ფერშალ ქალს მორფინიზმი სჭირდა და როცა მორფს ვერსად იშოვიდა, ნახევარ ჭიქა ოპიუმის ნაყენს სვამდაო. მისი მონათხრობისაგან გავწამდი, თვალები სად დამემალა, აღარ ვიცოდი. აქ სასაცილო რა არის? გულში მის მიმართ სიძულვილს ვგრძნობდი. სასაცილო რა იყო? რა?

აფთიაქიდან ქურდულად გავიპარე.

მინდოდა, მეკითხა, ეს ავადმყოფობა სასაცილო რატომ გგონიათ-მეთქი?

მაგრამ თავი შევიკავე,შევიკ...

ჩემს დღეში მყოფმა კაცმა დიდგულობა მაინცდამაინც არ უნდა გამოავლინოს. ოჰ, ეს ფერშალი. ესეც იმ ფსიქიატრივით სასტიკია, ვისაც არაფრით, არაფრით, არაფრით შეუძლია, ავადმყოფს დაეხმაროს.

არაფრით.
არაფრით.

წინა სტრიქონები იმ დროს არის დაწერილი, როცა ჩხვლეტისგან თავს ვიკავებდი, და იქ ბევრი რამ არასამართლიანია.

ახლა მთვარიანი ღამეა. გულისრევის შემოტევის

შემდეგ დასუსტებული ვწევარ. ხელს მაღლა ვერ ვეწევი და ამ სტრიქონებს ფანქრით ვწერ. ვწერ ნათლად და ამაყად. რამდენიმე საათს ბედნიერ ფიქრებში ვიქნები. ახლა დავიძინებ. შარავანდედიანი მთვარე თავს მადგას. ჩხვლეტის მერე აღარაფერი მაშინებს.

*1 თებერვალი.*

ანა ჩამოვიდა. გაყვითლებულია, ავადაა.

სული ამოვხადე, სიკვდილის პირას მივიყვანე. დიდი ცოდვა მაწევს. შევფიცე, რომ თებერვლის შუა რიცხვებში მოსკოვს გავემგზავრებოდი.

შევასრულებ კი?

დიახ, შევასრულებ.

თუ ცოცხალი ვიქნები.

*3 თებერვალი.*

მაშ ასე: ბორცვი. ყინულოვანი და უსასრულო, ისეთივე, საიდანაც ბავშვობისდროინდელ ზღაპარში გაი მარხილმა გაიტაცა. ეს ამ ბორცვიდან ჩემი უკანასკნელი გაფრენაა და ვიცი, ქვემოთ რაც მელის. ეჰ, ანა, დიდი მწუხარება მოგელის მალე, თუკი გიყვარდი.

*11 თებერვალი.*

გადავწყვიტე, ბომგარდს მივწერო. რატომ მაინცდამაინც იმას? იმიტომ, რომ ფსიქიატრი არ არის, ახალგაზრდაა და უნივერსიტეტელი ამხანაგია. ჯანმრთელია, ძლიერია, მაგრამ ლმობიერია, თუ არ ვცდები, ასეთი მახსოვს. იქნებ თანამიგრძნოს. რაიმეს მოიფიქრებს. იქნებ მოსკოვში იმან წამიყვანოს. მასთან თვალდ რომ წავიდე, ამას ვერ შევძლებ. შვებულება უკვე ავიღე. ვწევარ. საავადმყოფოში აღარ დავდივარ.

ფერშალს ცილი დავწამე. მერე რა მოხდა, რომ იცინოდა. მომინახულა. დახმარება შემომთავაზა.

უარი ვუთხარი. უარის მიზეზი არ მიძებნია. აღარ მინდა, რამე მოვიგონო.

ბომგარდს წერილი გავუგზავნე.

ადამიანებო! არავინ მიშველით?

ეს პათეტიკური შეძახილია. ვინმე თუ წაიკითხავს, იფიქრებს, სიყალბეაო. მაგრამ ამას არავინ წაიკითხავს.

სანამ ბომგარდს წერილს მივწერდი, ვიხსენებდი, რაც თავს გადამხდა.

განსაკუთრებით დამიდგა თვალწინ მოსკოვის ვაგზალი ნოემბერში, როცა მოსკოვიდან გამოვრბოდი. რა საშინელი საღამო იყო. მოპარულ მორფს საპირფარეშოში ვიკეთებდი... როგორ გავიტანჯე. კარს ანჯღრევდნენ, მხყვიროდნენ, მლანძღავდნენ, ამდენ ხანს მანდ რას უზიხარო. კაკვი ხტოდა, კარი ლამის იღებოდა... ძირმაგარები მას მერე მაქვს.

წუხელ, როცა ეს გავიხსენე, ავტირდი.

*12 თებერვლის ღამე.*

ისევ ავტირდი. ღამით ეს სისუსტე და სისაძაგლე რას მოასწავებს?

*1918 წლის 13 თებერვლის განთიადი გორელოვში.*

შემიძლია ჩემს თავს მივულოცო. უკვე თოთხმეტი საათია, ნემსი არ მიჩხვლეტია! თოთხმეტი! ეს წარმოუდგენლად დიდი ციფრია. მქრქალად, თეთრად ირიჟრაჟა. ნუთუ ახლა მთლად გამოვჯანმრთელდები?

დალაგებით თუ ვიმსჯელებთ, არც ბომგარდი მჭირდება და არც სხვა ვინმე. სამარცხვინო იქნება, თუ სიცოცხლეს თუნდაც ერთი წუთით გავიხანგრძლივებ. ასეთი სიცოცხლე რა საჭიროა? წამალი ხომ ხელთა მაქვს. აქამდე რატომ ვერ მივხვდი?

მაშ, საქმეს შევუდგეთ. თუ არავის ვალში არა ვარ. მხოლოდ თავი დავიღუპე. ანაც დავღუპე. მაგრამ აღარაფერი შემიძლია.

დრო განკურნავს, როგორც მღეროდა ამნერ. იმასთან ყველაფერი, რა თქმა უნდა, უბრალოდ, იოლად ჩაივლის.

რვეულს კი ბომგარდს ვუტოვებ. მორჩა..."

V

სერგეი პოლიაკოვის ჩანაწერები მორეულ პატარა ქალაქში 1918 წლის 14 თებერვალს გათენებისას წავიკითხე. ეს ჩანაწერები ახლა მთლიანად და უცვლელად თქვენს წინაშეა. ფსიქიატრი არ გახლავართ და დარწმუნებით ვერ ვიტყვი, ყურადსაღებია, საჭიროა თუ არა? მე მგონი, საჭიროა.

ახლა, როცა ათი წელი გავიდა, სიბრალულმა და შიშმა, რაც ამ ჩანაწერებმა მომგვარა, რა თქმა უნდა, გამიარა. ეს ბუნებრივია. მაგრამ ხელახლა გადავიკითხე და ახლაც დავინტერესდი, როცა პოლიაკოვის სხეული დიდი ხნის ჩაფერფლილია, ხოლო მისი ხსოვნა დიდი ხნის გამქრალია. შესაძლოა, ეს ჩანაწერები საჭიროა? გავბედავ და ამ კითხვას დადებითად ვუპასუხებ. ანა კ. 1922 წელს პარტახტიანი ტიფით მოკვდა იმავე საავადმყოფოში, სადაც მუშაობდა. ამნერისი – პოლიაკოვის პირველი ცოლი უცხოეთშია და იქიდან აღარ დაბრუნდება.

შემიძლია, თუ არა, რომ დავბეჭდო ნაჩუქარი ჩანაწერები?

შემიძლია. ვბეჭდავ. ექიმი ბომგარდი.

1927 წლის შემოდგომა

თარგმნა *გივი კიკილაშვილმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ნათელა არველაძე

## მშვიდობით, იარაღო!

თეატრი თავისი სტრუქტურით, ცხოვრების ფორმით, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით, მმართველობის სისტემით და სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ-საფინანსო ოპერაციებით ძალიან ჩამოჰგავს სახელმწიფოს. არც სახელმწიფოსი და არც სათეატრო ცხოვრების გაძღოლა ყველას არ შეუძლია, საამისოდ განსაკუთრებული მონაცემებია აუცილებელი - ეს აქსიომაა და მტკიცებას არ საჭიროებს. ჩვენმა სათეატრო ყოფამ, მიმდინარე სათეატრო პროცესებმა სრულიად ნათლად წარმოაჩინეს, რომ არაერთ თეატრს ხელმძღვანელობს ამ საქმიანობისათვის სრულიად შეუფერებელი ადამიანი. ეს არის თავი და თავი ჩვენი ულიმღამო, კონფლიქტებით აღსავსე და მღორე სათეატრო ცხოვრებისა. ამიტომაც დროულად უნდა შემოვკრათ განგაშის ზარი, ვინაიდან იმის დანგრევა, რაც გვაქვს - ადვილია, აღმშენებლობაა ძნელი. თავდაპირველად უნდა აღვნიშნო, რომ ხელმძღვანელობა უფლებებთან ერთად მოვალეობაც არის, პასუხისმგებლობის მძიმე ჯვარიც. სწორედ ამ მძიმე ჯვრის ტარებისათვის ნაკლებად არიან მოწოდებულნი ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელები. ბევრმა განუსაზღვრელი უფლებები სათავისოდ ერთობ მომგებიანად გამოიყენა, ხოლო საკუთარი თავი პასუხისმგებლობისა და მოვალეობათა აღსრულების მიღმა დააყენა. ამ ვითარებას ხელს უწყობს რამდენიმე მოვლენა.

პირველი მიზეზი ამგვარი მდგომარეობისა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებიდან იღებს დასაბამს. ქვეყანაში გამეფებული ქაოსი და განუკითხაობა, საშინაო პოლიტიკის უწესრიგობა, ვიწრო პარტიული ინტერესების გაფეტიშება, კერპთაყვანისმცემლობის მოძალება, უსამართლობის წესად დანერგვა, ეკონომიკური სიდუხჭირე და სოციალური დაუცველობა ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მავანმა თავი კანონგარეშე დააყენოს. თუ მმართველი პარტიის მაღალი ეშელონის წარმომადგენელი მხარს გიჭერს, თუ ქვეყნის პირველი პირი კეთილად არის განწყობილი, თუ გაზეთში სურათიც კი დაიბეჭდა მათი გარემოცვით - ასეთი ხელმძღვანელი ხელშეუხებელი ხდება! იგი თვლის, რომ თეატრის შიგნით ყველა მუშაკი და თეატრის გარეთ - საზოგადოება მის ფერხთით უნდა იყოს განრთხმული.

მეორე მიზეზად ჩვენში კაპიტალის კულტის გაფეტიშება შეიძლება დავასახელოთ. სახელმწიფოს ახლებურად მოწყობისას, საერთოდ, დამახასიათებელია კრიზისი, რომლის დროსაც ადამიანები თავიანთ ჭეშმარიტ ბუნებას ავლენენ, ყოველგვარი შელამაზების გარეშე. ახლა გაასმაგებული სიმძაფრით ხდება კაპიტალის დაგროვება. მავანი არანაირ ხერხს არ ითაკილებს, ოღონდ ხელთ იგდოს ფული, რათა მის საფუძველზე გაინაღდოს მდგომარეობა. გამონაკლისი არც თეატრის ხელმძღვანელობაა. კანონიერი თუ უკანონო გზით კაპიტალის „შოვნა“ და დაგროვება მათთვისაც მისაღები აღმოჩნდა. ყველამ იცის, რომ ხვალ მუსიკის დამკვეთი ის იქნება, ვისაც ექნება ფული. დღეს კი ძალზე ადვილია თეატრის ხარჯზე დააგროვო კაპიტალი, ვთქვათ, შეიძინო შენობა მაღაზიისათვის და უკანონო გზით შეძენილი ფულით აწარმოო კერძო ბიზნესი; ან თეატრის შენობას მიაშენო ნაგებობა სასტუმროსათვის, კაზინოსათვის, ღამის ბარებისათვის, ოფისებისათვის; გააქირავო სათეატრო შენობის ფართი კერძო სტრუქტურებზე, ამონაგები თანხა კი მიითვისო და არ მოახმარო დასისა თუ თანამშრომელთა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. ეს ვითარება ახლა ნორმად იქცა იმიტომ, რომ თეატრის ხელმძღვანელობას დასაყრდენი ეგულება ზედა ეშელონებში.

მესამე მიზეზად დავასახელებდი იმ სამთავრობო სტრუქტურების თავკაცთა დაინტერესებას, ვინც თეატრის ხელმძღვანელებს ხელშეკრულებას უფორმებს. თუკი ისინი უკომპრომისონი იქნებიან, თეატრის ხელმძღვანელებიც პასუხისმგებლობით მოეკიდებიან თავიანთ საქმიანობას და კანონის დარღვევასაც არ ექნება ადგილი.

დანარჩენ მიზეზებს ახლა აღარ გამოვუღგები, ყველა დანარჩენი ამ მთავარი დინების განშტოებაა. აქ ობიექტურ მიზეზებზეა საუბარი, რასაც ემატება სუბიექტური ფაქტორიც და ამიტომაც არის გამეფებული ასეთი ქაოსი ჩვენს სათეატრო ყოფაში.

სათეატრო ცხოვრების აღნიშნულ ასპექტზე პასუხისმგებელნი არიან შესაბამისი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებიც. ამ სფეროს მოწესრიგება მათი პრეროგატივაა და, თუ მასზე კრიტიკოსი წერს, ეს მხოლოდ იმ მოვლენით აიხსნება, რომ არსებული განუკითხაობა შემოქმედებით პროცესს, სარეპერტუარო პოლიტიკას და შიდა სათეატრო ცხოვრებას ბევრად განაპირობებს. კრიტიკოსი ვალდებულია, მიუთითოს მიზეზები თუნდაც იმათ გასაგონად, ვინც თეატრის ხელმძღვანელობას მხარს უჭერს...

ჩემი ფიქრით, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, საზოგადოება რომ დაინტერესდეს სათეატრო ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტით, ვინაიდან თეატრებს სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფრ აფინანსებს. ხაზინა კი ჩვენი, მოსახლეობის, შემოსავლის დაბეგვრით შემოსული თანხით ივსება. ყოველ შემთხვევაში, მისი გარკვეული ნაწილი მაინც. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რას ხმარდება ის გადასახადი, რომელიც ისედაც მინავლებულ საოჯახო ბიუჯეტს კატასტროფულად ამცირებს. ისიც უნდა ვიცოდეთ, რას ხმარდება ის უსაშველო ვალი, რომელიც სახელმწიფომ აიღო, რას მოხმარდა და ხმარდება სხვადასხვა სახის თანხა, რომელიც საქართველოს საბანკო ანგარიშზე გადმოირიცხა. საზოგადოება ხომ ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე, ვინაიდან ისაა უმაღლესი ინსტანცია. ასე, რომ თეატრის ხელმძღვანელები, როგორც სხვა სახელმწიფოებრივ ინსტიტუტთა თავკაცები, უწინარესად, პასუხისმგებელნი არიან საზოგადოების, ამომრჩეველთა წინაშე. ამ ჭეშმარიტების შეხსენება იმისათვის დამჭირდა, რომ აღმენიშნა: დემოკრატიის მშენებლობის დროს ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელი აბსოლუტურ მონარქად, მავანი კი მონათმფლობელად მოევლინა საზოგადოებას! ახლა კი საზოგადოებას მინდა მივმართო: ჩვენი თვინიერების შედეგიცაა ის უზნეობა და განუკითხაობა, რომლის მორევშიც აღმოვჩნდით! დავიცვათ ჩვენი პიროვნული და ეროვნული ღირსება! ნუ დავუშვებთ განუკითხაობას, თუნდაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ ასპარეზზე... გადავარჩინოთ სათეატრო ცხოვრება ქაოსისა და უზნეობისაგან!

ეს ყოველივე ზემოქმედებს შემოქმედებით პროცესზე, სასცენო შემოქმედების ხარისხსა და თვისებაზე, თუნდაც ამიტომ გვმართებს საგულდაგულო მსჯელობის ობიექტად ვაქციოთ მიმდინარე სათეატრო ყოფა, სათეატრო ხელოვნების ყოველი ასპექტი. საამისოდ სხვადასხვა ტრიბუნა არსებობს, მათ შორის პრესა, რომელიც აქტიურად არის ჩაბმული ჩვენს სათეატრო ცხოვრებაში.

ქართული თეატრის მოღვაწეთა ერთ-ერთი მაღალი ტრიბუნა ჩვენი კავშირის გამგეობის პლენუმია. უკვე წელიწადნახევარია, რაც ამგვარი ფორუმი აღარ ჩატარებულა, როგორც ჩანს, კავშირის ხელმძღვანელობა უფრთხის იმ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემებზე მსჯელობას, რომელთა მოწესრიგებისა და გადაჭრის გარეშე შეუძლებელია ქართული სასცენო შემოქმედების განვითარება. კავშირის ხელმძღვანელობა გვიმტკიცებს - სახსრები არა გვაქვს, რომ სპეციალისტები მივავლინოთ სხვადასხვა ქალაქებში, რათა ნახონ სპექტაკლები, გაეცნონ საჭირბოროტო საკითხებს და შემდგომ პლენუმზე ვიმსჯელოთო. მართალია, ახლა უყაირათო ცხოვრების უფლება არა გვაქვს, მაგრამ მიმდინარე სათეატრო ყოფაზე, მის პრობლემებზე უფრო საყურადღებო არაფერი გაგვაჩნია და ამიტომაც 1999 წლის 1 ივლისს პლენუმი მაინც ჩატარდა. ახლა მკითხველს ჩემს საერთო შთაბეჭდილებას გავაცნობ და ვისაუბრებ იმ პრობლემებზე, პლენუმის მაღალი ტრიბუნიდან რომ წამოვჭერი.

დგება ადამიანის, ერის, საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როდესაც თვინიერება, შეგუება, ნახევარი სიმართლის თქმა - უზნეობისა და განუკითხაობის, ამრიგად, ბოროტების თანამონაწილეობას ნიშნავს. ამიტომაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას მთავარი - ჩვენ ისეთ დროში მოგვიწია ცხოვრებამ, როდესაც კულტურა, აქედან გამომდინარე სათეატრო ხელოვნებაც, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების მიღმა აღმოჩნდა. მიზერული თანხა, რომელიც ბიუჯეტიდან არის გამოყოფილი კულტურისათვის, ადასტურებს ამ პოზიციის სისწორეს. მაგრამ მხოლოდ ეს არაა დამადასტურებელი ფაქტორი სახელმწიფოს დამოკიდებულებისა კულტურისადმი. ქვეყანას ეკონომიკური სიდუხჭირე ქრონიკულ დაავადებად ექცა! ისიც საყურადღებოა, როგორ რეაგირებს სახელმწიფო კულტურის სფეროში არსებულ განუკითხაობაზე. რა თქმა უნდა, უწინარესად სათეატრო ცხოვრება მაქვს მხედველობაში. ჩვენ ვერ ავაშენებთ სამართლებრივსა და დემოკრატიულ სახელმწიფოს, თუკი არ დავიცავთ მთავარ ღირებულებას: კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს! სახელმწიფო ხდება ამის გარანტი. იქ, სადაც ეს უპირველესი მოთხოვნაა უგულებელყოფილი, შეუძლებელია ლაპარაკი დემოკრატიულ სახელმწიფოსა და მის პრინციპებზე.

თავიდათავი ჩვენი სათეატრო ცხოვრებისა რეპერტუარია. მიმდინარე სეზონის სათეატრო ყოფა ორი აკადემიური თეატრის მაგალითზე, უკვე იყო წარმოჩენილი ჟურნალ „ცისკრის" მეხუთე ნომერში. ახლა მხოლოდ იმასღა დავუმატებ, რომ ანალოგიური მდგომარეობაა ყველა ქართულ თეატრში. ქვეყნის რეალობამ, საზოგადოების უმტკივნეულესმა პრობლემებმა ვერ პოვეს გამოძახილი სცენაზე. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ კალენდარული დროის აქტივობას. მხედველობაში მაქვს ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელი უკეთურობანი, რომელთა წარმოჩენა შესაძლებელია თუნდაც კლასიკის აქტუალური ინტერპრეტაციით. გოცის, დოსტოევსკის, სტრინდბერგის ქართულ სცენაზე გამოჩენის წინააღმდეგი კი არა ვარ, არამედ იმას მივუთითებ, რომ ჯერ ჩვენი საცხოვრისის გადარჩენა-განვითარების პრობლემებზე უნდა ვიყოთ დაფიქრებულნი. და როცა ვირჩევთ დასახელებულ ავტორებს, „მარადი ქმრის" სანაცვლოდ „იდიოტი" დავდგათ. რაგოჟინებისა და მიშკინების პოზიციათა დაპირისპირება ვუჩვენოთ მაყურებელს. იქნებ „მამაზე" მეტად „კრედიტორები" აქლერებულიყო! ხომ დიდებულად ითამაშა ზურაბ ყიფშიძემ მამის როლი, მაგრამ, ჩემი ფიქრით, კიდევ უფრო მასშტაბურად წარმოჩინდებოდა მისი არტისტიზმი, ნიჭი და ოსტატობა თავადი მიშკინი რომ განესახიერებინა. აბა, წარმოვიდგინოთ, როგორი სასცენო პაექრობა გაიმართებოდა ცხოვრებისეულ ორ პოზიციას შორის, ზურაბ ყიფშიძის თავადი მიშკინი და დავით ღვალიშვილის რაგოჟინი რომ ეხილა მაყურებელს სცენაზე. ან „კრედიტორების" მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციით რომ გვეხილა სცენაზე ნოდარ მგალობლიშვილი და მიხეილ გომიაშვილი. თემურ ჩხეიძემ პოზიცია რომ დასთმო, იმას განვიცდი, თორემ მისი სპექტაკლების თაობაზე ჩემი მოსაზრება არაერთგზის გამომითქვამს პრესის ფურცლებზე.

როდესაც თვალი გადავავლე ქართული თეატრის რეპერტუარს, სამი-ოთხი სპექტაკლის მეტი ვერ მოვიძიე, თანამედროვე ცხოვრებას რომ ასახავდეს ან ეროვნულ დრამატურგიაში გამოჩენილ სახელებს რომ უწევდეს პროპაგანდას. რამდენიმე წარმოდგენა კი ამინდს ვერ ქმნის.

როცა სატკივარი სულს აფორიაქებს, ხელოვანი აგნებს კიდეც მისი აღმოთქმის საშუალებას. ქართულ სცენას, ჭეშმარიტად, ამშვენებდა პოეზიის საღამოები, რომელთა სადადგმო ხერხმა მნიშვნელოვანი შედეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოიღო. ნუთუ შეუძლებელია ერთი ლიტერატურული საღამოს სტილში დადგმული სანახაობის შექმნა იმ სცენაზე, სადაც მბორგავი სულისკვეთება აზანზარებდა სცენასა და დარბაზს? დღეს ილიას, აკაკის პოეზია და პუბლიცისტიკა, დავით გურამიშვილის შეძახილი: *„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“* ან ნიკო ლორთქიფანიძის სულისშემძვრელი გოდება: *„იყიდება საქართველო!“* - განა მნიშვნელოვნად არ წარმოაჩენს ჩვენს სატკივარს? ქართული თეატრის აფიშაზე მარტო ეს სიტყვებიც კი რომ გამოჩნდეს - უკვე საგულისხმო ფაქტი იქნებოდა. ასე რომ არ ხდება, ესაა ჩვენი საწუხარი, საფიქრალი და საზრუნავი. თუ ვერ ხედავ, ვერ ამჩნევ, არ გაღელვებს ქართლის ჭირი და შენი ხელოვნებით არ გამოხატავ დროის სულისკვეთებას, მაშინ სავალალო ფაქტთან გვაქვს საქმე: ეროვნულ სცენას მამულიშვილები აღარ ჰყოლია! ქართულ თეატრს ერისკაცები შემოჰკლებია!

მაგრამ თუ გაღელვებს და ვერ გამოგიხატავს - მაშინ როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობთ ჩვენ? მონათმფლობელური ათენის დემოკრატიამ არა მარტო ანტიკურ სამყაროს, არამედ ჩვენს გასაგონადაც წარმოაჩინა, რომ ბერძნული დრამატურგია და ბერძნული თეატრიც საფუძველს უყრიდა ხალხის ნების უშიშარი გამოხატულების პატივისცემას! ზევსთან დაპირისპირება, ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა, ბედისწერისადმი დაუმორჩილებლობა, პატრიოტიზმი - უწინარესად, ამ პრინციპების გამოხატვით მოიპოვა თეატრმა ავტორიტეტი. დემოკრატიის დიადემა კი პიროვნების თავისუფლებაა! მაშ, როგორ შევათავსოთ თვინიერება, დაურვება, ნახევარი სიმართლის ჩვენება დემოკრატიის პრინციპებთან? მორჩილი ხელოვანი ხელისუფლების რუპორია და არა ერის ტრიბუნი!

სადღეისოდ თეატრებს ავტონომია აქვთ მინიჭებული. ამიტომაც სარეპერტუარო პოლიტიკასა თუ ადმინისტრაციულ - ფინანსურ ოპერაციებზე ხელმძღვანელობაა პასუხისმგებელი.

ეს ავტონომია ძალიან მომგებიანად გამოიყენეს ხელმძღვანელებმა, მაგრამ მხოლოდ სასცენო შემოქმედების პოტენციალის გაზრდისათვის კი არა, არამედ საკუთარი კეთილდღეობისთვისაც. სათეატრო სარბიელი მათთვის ჩინებული საძოვარი აღმოჩნდა. ამას გვიდასტურებს ფაქტები: შენობის ნაწილი გაქირავებულია კერძო სტრუქტურებზე, ამონაგები თანხის უმეტესი ნაწილი კერძო ბიზნესს ხმარდება; ზოგჯერ საბიუჯეტო თანხის ნაწილი კერძო სტრუქტურის წარმომადგენელთა შრომის ანაზღაურებას ხმარდება და არა პირიქით; ხაზინიდან გააქვთ ხელფასის ფონდის დიდი ნაწილი, თანხას საკუთარი ბიზნესისთვის იყენებენ, ხოლო კოლექტივი თვეობით ვერ ღებულობს შრომის საზღაურს; ვისაც უნდათ, იმას უფორმებენ ხელშეკრულებას, არავითარ ბრძანებას, დადგენილებას, კანონს არ ემორჩილებიან! განუკითხაობა და შიში! აი, რა გამეფდა თეატრში!

შენობის რემონტი ან სულაც ახალი ნაგებობის მშენებლობა ჩინებული მიზეზია თავის მართლებისათვის. ჭერი გადავხურე, გათბობის ქსელი შევაკეთე, ბზარები გავამაგრე, შენობის საძირკველი ნაწილობრივ მაინც შევაკეთე - ამაყად გაიძახიან დირექტორები. არ არსებობს მექანიზმი ან საწყაო, რომელიც ზუსტად დაადგენს, რამდენი თანხა და საშენი მასალა მოხმარდა შენობას, რამდენი კი მიითვისეს - გაირემონტეს ბინები, აიშენეს აგარაკები, შეიძინეს მაღაზიები, წამოჭიმეს რამდენიმესართულიანი ნაგებობები. მხარდამჭერთა იმედი აქვთ და ამიტომაც ხმამაღლა გაჰკივიან: ხელს ვერ მახლებთ, რამდენიმე ოჯახს ვინახავო! თუ დაინტერესდა ვინმე, ვის ოჯახს ინახავს და რატომ? თუ დაინტერესებულა ვინმე, სად მიდის, ვის ხმარდება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ნაწილი ან კერძო სტრუქტურათა საქმიანობის შედეგად მიღებული ფული? თუ დაინტერესებულა ვინმე, რატომ ვერ იღებენ მსახიობები თავის დროზე შრომის ანაზღაურებას? რატომ არიან ისინი შიმშილის ზღვართან მისულები მაშინ, როდესაც ხელმძღვანელობას კერძო სტრუქტურებიდან აქვს შემოსავალი? ავტონომია განა განუკითხაობას ნიშნავს? თავისუფლება განა სინდისის დიქტატურას არ უნდა ნიშნავდეს? კანონი და სინდისი - ამ მცნებებისაგან გაუცხოება ხერხემალში გადატეხს საზოგადოებას!

პრესის ფურცლებზე არაერთგზის აღნიშნულა ეს სიტუაცია. გამომზეურდა კიდეც ფაქტები, სადაც ნათლადაა წარმოჩენილი, რა სახის კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე. მაგრამ რეაგირების გარეშე დარჩენილა ეს პუბლიკაციები.

პრესა არც დამსმენი და არც დამსჯელი ინსტიტუტი არაა, მაგრამ სადმე სხვა ქვეყანაში თუ ხდება, გაზეთში გამოქვეყნებული დოკუმენტები შეფასების გარეშე დაეტოვებინოთ შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელებს?! საზოგადოებრივი აზრის შექმნაა პრესის მოვალეობა, მათზე რეაგირება კი სახელმწიფოებრივ სტრუქტურათა პრეროგატივა და მოვალეობაა. მათგან მხარდაჭერას რომ არ გრძნობდნენ თეატრის ხელმძღვანელები, არც ასე ინავარდებდნენ და არც ამგვარი განუკითხაობა გამეფდებოდა თეატრებში.

სადღეისოდ კულტურის სამინისტრო დებს ხელშეკრულებას თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან, ხოლო მისი რეკომენდაციით, დირექტორთან. განა კულტურის სამინისტრო არაა პასუხისმგებელი იმ მოვლენებზე, რომელთა წინააღმდეგ აი, უკვე რამდენიმე წელია ილაშქრებს პრესა, ტელევიზია (რა თქმა უნდა, მხარდამჭერნი აქაც ჰყავთ ხელმძღვანელებს), თეატრალური საზოგადოებრიობა? როცა ირღვევა კანონი, სწორედ სამთავრობო ინსტიტუტი უნდა იდგეს კანონის სადარაჯოზე!

თეატრის ავტონომია მავანმა წარმოიდგინა, როგორც სახელმწიფოსგან საკუთრებაში მიღებული ორგანიზმის შეუზღუდავი მართვის ფორმა. პირდაპირ ჯვაროსნული ლაშქრობა ეწყობა დასის მიმართ. სათეატრო ხელოვნება კი, უწინარესად, მსახიობს უკავშირდება. არტისტია სცენის პატრონი და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს! ევროპული სტანდარტებით აპელირება არას გვარგებს. როცა ევროპული თეატრების სტრუქტურას ან ხელშეკრულების ფორმას ვიყენებთ, ისიც უნდა გავიხსენოთ - იქ წესრიგი და კანონის უზენაესობაა გამეფებული და არა ქაოსი. იქ შრომის ანაზღაურება მაღალია, ჩვენში კი - შეურაცხმყოფელი. იქ სახელმწიფო უზრუნველყოფს პენსიაზე მყოფ ხელოვანს, ჩვენში კი შემოქმედი შიმშილისთვისაა განწირული. ამიტომაც გვმართებს, ანგარიში გავუწიოთ შექმნილ კრიზისულ ვითარებას. ჩვენს წინაშე ფიზიკური გადარჩენის პრობლემა დგას და ამიტომაც, უწინარესად, ზნეობრივი კოდექსით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა მსახიობს ეხება საკითხი. ხვალ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



როდესაც ამაღლდება ცხოვრების დონე, შეფასების კრიტერიუმიც შეიცვლება. ზოგიერთი დირექტორი ჯერ იმდენი ხნისაც არ არის, რამდენი წელიც მავანი მსახიობი იდგა სცენაზე და სახეებს ქმნიდა. რა ვქნათ ახლა, არაფრად ჩავუთვალოთ ამ ოსტატს თეატრის წინაშე დამსახურება და თეატრიდან გავუშვათ მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს იგი ხელმძღვანელობას არ მოსწონს? აი, ამ დროს აფეთქდება ზოგიერთი დირექტორი, დასის გაახალგაზრდავება და გადახალისება აუცილებელიაო, რა ეშველება ხვალინდელ თეატრსო – მოჰყვება გოდებას. ახლაღა „ახსენდება" თეატრის ბედ-იღბალი და ხელმძღვანელის უფლებებს იცავს. მაშინ რატომ არ ფიქრობს თეატრზე, როდესაც დასის ხელფასის ფონდს საკუთარი მიზნებისათვის იყენებს ან, რბილად რომ ვთქვათ, საკუთარი თვალსაზრისით განაგებს?!

სარეპერტუარო თეატრების მდგომარეობა სხვაა და ამას გათვალისწინება უნდა. ამგვარ თეატრში უნდა არსებობდეს მსახიობთა ბირთვი (რომლებიც წლების განმავლობაში განსაზღვრავდნენ ამ თეატრის სახეს, ხელოვნებას, მის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებით პრინციპებს), რომელიც ხელშეუხებელი უნდა იყოს და მას არ უნდა ეხებოდეს ხელშეკრულება. ასეთები დასის 10–15% შეადგენს და ისინი „ტვირთად" კი არ დააწვებიან ხელმძღვანელებს, არამედ კვლავაც გააგრძელებენ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. ამასთანავე, ისინი შექმნიან ერთგვარ ბერკეტს ხელმძღვანელთა თავნებობის ასალაგმავად. ახლა, როდესაც ხელმძღვანელობის სურვილით ხდება მსახიობებთან ხელშეკრულების გაფორმება და არტისტი აგრერიგად დაუცველია, „უფროსებთან" დაპირისპირებას და სიმართლის თქმას ყველა ერიდება. ხელმძღვანელთა რისხვის ეშინიათ, რადგანაც ურჩს თეატრიდან გაგდება ელის! მას კი აღარავინ დაიცავს, არც კულტურის სამინისტრო, არც პროფკავშირი, არც სხვა კავშირი და პარტია, მით უფრო, როცა თეატრის თავკაცს მხარდამჭერი ჰყავს...

რა თქმა უნდა, ეს დროებითი მოვლენაა. ქვეყანაში დამყარდება წესრიგი და არტისტის თვალებიდანაც გაქრება შიში და უიმედობა! ველარც თავნება ხელმძღვანელები იბოგინებენ თეატრებში და ყველას მოეკითხება საზღაური განუკითხაობისათვის. ახლა კი თავად მსახიობებმა, ქართული თეატრის მოღვაწეებმა, მთლიანად საზოგადოებამ უნდა დაიცვას ეროვნული სცენა მავანთა თავნებობისაგან. საზოგადოებრივი აზრი დიდი ძალაა, მისი უგულებელყოფა ძნელია. ჩვენმა რეალობამ, მიმდინარე მოვლენებმა უკვე დაგვანახეს, რა შესძლებია საზოგადოების გაერთიანებას, მის შეუპოვარ გაბრძოლებას, მისი ნების უშიშარ გამოხატვას.

ახლა ერთი ფაქტის თაობაზე მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება, რათა საზოგადოების განსასჯელად ვაქციო იგი და დავანახო ჭეშმარიტი სახე ზოგიერთი შემოქმედისა. პლენუმზე თეატრების სარეპერტუარო პოლიტიკის შეფასებისას აღვნიშნე, რომ სცენაზე მთელის სიმწვავით ვერ აისახა ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა და ის სატკივარი, ქართველ ერს რომ აწუხებს, თითოეულს სულს რომ გვიფორიაქებს. სანდრო მრევლიშვილი შემეკამათა: დისტანციაა საჭირო ისტორიული მოვლენების სასცენო ადაპტაციისათვისო. ეს სრულიად სამართლიანი მოთხოვნაა და ამას არც თავად ვუკიჟინებ რეჟისორებს. ბატონმა სანდრომ ძალიან კარგად იცის, რასაც ვამბობ, მაგრამ დემაგოგია ძალზე მომგებიან ხერხად მიიჩნია და ასე გამცა პასუხი. მაგრამ ეს არაა მთავარი. გამაოცა, როცა მან სიამაყით აღნიშნა – ავტომატით ხელში ვებრძოდი წინა ხელისუფლებასო! მე კი ვფიქრობ, ხელოვანმა მხოლოდ მაშინ უნდა აიღოს ხელში მახვილი, როცა გარეშე მტრისაგან იცავს სამშობლოს, ერს, ოჯახს! სხვა დროს მისი ბრძოლის იარაღი და ასპარეზი საკუთარი შემოქმედებაა!

პოლიტიკოსმა შეიძლება გაამართლოს იარაღიანი შემოქმედი, რომელიც ხელისუფლებას ებრძვის, ხელოვანი კი დაწერს – „მშვიდობით, იარაღო!" ერნესტ ჰემინგუეი იარაღით ხელში ებრძოდა ფაშიზმს და არა, თუნდაც, „მისთვის მიუღებელი" იმჟამინდელი შეერთებული შტატების პრეზიდენტს. და მაინც ის შესძახა კაცობრიობას, რაც გაკვეთილად გამოიტანა ამ ომიდან: „მშვიდობით, იარაღო!" ნუთუ ჩვენთვის აღარაფერი იქცევა გაკვეთილად?! ნუთუ ველარაფერი გადავაფასეთ იმის შემდეგ, რაც თავს დაგვატყდა?! ახლა აღარც ის მიკვირს, იარაღის მაღაზია რომაა გახსნილი მსახიობთა სახლის შენობაში, იმ დარბაზის გვერდით, სადაც ბატონმა სანდრომ ეს სიტყვები თავმომწონედ წარმოსთქვა.

ჩვენ პოგოდინის „თოფიანი კაცის" „ეპოპეამ" ჩამოგვაყალიბა; ეს არის მთელი თაობების ტრაგედია; როდესაც ვერ შევისმინეთ დიდი თანამედროვის მოწოდება – „მშვიდობით, იარაღო!" – ეს პიროვნულ ტრაგედიადაც გვექცა, ეროვნული ტრაგედია გათამაშდა!

მთავარი ის არის – ვინ როგორ არჩევანს აკეთებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო არსენაშვილი

# „დავითიანის“ დიდაქტიკის ლიტერატურული წყაროები

XVI-XVIII საუკუნეთა ქართულ პოეზიაში დიდხანს იგრძნობოდა რუსთაველის გავლენა. რაც დრო გადიოდა, ეს გავლენა თანდათანობით სახიფათო ხდებოდა ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარებისათვის. რუსთველური ნორმებიდან გადასახვევად და საკუთარ ნიადაგზე დასადგომად საჭირო იყო დიდი პოეტური ნიჭი. იდეებისა და შინაარსის სფეროში ეს გააკეთა არჩილმა, ხოლო მხატვრულ-გამომსახველობითსა და ქართული ლექსის ვერსიფიკაციის განვითარებაში ორიგინალური სიტყვის თქმა წილად ხვდათ სულხან-საბა ორბელიანსა და დავით გურამიშვილს.

დავით გურამიშვილმა ცხოვრების ძნელი და გრძელი გზა განვლო. მან თავისი თავგადასავალი და სამშობლოს ისტორია ერთად გადმოგვცა ლექსების კრებულში, რომელსაც „დავითიანი“ უწოდა. ამ წიგნით პოეტის ცხოვრება და პოეზია მოცემულია განუყოფელ მთლიანობაში, რომელსაც შარავანდედად სამშობლო ქვეყნის სიყვარული ადგას.

„დავითიანში“ ავტორმა დიდი ადგილი დაუთმო სწავლა-აღზრდის საკითხებს, რომელთაც ქართული კულტურის ისტორიაში ოდითგანვე ექცეოდა ყურადღება.

ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებს შემოუნახავთ მეტად მნიშვნელოვანი ცნობები ჩვენი ერის წარსული კულტურისა და განათლების შესახებ. ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის ცნობით, კოლხეთში ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში არსებობდა რიტორიკული აკადემია. მოგვიანებით კი გელათისა და იყალთოს აკადემიების შექმნა დაკავშირებულია იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის სახელებთან.

საქართველოში ძველთაგანვე ყურადღება ექცეოდა სწავლა-აღზრდის საქმეს. ქართველი ბავშვები იზრდებოდნენ არა მარტო ადგილობრივ სკოლებში, არამედ ისინი უცხოეთშიც კი მიჰყავდათ სასწავლებლად. ცნობილია, რომ გიორგი მთაწმინდელმა ოთხმოცი ყრმა წაიყვანა ბიზანტიაში აღსაზრდელად. არსებობს გადმოცემა, თითქოს დავით აღმაშენებელმა ორმოცი ბავშვი გაგზავნა სასწავლებლად საბერძნეთში და ა. შ.

ძველ საქართველოში აღზრდის ორი სახე არსებობდა:

1. საეკლესიო-სამონასტრო და 2. საერო-ფეოდალური.

საეკლესიო განათლებას ბავშვები უმთავრესად ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში იღებდნენ. აქ ბავშვის წვრთნვაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სასულიერო განათლებას, მეცნიერული ცოდნის შეთვისებასა და სულიერი სიმტკიცის გამომუშავებას. ფეოდალურ-სარაინდო გარემოში აღზრდა ხორციელდებოდა ინდივიდუალურად, თითოეული ფეოდალის კარზე, საერო მასწავლებლებისა და გამზრდელების ხელმძღვანელობით. საერო აღზრდა გულისხმობდა ბავშვში სარაინდო ჩვევების გამომუშავებას, არანაკლები ყურადღება ექცეოდა მეცნიერებისა და ფილოსოფიის დარგების შესწავლას.

ჟამითი-ჟამად შინააშლილობისა თუ გარეშე თავდასხმების გამო ჩვენში ზოგჯერ ბრკოლდებოდა სწავლა-განათლება. ასეთი იყო საქართველოში XVIII საუკუნეც, როცა

*თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი გახდნენ, ყველამ წაჰკრა თითო ქიშტი* (დ. გურამიშვილი, „დავითიანი“).

ამ სტრიქონების ავტორსაც, ასეთი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, ვერ უნდა მიეღო შესაფერი სწავლა-განათლება, მაგრამ „დავითიანიდან“ კარგად ჩანს, რომ გურამიშვილი იცნობდა როგორც მის თანამედროვე მწერლობას (პოემაში იხსენიებს ავტორებს), ასევე წინა პერიოდის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. უნდა ვივარაუდოთ, რომ თვითგანვითარებით მას ბევრი რამ უსწავლია. დავით გურამიშვილი კარგად ყოფილა განსწავლული საღმრთო სჯულში. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ „დავითიანის“ ერთ-ერთი ლიტერატურული წყარო ბიბლია, რომ დავით გურამიშვილის დიდაქტიკური შეგონებანი ნაწილობრივ ბიბლიურ მორალს ემყარება.

გურამიშვილი საზოგადოების ზნეობრივი დაცემულობის მიზეზად უსწავლელობასა და უმეცრებას თვლის, ამიტომაც ის მხურვალედ ქადაგებს მოზარდი თაობის მაღალზნეობრივი პრინციპებით აღზრდას; თავის დიდაქტიკაში ორიგინალურად და სრულყოფილად გადმოგვცემს ქრისტიანულ მორალურ-ზნეობრივ კოდექსს.

ავტორი წიგნის დასაწყისშივე ამბობს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა



*ამისთვის მე არ შევსძეძვე, რაც დავრგე იგავთ*
*ხე ველად,*
*უფრო ადვილად ადვილიან ზედ ყმანი*
*დასარხეველად.*

ე. ი. ძეძვით არ შემოვლობე „იგავთ ხე“ (ანუ ჩემი ლექსთა წიგნი), რათა მისი შინაარსი ყრმათათვის ადვილი გასაგები ყოფილიყო.

ეს სტრიქონები მოგვაგონებს ბიბლიიდან სოლომონის იგავთა დასაწყისს: „*იგავნი სოლომონისნი ძისა დავითისა, რომელი მეფობდა ისრაელსა ზედა ცნობად სიბრძნისა და სწავლულებისა, და ცნობად სიტყვათა ბრძნობისად. ხოლო შეწყნარებად ქცევათა სიტყვათა და ახსნად იგავთა, ხოლო ცნობად ჭეშმარიტებისა, და მსჯავრისა წარმართებად, რათა მისცეს უმანკოთა მეცნიერება, ხოლო ყრმათა ჭაბუკთა ცნობად და გულისხმისყოფად. რამეთუ ამათ, რომელი ესმეს სიბრძნე - უბრძნეს იყოს და მეცნიერმან მოღვაწეობა მოიგოს, ხოლო ცნას იგავი დაფარული, სიტყვაანი, ხოლო თქმული ბრძენთა და უწყებანი*“ (1, 26).

სახარებაშიც იგავებით ასწავლის ხალხს იესო, თანაც იქვე განუმარტავს ამ იგავებს.

„იგავთ ხე“ მთლიანად „დავითიანსაა“. მართალია, ავტორი ამბობს, „იგავთ ხე“ არ შევსძეძვეო, მაგრამ „დავითიანის“ ორპლანიანობა“, მისტიკურის რეალურით შემოსვა და რეალურის მისტიკურით გადმოცემა თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ დავითმა „იგავთ ხე“ საკმაოდ „შეძეძვა“ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა მისი ზნეობრივ-აღმზრდელობითი შეხედულებები, რომელთაც, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული მორალი უდევს საფუძვლად.

„დავითიანში“ ოთხი პოემაა გაერთიანებული. ესენია: „ქართლის ჭირი“, „მხიარული ზაფხული“ (ანუ „ქაცვია მწყემსი“), „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“ და „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა“.

პირველ პოემაში ავტორი სამშობლოს ბედუკუღმართობასთან ერთად საკუთარ უბედობასაც გადმოგვცემს. აქვე გვაცნობს მორალურ-დიდაქტიკურ შეხედულებებს. მის პირველ თავში („ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“) პოეტი ქართველ მეფეთა წარმომავლობის შესახებ ამბობს:

*ნერგად მას ვსახავ, იგ რაც ხე ისახა იესესითა,*
*ვისცა გამოსცა ნაყოფი თვისთა ნათქვამთა ხეს*
*ვითა,*
*შურდულ-ქვით სძლია მებრძოლთა*
*დამბადებელის ქსვითა;*
*მრტო-მორჩად ქართველთ უფალთა, ვისც*
*მასზე ბმულ ჩანს ფესვითა.*

მებრძოლთა „შურდულ-ქვით“ მძლევი, ცნადაა, ებრაელთა მეფე დავითია, რომელზედაც მეფეთა პირველ წიგნში ნათქვამია: „*და მიჰყო დავით ხელი თჳსი კარაპჭესა, და აღმოიღო მისგან ქვაჲ ერთი და შთადვა. შურდულსა და სტყორცნა შურდულითა, და ჰკრა უცხო თესლსა შუბლსა შინა მისსა და დაეცა გოლიათი პირსა ზედა თჳისსა, ქუეყანასა ზედა*“ (17, 49).

„დავითიანის“ დამოწმებული სტრიქონები ერთგვარი მოწოდებაა ქართველ მეფეთა მიმართ. როგორც მათმა წინაპარმა ებრაელთა მეფემ სძლია თავის მტრებს, ასევე მათაც უნდა დაამარცხონ მომხდურნი. ის აზრი კი, რომ ებრაელთა მეფე დავითზე ქართველი ბაგრატიონები „ბმულ ჩანან ფესვითა“, გამოთქმულია კლასიკური ხანის სახოტბო და საისტორიო ძეგლებში. იოანე შავთელი „აბდულმესიანში“ წერს:

*დავითისადა, დავითისადა*
*ეფუცა უფალს სიტყვა მტკიცედა.*
*ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი*
*დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა.*

აქ პოეტი ავითარებს იმ მესიანისტურ იდეას, რომელიც უფრო მკაფიოდ მოცემულია „თამარიანში“ (ალ.ბარამიძე, ნარკვევები, I, 1945, გვ. 123).

ქართველ მეფეთა ჩამომავლობის საკითხს შეეხო ექვთიმე თაყაიშვილი. მან გამოსცა „სუმბატ დავითის ძის ქრონიკა“ (1949წ.), რომელსაც წაუმძღვარა ნარკვევი. მკვლევარმა ქართველ მეფეთა შესახებ არსებულ სხვადასხვა ცნობებთან ერთად განიხილა ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს.) ცნობები ქართველ ბაგრატიონთა დავითიანობის შესახებ. აი, რას წერს კონსტანტინე პორფიროგენეტი: „*საცოდნელია, რომ თავისი თავის განმადიდებელი იბერები, ე. ი. კურაპალატის იბერები ამბობენ, რომ ისინი ურის ცოლის შთამომავალნი არიან, რომელიც დავით წინასწარმეტყველმა და მეფემ შეაცდინა. ისინი ამბობენ, რომ თვითონ შთამომავლობენ მისი შვილებისაგან დავითთან რომ შეეძინა და რომ ისინი დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის ნათესავნი არიან და აქედან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაც, რადგანაც ესეც დავითის თესლისგან არის წარმოშობილი...*“ (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა VI,1942 წ.).

ამავე საკითხზე კ. კეკელიძე წერდა: „*ქართველი ბაგრატიონები საქართველოში გამეფებიდანვე ცნობილი არიან როგორც „დავითიანნი“. ამ ტიტულით მათ იცნობდა ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელი, რომელიც აშოტ კურაპალატს უწოდებდა: „დავით წინაჲსწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ჴელმწიფეო“. ასეთი ტიტულით ისინი თავიანთ თავს სთვლიდნენ ებრაელთა მეფის დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად და ქრისტეს ნათესავად*“ (კ. კეკელიძე, ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და კლასიკური ხანის ლიტერატურაში, თსუ შრომები, XXV, 1942 წ. გვ. 44).

როგორც ვთქვით, ქართველ მეფეთა წარმომავლობა, რომელიც დავით გურამიშვილმა „ცხოვრების ხეს“ შეადარა, ენათესავება იესო ქრისტეს:

*ვერა ვსთქვი, მე ვერ შევიძელ, მის ხის სახელის*
*წოდება,*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*სოფელს ერგო და სოფლელთ თქვეს: „მრუდია, არა სწორდება",*
*აღიძრენ ერნი, იზრახეს ცუდისა მიდებ-მოდება,*
*გაყიდეს, მოჰკლეს, გამსყიდველს მისვდა მით ცეცხლის მოდება.*

იესო ქრისტეს შეუორგულდა ერი და გაყიდეს, ხოლო მის გამყიდველს - იუდას „ცეცხლი მოედო", მან თავი ჩამოიხრჩო.

*სახით მისებრივ სხვა მორჩი ქვეყნად არ დაიბადება,*
*მე მისის ხილის ჭამითა პირი არ გამიმწარდება*

- წერს ისევ იესო ქრისტეზე დავით გურამიშვილი.

რა არის ეს „ხილი", რომლის ჭამით დავითს „პირი არ გაუმწარდება?"

ეს არის მთლიანად ქრისტიანული მოძღვრება, ის შეგონებანი, რომელთაც უქადაგებს იესო თავის მოწაფეებს და მრევლს.

„ქართლის ჭირის" პირველ თავშივე ნათქვამია:

*მდიდარი ეგრეთ ძნელ ცხონდეს, ევლიან შესაწირითა,*
*ვით ერთი მწირი მხეველი ედემს ზის ორის მწვლილითა.*

სახარებაში იესო მოძღვრავს თავის ათორმეტ მოწაფეს: *„ამინ გეტყვი თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა"* (მათე 19,23). მეორე სტრიქონიც სახარებისეულ ამბავზე მიგვანიშნებს: ხალხმა მრავალი შესაწირი მოიტანა უფლის საკურთხეველზე *„და მოვიდა ერთი ქურივი გლახაკი და დასხნა ორნი მწულილნი, რომელ არს კონდრატე"* (მარკოზი 12, 42 შდრ. ლუკა 21,2) და აქ იესო მიუთითებს თავის მოწაფეებს, რომ ამ ქვრივმა ყველაზე მეტი შესაწირი მოიტანა, *„რამეთუ ყოველთა ნამეტავისაგან მათისა დადეს, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თჳისისა ყოველი რაჲცა აქუნდა, დადვა საცხოვრებელი თჳისი"* (მარკოზი 12, 44).

შეგონებები რომ შეისმინოს ყრმამ, ამისათვის აღმზრდელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს. შეიძლება ფიზიკური დასჯაც, „გაწკეპვლა" გახდეს საჭირო, მაგრამ არც ამაზე უნდა დაიხიოს მასწავლებელმა უკან, თუ ეს კარგ შედეგს გამოიღებს. ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად ბიბლიურ ამბავს მოიშველიებს დავით გურამიშვილი, მაგრამ მთლიანად კი არ გვიყვება, მხოლოდ შედეგს გადმოგვცემს:

*რადგან აბრამ ძე საკლავად გამოიმეტა მსხვერპლადა,*
*შენ გემეტების რად არა, ძე წკრთამზე გასაწკეპლადა?*

აი, სათანადო ადგილი ბიბლიიდან: *„და განჰყო აბრაამ ხელი თჳსი მოღებად მახვილისა და დაკლვად ძისა თჳსისა. და უწოდა მას ანგელოზმან უფლისამან ზეცით, და ჰრქუა მას: აბრაამ! აბრაამ! - და მან თქუა: აჰა მე. და ჰრქუა: ნუ მიჰყოფ ხელსა შენსა ყრმისა მაგას ზედა, ნუცა უყოფ მას ნურა რაჲ. რამეთუ აწ უწყი, ვითარმედ გეშინის შენ ღმრთისა და არა რიდე ძესა შენსა საყუარელსა ჩემთჳს"* (გამოსლვათა 22, 3-13).

უსწავლელ, ბრიყვ შვილზე „დავითიანში" წერია:

*ძაღლი უწვრთელი პატრონსა ასეთს რას დაუშავებსა,*
*რომ შვილი ბრიყვი, უცები დედ-მამას განათავებსა.*

ეს მოსაზრებაა გამოთქმული სოლომონის იგავებშიც: *„ძემან ბრძენმან ახარის მამასა, ხოლო ძე უგუნური მწუხარება დედისაო"* (00, 1) ან *„შვილი კეთილგონიერი მორჩილი მამისა, ხოლო ძე ურჩი წარწყმედასა შინა"* (14, 1).

დავით გურამიშვილი ასეთ შვილზე გვეუბნება:

*მშობელთა შვილი უწვრთელი, აროდეს მისცემს ლხენასა*
*სულთა წარწყმედას და ხორცთა მიუთხრობს მით შერცხვენასა.*

გურამიშვილის დიდაქტიკას მხოლოდ ბიბლიური წიგნები კი არ ასაზრდოებს, არამედ მის თანამედროვეთაგან შექმნილი აღმზრდელობითი ხასიათის თხზულებებიც; ასეთია თეიმურაზ პირველის „გაბაასება კაცისა და სოფლისა", არჩილის „საქართველოს ზნეობანი", ვახტანგ VI-ის „სიბრძნე მალადობელი" და აპოფთეგმური კრებულები.

ჩვენი ძველი მწერლობის ამაგდარნი ყოველთვის ინტერესით ეკიდებოდნენ აპოფთეგმურ ლიტერატურას. ქართულ მასალაზე ადგენდნენ ან სხვა ენიდან თარგმნიდნენ სენტენცია-აფორიზმების კრებულებს, რომლებიც შეიცავდნენ ანტიკური ხანის ბერძენ ფილოსოფოსთა, შუა საუკუნეების ბიზანტიელ საეკლესიო მოღვაწეთა და ქართველ მწერალთა და მოაზროვნეთა თხზულებების ექსცერპტებს, ბრძნულ გამონათქვამებსა და ბიოგრაფიულ ეპიზოდებს. ეს კრებულები, რომელთაც აღმზრდელობითდამრიგებლობითი მნიშვნელობა ჰქონდა, ქართველ მწიგნობართა შორის პოპულარულად ვრცელდებოდა სხვადასხვა სათაურით. ამგვარი ძეგლები წარმოშობილა XVI-XVIII საუკუნეებშიც (ზოგი მათგანი ორიგინალურია, ზოგიც ნათარგმნი სპარსული და რუსული ენებიდან). როგორც მაგალითად, „სწავლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი შუენიერნი", „სიბრძნისაგან ფილოსოფოსთაჲსა", სპარსული ხელმწიფეთათვის განწესებული საკითხავი „სწავლანი ბრძენთა და ფილოსოფოსთანი", „შეგონებანი ახიკარ ბრძნისანი" და ერასტი თურქისტანიშვილის მიერ ვახტანგ VI-ის დავალებით რუსულიდან თარგმნილი „აპოფთეგმატა" ანუ „სიტყვისგება სოკრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა (სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი, გამოსცა ივ. ლოლაშვილმა, 1969 წ. გვ. 3).

ამ უკანასკნელი კრებულის ერთ-ერთი ბრძნული ნათქვამი: *„უნაყოფობა სჯობს ბოროტი შვილის ყოლას"* (415) უნდა იყოს შთამაგონებელი დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამიშვილისა, როდესაც ის ამბობს:

*სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა, უწვრთნელის შვილის ყოლასა.*

საერთოდ, გურამიშვილის დიდაქტიკური მოძღვრება რამდენადმე დავალებულია ვახტანგ VI-ის პოეზიისაგან. მსგავსება იმდენად დიდია, რომ პირდაპირი პარალელების გავლებაც შეიძლება. ამ საკითხს შეეხო ალ. ბარამიძე ვახტანგ მეექვსის თხზულებათა 1947 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში და პარალელებიც დაიმოწმა. აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე ნათქვამი დავით გურამიშვილთან უფრო რაფინირებულად, უფრო დახვეწილად გვეძლევა, ვიდრე ამას ვახტანგ მეექვსე ახერხებს. ამას წინარემოყვანილი სტრიქონებიც ადასტურებს.

„ქართლის ჭირში“ დავით გურამიშვილმა ცალკე თავად გამოყო „სწავლა მოსწავლეთა“, ანუ „ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის“, რომლის დასაწყისში გვეუბნება:

*ისმინე სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის*
*მცნებასა.*

ასეთი დასაწყისი აღმზრდელობითი ხასიათის შეგონებისა გასაკვირი არ არის. იგი საჭირო იყო მკითხველთა ყურადღების მისაპყრობად და გვხვდება ჯერ კიდევ ბიბლიაში, სადაც სოლომონ ბრძენი მიმართავს ყრმას: *„ისმინე შვილო, სწავლა მამისა შენისა, რათა ბრძენ იყო უკანასკნელსა შინა შენსას“* (იგავნი 19, 20).

*დედამ რა შვას ძე, პირველთა ჭირთ აღარ*
*მოიხსენებსა,*
*ძის სიხარულით დაჰკარგავს ილაის მსგავსთა*
*სენებსა.*

„დავითიანის“ ეს სტრიქონები გამოძახილი უნდა იყოს სახარებისეული თქმისა: *„დედაკაცი რაჟამს შობს, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, ხოლო რაჟამს შვის ყრმაჲ, არღარა მოიჴსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა“* (იოანე 16, 21).

შეიძლება ნიჭიერი იყოს ადამიანი, მაგრამ ბრიყვი და უცოდინარი. ადამიანს ცოდნაც უნდა ჰქონდეს, რომ ჭკუა მოიხმაროს:

*ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით*
*მოიხმარების.*

*„სიკეთე უჭკუოდ ცარიელი არის“* (1, 3), სწერია აპოფთეგმურ კრებულში „სიტყვისგება სოგრატისი და სხვა ფილოსოფოსთა“.

*ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომცა დაეტარების.* - ამბობს დ. გურამიშვილი. ბიბლიაში კი სოლომონ ბრძენი იტყვის: *„საუნჯე გულის სათქმელი განისვენებს პირსა შინა ბრძნისასა, ხოლო უგუნურთა-კაცთა მთანთქიან იგინი“*(8-10).

*ვსძებნე და ვერა ვჰპოვე რა მჯობი ამ სწავლა-*
*მცნებისა;*
*ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა*
*ნებისა,*
*ბრძენი სადაც არს დარჩების, საუნჯე თან*
*ექნებისა:*
*ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის*
*მოექნებისა.*

- მოძღვრავს ყრმათ გურამიშვილი. აქ ბიბლიური დარიგებაც არის, რომ სწავლა ყოველგვარ სიმდიდრეზე ძვირფასია და აპოფთეგმური კრებულის „სიტყვისგება სოგრატისის“ სიბრძნეც: *„ბრძნის კაცის წესი არ არის, რათა პურს თვითონ ეძიებდეს“* (433). მაგრამ აქ ბიბლიური და აპოფთეგმური დიდაქტიკის მშრალი გადმოღება კი არ არის, არამედ მისთვის უფრო ორიგინალური, სრულყოფილი სახის მიცემა და ისე მიტანა მკითხველამდე.

„სწავლა მოსწავლეთაში“ დასახელებულია სულ ათი ხელობა. სოფლის „ბრძენი“, ოსტატი, ხუცესი, კაჭარი, მოლაშქრე, მხვნელი, გლახაკი, მეფე, მღვდელმთავარი და მიჯნური. ავტორი მკითხველს ამ ათ ხელობას ჩამოუთვლის და ეუბნება: *რომელიც გინდა ირჩიე, აიღე, ხელი ჰკიდე.*

ამ ათთაგან სამს განსაკუთრებულად გამოყოფს დავით გურამიშვილი და წერს:

*ზოგი ხომ ძლიან გაჩვენე, შვიდიოდ სარჩოს*
*ძიობა;*
*მერვე - ხელმწიფეს დარჩების, ვისაც აქვს*
*ქვეყნის მჭირობა,*
*მეცხრეა - არჩენთ მწყემსობა, უქნიათ*
*მენახირობა,*
*მეათე - მიჯნურთ სურვილი, ტრფიალთა*
*შენამზირობა.*

ნ. ნათაძის აზრით, ეს, მეფეზე წინ დაყენებული მწყემსი-მენახირე, არის მღვდელთმთავარი, სამწყსოს სულიერი მამა; რომელსაც, ავტორის თქმით (ეს აზრი ქრისტიანულ მორალს ემყარება), ხელმწიფეზე უფრო დიდი პასუხისმგებლობა და უფრო საპატიო საქმე აკისრია.

ეს კი, ჩამოთვლის თანამიმდევრობასაც რომ თავი დავანებოთ, შემდეგი სტრიქონებიდან ჩანს:

*მწყემსობა უნდა სიფრთხილით, აქვნდეს*
*მცირედი ძილია,*
*მუდამ მხნედ სამწყსოს უვლიდეს, დღე ყინული*
*თუ თბილია,*
*„მწყემსმან კეთილმან ცხვართათვის დადვისო*
*სული ტკბილია“,*
*ვინც ბრძანა, მან მე მარიდოს უხილავ მხეცთა*
*კბილია (ა, 41).*

*„მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართა თანა“* (მათე, 5, 14). სახარებისეულია. ს. საბა ორბელიანი „სწავლანის“ ერთ-ერთ ქადაგებაში „სწავლა მწყემსისათვის და სამწყსოისა დამწყსისათვის“ განგვიმარტავს სახარებისეული ნათქვამის შინაარსს: *„ვინ არს ძმანო, მწყემსი ესე კეთილი, რომელმან დადვის სული თვისი ცხოვართა თვისთათვის? - ესე მწყემსი იესუ არს, ქრისტე უფალი და ღმერთი ჩვენი, რომელი გარდამოჴდა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ზეცით მოძიებად წარწყმედილისა ამის ცხოვართა პირმეტყველთა ჩვენ კაცთათვის, და მოგვიძივნა და წარმოგვიტაცნა პირისაგან მგელისა გონიერისა, რომელ არს ეშმაკი, და შეგვკრიბნა ერთ სამწყმსოდ და დაგვადგა თვით მწყემსად და ზედ მოურნედ. იესუ არს მწყემსი კეთილი, რომელმან დადვა სული თვისი, სულთა ამათ ჩვენთა ცოდვილთათვის.*

ხალხის სულიერი მამა მწყემსად მიჩნეული იყო თითქმის ქრისტიანული რელიგიის ჩასახვიდანვე. მოწოდებასავით გაისმის ფსალმუნის სიტყვები: *„ღაღადებდით ღუთისა ყოველი ქვეყანა, მან შემქმნა ჩუენ და არა ჩუენ, ხოლო ჩუენ ვართ ერი მისი და ცხოვარნი სამწყსოსა მისისანი* (13, 89).

- ვინღაა მიჯნური, რომელიც პოეტმა მეფეზე და მღვდელთმთავარზე წინ დააყენა?! - სვამს კითხვას ნ. ნათაძე და იქვე პასუხობს: ესაა მისტიკოსი, ღვთის მიჯნური, რომელიც ეკლესიური ორგანიზაციის გარეთ ღმერთთან პიროვნულ კონტაქტს ესწრაფვის:

*მიჯნურმა უნდა ტრფიალი გულმართლად*
*შეიყვაროსა,*
*მუდამ გვერდთ ახლდეს სურვილით, აროდეს*
*გაეყაროსა.*

ცხადია, მიჯნურობის ცალკე ხელობად გამოყოფა გურამიშვილს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგმა შთააგონა, მაგრამ მიჯნურის მეფესა და მღვდელთმთავარზე მაღლა დაყენება გურამიშვილის შეხედულებებზე ნათლად მეტყველებს (ნ. ნათაძე, იგივე, გვ. 222).

გლახაკობასაც ხელობად თვლის გურამიშვილი:

*გლახაკი უნდა მდაბალი, ტკბილისა ენა-პირისა,*
*მლოცველი ყოვლის სულისა, სულ დიდისა და*
*მცირისა;*
*უყვარს, ვით იობ, უფალსა გლახა, მომთმენი*
*ჭირისა,*
*სძულს ღმერთსა ამპარტავნობა, მეტადრე გლახა*
*მწირისა.*

აქ მოხსენებულია ბიბლიური პერსონაჟი იობი, რომელსაც საღმრთო წერილში ცალკე წიგნი აქვს დათმობილი. ამ წიგნში ნათქვამია, რომ იობმა უფლის სიყვარულით მრავალი ჭირი დაითმინა, *„ხოლო უფალმან აკურთხა უკანასკნელი იობისი, ვიდრელა პირველისა“* (წიგნი იობისა 12, 12-13).

„ქართლის ჭირი“ მოგვითხრობს იმდროინდელი საქართველოს ბედუკუღმართობას. აქ რეალურს ემატება რელიგიური პლანი. ბიბლიური ამბავი აქ გადმოცემულია ნათქვამის დასამტკიცებლად ან, პირიქით, მონათხრობი შედარებულია ბიბლიურ ამბავთან. აქვეა გადმოცემული ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შეჭირვება მტერთაგან, მისი წასვლა დახმარების საძიებლად რუსეთის სამეფო კარზე და იქ 1737 წლის 27 მარტს გარდაცვალება, რამაც დავით გურამიშვილს ათქმევინა: *ვაი, რა ბოძი წაგვექცა, სახლ-კარი თავს დაგვექცა.*

ვახტანგ VI-ის სიკვდილის შემდეგ ქართველების წინ ორი გზაა: ან დაბრუნდნენ სამშობლოში, ან დარჩნენ რუსთა მეფის სამსახურში. ამის შესახებ დავით გურამიშვილი წერს:

*მის დროს რუსთა თქვეს: ქართველნო, ეს*
*თქვენცა გაგეგონება,*
*თვით ქრისტე ბრძანებს: „ძნელია, ორთა*
*უფალთა მონება“.*

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ადგილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან, როდესაც ბერი საბა ეუბნება ბაგრატ კურაპალატს: *„ვერ ვის ჴელეწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ“*. ორივე ნათქვამი კი მომდინარეობს სახარებიდან: *„ვერ ვის ჴელეწიფების ორთა უფალთა მონებად“* (მათე 6, 24).

დავით გურამიშვილს სანიმუშოდ მიაჩნია ქრისტიანულ მორალზე დაფუძნებული სწავლა, მაგრამ ამ მორალის ყველა პუნქტს ბრმად არ ემორჩილება, უფარდებს თავისი ეპოქის მოთხოვნილებებს. იგი ახალ თაობას აფრთხილებს:

*ყმაწვილმა უნდა იცოდეს საცნობლად*
*თავისადაო,*
*ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის,წავა სადაო“.*
*ან :*
*თუ ცურვასა არ ისწავლით, ვერ გაუხვალთ*
*დიდთა წყალთაო.*

როგორ აღზრდაზეა ლაპარაკი „დავითიანში“, საეკლესიო-სამონასტროზე თუ ფეოდალურ-სარაინდოზე? - ორივეზე ერთად, მათ ჰარმონიაზე. მაგრამ გურამიშვილი აქცენტს პირველზე აკეთებს იმდენად, რამდენადაც იმ დროისათვის საქართველო მუდმივი თავდასხმებისა და შინააშლილობის გარემოცვაში იყო და რაინდულ ზნეობას ეპოქის საჭიროება მოითხოვდა, ფიზიკურად თავის დაცვის ინსტინქტური სურვილი უკანა პლანზე აყენებდა სულიერ თავდაცვას. ამიტომ ავტორმა „დავითიანში“ წინა პლანზე სწორედ სულიერი თავდაცვისათვის ზრუნვა წამოსწია. დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“ და მთლიანად „დავითიანიც“ ერთი მიზნისკენაა მიმართული - დაუბრუნოს ხალხს დაკარგული რწმენა, რაც დაეხმარება მათ გაერთიანდნენ და ისე იბრძოლონ საერთო მიზნისათვის. ეს კი იმდროინდელ საქართველოში ნამდვილად საჭირო იყო. უნდა აღდგენილიყო, აგრეთვე, ის გაწყვეტილი ძაფებიც, რომლებიც ქართულ აზროვნებას მსოფლიო კულტურის მწვერვალებთან აკავშირებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრისტან მახაური

## ქართული ხალხური ბალადა „ძიბლა და თათულიკა“

ეს ლექსი მოცულობით ისე მცირეა, ბალადად შეიძლება არც კი ჩაგვეთვალა. იგი არ განუხილავს გიორგი კალანდაძეს თავის გამოკვლევაში და არც დავით გოგოჭურს შეუტანია ბალადების კრებულში.

მაგრამ, მიუხედავად თავისი სიმცირისა, ხსენებული საგმირო ხასიათის ლექსი მაინც ერთიანდება ბალადის ჟანრში, უპირველესად შეკუმშული დინამიზმით, სიუჟეტის მძაფრი განვითარებით და ტრაგიკული ფინალით.

მაგალითისთვის მოვიყვან ერთ ვარიანტს:

*ქარი ჰქრის საქაროვნეში, ღრუბლები ბერევდიანო,*
*ძიბლაი-დ' თათულიკაი ერთმანეთს ძალევდიანო.*
*მიწა დაუხვდა გვალული, ხნავდნენ და კვალევდიანო.*
*უძახეს ამხანიგებმა: თათო, წავიდეთ შინაო.*
*- თათო შინ ველარ წამუა, აქ ძიბლამ დააძინაო.*

აქ სათქმელი უაღრესად მკვრივი და ლაკონური ფორმით არის გადმოცემული. ლექსის შინაარსიდან ვგებულობთ, რომ ბალადის გმირებიდან ერთი უკვე მომკვდარა ორთაბრძოლაში (თათულიკა), მეორე მორკინალის (ძიბლას) ბედი კი უცნობია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრძოლის ველიდან ისიც სასიკვდილოდ დაჭრილი წავიდოდა ან იქვე დარჩებოდა. ქართული ხალხური პოეზიის კრებულებში დაბეჭდილია ამ ბალადის ერთობ მცირე, ფრაგმენტული ჩანაწერები. ზოგან იგი სულ სამი სტრიქონისგან შედგება, ერთგან კი ორსტრიქონიანი ვარიანტიც გვხვდება. სხვადასხვა ჩანაწერებში შეცვლილია გმირთა სახელებიც. ძიბლასა და თათულიკას ნაცვლად გვხვდება „გოთა და ომალიკა“ ან „ზეზვა და თათულიკა“.

შედარებით სრული ვარიანტი დაბეჭდილია ქართული სალხური პოეზიის მეოთხე ტომში. ლექსი ერთ რითმაზეა აწყობილი, მაგრამ, ზემოთ მოყვანილი ვარიანტისაგან განსხვავებით, ამ ჩანაწერში გმირთა საბრძოლო მოქმედება ჯერ არ დასრულებულა:

*ქარი ჰქრის საქაროვნოსა, ღრუბელნი ელავდიანო,*
*ძიბლაი, თათულიკაი ერთურთსა ძალევდიანო.*
*ხმლებსა დაუწყდა ვადები, ხანჯლებით ჩხვერევდიანო.*
*მიწა დაუხვდის გვალული, თოვლურად კვალებდიანო.*
*იმათი ხმლების ნამტვრევი მიწას გველებურ ძვრიანო.*

ეს ჩანაწერიც, როგორც ზემოთ მოხმობილი ვარიანტი, ხუთსტრიქონიანია.

უფრო ვრცელი ტექსტი ამ ბალადისა მიკვლეული არ არის.

მართალია, ამ უკანასკნელ ვარიანტში გადმოცემული ამბავი დასრულებული არ არის, აქ გმირთა მოქმედებას მეორე ხოლმეობითის ფორმით გადმოგვცემენ („ძალევდიან“, „ჩხვერევდიან“, „კვალებდიან“), რაც ხაზს უსვამს ორი ვაჟკაცის სასიკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლების მრავალგზისობას, მაგრამ ლექსის მთლიანი მხატვრული სტრუქტურა, მასში გამოყენებული აღმავალი პოეტური სახეების სიუხვე (ჰიპერბოლები, მოხდენილი, ზუსტი შედარებები) იმაზე მიანიშნებს, რომ გმირებმა ერთმანეთი დახოცეს. მოქმედების ასეთი უსრულობა საერთოდ დამახასიათებელია ხალხური ბალადისათვის (მაგალითად, იხ. საგმირო ბალადა „ჩანთელი და აფთარაული“). იგი მკითხველისა თუ მსმენელისაგან შესაძლო შედეგის გააზრებასა და სათანადო დასკვნა-შეფასებას მოითხოვს. საქმეში ჩახედული მკითხველი გრძნობს, რომ ეს ცხარე ბრძოლა „უერთოდ“ (უშედეგოდ, ანუ უსიკვდილოდ) არ დამთავრდება და ამიტომ არ უნდა, რომ წერტილი დაუსვას მოქმედებას.

პირველ ვარიანტში ჩართულია მოკლე დიალოგი, რომელიც ლექსის რითმასაც ცვლის (იანო - შინაო):

*უძახეს ამხანიგებმა: - თათო, წავიდეთ შინაო.*
*- თათო შინ ველარ წამუა, აქ ძიბლამ დააძინაო.*

განსახილველი ბალადის ბოლო სტრიქონები ემთხვევა თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი მეორე ხალხური ლექსის „მზირის“ სტრიქონებს:

*ეძახდა ამხანაგები: - ბაადო, წავიდეთ შინაო!*
*- ბაადო ველარ წამუა, მაგარი დაიძინაო“*

მსგავსი ფრაზეოლოგიური ერთეულების გამეორებაც დამახასიათებელი ნიშანია ხალხური ბალადისათვის. ამისი მთავარი მიზეზი ტექსტის ზეპირი გავრცელებაა.

ბალადაში ნახსენები ტოპონიმის („საქაროვნე“ ან „საქაროვნო“) და ამ ბალადასთან დაკავშირებული ზეპირგადმოცემის მიხედვით შესაძლებელია, დადგინდეს გმირთა შებრძოლების ადგილი (მათურის თავი), რაც განსახილველი ლექსის რეალური საფუძვლის უტყუარობას ადასტურებს.

ეს ხუთსტრიქონიანი ბალადა კავკასიის მთიელთა შორის წარსულში ჩამოვარდნილი ტომობრივი შუღლის ერთ კერძო გამოვლინებას ასახავს. პირველად ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ქსენია სიხარულიძემ. მან აღნიშნა: „შეიძლება ეს ლექსი ქისტებთან შუღლის ამსახველიც იყოს, რაკი ციბალა ქისტის სახელია“.

ამ ამბავთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდა მთქმელმა ბაბალე ტურაშვილმა: „ქისტთა და ფშაველთ მა ჯსვლია, საქაროვნეში (მათურის თავსა) ჩხუბი და უძახნავ, რო ერთ-ურთი ვძალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თო. პატარა კაცაი ყოფილა ი ძიბლაი. „მე წავალო“. „კაცო, გაჩუმდიო“. ი ქისტ რო გამეემართა, გორისოდენი კაცი იყოო. ხმალ მაიქნია ი ძიბლამაო და შასტაცა (ქისტმა) ხმალიო. ჩამასწია ძიბლამაო, ჩამაჯშალა, ხელი მიაყოლა და მოკლაო“.

ბაბალე ტურაშვილის ნაამბობისაგან ოდნავ განსხვავდება მაითურის მთავარანგელოზის ხევისბერის პეტრე ხიბლაშვილის ნაუბარი: „მაითურის მთაზე შაყრილან, საქაროვნოზე. დაძინებული ძიბლაისად მაუსწვრია თათულიკას. ეს თათულიკაი ყოფილა ლევკაცი, უზარმაზარი. ზედ დასწოლია დაძინებულს:

- დაგაჯდა, ფშაველო, შავეთის ვაციო! დაუწყია რჩობა. იმას კიდე ხანჯარი გაუძვრია ძირიდან, მუცელში მიუცია და ფაშ-ნაწლევები გადმაუყრევინებია, ისე მაუკლია“.

ორივე მთქმელი ხაზს უსვამს იმას, რომ ბრძოლა მაითურის მთაზე მოხდა (ფშავის არაგვის ხეობა).

ზემოთ დამოწმებულ გადმოცემებში და თვით ლექსშიც არეულია ბალადის გმირთა სახელები: ქისტის სახელი (ციბალა ან ძიბლა) ჰქვია ფშაველს, ხოლო ქისტს - ხევსურის სახელი (თათულიკა). ერთი შეხედვით, ეს იქნებ არც იყოს გასაკვირი, რადგანაც კავკასიის მთიელებს, სხვადასხვა ტომისა და სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებლებს, წესად ჰქონდათ, რომ შვილისათვის ურჯულოს, უცხოტომელის სახელი დაერქმიათ. ასეთ უცნაურ ჩვეულებას თავისი მიზეზები ჰქონდა. მშობლები შვილს უცხოს სახელს არქმევდნენ იმ მოსაზრებით, რომ სიკვდილისათვის დაემალათ, „გაესხვისებინათ“. ერთ ფშაველ კაცს, რომელსაც შვილები ეხოცებოდა, გადაუწყვეტია, თავისი ერთადერთი ძისთვის ურჯულოს სახელი დაერქმია. ასეც მოქცეულა. რამდენიმე წლის შემდეგ შვილი მაინც მოჰკვდომია. მამას გულმდუღარედ დაუტირებია იგი:

*ხევსურას შვილსა არ ვეძახდი,*
*სხვაგანა მყვანდა გაყიდული.*
*სიკვდილმა მაინც მამიხელა,*
*ალბათ, გულში თუ ვთავისობდი.*

პირიქითი ხევსურეთის სოფლებში დღესაც ბევრი ატარებს ქისტის სახელს (ფასქოში, ხაძეგა, ხამურზა...) ხოლო ქისტებში ხევსურული სახელებიც გვხვდება.

ჩვენს ბალადაში გმირთა სახელების აღრევა ეგებ არ ემორჩილებოდეს რაიმე კანონზომიერებას და მარტოოდენ მთქმელთა გულმავიწყობის შედეგი იყოს, მაგრამ ერთი რამ მაინც ნათელია - ბალადას რეალური საფუძველი აქვს.

ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ ბალადა „ძიბლა და თათულიკა“ არის დიდი ეპიკური ტილოს ნამსხვრევი (შეადარე რუსი მეცნიერის ა. ი. სობოლევსკისეული განსაზღვრება ბალადისა - „უმცირესი ეპიკური“). ფშაველისა და ქისტის საგმირო-სარაინდო შერკინება ხალხურმა ლექსმა სულ რაღაც ხუთიოდე სტრიქონში ჩაატია.

ბალადის გმირები ხმლებითა და ხანჯლებით ებრძვიან ერთმანეთს წინასწარი ვარაუდით, ბალადა, გვიანი შუასაუკუნეების ამბავს უნდა ასახავდეს (მეცხრამეტე საუკუნემდე). რაიმე დამატებითი დეტალისა თუ ატრიბუტის უქონლობის გამო ბალადის შექმნის ზუსტი თარიღის განსაზღვრა შეუძლებელია.



ნახატი მარტინ პეტროსიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციალა ბენდელიანი

## ილია ჭავჭავაძე ქართულ რომანში

ილია ჭავჭავაძემ სიტყვით ქმნადობითა და მყისიერი პრაქტიკული ღვწით შესაქმის ფარდი აქტი განახორციელა თავისდროინდელ საქართველოში „შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მე-19 საუკუნე საქართველოში ილიამ კიდეც მოიგონა, კიდეც შექმნა და თავისი სისხლით კიდეც დაჰკირა“, - წერდა ტ. ტაბიძე 1922 წელს (ტ. ტაბიძე. ილია ჭავჭავაძე; კრ. ილიას სამრეკლო. თბ. , 1987, გვ. 248). ასევე ქართული მწერლობა ღრმად განმსჭვალა მისმა დიდმა შემოქმედებამ, რაც დღემდე გრძელდება: „განსაკუთრებული ზეგავლენა 60-80-იანი წლების ქართული პროზის ჰუმანისტური კონცეფციის ჩამოყალიბებაზე ილია ჭავჭავაძემ და ვაჟა-ფშაველამ მოახდინეს“ (ზ. აბზიანიძე, მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ჰუმანისტური იდეალი და თანამედროვე ქართული პროზა“. 1993. გვ. 4)

თვით ქართულ რომანზე ილიას პროზის გავლენის საკითხი ჯერ კიდევ ადრე, 20-იან წლებში გაკრთა მაშინდელ სალიტერატურო კრიტიკაში. გ. ლეონიძე და ს. კლდიაშვილი ქართულ რომანს გენეტიურად „ოთარაანთ ქვრივთან“ აკავშირებდნენ, ილიას პროზაში ხედავდნენ ქართული რომანის სათავეს.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში არის შემთხვევები, როცა გენიოსი თავისი ეპოქის დასრულების შემდგომ თვით გაიგივდება გარკვეულ სულიერ იდეალთან, განმსჭვალავს შორეული ეპოქების მოღვაწეებს და მძლავრ ნიშანსვეტად იქცევა მათ სულიერ ბიოგრაფიასა და, საერთოდ, ეპოქის სულიერ-ინტელექტუალურ ისტორიაში - როგორც გოეთე და ნოვალისი ჰერმან ჰესეს სულიერებასა და შემოქმედებაში, გოეთე თომას მანთან. იგივე გოეთე თვით ილიას აზროვნებასა და შემოქმედებაში (ლ. მინაშვილი, ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ შემოქმედებითი ისტორიისათვის. ილიას საიუბ. კრებ. თბ. 1977).

ამ მხრივ ილია და საქართველოსთან გაიგივებული მისი სახელი ღრმად აისახა ქართული პოეზიაში, მაგრამ ეს არ მომხდარა ქართულ რომანში. ბევრი ცნობილი მიზეზი, რაც ილიას სიცოცხლისა და სახელის ხელყოფასთანაა დაკავშირებული, ამ ფაქტს სრულად მაინც ვერ ხსნის. იმ მძიმე დროშიც იწერებოდა ილიას შესახებ, მაგრამ არა რომანი. დიდ შემოქმედთა - გრ. რობაქიძის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის მხატვრულ ქმნილებებში ერთხელაც არ ყოფილა მინიშნება ილიაზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული რომანი თავის შინაგან თუ გარეგან კანონზომიერება-შეზღუდვების სფეროში იყო მოქცეული. შემდგომშიც იწერებოდა დიდი ქართული რომანები, ისტორიულიცა და არაისტორიულიც, წლიდან წლამდე ორიგინალურ სახეს იძენდა 60-იან წლებში აღორძინებული 20-30-იანი წლების ქართული რომანის მხატვრული ტენდენციები, მაგრამ რომანისტიკაში გაჩენილი „სიცარიელე“ ილიას შესახებ კვლავაც სიცარიელედ რჩებოდა.

70-იანი წლების მიწურულიდან ერთბაშად „იფეთქა“ ილიას თემამ. 1979 წელს გამოქვეყნდა გ. გეგეშიძის ბრწყინვალე რომანი „ხმა მღაღადებლისა“. მასში ილიას სახელი არ იხსენიება, მაგრამ თავდადებული მამულიშვილის ნესტორ ვარდანიძის ბოლო პერიოდის მოღვაწეობასა და ტრაგიკულ ხვედრში ცხადად იკითხება ილიას ხვედრი, მისი მტრების სახეები, პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება, რევოლუციის მძვინვარება საქართველოში. 1981 წელს დაიბეჭდა ო. ჭილაძის „რკინის თეატრი“, მას მალე მოჰყვა „მარტის მამალი“, ამავე პერიოდში შეიქმნა და გამოქვეყნდა ნ. გელაშვილის „დედის ოთახიც“, რომელშიც ილიას მოტივი წარმმართველ ფუნქციას ასრულებს.

ილია ფართო პლანით „შემოვიდა“ ახალი დროის ლიტერატურასა და ახალი თაობის ცნობიერების ნარნოში, მრავალმხრივი ასპექტით გამოიკვეთა და თანამედროვე ქართველის ეროვნულ-ზნეობრივ-სულიერ პრობლემებს დაუკავშირდა.

რომანს, როგორც ჟანრს სხვა ჟანრებზე ვრცელი შესაძლებლობები აქვს. აქ ჩვენება და აღწერა, პოეზია და განსჯა, ისტორია და თანამედროვეობა ურთიერთს მსჭვალავს. ინტელექტუალურ რომანს კი ხელეწიფება დამალოს ფაქტი მის გამომწვევ უმცირეს მიზეზებამდე, შეადგინოს ქცევისა და ხასიათის ღრმად ფსიქოლოგიური, შეიძლება ითქვას, ინტეგრალური სურათი, ცვალოს დროები, დაარღვიოს კიდეც დროთა კავშირი ან გაებატონოს ერთი, ზოგადი დრო.

ო. ჭილაძის „რკინის თეატრში“ ილიას შესახებ ეპიზოდი ჩართულია არამხოლოდ ისტორიული ფაქტის სიზუსტითა და საზღვრებში. მხატვრული დეტალები, თუნდაც ილიას ფიქრები და განწყობა წიწამურისკენ გზაზე, ფაქტს შიგნიდან განგვაცდევინებს. ორიგინალურად გამხატვრულებული წიწამურის ტრაგედია რეალობა-გამონაგონის ზღვარზეა, ილიას სახე კი ორიგინალურადაა განსხეულებული გმირთა სახეობრივ სისტემაში, რაც მართებულად შენიშნა კ. იმედაშვილმა (კ. იმედაშვილი, მიჯნა. თბ., 1987, გვ. 141). ილია არის რომანის გმირთა შინაგანი ცხოვრებისა და იდეალებისთვის ბრძოლის, მრწამსის ერთგულებისა და პიროვნული სიმტკიცის შესათანაზომებელი ნიმუში, ზნეობრივი სრულქმნის ორიენტირი და მოდელი. გამოგონილი გმირები სიღრმისეულ კავშირში არიან ილიასთან, თუმცა საფიქრებელია, რომ მწერალმა საგანგებოდ აჩვენა ამ გმირების (მათ შორის თბილისელი მსახიობი ეროვნული გმირის როლსაც თამაშობს) რომანის სინამდვილეში სრული უკავშირობა ილიასთან - მათ ყოფასა და ცხოვრებაში არ ჩანს ილია, არც რეაქცია ილიას მკვლელობაზე. ზემოაღნიშნულ სიღრმისეულ სისტემას მწერალი საგანგებოდ ქმნის, რათა გამოკვეთოს გმირთა ამქვეყნიური ცხოვრების წესისა და ბრძოლის ჭეშმარიტი საზრისი. თვით გმირები კი საკუთარ, „პატარა“ სამყაროში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცხოვრობენ („პატარა“ და „დიდი“ სამყაროების ურთიერთმიმართება ო. ჭილაძის შემოქმედებაში გაანალიზებულია გ. ბელაიას წერილში: ო. ჭილაძის მხატვრული სამყარო. ჟ. „კრიტიკა“, 1985, №2) შიშით შიგნიდან ამოთეთრებული მათი სულიერი სამყარო ძნელად ეზიარება აწმყოს ტრაგიკულად დიად მოვლენებსა და დიდ ადამიანთა სულიერებას.

რომანის კომპოზიცია ისეა აგებული, ხედვა-აღქმის ერთი წერტილი მყისიერად იცვლება მეორეთი. ფანტაზიას ენაცვლება რეალური ფაქტი, გამოგონილ გმირს – ისტორიული პიროვნება, ანუ ილია. დროის კრიზისულობა სულიერ და ფიზიკურ „სახლს“, უნგრევს ყველას, ქვეყანაზე ნგრევისა და დაცემის ქარიშხალი ბობოქრობს. დიმიტრი ქურულის იდილიურ მიკროსამყაროს ისეთივე ნგრევა ელოდება, როგორც მთლიანად ქვეყანას, რომელსაც სულ მალე დედაბოძივით გამოაცლიან ილიას – ნაგვემ ერს ამ თავშესაფარსაც მოუსპობენ, ერს მოუკლავენ თავის „გამომგონებელს“.

მწერლის თქმით კი, ეს ცოდვა მთელ შენს ხალხს, მთელ შენს მოდგმას აწევს კისერზე, რაც „აშკარად უკომპრომისო“ პოზიციაა (ლ. არჩვაძე. რომანის სამყარო. „მნათობი“, 1987, №9, გვ. 134). ამ შემთხვევაში მწერალი ახალ დროში, ილიას მოკვლიდან თითქმის საუკუნის შემდეგ, ისევე უკომპრომისოდ განიხილავს საუკუნის ამ დანაშაულს, როგორც ცნობილი დიდი ქართველები განიხილავდნენ მას უშუალოდ ილიას მოკვლის დღეებში. ეს პათოსი შენარჩუნებულია მთელი ეპიზოდის მანძილზე, რაც შესანიშნავად ეთანხმება ო. ჭილაძის როგორც მორალისტის პრინციპულ პოზიციას საერთოდ ყოველგვარი დანაშაულის მიმართ ასეთი მიდგომის გარეშე მწერალს ვერ წარმოუდგენია ჭეშმარიტი ზნეობრივი წესრიგის აღდგენა ადამიანსა და ერში.

რომანის ორპლანიანი თხრობა (ავტორის რეპლიკები და არასაკუთრივ-ავტორისეული მეტყველება) ქმნის დროის ორ რაგვარობას – ავტორისეული დრო და საკუთრივ ფაქტის დრო. ეს ორი პლანი კი ისე ერწყმის ერთმანეთს, ცხადად ჩნდება დროითი სტრუქტურების ლიაობა – იგულისხმება, რომ ფაქტი მოხდა (ისტორიულ დროში), ფაქტი ხდება (რომანისეულ დროში) ფაქტი მოხდება (ეს შესაძლებლობა რომანის ზეტექსტურ დროშია დაშვებული). მომხდარსა და მიმდინარეს აღნიშნავს ზმნათა შესაბამისი დროები, ხოლო მომავალი დრო მეტაენის სფეროშია, თუმცა მეტაენაც ენობრივ საშუალებას, ანუ ზმნის სპეციფიკურ მომავალ დროს ეყრდნობა – „მოგიკლავენ“, „მოგიკვდება“.

ილია, როგორც ვთქვით, რომანში იდეალს (ვერტიკალს) ქმნის და თვით ამ ვერტიკალის სულ ზემო წერტილში იმყოფება, მწერლის ფანტაზიით შექმნილი გმირები კი მასთან მიმართებაში გამოკვეთენ თავიანთ ნამდვილ სახეს. ამ შემთხვევაში ო. ჭილაძე, როგორც მოაზროვნე და მწერალი, ძალზე ახლოს დგას თვით ილიას აზროვნების სტილთან. ილიაც კონტრასტების გზით აგებდა თავის გმირთა სახეობრივ სისტემას, იდეალს უპირისპირებდა ანტიიდეალს და ამით გამოკვეთდა ადამიანობის არსს (ამის შესახებ იხ. ც. ბენდელიანი, გზის სახე და იდეა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში) „განთიადი“, 1996, №6, 162).

„ოთარაანთ ქვრივის“ სახით კი ილია ერთგვარ არქეტიპს ქმნის, რომელსაც შემდგომ არაერთხელ მიუბრუნდება ქართული პროზა“ (ზ. აბზიანიძე). ელენეს გარკვეული კავშირი აქვს ოთარაანთ ქვრივის სახესთან, მაგრამ ეს სახე ქვრივის არქეტიპისადმი, შეიძლება ითქვას, უარყოფითი მიმართებითაა შექმნილი (ამგვარი მიმართებით შექმნილი სახეები ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში, რასაც მართებულად აანალიზებს იგივე ზ. აბზიანიძე).

„მარტის მამალშიც“ ილია ღმერთობამდეა ამაღლებული. მისი მეუღლის სახე კი, (ვინც სინამდვილეში ილიას მკვლელების შეწყნარება ითხოვა) ალუზიაა ღვთიშობელზე. რომანში იგი ილიას მკვლელს ზმანების სახით ევლინება და წამით უამებს დამპალ სხეულში ჩაბუდებულ დაბოღმილ სულს. ამ რომანშიც გვხვდება ზემოაღნიშნული კონტრასტულობა – ილიასთან დაპირისპირებულია მისივე მკვლელი, მაგრამ არა მხოლოდ მსხვერპლისა და მკვლელის დონეზე, არამედ, როგორც ღვთაებრივი ადამიანისა დაცემულ უსულო ადამიანთან.

მოკლული და მკვლელი რომანში ორი კი არ არის, არამედ ორი წყვილია. წყვილი მკვლელი და წყვილი მოკლული. იქმნება ერთგვარი პარადიგმა. მკვლელობის მეორე ამბის (როცა გოგიამ მოკლა ნატაძრალს შეფარებული უცნობი) აღწერისას მკვლელის ფსიქოლოგია და მკვლელობის სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმი მწერალს უკვე ნაჩვენები აქვს პირველი მკვლელობის (როცა გოგიას ბიძამ მოკლა ილია ჭავჭავაძე) შემთხვევაში.

რომანში ნატაძრალი და საქართველო, როგორც ქრონოტიპულად, ისე ღირებულებათა შკალაზე, აბსოლუტურად იდენტური, გაუფასურებული ცნებებია – ნატაძრალში სიბინძურეა, ქვეყანაც იგივე სიბინძურეს მოუცავს, ოღონდ ნატაძრალის დამბინძურებლები არ ჩანან. ქვეყნის დამბინძურებლები კი ამაყად დადიან. მათთვის ქვეყანა მხოლოდ ნატაძრალია, სადაც ყველას ყველაფრის ჩადენა შეუძლია.

თავის დროზე, როგორც რეალურად, ისევე რომანში ილიას ტრაგიკული მკვლელობით ღრმად განიმსჭვალა ერის ჭეშმარიტი ნაწილი, ასევე ნატაძრალში მოკლულმა კაცმა სულიან-ხორციანად შეძრა ნიკო, თუმცა ჯერაც ბავშვი და გენეტური შიშით გათანგული, მაგრამ კაცობაში ფეხშედგმული და შიშის დათრგუნვის მოწადინე. ისიც ისევე, როგორც გელა („რკინის თეატრიდან“) იმედის ოაზისს უტოვებს ამ პირქუში სამყაროთი დამფრთხალ-შემრწუნებულ ადამიანს „ქვეყანას თუ გადაარჩენს, მხოლოდ ბავშვი გადაარჩენს, ისიც მამაცი და გამბედავი“, – ასეთია მწერლის მიერ გამოტანილი დასკვნა.

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შედევრად შეიძლება ჩაითვალოს გოგიას ბიძის განცდების აღწერა უშუალოდ ილიას მოკვლის წუთებში. ამ ეპიზოდს ცოტა ვრცლად შევეხებით: ქვეყანა თითქოს დაყრუებულა. წიწამურში ილიას მკვლელი ელოდება. იგი მოსყიდულია. საფასურს მთელის მკვლელობისთვის. ილიას არსებობა ერის მტერს ხელს არ აძლევს. უშუალოდ ჩახმახის გამოკვრამდე მკვლელის ბნელი სულის წიაღში წამიერად შეანათი ილიას თვალებიდან გადმოღვრილმა ღვთაებრივმა სინათლემ და იარაღი ხელში გაუყინა. მაგრამ ეს იყო სულ ერთი წამი, რომელიც მკვლელმა შეიცნო, როგორც „ნეტარად მტანჯველი და მტანჯველად ნეტარი საუკუნე“? გოგიას ბიძამ ამ შემთხვევიდან ჭკუის სასწავლებელი „სიბრძნე“ გამოიტანა – „მსხვერპლს თვალებში არ შეხედო, მაშინვე დაახალეო“, – რაც ანდერძად გადასცა თავის დისწულ გოგიას.

ახლა გავიხსენოთ ეპიზოდი აგიოგრაფიული ძეგლიდან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. საჰაკ ამირას აღზრდილმა ქართველმა კაცმა – ცქირმა მკვლელი მიუგზავნა გრიგოლ ხანძთელს, რომელიც ცქირს არ ანებებდა ანჩის საყდრის დაპატრონებას. ამირა დიდად მოწადინებული იყო ამ ამბით, რადგან ეს ტაოკლარჯეთში ფეხის მომაგრებას ნიშნავდა. გრიგოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა



მკვლელი საფასურად ხუთ თხასა და სამ გრივ ფეტვს ელოდებოდა. მოდის გზად ვირზე ამხედრებული დიდი მოძღვარი და ღვთაებრივი შარავანდედი ადგას თავზე. მკვლელმა რომ იხილა ეს ღვთაებრივი ნათელი, შიშისგან თითქმის უსულოდ განერთხა მიწას. მაშინ მასთან თვით გრიგოლი მივიდა. შეუნდო ამ დიდ ცოდვაში გარევა და ის შეპირებული საფასური თვით მისცა.

ილიას მკვლელიც თანდათან რწმუნდებოდა, რომ ილია ღვთაებრივი ადამიანი იყო, ბოლოს მასზე ლოცულობდა და ევედრებოდა შეპირებული ჯილდოს მიღებას. მისი პორტრეტებით სავსე „ქვასავით მძიმე" ალბომს ყველგან თან ატარებდა.

აგიოგრაფმა მწერალმა გარდაცვლილი ცქირის განსჯა უფალს მიანდო მეორედ მოსვლის ჟამს, რომანში კი ილიას მკვლელი ამქვეყნადვე დაისაჯა - მუდამ გვამის სუნი ასდიოდა. ცნობილია, რომ ო. ჭილაძემ თავის რომანებში ოსტატურად გამოიყენა მაგიური რეალიზმის მეთოდი, მაგრამ ამ შემთხვევაში თითქოს ახლოს დგას აგიოგრაფთა რელიგიურ აზროვნებასთან, უფლისმიერი ასეთი სასჯელები მრავლად არის თუნდაც ამ ძეგლში (ცოდვილი კურაპალატი ნიკრისის ქარით დაავადდა, მის უკანონო ცოლს კი გარდაცვალების შემდეგ მიწა არ იღებდა).

თვით ო. ჭილაძე თავის რომანებს „განგაშის რომანებს" უწოდებს. როგორც საზოგადოდ , ისე ილიას სახის, ფენომენისა და მისი, როგორც საქართველოს „უკვდავი, თანამდევი სულის" გააზრების თვალსაზრისითაც ეს რომანები მართლაც „განგაშს" სტეხენ იმის გამო, რაც მოხდა, იმის გამო, რაც ხდება და იმის გამოც, რაც შესაძლებელია კვლავ განმეორდეს.

ნ. გელაშვილის „დედის ოთახში" ილია ორჯერ თუ იხსენიება (როგორც თვით მწერალიც აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში), მაგრამ ფინალში ნაჩვენები ბაზალეთის ტბის სიმბოლო რომანის მთავარ იდეასა და გმირებს სულ სხვა განზომილებას უქმნის. რომანში ფიგურირებს ორი სივრცული მოდელი - დედის ოთახი და ბაზალეთის ტბა. რომანი ერთით იწყება, მეორეთი კი - მთავრდება. დედის ოთახი იგივე დედის წიაღია, სადაც ათასფრად, წყალმცენარეების მსგავსად იხლართება ერთმანეთში დედის ნაქარგებით შექმნილი შობამდელი ფერებისა და სასიცოცხლო ნერვების მსგავსი სამყარო. აქ ფიზიკურად შობილი, სულიერებით გაზრდილი გმირები ხელმეორედ უნდა იშვან, ამჯერად მარადიულ ქართველებად, ბაზალეთის ტბის სამყაროში. მათესა და გიორგის ბაზალეთისკენ სვლაში იხატება არა მარტო ამ გმირთა, არამედ მთელი მათი თაობის შინაგანი განწყობა და სწრაფვა. გიორგისა და მათეს დედა მალე მოკვდება, მაგრამ მეორე, მარადიული, დიდი დედა ტბის ფსკერზე ელოდებათ. ისინი უნდა გახდნენ შვილებიც იმ დედისა და ის „სახელდებული" ვაჟკაცებიც, ვინც ოქროს აკვანს დასწვდება და ზევით ამოიტანს. ეს სახელდებული ვაჟკაცისთვის გამიზნული ხვედრია. აქ მიზანი თავისთავად გულისხმობს შედეგს, ერის ახალ არსობას, მარადიულ ეროვნულ სულიერ მთელთან დაკავშირებას.

ერთ ეპიზოდში დედა სიზმარში ხედავს გიორგის და მისძახის: „თივის ზვინზე არ ახვიდე, გიორგი, შენ სხვა გზა გელის..." აქ ალუზიაა ოთარაანთ ქვრივის გიორგიზე. სიზმარში გაცხადებულია დედის, სამყაროს პირველსაწყისის სურვილი, ბედისწერას აცდინოს შვილი და მარადისობის დიდ გზაზე დააყენოს, რაც რომანის ფინალით შესანიშნავად რეალიზდება.

გ. გეგეშიძის ისტორიულ რომანში „ხმა მღაღადებლისა" ილია საერთოდ არ იხსენიება, მაგრამ მწერალი დაწვრილებით, „კლასიკური სტილით", ღრმა შინაგანი სიმართლითა და ეპოქის უზადო ცოდნით მოგვითხრობს იმ შინაგანსა და გარეგან ფაქტორებზე (მე-19 ს. 70-იანი წლებიდან, რუსების დახმარებით რევოლუციონერთა გაბატონებამდე). რამაც შეამზადა ძველი საქართველოს დაცემა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში დასაბამი მისცა სრულიად ახალ ქვეყანას (ეს ისტორიული პერიოდია ასახული „რკინის თეატრსა" და „მარტის მამალშიც") . ამ პერიოდში მოღვაწეობდა ილიაც, თანდათან მზადდებოდა წიწამურის სამსხვერპლოც.

მიკროსივრცული მოდელი - იმერეთის პატარა სოფელი წიფლნარი - მიკროსივრცის ის წერტილია, საიდანაც იხილება უზარმაზარი და უხანგრძლივესი სივრცე და დრო. მწერალი დაბეჯითებით იცავს მხატვრული ფანტაზიით შექმნილი სამყაროსა და გმირების ერთადერთობას, ამიტომაც ილიას სახელი არ იხსენიება„ მაგრამ ნესტორ ვარდანიძის, როგორც მოღვაწისა და მამულიშვილის ბოლო წლების ტრაგიკული პრობლემები ასოციაციებს ილიასკენ წარმართავს. თავისი სოფლისა და ქვეყნისთვის თავდადებულ მოღვაწეს ილიას მსგავსად ებრძვიან უკლასო საზოგადოების იდეით აღტკინებული ტიგროვები, ვაშაკიძეები, ნიგურიანთა ულირსი ჩამომავალნი - ტყუილითა და ცილისწამებით, მისი გაკეთებულის ნგრევითა და თანასოფლელი გლეხების ამხედრებით ლაფში სვრიან იმ ეროვნულ იდეალებს, რასაც თავადმა ნესტორ ვარდანიძემ მთელი სიცოცხლე შესწირა.

კრიტიკოსი აკ. მინდიაშვილი მართებულად ავლებს პარალელს ნესტორ ვარდანიძესა და თბილისელ მსახიობს შორის (აკ. მინდიაშვილი, მოგზაურობა მეხსიერების სამყაროში. თბ., 1990, გვ. 22). ნესტორიცა და თბილისელი მსახიობიც (რომელიც „რკინის თეატრში" ილია ჭავჭავაძის პარალელურ სახედაა წარმოდგენილი) მწარედ მარცხდებიან ბედისწერასთან და ისტორიულ გარდუვალობასთან ჭიდილში. სიკვდილი კი ცხად, მაგრამ სხვადასხვანაირ ლოგიკურ წერტილს უსვამს მათგანვე განვლილ ცხოვრებას. ამ მხრივ ნესტორ ვარდანიძის ტრაგიკული ბოლო მეტად ეხმიანება ილიას სიცოცხლის ბოლოს, რაშიც სრულად გაიხსნა ახალი დროის მოწამის, წმინდანის სიცოცხლისა და ცხოვრების ჭეშმარიტი არსი.

ზემოგანხილულმა რომანებმა ახალ დროში (70-80-იან წლებში) ეროვნული ცნობიერების თითქმის კონტურებგაფერმკრთალებული კომპოზიცია მომავლისკენ, ისევ ილიასკენ გახსნეს, და თან მთელი სიგრძე-სიგანით შეახსენეს ერს, რა მოხდა მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ვინ იყო და არის ილია არა მარტო ქართველი ერის ან რომელიმე თაობის, არამედ საერთოდ ადამიანისთვის - კაცობრიობის მარადიული სულიერ-ზნეობრივი იდეალების თვალსაზრისით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ თურმანიძე

# „პატარძეულის ქრონიკებიდან“ „ნატვრის ხემდე“

გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეში“ ბავშვის სუფთა, აუმღვრეველი თვალით დანახული სამყაროა წარმოდგენილი, ამიტომაც ბრწყინავს იგი პირველქმნილი მშვენიერებით. წიგნში მოთხრობილ ამბებს რომანტიკულ საბურველში ხვევს ბავშვობის დროინდელი მოგონებები, თითქმის ნახევარი საუკუნით რომ არის დაშორებული მოგონების ხანას. პოეტმა პატარძეულისადმი მიძღვნილი ლექსების უმეტესი ნაწილი ცხოვრების მიმწუხრს შექმნა, როცა მონატრების გრძნობა კიდევ უფრო გაუმძაფრდა. მაგრამ მხოლოდ ლექსები არ კმაროდა იმ მოგონებებისაგან მთლიანად დასაცლელად, რომელიც, ალბათ, მთელი სიცოცხლის მანძილზე არ ასვენებდა. მისი პოეტური შთაგონება ითხოვდა უფრო ფართო ტილოს, სადაც არა მარტო ლირიკული გრძნობა იქნებოდა გამოხატული, არამედ იმ ადამიანებსაც გაიხსენებდა, სათუთი სიყვარულით რომ აღზარდეს ობოლი ბიჭი და ცხოვრებაში პირველი ნაბიჯების გადადგმა ასწავლეს. ამ მოძალებულ საითქმელს მხოლოდ ბიძგი სჭირდებოდა, გარეთ გამოსასვლელი გზა რომ ეპოვა. ბიძგის მიმცემი გამხდარა გამომცემლობა „ნაკადულის“ თხოვნა, რომლის დირექტორი 50-60-იან წლებში პოეტი ხუტა ბერულავა იყო. გამომცემლობამ გადაწყვიტა გამოეცა ქართველი პოეტების ლექსთა კრებულები მათი ავტობიოგრაფიებითურთ. როგორც თვითონ ხ. ბერულავა გვამცნობს, რედაქციის ცდა, გალაკტიონს დაეწერა ავტობიოგრაფია, უშედეგოდ დამთავრდა, იგი მალე გარდაიცვალა და ჩაუთქმელი სამუდამო განსასვენებელში წაიღო. რომ არა ტრაგიკული შემთხვევა, ვინ იცის, იქნებ ამ გენიოს პოეტსაც შეექმნა მშობლიურ სოფელზე ისეთი მშვენიერი მხატვრული თხზულება, როგორიც „ნატვრის ხე“ ან აკაკის „ჩემი თავგადასავალია“. გიორგი ლეონიძე კი რედაქციის თხოვნას აღფრთოვანებით შეხვედრია. მას ბევრი ჰქონდა მოსაგონარი, თანაც ბავშვობაში განცდილსა და გადატანილს ახლა უკვე სხვაგვარად, ჭარმაგი ადამიანის დაკვირვებული თვალით უყურებდა და სულ რამდენიმე თვეში მოგონებები უკვე მზად იყო.

თავდაპირველად გიორგი ლეონიძეს თხზულებისათვის „პატარძეულის ქრონიკები“ დაურქმევია. როგორც საქართველოს რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქტორი ლამარა კიკილაშვილი იგონებს, გამომცემლობა „ნაკადულში“ „პატარძეულის ქრონიკების“ კითხვას რადიოს თანამშრომლებიც დასწრებიან. მათ სურვილი გასჩენიათ ფირზე ჩაეწერათ და შთამომავლობისათვის შეენახათ ავტორისავე ხმით აჟღერებული ეს მშვენიერი ნაწარმოები. გიორგი ლეონიძე რედაქციის თხოვნას სიამოვნებით დასთანხმებია. ასე დარჩა საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში „პატარძეულის ქრონიკების“ ნაწყვეტები, წაკითხული თავად ავტორის მიერ.

რადიოს ოქროს ფონდში დაცული „პატარძეულის ქრონიკები“ უფრო მემუარული თხზულებაა, ვიდრე მხატვრული. როგორც ჩანს, ავტორმა ფირზე ჩასაწერად თავისი მოთხრობებიდან ისეთი ადგილები შეარჩია, უშუალოდ მას, მის მშობლებს, სოფელს რომ ეხებოდა. დეიდა მაიკოსა და ჩორეხის გარდა „ნატვრის ხის“ პერსონაჟებზე არაფერია ნათქვამი. და მაინც, სიტყვიერი მასალით, ზოგჯერ მთელი ეპიზოდებითაც ეს ნაწყვეტები ისეთ მსგავსებას პოულობენ „ნატვრის ხესთან“, რომ სრული უფლება გვაქვს, ის ამ მოგონებათა თავისებურ რედაქციად მივიჩნიოთ.

„პატარძეულის ქრონიკების“ ნაწყვეტები ძალიან ახლოს დგას გიორგი ლეონიძის ავტობიოგრაფიასთან, რომელიც ჟურნალ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ 1984 წლის მეოთხე ნომერში გამოაქვეყნეს პოეტის ქალიშვილებმა ნესტან და თინა ლეონიძეებმა. ჩემი აზრით, ეს ავტობიოგრაფია „პატარძეულის ქრონიკების“ შემოკლებული ვარიანტია. მიუხედავად იმისა, რომ მათში განსხვავებული ეპიზოდებია, ზოგიერთი ადგილი სიტყვასიტყვით ემთხვევა.

ჩვენ აქ არ ვეხებით გიორგი ლეონიძის მიერ 1947 წელს დაწერილ ნაშრომს „მცირედი მოსაგონარი“, რომელიც მხოლოდ იმდენად ჰგავს ჩვენს მიერ ნახსენებ ნაწარმოებებს, რამდენადაც ყოველ მათგანში მწერლის ცხოვრებაა გადმოცემული. სტილის მხრივ იგი სრულიად განსხვავებულია „პატარძეულის ქრონიკებისა“ და ავტობიოგრაფიისაგან და ავტორი მოგვითხრობს თავის ოჯახურ წრეზე, სასულიერო სემინარიაზე, ვასილ ბარნოვსა და ვაჟა-ფშაველაზე, პირველ შემოქმედებით ნაბიჯზე, მეგობარ მწერლებზე. მეტად საინტერესოა მისი ნაამბობი, თუ როგორ შეიქმნა ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

გიორგი ლეონიძის ავტობიოგრაფია დაუმთავრებელია. მასში მწერალი გვაცნობს პატარძეულისა და ლეონიძეთა გვარის ისტორიას, თავის მშობლებს. მცირე რამ არის ნათქვამი საკუთარ თავზე, თუ როგორ ერთობოდა ზაფხულობით მდინარე იორსა და მის ნაპირებზე გაშენებულ ხეებზე და როგორ იტანჯებოდა სასულიერო სასწავლებლის სულისშემხუთველ რეჟიმში.

მწერალს საჭიროდ მიუჩნევია, ავტობიოგრაფიაში მოკლედ მოეთხრო მშობლიური სოფლის ისტორია, რაც „პატარძეულის ქრონიკებში“ არ გვხვდება. ამ თხზულებაში ერთმანეთს ერწყმის პოეტი და მეცნიერი. ეს არაა ჩვეულებრივი ავტობიოგრაფია, მშრალი, ქრონიკული ფაქტებით გაჯერებული. ეს არის პოეტის მიერ ხატოვნად მოთხრობილი თავგადასავალი, დამშვენებული ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხური ლექსებით. ამავე დროს, ამ ნაწარმოებში არის პატარძეულის წარსულის დასაბუთებული კვლევაც.

ლეონიძეები, მწერლის გადმოცემით, შავშეთიდან ყოფილან გადმოსახლებული. მწერალი სიამაყით ივსებოდა იმის მოგონებით, რომ მისი წინაპრები ამ ძირძველი ქართული კუთხიდან მოდიოდნენ.

თითქმის მთლიანად, სიტყვასიტყვით მეორდება გიორგი ლეონიძის მშობლებზე მონათხრობი ავტობიოგრაფიასა და „პატარძეულის“ ქრონიკებში“.

„პატარძეულის ქრონიკებს“ ლეონიძისეული პოეტური ხელწერა ამჩნევია, მაგრამ, როგორც ჩანს, მწერალი ამით არ დაკმაყოფილდა, იგი უფრო მეტს ესწრაფოდა. მან „პატარძეულის ქრონიკები“ სტილურად დახვეწა, ავტობიოგრაფიული ეპიზოდები შეამცირა და მხატვრულ ნაწარმოებად აქცია. „ნატვრის ხეში“ გიორგი ლეონიძეს უკვე ძალიან ცოტა აქვს ნათქვამი საკუთარ თავზე, მშობლებზე და მთელი ყურადღება პერსონაჟებზე, მათი ხასიათის ჩამოყალიბებაზე გადაუტანია. თავისი თავი თითქოს ჩრდილში დაუყენებია და მთელი ასპარეზი მეხსიერებას შემორჩენილი გმირებისათვის დაუთმია. ამ ადამიანების უმეტესობა ხომ მისი მეზობლები, ახლობლები არიან, რომელთა სიყვარული სიბერემდე არ განელებია.

„ნატვრის ხეზე“ მუშაობის პერიოდში გიორგი ლეონიძის შთაგონება მთლიანად მოგონებებით იყო მოცული. ეს ჩანს მისი სიტყვიდანაც, რომელიც საქართველოს რადიოს ოქროს ფონდშია შემონახული. მწერლის სიტყვა 1960 წლის 25 ივნისს გასულა ეთერში. იგი ეხება იმ უგულო შვილებს, მშობლები რომ დაივიწყეს და მოხუცები უპატრონოდ მიაგდეს. გიორგი ლეონიძე იმდენად შეუძრავს ვინმე პეტრე ნუკრაძის მშობლების მდგომარეობას, რომ ვერ შეძლო გულხელდაკრეფილს ეცქირა ამ უგულობისათვის, თვალწინ წარმოუდგა თავისი დედ-მამა, თანასოფლელები, ჭაპანწყვეტით რომ აღზარდეს შვილები, ამიტომაც საჯაროდ გაკიცხა მშობლების უარმყოფელი, როგორც თავად მწერალი ამბობს, „ეგოისტი და მუცელღმერთა ადამიანები“. ეს სიტყვა ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი რამდენიმე ეპიზოდი თითქმის მთლიანად მეორდება „ნატვრის ხეში“.

უმადურ შვილებს დედის მადლი და ამაგი რომ გაახსენოს და მინავლებული სიყვარული გაუღვივოს, გიორგი ლეონიძე ამქვეყნად ყველაზე სპეტაკსა და უნაზესს, დედის ცრემლს იშველიებს. როგორ შეიძლება იმ ადამიანის უარყოფა, რომლის ცრემლიც კი სიცოცხლისა და სილამაზის საწყისია: „რა ნაზია ამაგდარი დედის ცრემლი? ამბობენ, სადაც დედის ცრემლი ჩასწვეთს, იქ ია ამოდისო. მხოლოდ დედის ცრემლით საზრდოობს უნაზესი ლურჯთვალა იაო“. ამ მეტაფორულმა სახემ - დედის ცრემლმა და ლურჯთვალა იამ - პირველად „პატარძეულის ქრონიკებში“ იჩინა თავი: „სადაც დედის ცრემლი ჩასწვეთს, იქ უსათუოდ ია ამოვაო, ჩემი სახლის ეზო-ყურე თუ მინდორი გაზაფხულის პირს რომ იით ლურჯად გადაიბურებოდა, ვფიქრობდი, რამდენი დედის ცრემლი დაღვრილა ამ არემარეშიო. ბლუჯეულად ამოსულ იას რომ ვხედავდი, მეგონა მთელი ქვეყნის დედებს აქ უტირიათ-მეთქი, და მართლაც, ვინ იცის, რამდენი იტირა დედაჩემმა, ქვრივმა ქალმა, ჩვენ, ხუთი შვილის შემხედვარემ და განა მარტო დედაჩემმა?“ ეს ულამაზესი თქმულება, თანასოფლელი მეზღაპრეებისაგან გაგონილი, შემდგომში ავტორს გადაუმუშავებია, პატარა მშვენიერ ჩანახატად უქცევია და წიგნის შესავლად წაუმძღვარებია.

„ნატვრის ხეს“ პოეტი მთლიანად დედას უძღვნის. ეს არცაა გასაკვირი, ბავშვობის მოგონებებში ჩაძირვამ, პირველ რიგში, მას დედის ალერსი გაახსენა და მოანატრა, ობლებს რომ გულები გაუთბო და ცხოვრების სუსხი არ მიაკარა.

იგი ბავშვებს სიკეთის მაგალითს თვითონვე აძლევდა, როცა ხუთი ობლის პატრონი ისევ სხვას უწვდიდა დახმარების ხელს. ც. ხეთერელის ცნობით, ერთხელ გიორგი ლეონიძის დედას გზაზე ჩამოძენძილი მწყემსი გაუჩერებია, შინ შეურბენია, თაფლწასმული შოთი გამოუტანია და მწყემსისთვის მიუწოდებია. დედის ცხოვრების ეს ეპიზოდი მწერალს „ნატვრის ხეში“ დეიდა მაიკოს სახის სრულყოფისათვის გამოუყენებია.

დედას გიორგი ლეონიძის პოეტური ნიჭის განვითარებაზეც დიდი გავლენა მოუხდენია. სამყაროს მშვენიერების შესაცნობად ხედვასთან ერთად განსაკუთრებული გრძნობაა საჭირო. სილამაზის შეგრძნების უბადლო ნიჭი მოემადლებინა მისთვის ბუნებას და ცდილობდა შვილებშიაც განევითარებინა ეს უნარი. დედას ეზოში მუდამ ჰქონდა გაშენებული ვარდ-ყვავილები. ამითაც არ კმაყოფილდებოდა და მაისში ვარდმოფენის დღეს ბუნების ნამდვილ ზეიმს აწყობდა სახლში. იმ დროს, როცა ქვეყნად საერთო გაჭირვება გამეფებულიყო, როცა ხალხს „შიმშილით ეწურებოდა ნაწლავები“, წელიწადში ერთხელ ვარდებით, ფშატის ტოტებითა და მინდვრის ყვავილებით სახლის მორთვა-მოკაზმვით დროებით მაინც გაექცეოდნენ ხოლმე რეალობას და რომანტიკულ სამყაროში გადასახლდებოდნენ. ეს დღე იმდენად ულამაზებდა მას ცხოვრებას, რომ მისი ხსოვნა სიცოცხლის ბოლომდე არ წაშლილა მწერლის გონებაში „პატარძეულის ქრონიკებში“ ავტორი მხოლოდ ამ დღესასწაულის აღწერით კმაყოფილდება. თითქოს მხოლოდ მონახაზს აკეთებს, რათა შემდგომში სული შთაებერა და ახალი სიცოცხლე მიეცა. „კარგი იყო მაისში ვარდმოფენობა თუ ვარდმოფენის დღე, როდესაც მთელ სახლს მოვრთავდით ვარდით, ხოსანით, ფშატის ტოტებით თუ მინდვრის ფერად-ფერადი ყვავილებით. განსაკუთრებით ირთვებოდა სახლის აივანი და წინამო. ოთახების იატაკზედაც მრავლად ეყარა ყვავილი თუ ფათალო. ეს დღე მიყვარდა დიდი სიყვარულით და არც ერთი წელიწადი არ მომცდარა ვარდისფენობა ჩვენს ოჯახში დედიჩემის პოეტური ბუნების წყალობით და ჩემი ხათრით, დედაჩემი მუდამ მიწონებდა პოეტურ ალღოს.“

მოთხრობაში „მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“ კი მწერალს ამ ნედლი გადაუმუშავებელი მასალისათვის უფრო ლამაზი ფორმა მოუნახავს და განსხვავებული ემოციური დატვირთვა მიუცია. გიორგი ლეონიძის პოეტურ სულზე გაზაფხულის ამ მშვენიერმა ზეიმებმა თავისი კვალი დააჩნია. თითქოს ყვავილები ჩაწნულან მის თხზულებებში, ისე ხაოცარ სურნელს აფრქვევენ: „მიყვარდა მაისში ვარდმოფენის დღე. დილიდანვე დავიწყებდით სახლის მორთვას ვარდით, ხოსანით, ფშატის აყვავებული ტოტებით, მინდვრის ფერად-ფერადი ყვავილებით. მთელი ურემი ყვავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლი მოგვქონდა მინდვრიდან. განსაკუთრებით ირთვებოდა სახლის წინამო - აივანი, სარკმლები, სვეტები. თვითეულ სვეტს შემოვაწნავდით ვარდს, სოსანს, ღიღილოს, შალგას...

იატაკსაც მოვფენდით ფოთლებ-ითა და ყვავილებით.

ეს დღე მიყვარდა ბუნების დიდი სიყვარულით, ვარდმოფენობას ჩვენი კერა არასოდეს მოსცდებოდა დედაჩემის პოეტური ბუნების წყალობით.

ის ფერადი ყვავილები გამოჰყვა ჩემს სულს, ჩემს სიტყვას. დღესაც ყველაზე მეტად მინდვრის ყვავილი მიყვარს." („ნატვრის ხე", 1964, გვ. 6-7).

პატარძეული სავსე ყოფილა ხალხური მთქმელებით, მეზღაპრეებით. მათ ნაამბობს საოცნებო სამყაროში გადაჰყავდა მომავალი პოეტი. აქ გაეცნო იგი მშობელი ხალხის სულიერ საუნჯეს, რომელთაგანაც უმეტესი ისე ჩაწნულა გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში, რომ მის ორგანულ ნაწილად ქცეულა. მწერალი აღფრთოვანებული იყო თავისი სოფლის მეზღაპრეებით და დიდი სიყვარულით იხსენებს მათ „პატარძეულის ქრონიკებში". აქ სათითაოდ აცნობს მკითხველს, რომელი მეზღაპრისაგან რა ზღაპარი თუ თქმულება გაუგია. სწორედ მათგან შეუსწავლია მწერალს მშვენივრად გალექსილი ანაბანა. და როცა იდეალური ქართველი ქალის, ჩახტაურას სახის შექმნა განიზრახა, მასში წარმოგვიდგინა შვილზე გადაგებული დედა, ხელსაქმის უბადლო მცოდნე, ვაჟკაცური, გაუტეხელი ბუნების მქონე, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო ნამდვილი ქართველი ქალის პორტრეტის დასახატად. ჩვენმა წინაპარმა ქალებმა მაგიური შელოცვებიც იცოდნენ. ერთ-ერთი ხალხური მთქმელის, ნინუცა გოშაძის პოეტური შელოცვა - „ბანი იძრა, ტყე იძრა, ვენახი იძრა, შვლის მუცელში ნუკრი იძრა..." - ღრმად ჩაბეჭდილა მწერლის მეხსიერებაში და ჩახტაურას სახისათვის მიუსადაგებია.

ეს მეზღაპრე ქალები თითქოს თავის ზღაპრულ სამყაროში ცხოვრობდნენ, სწამდათ ავი სულებისა, ალებისა, ტყის კაცებისა. ბუნების მოვლენებსაც კი ზღაპრებს უკავშირებდნენ. „პატარძეულის ქრონიკების" მიხედვით, როცა ცა წამოიცრემლებოდა, გაიანე ელერდაშვილი ამბობდა: „როსტომის ტირილი არისო, გესმის, როგორ დასტირის თავის შვილს ზურაბს?"

ხალხურ მთქმელებს თითქოს ისე განუცდიათ ზღაპრული პერსონაჟის მწარე ბედი, რომ ცის ცრემლშიც შვილისმკვლელი მამის ტირილი დაუნახავთ. არც ეს პოეტური შედარება დაუტოვებია პოეტს შემდგომში უყურადღებოდ და მშვენივრად მოურგია „სახელის მილოცვის" მხატვრული ქსოვილისათვის: „მალე ცის ნაჟინჟლლი დაგვეცა თავზე. ცაში წამოგრგვინვაც გაისმა. დედაკაცებმა თქვეს: როსტომი ზურაბსა სტირისო!" (გვ.76)

მწერალი არა მარტო ადამიანებს, თითოეულ ხესა თუ ყვავილს ეალერსება, რომლებთანაც ტკბილი მოგონებები აკავშირებს. იგი ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო არსებებსაც კი არ ტოვებს უყურადღებოდ და თავისი გულის სითბოს უნაწილებს. თითქოს მათაც უხდის მადლობას იმ შთამბეჭდავი ბავშვობისათვის, მათ ჩრდილში რომ გაატარა. საყვარელი ადამიანები წასულან, გარდაცვლილან, დიდი ხანია ეზოდან დედაც აღარ ეგებება, ხეები კი თითქოს მარადისობას შეჰკედლებიან, ისევ ისე მხნედ დგანან ეზოში. „ახლაც ჩუმად შევაღებ ეზოს კარებს და ვგრძნობ, რომ ეზოს ხეები შემომძახიან. სადა, ხარ, სადა ხარ, სად იყავი აქამდე," - წერს გიორგი ლეონიძე „პატარძეულის ქრონიკებში". იგივე განწყობილებაა მის ლექსში „ჩემი ბაღი":

შევალ ჭიშკარში... მომესევიან
წიწილებივით ყრმობის დღეები:
ყველა ტოტებით მომეხვევიან,
ყველა ფოთლებით ეზოს ხეები.

ბავშვობაში ნაგრძნობ სურნელებასაც ამდენი წლის მერე უფრო მძაფრად შეიგრძნობს. თითქოს მშობლიურ ეზოს დედის მიერ გამომცხვარი პურის სურნელი შერჩენია. „მიყვარდა კიდევ თონიდან ორთქლად ასული სურნელი თბილი პურისა. ახლაც საკმარისია ჩვენს ეზოში შევიდე, რომ მისი სურნელება ვიყნოსო," - წერს „პატარძეულის ქრონიკებში". „ნატვრის ხეში" კი დედისეული პურისათვის სხვა დანიშნულება მიუცია. ეს პური გ. ლეონიძისა და მისი და-ძმებისათვის ფიზიკურთან ერთად სულიერი საზრდოც ყოფილა - დედის მიერ გამომცხვარი ბასილა, გუთანი, ბარები, წალდები, ცულები, ჭიგოები, თითისტარები თუ ჯარები მათ შრომის სიყვარულს უნერგავდა.

გიორგი ლეონიძის ბავშვობის უმშვენიერესი წუთები დაკავშირებული იყო იორთან. ივრის წყალში მობანავე თუ მის ნაპირებზე ხეხილის ხეებზე შეხიზნული პატარები ვერ გრძნობდნენ მათ ოჯახებში გამეფებულ გაჭირვებას.; „ჩემი მეორე მშობელი იორია", - წერს ავტორი „პატარძეულის ქრონიკებსა" და „მშობლიურ ხეთა ჩრდილებში", ხოლო ავტობიოგრაფიაში ამ მდინარეს ემბაზს უწოდებს.

გ. ლეონიძის პოეტური მუზა იმ ვაშლის უნაზესი სურნელით საზრდოობდა, ბავშვობაში მისი სახლი რომ გაექლენთა, მართლაც ბავშვობის მოგონებები ხომ მთელი მისი შემოქმედების ღვრიტა, საფუძველი იყო. მისი თხზულებებიდან თითქოს ის სურნელი იფრქვევა, ბავშვობიდან რომ გამოჰყოლია, მის ყნოსვას რომ ჯერაც შერჩენია: „ზამთრობით, როცა ვაშლის გორა დაეყრებოდა ჩვენს ძირა ოთახებში, ჩემთვის იმაზე საყვარელი არა იყორა! ვაშლის საამო სურნელით გაიქლინთებოდა ხოლმე მთელი სახლი!

ვაშლის ნაფცქვენს არ გადავყრიდი, დედამ მასწავლა: „ვაშლის ქერქი უთუოდ ცეცხლში უნდა ჩაყაროო. ერთი ჩიტი მაგისი სურნელით ცხოვრობსო. ეს სწორედ ის ჩიტია, დღემდის რომ არ მაძლევს მოსვენებას, მივსდევ და ვერ დამიჭერია!" (გვ. 6)

ეს ეპიზოდი „პატარძეულის ქრონიკებში" მხატვრულად დაუხვეწავია და თანაც უადგილოდ არის მოყვანილი. „მშობლიურ ხეთა ჩრდილებში" კი ავტორს ეს ჩიტი უშუალოდ დაუკავშირებია ივრის ჭალებში მოჭიკჭიკე ჩიტთან.

„კარგი იყო ზამთრის მოღუღუნე ღუმელი, ჩვენი ტახტი ჭრელი ხალიჩით. ძველი „ივერიები" და „მოამბეები" შიგ ვაჟა-ფშაველას პოემები, ვასილ ბარნოვისა და შიო არაგვისპირელის მოთხრობები და წარმტაცი ვაშლის სურნელება. ზამთრობით, როცა ვაშლი ძირს დაიყრებოდა მარანში, იმაზე საყვარელი არა იყო რა ჩემთვის, ვაშლის სურნელით სრულიად გაქლენთილი იყო ჩვენი სახლი. ვაშლის ქერქს არასოდეს არ გადავყრიდით, დედამ მასწავლა, ვაშლის ქერქი უსათუოდ ცეცხლში უნდა ჩაყარო, ერთი ჩიტი მაგის სუნით ცხოვრობსო. ის ჩიტი დღესაც მოსვენებას არ მაძლევს და სწორედ ის ჩიტია, ლექსებს რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაწერინებს“.

მწერალს მეხსიერებიდან არ ამოშლია თავისი სოფლის ავდარიც, გლეხთა მთელი წლის მოსავალს ერთ საათში რომ მოსრავდა და ისედაც გაჭირვებულ ხალხს მშიერს ტოვებდა. ასეთი რისხვა, როგორც ჩანს, ხშირად ატყდებოდა ხოლმე თავის სოფელს, ისე მძაფრად არის განცდილი „პატარძეულის ქრონიკეებში“.

სოფლის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდნენ მთავრობის კაცები, ჩაფრები და მამასახლისები, უმოწყალოდ რომ დაერეოდნენ გლეხებს და უკანასკნელ სარჩო-საბადებელს ართმევდნენ. ეს ერთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ლეონიძისდროინდელი სოფლისა და „პატარძეულის ქრონიკებში“ გლეხთა ჩაგვრის ეს სურათები დაწვრილებით არის გადმოცემული. დარბევის შემდეგ სოფელი რჩებოდა აწიოკებული, დამცირებული, მიწასთან გასწორებული. გზირებსა და მამასახლისებს „უკან მისდევდნენ დედაკაცები წყევლა-კრულვით, ქოქვით, ღაღადით, მოთქმით, გული უღონდებოდათ, მიწაზე კვნესით ეცემოდნენ და მიწას ფხაჭნიდნენ სიმწრით. „ნატვრის ხეში“ კი გლეხთა აწიოკებაზე არაფერია ნათქვამი. იქ საერთო გაჭირვების სურათია ნაჩვენები, როგორი ჭაპანწყვეტით შრომობდნენ გლეხები ლუკმაპურისათვის. მეთავეთავე ქალებს მკაათათვის სასტიკ სიცხეში ტვინი უნდა აედუღებინათ, რომ მცირეოდენი თავთავი მოეგროვებინათ, გაეყიდათ და კაპიკი კაპიკზე დაედოთ და შვილებისათვის საჭმელ-სასმელი არ მოეკლოთ. გიორგი ლეონიძეს ზემოხსენებულ სიტყვაში სწორედ მეთავთავე ქალების მძიმე, აუტანელი შრომა გაუხსენებია, მშობლების უარმყოფი შვილებისათვის დედის ღვაწლი რომ დაენახვებინა.

ამ სასტიკ, გაუსაძლის ყოფას მწერლის ახლობლებში მაინც ვერ ჩაუკლავს ლამაზი სული, სიცოცხლის დაუშრეტელი სიყვარული. ერთერთი ასეთი იყო დეიდა მაიკო; ის მზესავით აფრქვევდა სითბოსა და სინათლეს ირგვლივ და თავისი ალერსიანი სიტყვებით ცხოვრებას ულამაზებდა გარშემომყოფთ. მისი სახე ღრმად ჩარჩენილა გ. ლეონიძის გულში. ალბათ, ცხოვრების უმძიმეს წუთებში იგი გულს უამებდა მას და დაბრკოლებების გადალახვაში შველოდა. „პატარძეულის ქრონიკებში“ მხოლოდ იხსენებს დეიდის ალერსიან სიტყვებს და სწუხს, რომ ეს ტკბილქართული დღევანდელ ქართველ დედებს აღარ ახსოვთ. შემდეგ მან მშვენიერი მოთხრობა „დეიდა მაიკო“ შექმნა. აქ უკვე მკითხველის თვალწინ იხატება სათნო, ნაზი არსება, ვაჟას მინდიას მსგავსად მცენარისა და ფრინველის ენა რომ ესმის, მათი სატკივარი რომ სტკივა, მათი სიხარული რომ სულს უმზიანებს. ცხოვრებამ ამ სათნო ადამიანსაც შეახო თავისი მსახვრალი ხელი. მისი ვაჟკაცი, ოჯახის იმედი სხვათა ომს შეეწირა, რამაც ცხოვრების ხალისი დაუკარგა და მისი მოქარგული ენა დაადუმა.

„ნატვრის ხის“ მოთხრობები გვხიბლავს ორიგინალური, ერთიმეორისაგან განსხვავებული, თვითმყოფადი გმირებით, თითოეულ მათგანს თავისი სამყარო აქვს საკუთარი ფიქრებითა და ოცნებებით სავსე. კითხულობ „ჩორეხს“ და გიკვირს, ნუთუ მართლა ჰყავდა საქართველოს ასეთი გულდამწვარი ჭირისუფალი? თუ ჩორეხი მწერლის ფანტაზიის ნაყოფია მატიანეში მოხსენიებული მწიგნობრების დარად შექმნილი?

„პატარძეულის ქრონიკებიდან“ კი ვგებულობთ, რომ ჩორეხი რეალური პიროვნება ყოფილა. მისი სახე მწერლისათვის თანასოფლელ სოლომონ დიაკვანს შთაუგონებია. „პატარძეულის ქრონიკებში“ ამ პერსონაჟის მხოლოდ მონახაზია გაკეთებული. ავტორმა შემდეგ ხორცი შეასხა და თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის მოტრფიალე სოლომონ დიაკვნისაგან სამშობლოს სიყვარულით გულანთებული შინგაზრდილი მწიგნობარი ჩორეხი შექმნა. თუ სოლომონი დიაკვანი იყო და როგორც „პატარძეულის ქრონიკები“ გვამცნობს, მას შვილებიც ჰყავდა, ჩორეხის ცხოვრების აზრს კი მხოლოდ საქართველოს დიდებული წარსულის ნაშთების მოპოვება და ახალგაზრდობაში თავისუფალი სულის გაღვივება წარმოადგენდა. სად ეცალა ჩორეხს ოჯახისათვის, შავი გურანდა ძალით შერთეს თანასოფლელებმა და შთამომავლობაც კი არ დაუტოვებია.

სოლომონ დიაკვანისათვის თამარი და შოთა რუსთაველი წმინდანები იყვნენ. მას სწამდა, რომ თამარი სიცოცხლეში მიწას ფეხს არ აკარებდა და შვილიც მზის სხივისაგან ეყოლა, ხოლო „ვეფხისტყაოსანს“ სამთელქვეყნიო წიგნს უწოდებდა და სახარების მსგავსად უპირველეს წიგნად მიაჩნდა. ყველაფერი, რაც სოლომონ დიაკვანზეა ნათქვამი, „პატარძეულის ქრონიკებში“ მოთხრობა „ჩორეხშიც“ არის გადატანილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხატვრულად უფრო სრულყოფილი და რაფინირებული სახით.

თუ სოლომონ დიაკვანი მარტო საქართველოს წარსულით ამაყობდა, ჩორეხს მისი აწმყოც სტკიოდა, მაგრამ ერთ ჩვეულებრივ ღარიბ აზნაურს ახალგაზრდების გამხნევების გარდა არაფერი შეეძლო: „ისევ დაისხავს ჩვენი ვენახი. ისევ დაგვებადება რუსთაველი, აღმაშენებელი, თამარი! ნუ გეშინიათ!.. ქუდზე კაცი! ქუდზე კაცი გამოვიდეს და დავიხსნათ მამული!“(გვ. 173-174)

„პატარძეულის ქრონიკებისა“ და „ნატვრის ხის“ შედარებისას ვხედავთ, რომ ნისლივით ერთმანეთში არეული მოგონებები ასე რომ მოსძალებია მწერალს, შემდგომში პოეტურად დაუხვეწავს, ფრაზა უფრო მსუყე, ნოყიერი, მრავლისმთქმელი გაუხდია და მათ საფუძველზე ერთ მთლიანობად შეკრული მშვენიერი მოთხრობები შეუქმნია.



მინას ავეტისიანი



მარტინ პეტროსიანი

ს 24/29

ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



რობერტ ელიბეკიანი

ნომერში გამოყენებულია სომეხი მხატვრების ნამუშევართა რეპროდუქციები



აკოფ აკოფიანი